

1522
2009

სვ



როტუნა და სეროუნება

N2
2/2009

საშობაო ეპისტოლა

შეუთნებს

ზურაბ ქაჯიანიძე

თესწლი

ლევან ნულაძე

შაჟის

მანონ ბულისკერიძე

თასღუშისი

ბაჩანა ბრებვაძე

ჰუსიკა

ჩონგური საქართველოა

შსაჭყლიძე


გიორგი ალაქსი - მესხიშვილი

შაღის

ელისო ქაროსანიძე



თვალი



განუხორციელებელი შაკეტი

გიორგი პალაშვილი



სერიიდან "ძილი"

ლიტერატურა და სეროვნება

N2(38)

2/2009

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
vaja otarashvili
Literature And Art

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი
მდივანი

დავით კახაბერი

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

გიორგი ალექსი-მესხიშვილი

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი
მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;

(+995 32) 31 70 47;

(+995 99) 25 60 14.

E-mail: litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

Web: www.litandart.com.ge

ნომერი გამოვიდა

საქართველოს კულტურის,
ძეგლთა დაცვისა

და

სპორტის სამინისტროს

დაფინანსებით

ს ა რ ჩ ე ვ ი

3. საშობაო ეპისტოლე

წიგნი, წიგნი

11. მეუფე თადეოზი

- ლექსები

13. ნანა წითელაშვილი

- ცხემლები ევიპახოსებზე
(იმამნი.გაგაძეძება).

21. მანონ ბუღისაძე

- ლექსები

23. ელისო ქახოსანიძე

- ეჭა - ეჭეშა - ეჭატიჩინე

25. ედახე უბუღაძე

- ლექსები

28. ნუნე ქადაგიძე

- ყაღბი ბილიანტი

37. თეა თაბაგაძე

- ლექსები

თარგმანი

39. იეს და უჩაინელ სწავლელთა
ჰიმნოზები...

- ახალი აპოკალიფსი
(თარგმანი და ბოლოთქმა
ბაჩანა ბეგვაძისა)

ჟურნალები

43. მეხთაზ ჩახავა

- ქება და დიდება ...

50. თენგიზ ეჩაჩიშვილი

ლია ხუსიაშვილი „სადი
ჯოღელი“

52. თამაზ ბახვაძე

- ქართული ლექსის მკვლევარი

პოეზია

56. ზუბაბ ქაფიანიძე

- „ამ ხეობაში ...“

მკვლევარ მკვ

58. ღამა გახაძე

- ლექსები

პოეზია

60. ნატო მოხსნაფიშვილი

- „რონგუჩი საქართველო“

თარგმანი

66. გუჩამ ვაშაყიძე

- საღვთისძელო

ანიმაცია

71. ქეთი ჯანელიძე

- ოქროს შუადღის ძიებაში

მხატვრობა

75. ქეთევან ენუხაშვილი

- ჰოსტომდენელ ხელოვნებაში
(გოგი ალექსი-მესხიშვილი)

„როგორც უფალი, სამშობლო, ერთი ქვეყანაზედა!“

რადიო ეროსიავი

საკონსულტაციო საბჭო:
ჭაბუა ამირეჯიბი, ბაჩანა ბრეგვაძე,
მერაბ ბერძენიშვილი, მაყვალა გონაშვილი,
ნათელა ურუშაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოლიკო ჟღენტი,
თამაზ ჩხენკელი, გოგი წერეთელი.

გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“ იღებს შეკვეთებს პოლიგრაფიული პროდუქციის ბეჭდვაზე (ნიგნები მაგარი და რბილი ყდით — ფერადი და შავ-თეთრი; ჟურნალები; სარეკლამო ბუკლეტები და სხვა).
მისამართი: მხატვრის ქ. 4
ტელეფონები: 32-73-62; 31-70-47
E.male. litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



საქართველო

უნმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

*„ბეთლემო, იხარებდ, რამეთუ ხე იგი ცხოვრებისაი
შენს შორის აღმოცენდა დღეს“ (საშობაო საგალობელი)*

**ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო,
დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ყოველნო საერო დასნო, მკვიდრნო საქართველოისა და
დროებით ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო, ჩვენო ძვირფასო
თანამემამულენო!**

ადამსა და ევას, სამოთხიდან განდევნის
შემდეგ, შემოქმედმა აღუთქვა, რომ კაცთა
მოდგმას მაცხოვარს მოუვლენდა და ეს აღთქ-
მა მან სხვადასხვა დროსაც რამდენჯერმე
გაიმეორა. ებრაელთა ერი მოთმინებით ელო-
და ამ წინასწარმეტყველების აღსრულებას და
აი, ახდა მამამთავარ იაკობის ნათქვამი: „არ
წაერთმევა კვერთხი იუდას, ვიდრე არ მოვა

მისი მფლობელი და ის იქნება იმედი ხალხთა“
(დაბ. 49,10).

რომის იმპერიის ნაწილად ქცეულ
იუდეაში, იმპერატორ ავგუსტუსს ოქტავიანეს
დროს, მმართველად დაინიშნა წარმოშობით
იდუმეიელი ჰეროდე, რომელსაც ხალხი ტი-
რანად და დავითის ტახტის უზურპატორად
მიიჩნევდა. სწორედ ჰეროდეს მეფობის პე-

რიოდში დავითის ქალაქ ბეთლემში მწირ, მიტოვებულ გამოქვაბულში, ბაგასა შინა იშვა მხსნელი სოფლისა, უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

აღსრულდა მიქიას წინასწარმეტყველება:

„შენ კი ეფრათის ბეთლემო, უმცირეს ხარ იუდას ათასეულთა შორის, მაგრამ შენგან გამოვა ხელნიფე ისრაელში და ძველთაგან იქნება მისი წარმოშობა, საუკუნო დღეებიდან“ (მიქ. 5,1).

როგორი უბრალოებითა და სიმდაბლითაც მოევიღინა მაცხოვარი ამ ქვეყანას, მისი შობა პირველთა სეთიფე მადლის მქონე ადამიანებს ეუნწყათ. არა საზოგადოების რჩეულნი - მწიგნობარნი, ფარისევლები ან უხუცესნი, არამედ უბრალო მწყემსები გახდნენ ღირსნი მოესმინათ ანგელოზთა საოცარი საგალობელი: „დიდება მალალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ და პირველებს ეხილათ ზეციური ყრმა.

სახარება გვამცნობს, რომ შემდეგ ახალშობილი იესოს თავყანისსაცემად აღმოსავლეთიდან ვარსკვლავს წამოყოლილი მოგვებიც მოვიდნენ და ძღვნად მოართვეს ოქრო (როგორც მეფეს), გუნდრუკი (როგორც ღმერთს) და მური (როგორც ადამიანს). მათი სახით უფალი წარმართთაც „გამოუჩნდა“, რადგან ამ ხალხშიც დიდი იყო მესიის მოლოდინი და, ამასთან, თავიდანვე განცხადდა, რომ იესო განკაცდა არა მარტო „რჩეული ერისთვის“, არამედ სხვა ხალხებისთვისაც ანუ მთელი კაცობრიობისათვის.

დაკარგული ცხოვარის შესახებ სახარებისეული იგავი ნათლად წარმოაჩენს ადამიანთა გადარჩენისათვის უფლის მიერ გაღებული მსხვერპლის არსს: მწყემსი კეთილი ტოვებს 99 ცხვარს (იგულისხმება ანგელოზთა დასი) და მიდის მთებში დაკარგული ერთი ცხვრის (ცოდვებში დანთქმული კაცობრიობის) მოსაძიებლად და როცა იპოვის დავრდომილსა და უღონოს, მხრებზე შეისვამს და აბრუნებს უკან.

მწყემსის მხრებზე შესმული ცხვარი სიმბოლოა სულიერად დავრდომილი, ღონემიხდილი ადამის მოდგმისა, რომელსაც უფლის დახმარების გარეშე არ შეუძლია ცოდვათაგან განწმენდა და ღვთის საუფლოში დაბრუნება.

ღიახ, იესო ქრისტემ „თავს იღო ჩვენი ცოდვები და იტვირთა ჩვენი სატანჯველნი“, - როგორც ბრძანებს ესაია წინასწარმეტყველი (53,4).

მაგრამ ღმერთი განკაცდა არა მარტო იმიტომ, რომ გვასწავლოს გზა ჭეშმარიტი და

გვიჩვენოს მაგალითი ცხოვრებისა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რომ დაგვაკავშიროს თავისთან და თავისი ღვთაებრივი მადლით ჩვენი დაზიანებული, დაცემული შინაგანი სამყარო განაახლოს და აღადგინოს.

როგორ ხდება ეს?

- საეკლესიო საიდუმლოთა აღსრულებით, რომელთა შორის უპირველესი არის ნათლობა.


ერთადერთი ერი, რომელიც ქრისტეშობამდე აღიარებდა ჭეშმარიტ ღმერთს, იყვნენ ებრაელები. მათ უფალი წინასწარმეტყველთა საშუალებით არიგებდა და სწორად სვლის გეზს აძლევდა. ძველი აღთქმა იცნობს უდიდეს წინასწარმეტყველთ: მოსეს, დავითს, ესაიას, იერემიას, იეზეკიელს, დანიელს, ილიას და სხვებს, რომლებიც, მართლაც, გამორჩეული და საოცარი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ გარდაცვალების შემდეგ სამოთხის ღირსნი ვერ გახდებოდნენ, რადგან, სხვათა მსგავსად, ადამისა და ევასგან მემკვიდრეობით მიღებული პირველქმნილი ცოდვით იყვნენ დამძიმებულნი. წმიდა წერილი ხომ ბრძანებს: „ვინ შობს წმიდას უწმიდურისაგან? არავინ“. (იოზი, 14,4) და ისინიც, როგორც სხვა მრავალნი მართალნი, მოელოდნენ მესიას, რომელსაც ღმერთსა და ადამიანს შორის გაჩენილი უფსკრული უნდა ამოეგსო და მიწიდან ზეცისკენ მიმავალი კიბე აღემართა.

ებრაელ ერში უშვილობა ღვთის სასჯელად სწორედ იმიტომ ითვლებოდა, რომ მიაჩნდათ, თუ თვითონ არა, თავისი შთამომავალი მაინც მოესწრებოდა მხსნელს და მისი ღოცვით აღმოყვანებული იქნებოდა ჯოჯოხეთის სკნელიდან.

და აი, იშვა ემმანუელი — ჩვენთან არს ღმერთი, რომელმაც კაცთა მოდგმას ზეცის კარიბჭენი გაუხსნა. ვიმეორებ, პირველ რიგში, ნათლობით, რადგან ნათლობის მადლით აღიხოცება ადამისა და ევას პირველქმნილი უდიდესი ცოდვა და ნათლობამდელი ყველა სხვა ცოდვაც; ადამიანი ხდება უბინო და ენიჭება სულიწმიდის ბეჭედი.

ეს არის უდიდესი წყალობა ღვთისა, ეს არის პიროვნების მეორედ შობა და სულიერი დაბადება ქრისტეში; ამის გარეშე ცხოვნება არ არსებობს; ამიტომაც ბრძანებს მაცხოვარი: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც არ დაიბადება ხელახლა (წყლისა და სულისაგან), ვერ იხილავს ღმერთის სასუფეველს“ (ინ III, 3,5).

ასე რომ, ნათლობა აუცილებელია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რადგან, თითოეული ჩვენგანი, ბოროტის გავლენით,



ყოველდღიურად მრავალ ცოდვას სჩადის, რაც მის სულს დაღუპვას უქადის.

იესო ქრისტე, საეკლესიო საიდუმლოებების საშუალებით, საოცარ მადლს გვანიჭებს ეშმაკის მახეთაგან თავის დასაღწევად; ამ მადლთა შორის უმთავრესი არის სინანული;

ამა თუ იმ მიზეზის გამო, სინანულის განცდა ყველა ადამიანს აქვს, მაგრამ ქრისტიანული სინანული განსხვავებულია; იგი გულისხმობს ღმერთთან დარღვეული კავშირის აღდგენის მიზნით ცოდვათაგან განწმედის დიდ სურვილს.

„შეინანეთ!“ — ქრისტეს გამოჩენამდე მოუწოდებდა ხალხს იოანე ნათლისმცემელი და მათ წყლით განბანდა.

„შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა!“ — ბრძანებს პირველივე ქადაგებაში მაცხოვარი.

დიახ, სინანულია სწორედ ის მთავარი ფუნდამენტი, რასაც უნდა დაეფუძნოს ჩვენი ქრისტიანული ცხოვრება. ადამიანები ეკლესიაში ხშირად მოდიან გასაჭირის გამო ან ავადმყოფობისგან განკურნების სურვილით, ან, თუნდაც, სხვათა მიბაძვით, მაგრამ მათში თუ ჭეშმარიტმა სინანულმა არ გაიღვიძა და ღვთისადმი ჩვენი დამოკიდებულება ამ გრძნობას არ დაეფუძნა, რწმენა მალე გაფერმკრთალდება და ასეთი ეკლესიიდანაც თავისი ნებით განდგებიან.

ამა თუ იმ საზოგადოებაში მრავლად არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ეკლესიის გარეშეც ცხოვრებიან, რადგან სხვებივით ცუდს არაფერს სჩადიან.

მაგრამ მათი ყოფა ღმერთთან შერიგებისთვის სულაც არ არის საკმარისი. ჯერ ერთი, ეს „სიკარგე“ შედარებითია და სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი უცოდველია; მეორეც, თითოეულმა ჩვენგანმა შეწყალება უნდა ითხოვოს უფლისაგან და თანაც, მთელი სიცოცხლის მანძილზე, რომ ჯოჯოხეთისთვის არ გაინიროს.

ზეციდან გადამრჩენელი კიბეა დაშვებული და თუ ბოლო საფეხურამდე კარგად არ ჩავჭიდებთ მას ხელს (ანუ თუ უფლის მცნებებს არ დავიცავთ), ცხოვრების ქარიშხალი უფსკრულში გადაგვჩეხს. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, რომელ საფეხურზე ვდგავართ; ნებისმიერ სიმაღლეზე მყოფი ადამიანი შეიძლება დაშორდეს ღმერთს და ჩამოვარდეს კიბიდან.

სულიერ ზეადსვლას კიდევ ერთი თავისებურება ახლავს — **რაც უფრო მაღლა აღის პიროვნება, მით უფრო ნათლად აცნობიერებს საკუთარ ცოდვებს და, შესაბამისად, უფრო ღრმა სინანულიც ეუფლება**

(ჩაიხედეთ თქვენს გულებში და მიხედვით, როგორია თქვენი სულიერი მდგომარეობა).

ბევრს არ ესმის, ასე რატომ ხდება.

მსურს შეგახსენოთ აბბა დოროთეს საუბარი ქალაქ ლაზის ცნობილ პიროვნებასთან.

მოდღვარმა ჰკითხა მას, თუ როგორ ადამიანად მიაჩნდა თავი თავის ქალაქში.

— გავლენიან და ყველასგან დაფასებულ ადამიანად, — იყო პასუხი.

— და თუ წახვალ კესარიამში, იქ როგორ მიგიღებენ?

— იქაურ დიდებულთა შორის უკანასკნელად.

— ანტიოქიაში?

— ჩვეულებრივ ადამიანად.

— კონსტანტინოპოლის სამეფო კარზე?

— თითქმის არაფრად.

ეს მიწიერი კეთილდღეობისათვის დამახასიათებელი კატეგორიებია; ასევე ხდება სულიერ ცხოვრებაშიც, — წერს აბბა დოროთე, — რადგან, რაც უფრო ახლოს ხარ ღმერთთან, მით უფრო მეტად გრძნობ, რომ სინამდვილეში არარაობა ხარ.

ჭეშმარიტი და ღრმა სინანული არ გულისხმობს უიმედო გლოვასა და სასწრაფო კეთილდღეობას, რადგან ამ დროს ხდება მთელი სისავსით გაცნობიერება ღვთაებრივი სიყვარულისა და, რა თქმა უნდა, საკუთარი უძლურებისაც.

წმიდა მამები ამ მდგომარეობას მტირალ სიხარულსაც უწოდებენ; მას, მართლაც, მოაქვს სიხარული, ნუგეში და მშვიდობა სულისა, თანაც ისეთი, რომელსაც ამქვეყნიური ვერანაირი ნეტარება ვერ შეედრება. „ღმერთის სასუფეველი საჭმელ-სასმელი კი არ არის, (ანუ მიწიერი კეთილდღეობა), არამედ სიმართლე, მშვიდობა და სიხარული სულითა წმიდითა“, — გვასწავლის პავლე მოციქული (რომ. 14,17).

გულწრფელი სინანულითა და მოძღვრის წინაშე თქმული აღსარებით, ნათლობის მსგავსად, ადამიანი სულიერი ბინისაგან განიწმინდება. (უნდა ვეცადოთ, თვეში ერთხელ მაინც ვეზიაროთ ამ საიდუმლოს, რომ სული არ გაგვიუხეშდეს და შინაგანი თვალის ჩინი არ დაგვეშრიტოს).

რატომ არის აუცილებელი აღსარება ვთქვათ მოძღვართან? რა საჭიროა ჩემსა და ღმერთს შორის შუამავალი? განა არ შეიძლება ხატთან ვალიარო ჩემი ცოდვები?, — ამ კითხვებს ხშირად გაიგონებთ მორწმუნე, მაგრამ არაეკლესიურ ადამიანებში.

მათ პასუხად შევახსენებთ თავისი მოწაფეებისადმი მაცხოვრის მიერ თქმულ სიტყვებს: „ჭეშმარიტად, გეუბნებით თქვენ, რასაც შეჰკრავთ ქვეყანასა ზედა, შეკრული

იქნება ზეცაშიც და რასაც გახსნით მინაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც“ (მათე 18,18).

ეს ნიჭი შეკვრისა და ცოდვათა მიტევებისა მოციქულებმა ხელდასხმით გადასცეს თავის მოწაფეებს, იმ მოწაფეებმა თავის მოწაფეებს ... და ასე მოდის ეს უწყვეტი ჯაჭვი დღემდე. რომ ავიღოთ მართლმადიდებელი ეკლესიის ნებისმიერი მოძღვარი და მივყვეთ მის ხელდამსხმელთა გენეალოგიურ რიგს, აუცილებლად მივალთ რომელიმე მოციქულამდე. და ეს უწყვეტობა მაღლისა არის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი.

ასე რომ, სასულიერო პირს, რომელსაც შეჩერებული არა აქვს მღვდელმოქმედება, თვით იესო ქრისტესაგან აქვს მონიჭებული უფლება ცოდვათა შენდობისა. ეს უფლება არა აქვს საერო იერარქიის ნებისმიერ საფეხურზე მდგომ არც ერთ პიროვნებას, მათ შორის, არც მეფეს.

მოძღვარი არის ერთგვარი შუამავალი ამა თუ იმ პიროვნებასა და ღმერთს შორის. იგი, შეიძლება, არ აკმაყოფილებდეს ჩვენს მოთხოვნებს, მაგრამ არავინაა შეზღუდული მოძებნოს სხვა სასულიერო პირი, რომელთანაც ბოლომდე გაიხსნება. სულიერ ურთიერთობაში კომფორტს განსაკუთრებით ისინი საჭიროებენ, რომელთაც ეკლესიური ცხოვრება ახალი დანყებული აქვთ. შემდგომ ეტაპზე ადამიანისთვის მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს, ვის ეტყვის იგი აღსარებას; მან იცის, რომ თუ რწმენით მიმართავს მოძღვარს, უბრალო მღვდლისგანაც საოცარ სიბრძნეს მოისმენს, რადგან აღსარების საიდუმლოს დროს უფალი უხილავად თვითონ ისმენს ჩვენს ნათქვამს და, ჩვენი რწმენისა და სინოფელის შესაბამისად, მოგვაგებს მაღლს მოძღვრის მეშვეობით.

რაც არ უნდა მძიმე ცოდვა გვქონდეს ჩადენილი, არ უნდა მოგვერიდოს მისი თქმისა, რადგან ღვთის წინაშე ისედაც არაფერია დაფარული. მთავარია, ჩვენ რას განვიცდით და რომელი ცოდვის გამო ვითხოვთ შენდობას. უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ცოდვა არ არის ჩვენი თვისება, ეს არის ბოროტის გავლენით განხორციელებული ქმედება, ხოლო ჩვენი ერთგულება ქრისტესადმი სწორედ იმაში უნდა გამოიხატოს, რომ მას ცოდვის შესაბამისი სინანული ვაჩვენოთ და თუ ღირსნი ვართ, მოძღვრის მიერ დადებული სასჯელიც (ეპიტიმია) მორჩილებითა და სიყვარულით მივიღოთ, როგორც წამალი ჩვენი განკურნებისა.

ზოგიერთები ამა თუ იმ ვნებაზე ამბობენ, ეს ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა და მას რატომ უნდა ვებრძოლოთო. ამასთან,

ჩვენს საზოგადოებაში ხშირად ეს სიტყვა, – ვნება, – დადებით კონტექსტში მოიხსენიება და ტელევიზიისა თუ პრესის საშუალებით მკვიდრდება აზრი, რომ, მაგალითად, მრუშობა, სიცრუე, განკითხვა, დიდებისმოყვარეობა, ამპარტავნება, მამათმავლობაც კი ... ადამიანის თვისებებია და მათში დანაშაულებრივი არაფერია.

ეს ტყუილია!

იოანე კიბისალმწერელი (ისევე როგორც სხვა მამები), განმარტავს, რომ ვნებები ბინია სულისა, რომელიც გულს ჩვეულებად ექცა ხშირად გამეორების გამო. ამავე მიზეზით გვექმნება ილუზია, რომ ისინი ჩვენი გულიდან მომდინარეობენ.

სინამდვილეში ცოდვა, ვნება, – ეს ჩვენი სულის დაჩირქებული, გახრწნილი ზედნადებია, რომელიც უნდა მოვიკვეთოთ სინანულით, აღსარებითა და ზიარებით (ასევე სხვა საეკლესიო საიდუმლოთა აღსრულებით).

ადამიანს ძალუძს დაამარცხოს საკუთარ თავში ხანგრძლივად არსებული ყველაზე მძიმე ცოდვაც კი და საბოლოოდ განდევნოს იგი. უფრო სწორად, მას ამის განხორციელება ღვთის შენეებით შეუძლია. რადგან, თუ არა მოწყალეობა უფლისა, ჩვენ ვერც სათანადო სინანულს შევძლებთ, ვერც გულწრფელ აღსარებას ვიტყვით და, მით უმეტეს, სათანადოდ ვერ მოვემზადებით ექპარისტისათვის, რომლის დროსაც მაცხოვრის ხორცსა და სისხლს ვეზიარებით და ჩვენი სული მასპინძელი ხდება უფლისა.

თვით იესო ქრისტე შემოდის ჩვენში, რომ განგვამტკიცოს, განგვაძლიეროს და ახალ სულიერ სიმაღლეზე აგვიყვანოს, სულიერი და ხორციელი კურნება მოგვანიჭოს და ჭეშმარიტი სიბრძნე მოგვმადლოს. ამას ეწოდება სინერგია - ადამიანური და ღვთაებრივი ნების გაერთიანება.

ამ მაღლს, ამ წყალობას საუკუნეების განმავლობაში ელოდა კაცობრიობა; იგი ახლა ჩვენს წინაშეა და მის გარეშე არ უნდა დარჩეს არავინ, რადგან ეს, ფაქტიურად, უარყოფაა ღვთისა (თუნდაც რომ ადამიანს თავი მორწმუნედ მიაჩნდეს).

ამიტომაც ბრძანებს მაცხოვარი: „თუ კი არ შეჭამთ კაცის ძის ხორცს და არ შევსვამთ მის სისხლს (ანუ არ მივიღებთ ზიარებას), არ გექნებათ სიცოცხლე თქვენში. ხოლო ვინც შეჭამს ჩემს ხორცს და ვინც შესვამს ჩემს სისხლს, ის ჩემშია და მე მასში. ეს არის პური, რომელიც გარდამოხდა ზეცით. ამ პურის მჭამელი იცოცხლებს უკუნისამდე“ (ინ. 6. 53,56,58).

მაგრამ, ამ საიდუმლოს მისაღებად განსაკუთრებულად უნდა მოემზადოს ახალ-

გაზრდაც და ასაკოვანიც, ხელისუფალიც და ინტელიგენტიც, მუშაც, გლეხიც და სასულიერო პირიც, რათა არ ექცეს იგი სასჯელად.

ცხოვნების გზას ნებისმიერი ადამიანი თავისუფალი ნებით ირჩევს. ისინი, რომლებიც არ ისმენენ იესოს დარიგებებს, ოდესმე აუცილებლად გაიგონებენ მის მკაცრ სიტყვებს: „ნარვედით ჩემგან წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელიც გამზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისათვის“. (მთ. 25,41).

ღიას, ღმერთი გულმონყალეა, მაგრამ სამართლიანიც, უსასრულოდ შემნდობია, მაგრამ მართლმსაჯულიც.

ყოვლადწმიდა სამებამ მოანიჭოს თითოეულ ჩვენგანს ჭეშმარიტების გზით სვლის უნარი და დაგვიფაროს გენის ცეცხლისაგან!

ეს ყოველივე ბევრისათვის ცნობილია და მასში ახალი არაფერია, მაგრამ ამას ვწერ „უძღებ შვილთათვის“, რომ დაუბრუნდნენ „მამის წიაღს“ და, ვიდრე გვიან არ არის, ცხოვრების წესი შეცვალონ.

ჩვენ ისედაც მეტად რთულ დროს გვიწევს ამქვეყნად ყოფნა. მართალია, საქართველოს მძიმე პერიოდები თავისი არსებობის მანძილზე თითქმის სულ ჰქონდა, მაგრამ მაშინ ადამიანებს რწმენა უფრო მტკიცე ჰქონდათ და თან განსაცდელთა ასეთი სიმრავლეც არ იყო;

ახლა ჩვენს ხალხს მოუწია პოსტაბაქოთა გარდამავალი პერიოდის სიმძიმის გადატანა, ცხოვრების ერთი წესიდან მეორეში გადასვლა, უმუშევრობა, შიმშილი, ომი, მორალური კრიტიკიუმების შეცვლა, ძალადობისა და სიცრუის მორევში მოხვედრა... ალარაფერს ვამბობ ვინრო ოჯახურ და პირად პრობლემებზე.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით არც ხვალდინდელი დღე იძლევა უკეთესი მომავლის იმედს, რადგან მთელი მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ კრიზისში შედის, რომელიც შეიძლება სისტემურ კრიზისად იქცეს, ანუ არსებული სისტემა სხვამ, პრინციპულად ახალმა სისტემამ შეცვალოს.

ხდება მსოფლიოს და ცალკეული ქვეყნების რეგიონალიზაცია, ანუ გარკვეულ ჯგუფებად დაყოფა; ხოლო, იმის მიხედვით, თუ რა პრინციპი უდევს საფუძვლად ცალკეული გაერთიანების შექმნას, შეიძლება, ესა თუ ის ქვეყანა რალაც მიმართულებით (მაგ., გაზის ან ნავთობის მოპოვებით) ერთ გაერთიანებაში მოხვდეს, ხოლო მეორე მიმართულებით (მაგ., კოსმოსის ათვისების სფერო), – სხვა გაერთიანებაში. ამასთან, მოსალოდნელია დაჯგუფებებს შორის დაპირისპირებების

გამწვავება გავლენის სფეროების გასაფართოვებლად.

ისტორიის თანამედროვე ეტაპი მომხმარებლური საზოგადოების ღირებულებათა ზეობის დროცაა. მისთვის მთავარია მიწიერი კეთილდღეობა და არა სულიერი სიმდიდრე. ამიტომაცაა, რომ გამართლება ეძებნება მატერიალური გამდიდრების ყველა საშუალებას.

ღიას, დღეს ბაზარზე საქონლისა და მომსახურეობის შეუზღუდავი წარმოება კი არა, ფული ბატონობს და თუ ეს მომხმარებლური პროცესი დროზე არ შეჩერდა, საზოგადოება კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება.

სისტემური კრიზისის თავიდან აცილების მიზნით დასავლეთმა კურსი ეკონომიკის სფეროში სახელმწიფო სექტორის შედარებით გაძლიერებაზე აიღო, რაც თავისუფალი ბაზრიდან უფრო რეგულირებად ბაზარზე გადასვლას გულისხმობს და, ბუნებრივია, ცალკეული სახელმწიფო ეფექტური მართვის საკუთარი მექანიზმის ძიებას დაიწყებს.

ჩვენც უნდა გამოვინახოთ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზები.

როგორც ამ დარგის სპეციალისტები ამბობენ, აუცილებელია, საშუალო და მცირე სანარმოთა დონეზე, მართვის სწორ სისტემაზე დაყრდნობით, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი დარგის სწრაფი განვითარება.

ის, რომ ჩვენი ხელისუფლება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის წინსვლისთვის გარკვეულ ნაბიჯებს დგამს, მისასალმებელია, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია.

აქ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ რამდენიმე მიმართულებას შევხვებით.

საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. ის მდგომარეობა, რაც ამ კულტურების მიმართ დღეს არის, დამღუპველია, როგორც სულიერი, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ჩვენი წინაპრებისთვის ღვინო და პური, გარდა თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობისა, მაცხოვრის ხორცისა და სისხლის სიმბოლოს უკავშირდებოდა და, ამიტომაც ქართველ გლეხს მათდამი ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და განსაკუთრებულადაც უვლიდა; და ეს უნდა აღდგეს.

დღეს კი მავანნი კახელ გლეხს სოლიდურ თანხას სთავაზობენ, რომ მან შვილივით ნაზარდი ვაზი აჩეხოს და სანაცვლოდ საზამთრო ან სხვა კულტურა დარგოს; ამასთან, ყურძნის მოყვანის ინტერესს იმითაც

უკლავენ, რომ მოსავლის ჩაბარებისას, მინიმალურ ფასსაც არ აძლევენ. ასე არ უნდა გაგრძელდეს. იქნება გამოსავლად იქცეს გლეხურ მეურნეობებში დამზადებული სუფთა ღვინის ექსპორტი სახელმწიფოს მიერ.

რაც შეეხება ხორბალს, მისი ადგილობრივი წარმოება კატასტროფულად არის შემცირებული და ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნის მხოლოდ 9%-ს აკმაყოფილებს; სამწუხაროდ, ამ 9%-შიც არ შედის ჩვენი ტრადიციული ადგილობრივი ჯიშები.

მეტად სავალალოა, მაგრამ ფაქტია, რომ უნიკალური ქართული ხორბალი სრული გაქრობის პირასაა. არადა, ჩვენგან წაღებულ თესლს სხვა ქვეყნები თავისად წარმოაჩენენ და ამით ამაყოფენ; ხოლო საქართველოში ექსპორტირებული ხორბალი და პურის ფქვილი, რომელიც მოხმარებული პროდუქციის 91% შეადგენს, იმდენად დაბალი ხარისხისაა, რომ ჯანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

საქმე შემდეგშია: მსხვილ ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, რომ ხელოვნური მეთოდებით (გენური ინჟინერია, შხამ-ქიმიკატები, მცენარის ზრდის სტიმულატორები და ასე შემდეგ) მიღებული საკუთარი ჭარბი პროდუქციისათვის გასაღების ბაზრები გააფართოვონ და სხვა ქვეყნებში ადგილობრივი ბუნებრივი პროდუქციის წარმოება შეაფერხონ, საქართველოც სურთ, თავისი გავლენის სფეროდ და მათი სურსათის იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნად გადააქციონ; მით უმეტეს, რომ აქ, ხალხის დაბალი მსყიდველუნარიანობის გამო, იაფფასიანი, უხარისხო ნაწარმის გასაღება პრობლემას არ წარმოადგენს.

ამ ტენდენციას ჩვენ ჩვენი პოზიცია და ინტერესები უნდა დავუპირისპიროთ. სოფლის მეურნეობის აღორძინების მიზნით სახელმწიფოს პოლიტიკა, მართალია, მნიშვნელოვანია (გვულისხმობ სახელმწიფო დოტაციებს, სარწყავი ნყლითა და საძოვრებით უზრუნველყოფას, რაიონებში უფასო საკონსულტაციო ცენტრების ამოქმედებას), მაგრამ **თვით მოსახლეობასაც შეუძლია ზომების მიღება, — მან უარი უნდა თქვას ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქციაზე, თვითონ უნდა დაიწყოს მინის დამუშავება და შექმნას მცირე საწარმოები.**

ყველამ იცის, რომ, ხელოვნური ტექნოლოგიების საპირისპიროდ, დღეს უკვე სერიოზული ბიძგი მიეცა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას და მათზე მოთხოვნილებაც და ფასიც მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება.

ვფიქრობ, ჩვენთან ეკოლოგიურად

სუფთა და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების კარგი შესაძლებლობა გვაქვს და ამ სახით მსოფლიო ბაზარზე მყარად დამკვიდრების პერსპექტივაც. **ამიტომაც, ვიდრე ჯერ კიდევ შემორჩენილია უნიკალური ქართული სასოფლო-სამეურნეო ჯიშები (არა მარტო ყურძნის და ხორბლის, არამედ ლობიოს, კარტოფილის, საერთოდ ბოსტნეულის, ხილისა და საქონლის), თითოეულმა ჩვენგანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ეს საქმე რეალობად იქცეს. ამით ჩვენ ჩვენს სიმდიდრესაც შევინარჩუნებთ და მომავალი თაობების ჯანმრთელობასაც დავიცავთ.**

აღნიშნულის შესახებ მე ადრეც ვწერდი, მაგრამ დღეს ეს უკვე აუცილებლობად იქცა. მით უმეტეს, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც აქეთკენ გვიბიძგებს, რადგან მისგან გამოწვეული დეფიციტი, პირველ რიგში, ალბათ, კვების პროდუქტებს შეეხება.

როდემდე გაგრძელდება ამდენი პრობლემა?, — ბუნებრივია, ყველას გულში ეს კითხვა ტრიალებს.

— ეს ჩვენზეა დამოკიდებული.

არა ერთხელ მითქვამს, რომ საქართველო ღვთის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშაა, მაგრამ ვართ კი დღეს იმ სულიერ სიმალლეზე, რომ ჩვენი თხოვნა ისმინოს უფალმა?

— არც სხვები არიან უკეთესები, — იტყვის მავანი.

— ჩვენ ბევრი მოგვეცა და ბევრიც მოგვეთხოვება.

არა ერთხელ მითქვამს ისიც, რომ საქართველო, წმიდა მამების თქმით, ბოლოჟამს გაბრწყინდება, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს? მატერიალური კეთილდღეობით? ამით ხომ დღევანდელი მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ინონებს თავს და რა, ეს არის გაბრწყინება?

— არ თქმა უნდა, არა; იგი გულისხმობს მთელი ერის სულიერ ამაღლებას.

ის, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი თავს მორწმუნედ მიიჩნევს, კარგია, მაგრამ, ეს არ არის საკმარისი, რადგან ეკლესიური ცხოვრებით ყველა არ ცხოვრობს. ამასთან, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გავითავისოთ ის მცნება, რომელიც ჯერ კიდევ წინასწარმეტყველ მოსეს პირით გამოუცხადა რჩეულ ერს შემოქმედმა: **„ისმინე, ისრაელო! ერთია უფალი, უფალი ჩვენი ღმერთი. გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი მთელი შენი გულითა და სულით, მთელი შენი შეძლებით.**

გულში გქონდეს ეს სიტყვები, რომელიც დღეს გამოგიცხადე. ჩააგონებდე შენს

შვილებს და უთხრობდე სახლში ჯდომისას, გზაზე სიარულისას, დანაოლისას და ადგომისას. შეიბი ნიშნად ხელზე და ტვიფრად შუბლზე. ნაანერე სახლის წირთხლებს და კარებს“ (მეორე რჯული 6, 4-9).

წმიდა მარკოზ მახარებელი კი წერს: ერთ-ერთი მნიგნობრის კითხვაზე, — რომელია უპირველესი მცნება, — მაცხოვარმა უპასუხა:

ისმინე, ისმინე, ისრაელ! უფალი ღმერთი ჩვენი ერთი უფალია! და გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით, და მთელი შენი სულით, და მთელი შენი გონებით, და მთელი შენი ძალით, — აი, უპირველესი მცნება! (მარკ. 12, 29-30).

— რა იგულისხმება ამაში?

— ეს ნიშნავს, რომ არავინ და არაფერი ღმერთზე წინ არ უნდა დავაყენოთ!

„ვისაც მამა ან დედა ჩემზე მეტად უყვარს, არ არის ჩემი ღირსი; და ვისაც ძე ან ასული ჩემზე მეტად უყვარს, არ არის ჩემი ღირსი!“ — ბრძანებს მაცხოვარი (მათე 10,37).

— რატომაა ასეთი მკაცრი მოთხოვნა?

— იმიტომ, რომ სიყვარული ნიშნავს მთელი არსებით სწრაფვას მისდამი, ვინც გიყვარს. თუ ჩვენ ღმერთზე წინ სხვას დავაყენებთ, მისი გულისთვის რაიმე მიზეზით როდესმე დავივიწყებთ უფალს და სულიერად დავიღუპებით.

ჩვენი გული და სული მთლიანად უნდა მივუძღვნათ შემოქმედს, რათა ადგილი აღარ დავუტოვოთ ბოროტს და არ მივცეთ საშუალება ამა თუ იმ საბაბით განგვაშოროს ღმერთს, როგორც ეს თავის დროზე ადამს და ევას დაემართათ.

ღმერთი თავად სიყვარულია და ჩვენც ნამდვილი სიყვარულით ცხოვრებას გვასწავლის. ეს სიყვარული დიდად განსხვავდება მინიერი სიყვარულისაგან, რომელიც „ეგო“-ზეა ორიენტირებული და „მეს“ წარმოჩენას ემსახურება.

„მე უნდა ვიყო მდიდარი“, „მე უნდა ვიყო დაფასებული“, „მე ვარ ნიჭიერი“, „მე მინდა“, „მე შემოძლია“, „მე გაძლევთ გარანტიას“... ამ წესით მცხოვრებ ადამიანებს ავინყდებათ, რომ ჩვენი დამსახურება სულაც არ არის თუნდაც ის, რომ ვსუნთქავთ, დავდივართ, ვხედავთ, ვგრძნობთ, ვაზროვნებთ...

მარტო ჩვენგან არ მომდინარეობს არც ის, რომ გვყავს მშობლები, ოჯახი, შვილები, ნათესავები, ვართ ამა თუ იმ ერის წარმომადგენლები და ვმეტყველებთ ამა თუ იმ ენაზე... მით უმეტეს საერთოდ არა გვაქვს შეხება კოსმიური სამყაროს წესრიგთან, სადაც ყველაფერი მოძრაობს და თან ყველაფერი ერთმანეთთან საოცარ ჰარმონიაშია.

ყოველივე ამის შემოქმედი რომ ღმერთია, ამას თანდათან თანამედროვე მეცნიერებაც აცნობიერებს.

სულ ცოტა ხნის წინ მკვლევარები მიიჩნევდნენ, რომ ხელში ეპყრათ ჯადოსნური გასაღები და ნებისმიერ საიდუმლოს ფარდას ახდიდნენ. ახლა კი, დოქტორ შილტის სიტყვებით რომ ვთქვათ, აღიარებენ, რომ „10 წლის წინ უფრო მეტი იცოდნენ სამყაროს შესახებ, ვიდრე ეს დღეს იციან“, რადგან ყოველი აღმოჩენა ასჯერ უფრო მეტი ახალი საიდუმლოებების წინაშე აყენებს მათ.

ყოვლადწმიდა სამების ძალა რომ ოდნავ მაინც გავაცნობიეროთ, დედამიწის ტრაექტორიის შესახებ მეცნიერული გამოკვლევის შედეგებს გაგახსენებთ: ჩვენი პლანეტა და ჩვენც მასთან ერთად, სივრცეში ერთდროულად სამი მიმართულებით გადავადგილდებით: დედამიწა შეუჩერებელი ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო 1000 კმ.სთ. სიჩქარით; მზის გარშემო - 30 კმ.წმ. სიჩქარით, ხოლო მზის სისტემის პლანეტებთან და ჩვენს გალაქტიკასთან ერთად სხვა გალაქტიკებთან მიმართებაში, - 20 კმ.წმ.-ში სიჩქარით. ამისი წარმოდგენაც კი არ ძალუძს ჩვენს გონებას. და ნუთუ შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს ყველაფერი თავისით ხდება?!

შეგახსენებთ იმასაც, რომ ანდრომედას ნისლეულის სახელწოდებით ცნობილ გალაქტიკათა სიმრავლეში მხოლოდ ერთ-ერთია ჩვენი გალაქტიკა, რომელიც, თავის მხრივ, ასობით მილიონ ვარსკვლავს მოიცავს; ამ მილიონობით ვარსკვლავთა შორის არის მზის სისტემაც თავისი 9 პლანეტით, ანუ დედამიწითაც, სადაც ჩვენ ვიმყოფებით.

ო, რა პატარები ვართ ღვთის წინაშე! ამიტომაც ჯერ კიდევ 30 საუკუნის წინ აცნობიერებდა დავით წინასწარმეტყველი და ამიტომაც სულშეძრული ასე მიმართავდა ღმერთს—ყოვლისმპყრობელს: „შევხედავ შენს ცას — შენი თითების ნაღვანს, მთვარეს და ვარსკვლავებს, რომლებიც დააფუძნე. რაი არს კაცი, რომ მოიხსენებ? ან ძე ადამიანისა, რომ ყურადღებას აქცევ?“

ამის პასუხი, ალბათ ისაა, რომ უფალი იმდენად დიდია, მისთვის სიმცირე არ არსებობს (ისევე როგორც, სულიერად მაღალ საფეხურზე მდგომი პიროვნებისთვის პატარა ცოდვები).

მაშ, როგორ არ უნდა დავაფასოთ ის მსხვერპლი, რომელიც შემოქმედმა ჩვენთვის გაიღო და ძე თვისი საყვარელი ჩვენს გადასარჩენად მოავლინა.

უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ცანი მოდრიკნა და კაცობრივი ბუნება მიიღო, ჯვარს ეცვა და ენამა, რომ სიცოცხლის ხედ აღმო-

ცნებულიყო და ამ ხის ნაყოფის მიმღებთ (ანუ მცნებების აღმასრულებელთ) შეგვესისხლხორცებინა, რომ ქრისტიანმა საკუთარი კეთილდღეობისათვის კი არა, სხვისთვის უნდა იცხოვროს რომ ადამიანებისადმი მსახურებაშია ჩვენი გადარჩენა და უფლისადმი ჩვენი სიყვარულის დადასტურება. ამიტომაც მეორე მცნებად დაგვიდო: „**გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი!**“, ხოლო „**ვისაც უყვარს მოყვასი, მან აღასრულა სჯული**“ (რომ 13,8).

„თუ ვინმე იტყვის, რომ უყვარს ღმერთი, მაგრამ სძულს თავისი ძმა, იცრუა; რადგან თუ არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორ შეიყვარებს ღმერთს, რომელსაც ვერ ხედავს?“ (1 ინ. 4,20).

„ღმერთი სიყვარულია“ და „რომელიც ეგოს სიყვარულსა ზედა ღმერთში მკვიდრობს, ხოლო ღმერთი — მასში“ (1 ინ. 4,16).

ჭეშმარიტი სიყვარული ადამიანს ენიჭება სულიწმიდით, („ღმერთის სიყვარული განფენილია ჩვენს გულებში სულიწმიდის მიერ“ - რომ.5,5). იგია უძღურთა მკურნალი, ნაკულუღევანთა აღმავსებელი და ნუგეშინისმცემელი უსაზღვრო მადლი, რომლისადმიც ლოცვას („მეუფეო ზეცათაო“) ყოველდღე გულმოდგინედ უნდა წარმოვთქვამდეთ, **მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ჩვენი ღვთისსათნო საქციელი ჩვენი დამსახურება კი არ არის, არამედ იგი სულიწმიდის შეწევნით ხორციელდება; ამისთვის უნდა ვმადლობდეთ მას და ვცდილობდეთ, ჩვენი სიტყვა და საქმე (ჩვენი შესაძლებლობისამებრ) იყოს გამოხატულება მოყვასისადმი ღვთის ზრუნვისა, ღვთის სიყვარულისა, ღვთის სიმატისა.**

ჩვენ ყველანი, მართალია, უფლის წინაშე ინდივიდუალურად ვცოდავთ, მაგრამ, ამავე დროს ვცოდავთ, როგორც ქრისტიანთა კრებული.

დავფიქრებულვართ იმაზე, ვართ თუ არა ჩვენ ის საზოგადოება, რომელიც მოსაწონია ღვთისათვის?

სხვადასხვა ერი შემოქმედმა სხვა და სხვა ნიჭით დააჯილდოვა. ჩვენ აქედან უფრო მეტად სიყვარულის უნარი განვაავითარეთ (ყველაზე მთავარი თვისება ღვთისა), ეს მადლი საუკუნეების განმავლობაში ათას განსაცდელს გამოვატარეთ და დღესაც, მრავალი პრობლემის მიუხედავად, ღვთის შეწევნით, შევინარჩუნეთ.

ამის თქმის საფუძველს მაძლევს თუნდაც ის, რომ თითქმის 20-წლიანი გარდამავალი მძიმე პერიოდის პირობებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განვითარებული მოვლენების მიუხედავად, ჩვენი ერი არავის მიმართ

მტრობის სურვილით არ აღძრულა; საშინელ ჭირ-ვარამგამოვლილი დევნილი მოსახლეობაც სულით არ დაცემულა და არ გაბოროტებულა.

ამიტომაც მჯერა, ათასი საცდურის მიუხედავად, კვლავაც შევძლებთ ღვთის გზით სიარულსა და მის უღევ სიყვარულთან ნამდვილ თანაზიარებას.

ჩვენს თავს მონვენული განსაცდელი ჩვენი გამოსწორებისათვის არის დაშვებული და ამიტომაც, სიმძიმის მიუხედავად, თავმდაბლობითა და მადლობით უნდა მივიღოთ იგი.

თუმცა ქართველი ერი ვერასოდეს შეეგუება შექმნილ უსამართლობას. ჩვენ ყველასთან მშვიდობა გვინდა, მაგრამ არა ტერიტორიების დაკარგვის ხარჯზე.

ისიც მჯერა, ადრე თუ გვიან, აფხაზებიც და ოსებიც მიხვდებიან, რომ მათი გადარჩენა საქართველოსთან ერთობაშია და ეს დღე მით უფრო მალე დადგება, რაც უფრო მალე მოხდება მათიც და თითოეული ჩვენგანის, — საერთოდ ჩვენი საზოგადოების, შემდგომი სულიერი ამაღლება.

საქართველო აუცილებლად გამთლიანდება და გაბრწყინდება!

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა შვილს, — ქართველთა და არაქართველთა, სამშობლოს მკვიდრთა და უცხოეთში მყოფთა, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის მცხოვრებთ, — სრულიად საქართველოს, მთელს მართლმადიდებელ სამყაროსა და მსოფლიოს გულითადად ვულოცავთ იმედის, სიხარულისა და ნუგეშის მომცემ საყოველთაო დღესასწაულს — ქრისტეს შობას.

დღეს ზეიმობს ცა და დედამიწა, კაცთა მოდგმა და ანგელოზთა დასი;

დღეს დღეა სიყვარულისა, დღეა ღმერთთან და ერთმანეთთან შერიგებისა, ევას გლოვის დასასრულისა და ჩვენი მეოხისა და მფარველის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის გამობრწყინებისა.

მაშ, მივუძღვნათ ჩვენი გული ბეთლემში შობილ ყრმას და შევიყვაროთ იგი ყოვლითა სულითა, ყოვლითა გულითა, ყოვლითა გონებითა და ყოვლითა ძალითა, რათა კეთილი გვეყოს ჩვენ და ვიხარებდეთ ორსავე სოფელსა შინა, ამინ!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

ილია II

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

შობა ქრისტესი
თბილისი, 2008/2009 წ.



ბეუფე ადგომი

ბაბულო

სხვა ზედაშე შენზე წმიდა,
ქვეყნად მე არ მეგულება,
შენი ქვევრის ღვინო მინდა,
შენთვის სისხლით ერთგულება.
შენთვის მოვკვდე, სხვა რა მინდა,
ვერ გამოთქვამს ენა მწირი,
ვიყო შენი ზვარაკი და
ცრემლიწმინდად შესანიერი.
ვაზო, მარად მსხმოიარევე,
ვით სამოთხევე, ტკბილო არე,
რალად მინდა თავი ჩემი
შენ თუ ველარ მოგიარე,
ცისკრის ფრთები ფერად ფერებს
აბრეშუმად მოგაფენენ,
მკვდრად ჯობს ყოფნა,
როგორც დედას,
თუკი ველარ მოგეფერე.
შენი ფესვი, უძლეველო,
მზის სიმღერად ცისკენ მიდის,
მადლი არსად დაგიკარგავს
იბრძოდი თუ ყანას მკიდი.

ათოვს, ათოვს მინდვრებს
წყნარად, წყნარად, წყნარად
და მახსენებს იმ დღეს
სიყვარულის ბარათს.
სულში მზეა ისევ
და იმედი ფარად.
თუ გიყვარვარ, კარგო,
მე ვინდომო სხვა რად?
ათოვს, ათოვს მინდვრებს
გულის გასახარად

(ძველი ლექსებიდან)

მოყვრისთვის ერთგულები ვართ,
მტრის — არ მიმცემი ზავისა.
მაღალი მთები დაგვეყურებს
დამტუხებელი ზვავისა.
„აქაც კი საქართველოა,
ყვავილი აქაც ჰყვავისა“...
ამოდენ ჭირთა მძლეველთა
რად გვეშინოდეს ავისა?
ჯიშინ ძუძუ ნაწოვთა,
იმედიც გვაქვის თავისა.
თუ მოდის მტერი თავზედი,
ჭირად ამტეხი დავისა...
ცოცხალს ვინ მისცემს ამ მიწას,
სამარედ ჰქონდეს თავისა...
კვალად იცოდნენ უგნურთა
არ ვართ უჯიშო გვარისა.

მძლავრი ქრის ქარი,
გეშინია შემსხვრევა მინის,
ცა მოღუშულა,
მზის სიცილით აღარ გვიცინის...
უცნაურობის მოლოდინით შეცბუნებული.
ფიქრი ქვეყანას მოგატარებს, შენც,
უნებური.

ზღვაზე ცხოვრებას
დაემსგავსა ხმელეთზე ყოფნა,
წუთისოფელი დაგაფიქრებს,
თავს იგრძნობ ობლად,
და ყოველივეს მარტოოდენ იმედი შველის,
ყოვლისშემძლებლის
დაგიფარავს კეთილი ხელი.
თუმცა აღარ ხარ ღირსი მისი

შვილად ნოდების,
მას შეუძლია პატიება ბევრ შეცოდების...
ვითარ წარდგები ცეცხლისფერთა
საყდართა წინა,
ეს ფიქრი მაინც შეგაძრუნებს
სინდისით მძინარს...

რად უყვარდათ საქართველო?!

უკვდავებით შემოსილა,
ვინც მამული ასახელა...
ბევრზე ბევრი გმირი გვყავდა
ჩვენი თვალის ასახელად.
შენიერულან ზვარაკებად,
სიყვარულის დასახსნელად,
რად უყვარდათ საქართველო,
არ ძნელია ასახსნელად,
...დღეს გმირული სული ჩაკლეს,
იპოვების ძალზე ძნელად,
სანთლის შუქით მზეში ავალთ —
დიდთა სულთა საპოვნელად...

იმედი

ლამაზია და კარგი-იმედი,
ბოლო ეღება ყოველგვარ იჭვებს,
ლამაზია და კარგი იმედი
და მოლოდინი ღებნას გვანიჭებს.
როცა მოყვასის ვღებულობთ ბარათს,
რომელიც უთქმელ სიყვარულს იტევს...
ჩვენ გვახალისებს იმედი მარად,
ვით წვიმის შემდეგ თბილი მზე ჩიტებს.
იმედი არის ფუძე ყველაფრის
და იმედიწ სიკეთე დიდი,
იმედი იგი ბნელში მზე არის,
ყინვაში ცეცხლი და წყალზე ხიდი.
იცინის დილა სხივით ნაფერი
და უხვად აფრქვევს ემსხა და ხალისს,
და ყველაფერი, და ყველაფერი
სუნთქავს და ცოცხლობს იმედით ხვალის.

ლელა თათარიძეს

სულში გალობ, გულში გალობ,
საქართველოს ემხით მთვრალო,
იებრ ნაზობ, ელვებრ მწყრალობ,
უშრეტ წყაროდ მოცინცხალობ,
ხან მინაზე შვებად დახვალ,
ხან ღრუბლებში პატარძალობ,
ზოგჯერ წყრები, ზოგჯერ გვწყალობ

თათარაანთ ტურფა ქალო!..
გონაშვილის სიმღერის დავ,
საქართველოს მზევ მცინარო,
უცოდველო — დიდო ბავშვო,
კეთილო და უწყინარო,
ერთგულთათვის იის ბალო,
მტრისთვის ციხევე შეუვალო,
ცისარტყელის ტყუპის ცალო,
ავმა თვალმა ვერ გაგთვალოს.
აქ ედემის უჭკნობ ბაღში
შეჯიბრია ციურ დასთა...
ბევრმა წყალმა ჩაიარა
ბევრი ჰანგი გადაფასდა,
გონაშვილი კრძალვით მოვა
სიმღერის და ვარდის დასთან,
უკვდავება არ თავდება —
წილნაყარი გალობასთან.
ცამ გაკურთხა და მამულმა
სულის სიმად აგათრთოლა,
მწყემსი ბიჭის სალამურმა
ცის კიბეებს აგაყოლა,
ეამაყოს თუშეთს მარად
გაჩენა და შენი ყოლა,
სიხარულის ლეგენდა ხარ,
ათასწლებში მოსაყოლად.
მზის ღიმლით გაგიქრია
წუთისოფლის სიავენი,
ჩამოქროლდი ციდან, ქრიან
სასიცოცხლო ნიავენი...
მამულისთვის ანთებულხარ,
ვით ხატს ელოლიავენი,
ხარ სიკეთის ანგელოსი,
მტერსაც კი ვერ ეავები.
დამძიმებულ სანუთროში
კრთის სამოთხის სიმსუბუქე,
იტირე და აგვატირე,
სულის შუქად მოგვაშუქე,
წინაპართა სიჩაუქეს
ერთგულების მადლი უქე,
ცაში ელვად ანთებულებს
არც აქ შუქი არ ჩაუქრეთ...
რამდენ ცრემლს და ტკივილს იტევს
ეგ ღვთიური დიდი გული,
კვლავ მოუხმე ვარდის ჩიტებს,
ვით მზეს უხმობს გაზაფხული,
ავგიყვავდეს ხე ნატვრისა,
იმედებით დახუნძლული,
სხივის ციმციმს კელაპტრისა
ცად აჰყვება ლოცვა ბრძნული.





ნანა

ჭითელაშვილი

სხაპცაზი

ხვიჯაიოსაზუზა

რომანი

ბათუმში ვართ. თბილი, ალერსიანი დღეა, სანაპიროზე ოლეანდრები ვარდისფრად დაფენილა. ხალხი ზღვის ნაპირზე გაფენილია. ხავერდოვანი გაზაფხული ილევა. აქ, პორტის ყურესთან, განსაკუთრებით გრძნობ დამამშვიდებელ ძალას. ძალიან ახლოს სოხუმი, აფხაზეთი, შფოთავს და ღელავს ზღვა. ვიცით, რაც ხდება აფხაზეთში, მაგრამ წარმოსახვითაც ვერ დავიჯერებთ იმ საშინელებას, რომელიც მოხდება. ამიტომ, იმის მოლოდინით, რომ ყველაფერი მალე მშვიდობიანად დამთავრდება, გადაღებებს

გაგრძელება. დასაწყისი იხ.
 № 11,12-2008წ., №1-2009 წ.

შორის ვკითხულობთ: რა ხდება აფხაზეთში? როგორ არიან ჩვენები? და ა.შ. ის საშინელი დილა კი... ახლაც მზარავს მისი გახსენება. მახსოვს არამხოლოდ ატირებული, დაფეთებული სახეები, არამედ ხმები მესმის, იმავე ინტონაციითა და სიტყვებს შორის წამოკვივლებებით.

პორტში ლტოლვილები შემოჰყავთ აფხაზეთიდან.

ვიღას ახსოვს ბათუმური ყავისა და აჭარული ხაჭაპურის გემო. გავრბივართ პორტისკენ, წამში ცარიელდება სანაპირო. პორტში ტევა არ არის. შემოდის პირველი კატარლა... ბავშვები, ქალები, მოხუცები. ვის სად მოუსწრო საშინელებამ — ზოგი ფეხშიშველიც, ზოგი წინსაფრიანად, ზოგს ხელებზე ცომი აქვს მიმხმარი. ახალგაზრდა დედას საბანაო პირსახოცში გახვეული ჩვილი ჰყავს გულში ჩაკრული. ტირილი, ზრიალი, საერთო ისტერიკა. ვისთან გინდა მიხვიდე. ვის გინდა ჰკითხო, ან რა უნდა ჰკითხო. ადამიანები შემოიღებებს გვანან. მიკროფონს ხელში ვჭმუჭნი და ვცდილობ გავეცალო აქაურობას. არ ვნახო, არ მოვისმინო. ვიდეოკამერას მაინც შემოიწნავენ და ყველა ერთად მოვარდება.

— რა გვიყავით?

— რატომ დაგვაქციეთ?

— თუ არ შეგეძლოთ, რატომ აგვრიეთ?

— რას გვერჩოდით?

— თქვენზე იყოს ამდენი ხალხის

ცოდვა!

— ხალხის არჩეული პრეზიდენტი ხომ მოსპეტ?!
 — რას ეტყვი ამდენ ხალხს?

ენაჩავარდნილი ვდგავარ. ანდა რა აზრი აქვს რაიმეს თქმას. ხალხი ჭკუიდანაა გადასული. ტირილით მომვარდება ახალგაზრდა ქალი.

— ქალბატონო. — ცრემლად იღვრება.

— დიახ. — მივუბრუნდები.

ქალი ორივე ხელით მეტლაუჭება ხელებზე.

— შეიძლება? — და მიკროფონს მგლეჯს.

— კი, ჩემო კარგო.

— ჩემი შვილები, ქმარი. — ლულულულებს ქალი.

— დაწყნარდით, ქალბატონო.

— ჩემი შვილები... — სულს იბრუნებს

ქალი.

— დამშვიდდით და ისე ილაპარაკეთ. — მხარზე ხელს ვხვევ.

— დამშვიდდით. — ისევ კვივის ვილაც — თქვენ რა, თქვენ რატომ აღელდებით, სახლიცა გაქვთ, კარიც. ჩვენ რა ვქნათ, სულ მთლად

გადაბუგულმა და დანგრეულმა...

— გაჩუმდი, ქალო. — შეუყვირა შუა ხნის კაცმა — ამასთან რა გინდა... ათქმევი-ნეთ ქალს, მარტო შენ ხომ არა ხარ.

— ბრძანეთ, ქალბატონო, მიკროფონში ბრძანეთ. — ვამხნევებ ახალგაზრდა ქალს, რომელსაც ქმარ-შვილი დედამთილთან, დრანდამი დარჩა.

— თუ ვინმემ იცით, — იწყებს ქალი — დრანდელებო, თუ ჩემი გესმით, იქნებ ხმა მომანვდინოთ.

მერე ქმარ-შვილის სახელებს, გვარებს ასახელებს და გულამომჯდარი მიაყოლებს. — ზაფხულის ტანსაცმელილა შერჩათ. რა მეშველება, ან სად ვიპოვნი, ან რა ვქნა, დამეხმარეთ, ხმა მომანვდინეთ. ის მაინც ვიცოდე, ცოცხლები არიან თუ არა.

— დავბერდი, ბაბუ. — ცრემლიანი მოხუცი თავისკენ მაბრუნებს. — დავბერდი, ბაბუ და ასეთი რამ არ გამიგონია, ჩემს თვალებს არ უნახავს, ყურს არ გაუგონია ასეთი რამ, ბაბუ. ადამიანს მკლავი გადაუხსნა, ჭიქა აავსო სისხლით და დალიო, არ გამიგონია, ბაბუ.

— ყველა ქართველის სისხლს ასე დავლევთო, მხეცებივით ღმუოდნენ, არ დაინდეს ორსული და ახალშობილი, რა ნახეს ჩემმა თვალებმა, ქალბატონო, რას მოვესწარიო?!

შემოდის შემდეგი კატარღა. ისტერია მატულობს. კატარღიდან სახელებს ყვირიან. ნაპირიდან იქით უკვივიან სახელებს: — ხომ არ გინახავს, ხომ არ იცი? დანარჩენები სად არიან? თუ მოასწრეს გაქცევა?

ამ საერთო ღვარცოფში ვილაც აკივლდა.

— რა მოხდა?

ტრაპთან ხალხია შექუჩებული.

— უნამუსოებო!

— მხეცებო!

— ღვთის პირიდან გადავარდნილებო!

— რა ხდება? — მივვარდით ტრაპს.

— ამ უსინდისოებმა ფული მოგვთხოვეს. ხალხმა სული ძლივს გამოაპარა, რალაც ორი კაპიკი მოვიგდეთ ხელში, ვის ჰქონდა მაგის დრო, ზოგიერთი პირდაპირ ქუჩიდან გამოიქცა. რა ფული, ზოგი „შლოპანცებით“, სახლის „ჩუსტებიტაა,“ ვერ ხედავთ?

— ვინ ითხოვს ფულს? — გაოგნებული ვუყურებ კატარღას.

— კაპიტანი.

— ღმერთო! — პირჯვარს ვინერ და კატარღას ვათვალიერებ, „ვლადიმერ ფაჩულია“. რამდენჯერ გავსულვართ ამ კატარღით ზღვაში, შემოგვივლია გამლილი სივ-

რცე. ყელში კლანჭებივით მესობა ბოლმა და მხუთავს.

— სად არის კაპიტანი. — გიჟივით ავრბივარ ტრაპზე.

— ახლავე დააბრუნე! — ვეჯაჯგურები ახალგაზრდა კაცს.

— ვა! — იძახის კაპიტანი და ცდილობს თავიდან მომიშოროს.

— ახლავე დააბრუნე! — ვუმეორებ.

— რა დავაბრუნო, ხომ არ გაგიჟდი?

— ფული, რომელიც ამ ხალხს წაართვი.

— მაგან არა, — ყვირიან მგზავრები.

— აი, იმან... — და ახლა „იმას“ ვეტაკები. ის, მზემოკიდებული, მაისურიანი, დაკუნთულ-მკლავებიანი ზეთით გაპოხილ ხელში ფულს ჭმუჭნის, რალაცას ბურდღუნებს მეგრულად.

— არა გრცხვენია? — ვეუბნები თითქმის აცრემლებული.

— თითო მანეთს ჩამოვიდნენ. — ნირნამხდარი იცინის.

— შენ იცი, ამათთვის მანეთი რას ნიშნავს ახლა?

პოლიციელი გვერდით გამწევს, ჯიბიდან ფულს იღებს.

— აჰა, აილე, დაგახრჩოს იქნებ, — და სახეში აყრის.

— მე, რა, შენი მათხოვარი ვარ?

— მათხოვარზე მეტი ხარ. უნამუსო ხარ შენ, ღორო!

— აჰა, ნაილეთ. — ახლა მაისურიანი ისვრის ფულს. პატარა ბიჭი იატაკზე მობნეულ ფულს კრეფს და ხალხისაკენ გარბის, „ვისია, ნაილეთ“-ის ძახილით.

ვილაც ხელს მკიდებს. ჩემს წინ ის მომიკვივანი ქალბატონი დგას.

— არ გენყინოს, გენაცვალე, ჩვენს ჭკუაზე არა ვართ. არ გენყინოს, წელან რაც გითხარი, თქვენთვის კი არ მითქვამს. იმათ სინდისზე იყოს, ვინც ამ დღეში ჩაგვაგდო. რა უნდა ელაპარაკო, ახალგაზრდა კაცია, ამ გამწარებულ ხალხს ფულს რომ წაართმევ ან დედა არა ჰყავს, ან და, ან შვილი. აბა, თავისიანი იყოს ვინმე. არ გენყინოს, გენაცვალე, ღმერთმა გიშველოს, ჩვენ ამას ვერ მოვერეოდით. თქვენი კიდევ შეეშინდა. კიდევ კარგი, ზღვაში არ გადაგვყარა. ვინ იყო ფულის დამბრუნებელი. ეგეთებისაგან ყველაფერია მოსალოდნელი.

— გმადლობთ, ქალბატონო.

— არ გენყინოთ, გენაცვალე, ჩვენს ჭკუაზე აღარა ვართ.

მადლობა ღმერთს, ამ ადამიანებს რალაცით მაინც გავუთბეთ გულები.

სანაპიროს ავტობუსი მოაყენეს, ატირებული ადამიანები სხვადასხვა სანატორიუმებსა და დაწესებულებებში გადაანანილეს, სახელდახელო თავშესაფარი მიუჩინეს. მოგვიანებით ყველას მოვინახულებთ. სიყვარულითა და ყურადღებით გულანთებულები სხვა სახით, სხვა მადლიერებით შეგვხვდებიან. დეტალებში აღწერენ იმ უბედურებას, რომელსაც მთელი სიცოცხლე არ ეყოფა მოსაშუშებლად. გულამღვრეულები დავუყვებით სანაპიროს. აქვე, სკვერში, ზღვის ნაპირთან გრანიტის ქვასთან გავჩერდებით. შევყურებთ ზღვას, თოლიებს, ტალღებზე მოთამაშე სხივებს. გრანიტის შავ ქვაზე წარწერაა: „9 აპრილის ცრემლი“. სწორედ ამ გზით შემოვიდნენ პირველი ლტოლვილები, სიმბოლურია, არა? ამ გზების თანხვდომა, საქართველოს ერთიანობის, დამოუკიდებლობისათვის დაღვრილი სისხლისა და ცრემლის ნაზავი. ჭეშმარიტად, არაფერი ხდება შემთხვევით; აქ, ყველაფერში უფლის ნება იყო, ცოდვათა მისატყეველად, პირველქმნილ ცოდვათა გამოსასყიდად.

დაღლილები, ცრემლისაგან დაწითლებული თვალებით უკვე ტელეეკრანიდან შევიტყობთ, რომ გაგრის სტადიონზე შეყრილ, უმოწყალოდ დახვრეტილთა შორის 4 ჩვენი ახლო მეგობარია და ნათესავი. ღმერთს ვემუდარებით აკმაროს ქვეყანას უბედურება, იმის დაჯერება, რომ ეს ყველაფერი თვეობით, უფრო მეტიც, წლობით გაგრძელდება, წარმოუდგენელია. ბოროტება და ლალატი მზაკვრულად შემოგვეპარება, თავს გაგვიშინაურებს, ცრემლს შეგვაჩვევს და სიკვდილთან მიგვიტყუებს. აირევა მტერ-მოყვარე, ამაყი და ლაჩარი, გმირი და ჯაბანი, ერთგული და ორგული... რადგან თავისუფლება ენდომება ყველას, მაგრამ სიკვდილი თავისუფლებისათვის ღვთის რჩეულებს. იქნება ფიცი და დაპირება, რომ კურთხეული იქნება ყველა სამშობლოსთვის შეწირული, რომ მათ სახელებს უკვდავყოფს ქვეყანა და შთამომავლობა. მოიჭრება პირველი „გორგასალი“, მეორე, მესამე, მეხუთე, სიკვდილის შემდეგ და სიცოცხლეში სატარებელი... იქნებიან ომგამოვლილები და ისეთებიც, ერთხელ, ბრძოლის ველს შორიდან, თვალდაკვრით, ან ვინმესთან საუბარში აკრეფილი მოგონებებით რომ აქცევენ გმირად. რა, რა ექნებათ საერთო ამ ადამიანებს, სამშობლო? მინა? ერთიც და მეორეც. მხოლოდ სიმართლე იქნება დროს მიბარებული. დრო იქნება ერთადერთი, საათი ქვიშისა, რომელიც სხვადასხვანაირად გადაცრის, მისხალ-მისხალ გადაარჩევს. დრო იქნება ერთადერთი, მჭიდროდ ნაქსოვი ცხრილი, რომელსაც უნდა გადაერჩია ქვიში-

სა და ოქროს ნამცვრევი. სალამოხანს მდინარეზე გავჩერდით, კელასურთან ახლოს, ულამაზესი ადგილია, მდინარის აქეთა მხარეს რალაც ბაზაა, ავტოსადგომი, სახელოსნოები. იქით მთები და ცა, მაღალი, უძირო. მდინარე გრიალით ჩამობის. წმინდაა. დგაფუნით ხტება ქვებზე და ნაპირში შეჭრილ ღრმულებს ქაფის ბადეში ახვევს. მდინარეო!.. და ბიჭები ლამის ჩაცმულები შეცვივდნენ. ატყდა ჯიკავი და ძიძგილაობა. ორი თვეა მერკულას გაშლილ ველზე ვდგავართ, გაილია სული ზღვის მოლოდინში და უცბად მდინარე... გუჯარ ყურაშვილი ნაპირზე ზის, სიყვარულით შეჰყურებს ბიჭების ფახიფუხს, ზოგი ყვინთავს, ზოგი მხარულით იტანჯება, ზოგი ვითომ ხელაობს, აღარც ომია, აღარც სიკვდილი.

— საპონი, არა გააქ, ბიჭო, საპონი? — გუჯარი ცელოფანის პარკიდან საპონს იღებს და შავტუხა ბიჭს თავისთან იხმობს. ბიჭი მორიდებით დგას და ვერ გაუბედავს მეთაურთან მისვლა.

— მოდი, შვილო, მოდი. — და ისევ დილის გადააფენს პოლკოვნიკი ყურაშვილი.

ნაპირის მეორე მხარეს დამწვარი ტანკია და ცხენები. ერთი თეთრია, ერთი მუქი ყავისფერი. ბიჭებს მეტი რა უნდათ. აცვივდებიან ნაპირზე, ატყდება ყირამალაობა, ძიძგილაობა. ლოცულა მოახტება თეთრ ცხენს, ბურდანიჩი — ყორანას.

— რაკოსოვსკი. — ყვირიან აქედან.

— ჟუკოვ...

ვილა გაცლის სიტყვის თქმას, კადრის დაყენებას.

— შენ იქიდან წამოდი, შენ აქედან.

— ტანკთან შეხვდით ერთმანეთს.

— არა, ბიჭო, გააჭენეთ და ზურგზე შედექით.

— გააჭენე, ჩამოხტი და ისევ მოახტი ზურგზე.

ერთი წლის შემდეგ ამ კადრებს უნიკალური დოკუმენტები ერქმევა. მოგონება იქნება იმისა, როგორ იქცევა წამი მარადისობად, სიცოცხლე სიკვდილზე ზეიმად. მაშინ კი, ჯერ არ ვიცით, რომ სულ რალაც 4 თვის შემდეგ „ლოცულას“ დაცხრილულ სხეულს შემთხვევით, უკან დახვევისას, სოხუმის მისადგომებთან აღმოაჩინენ, „ბურდანიჩის“ გვერდით. ერთმანეთს გადახვეულები, სამი დღე უპატრონოდ, დაუტირალი ეყრებიან.

იმ დღეს კი... ყველა ნაპირს ვართ შესეული. უზომოდ გახარებულები ბიჭების სიხარულით. აღარც ომია, აღარც შიში, აღარც შუაზე გახლეჩილი აფხაზეთი აქეთ „ჩვენებითა“ და იქით „იმათით“.

ეს ყველაფერი პატარა, ნამოჩინი ბიჭების სერიოზულ „ბრძოლას“ გავდა, ბავშვობაში რომ გვითამაშია, „ჩვენები“ და „გერმანელები“, „ბრძოლის ველით“ და „დაჭრილებით“ და „დახოცილებით“. რამდენჯერ თამაშით დალილებს, დიდების, ვინ იცის, მერამდენე დაძახილზე ბურდღუნით დაგვიტოვებია „ფრონტის“ წინა ხაზი და ერთიანად ოფლით გახვითქულეებს, მტვერში ამოგანგლულებს, მტვრითა და მინით გაშავებული სახეები თითქმის თვალმილულებს დაგვიბანია. მთელი დღის დამშეული მუცლები ამოგვიყორია და სიზმრებში გაგვიგრძელებია „ომობანა“. აი, ასეთი იყო ეს დღეც... და ნეტამც ესეც „ომობანას“ თამაში ყოფილიყო. მაგრამ, ვაი, რომ მტერი „გერმანელები“ კი არა, ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი განაყარი ძმა იყო, რომელიც ღვარძლითა და სიძულვილით გეგმავდა ხვალინდელ სისხლის ღვარს და ბიჭები ღამეულ სიზმრებში ველარ გააგრძელებდნენ „ომობანას“. სიცოცხლე მანამდე შეწყდებოდა და მათ ცნობიერებას სამუდამოდ შეეყინებოდა, როგორც ნაზამთრალი ფოთოლი ხეებს, სახლისა და მშობლების მონატრება. მათ სიზმრებში ველარ გაცოცხლდებოდა სათამაშოებივით მიმოფანტული ეპიზოდები. ვერ „აკრეფდნენ“ და ველარ „აალაგებდნენ“ ამ ხსოვნას. მძიმე იქნებოდა ხვალინდელი დღის გათენება. ომი არ იყო ომობანა, ცხადიდან — სიზმარში გარდასული.

ბიჭებმა ველზე მინდვრის ყვავილების კონა შეჰკრეს და მომიტანეს. ორი ფერი პირველობდა ყვითელი და ცისფერი, ღიღილო და ყვითელგულა. სიმბოლურიც მეჩვენა, იქნებ სხვა დროსაც ყოფილიყო ასე... რამდენჯერ დამიკრეფია აფხაზეთის გზაზე მინდვრის ყვავილები, ახლა ყველაფერი სიმბოლურია. ცისფერი, მარადიულობაში მიმავალი, სინმინდესა და დიდებაში გადაკრეფილი და ყვითელი ბიჭებზე დარდის, მინიერი ყოფის ფერი. აი, ასეთი იყო ის თაიგული, რომელიც ბიჭებმა შეკრეს და სამუდამოდ დაადგეს ჩემს ცნობიერებას და გულს.

— ქალბატონო ნანა, — მოირბინა ჯარისკაცმა. — ბიჭებმა იქ ბეტეერი მოიყვანეს.

— სად? — ვაგრბივართ. გადავირბინეთ ეზო. ერთმანეთს უსწრებენ ბიჭები. ეზოს გადაღმა გაშლილ ადგილზე, მგონი სახერხი ქარხნის ეზო იყო, საბრძოლო მანქანას გარს ეხვევიან ჯარისკაცები, ოპერატორი გარშემო უვლის და იღებს.

— ნახე, ბიჭო, რამხელაა!...

— აუუ, ჩემი...

— ვაა, ვისია? — ლამის გადაირიონ სიხარულით. მანქანაზე, ზევით, მაღალი, შუბ-

ლშეკრული კნაჭა ბიჭი დგას. მზემოკიდებული, ნელს ზევით შიშველ გულზე ავგაროზიანი. გრძელი თლილი თითები მანქანის ზეთში აქვს მოსვრილი. დაჰყურებს მანქანას. ბიჭების შეკითხვებს მოკლე პასუხებით ეხმაურება. ქორივით დააცხრება თვალები გარემოს, თავადაც ლეგა ფრინველს მაგონებს, ნადავლით გულ-მუცელ ამოყორილს.

— სად ნახეთ? — ვეკითხები.

— მოვიტაცეთ. — მეუბნება ბიჭი.

— როგორ? — პირი მრჩება ღია.

— ღამე ჩავუსაფრდი, ტყვარჩელთან. ჯერ მაგათი ვეგონეთ, „ბმპ“ რომ გამოვიყვანე, მერეღა მომადახეს: „პაროლი“.

— მერე, იცოდი?

— არა.

— აბა, როგორ გამოაღწიე.

— იქით შევედავე, ყოველ წუთს უნდა ცვლიდეთ პაროლს-მეთქი? თან მანქანა მოწყავდა, ძველი პაროლი ვუთხარი, შეიძლება ამ პაროლის აღება, ეგ ხომ უკვე ყველამ იცის-მეთქი.

— პაროლი შეცვლილიაო, და ატყდა განგაში. აი, — მანქანიდან წყალი წვეთავდა.

— ტყვია მოხვდა, არ ვიცი, როგორ გადარჩა ბენზინის ბაკი, ალბათ, სიკვდილი არ მენერა.

— რა გქვია? — ვეკითხები ბიჭს და მიკროფონს ვრთავ.

— რუსლანი, „მალიშა“.

— გვარი?

— ლავკილავა.

— რამდენი წლის ხარ?

— ცხრამეტის.

— სადაური ხარ, რუსლან?

— სოხუმელი.

— დედამ იცის, აქ რომ ხარ?

— იცის. — მერე გულზე დაკიდებულ ავგაროზს მიჩვენებს. — აი, ეს დედამ მომცა, ეს ჯვარიც ბაბუაჩემის ნაქონი ყოფილა.

— იქით მხარეს თუ არიან შენი მეგობრები?

— კი. — ცხრამეტი წლის ბიჭისათვის ზომაზე მეტად მკაცრი და სერიოზულია რუსლანი, მონიფული მეომრის სინაუქით და გამბედაობით შემომყურებს. სიამაყის და შიშის გრძნობა ერთმანეთს ეცილება. — ბევრნი, ჩემი კლასელები, მეზობლები.

— რას ფიქრობ მათზე?

— არ მინდა ჩემი ნასროლი ტყვია რომელიმეს მოხვდეს.

— ისინი თუ დაგინდობენ?

— ჩემმა მეგობრებმა დამირეკეს ტყვარჩელიდან.

— აფხაზებმა?

— დიახ, ზოგი აფხაზია, ზოგიც სხვა.

— რაო?

— ნადით აქედანო, ჩვენ მალე სოხუმს ავიღებთ და არ გვინდა ერთმანეთი დავხოცოთ, ან შენ მოკლა ჩემი ამხანაგი, ან მე შენო. ბიჭებს ეს არ უნდათ.

— შენ?

— არც მე. მე ჩემი სამშობლო მიყვარს, ვიცი, რომ სამშობლოსთვის ყველაფერი უნდა გავაკეთო. იმათაც უყვართ თავისი სამშობლო, ისინიც ყველაფერს აკეთებენ, ოღონდ იმათ თავისი სიმაღლე აქვთ, მე ჩემი. ვფიქრობ, მე ვარ მართალი, ისინი კიდევ თავისას ამბობენ, ბოლოს ყველანი სამშობლოსთვის ვიბრძვით. ვილაცამ ხომ უნდა შეგვარიგოს, ვილაცამ ხომ უნდა დაგვანახოს სიმაღლე.

— როგორ ფიქრობ, ვინ უნდა დაგანახოს?

— ჩვენი საქმე ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, აფხაზებმა და ქართველებმა. ჩვენია ეს ქვეყანა და იმიტომ. სხვას თავისი ქვეყანა აქვს, თავისი სამშობლო, იქ გაარკვიოს თავისი საქმე. იმათ ფეხებზე ჰკიდიათ ჩვენი სამშობლო, თუ პატრონი არ ეყოლება, უკეთესად იპარპაშებენ, არავინ ხელს არ შეუშლით. მათ ჩვენი ტკივილი არ ესმით, მაგათთვის სულ ერთია ვინ მოკვდება და ვინ დარჩება.

— კარგი უცხოური მანქანა რომ მოგცენ? — ეკითხება რუსლანს ერთი ბიჭი და მანქანას ათვალეიერებს — არ გაუცვლი?

— ორი მანქანა მოვა ამ ერთში? — კითხულობს მეორე.

— არა. — იფოფრება რუსლანი, მერე ხელს დაჰკრავს რკინას, — დღეიდან ამ მანქანას ფასი არა აქვს. ამასთან ვიქნები, ვიდრე ეს ომი არ დამთავრდება. ეს ჩემი მეგობარია, რომელიც არ მილატებს, ახლა ჩვენითვის მთავარია — უღალატო ბრძოლა!

— მერე, მერე რას აპირებ?

— როდის?

— ომი რომ დამთავრდება.

— მერე ამერიკაში მინდა წასვლა.

— ამერიკაში?

— სამხედრო საქმე მინდა ვისწავლო.

— დარჩები ამერიკაში? — არ ეშვებიან ბიჭები, ათას ცდუნებას სთავაზობენ.

— არა, — ისევ ჯიქურ პასუხობს რუსლანი. — იქ რატომ უნდა დავრჩე?

— იქ უკეთესად მოენყობი, კარგი ცხოვრებააო.

— ჩემთვის კარგი ცხოვრება აქ არის და აქ ვიქნები.

— აქ რომ გაჭირვებაა, ომია?

— ჩემი ომი მირჩენია სხვის მშვიდობას... აი, — და ისევ ავგაროზს ასწევს ზევით. — ეს ბაბუაჩემის ნაქონია, ბებიაშე შეუქერა,

როცა შეჯიბრზე მიდიოდა-ხოლმე, ყოველთვის გამარჯვებული ბრუნდებოდა. არც მე მილატებს. ეს ბებიაჩემის ლოცვითა და ბაბუას ოფლით არის გაშავებული, ტყვილად კი არ მამბნევია გულზე. სადაც არ უნდა წავიდე, ამით მომძებნიან...

გავა დრო, ომი დამთავრებული იქნება. ათასობით დევნილი შემოეხიზნება თბილისს. იქნება გლოვა და ტირილი, მაგრამ ამ უცნაურ სულთათანაში სიხარულის ადგილიც მოიძებნება. საოცარია, უკიდურესად სასომიხდილს, სასონარკვეთილს, უფალი მაინც მოუფლენს, ჩაუსახავს ნუგემის სხივს, რომელმაც უნდა ატაროს ადამიანი, ხელჩაკიდებული, ცხოვრების გაუსაძლის გზაზე, მის ნათებას მიყოლილი.

დღით, სამსახურში წასვლის წინ დამირეკეს და მითხრეს, რომ შაოსანი ახალგაზრდა ქალი დამეძებს, უფრო ზუსტად შვილს დაეძებს, რომელიც მის მეგობრებს, ომის დროს ერთ-ერთ გადაცემაში უნახიათ.

ოთახში ახალგაზრდა ქალი მხვდება. შავები აცვია. შესვლისთანავე ფეხზე დგება, მეხვევა და ბოდიშს მიხდის შენუხებისათვის.

— დაბრძანდით. — ვეუბნები და მის წინ ვჯდები. — გისმენთ.

— ძალიან დიდი ხანია დაგეძებთ, ვინ არ შევანუხე, ვის არ ვთხოვე, როგორც იქნა, მომასწავლეს თქვენამდე.

— რა ხდება? — ვეკითხები თანამშრომლებს.

— ქალბატონი მარინა. — მაცნობენ სტუმარს. — შვილს ეძებს. უგზოუკვლოდაა დაკარგული. უთქვამთ, რომ თქვენ გყოლიათ გადაღებული, მის მეგობრებს უნახავთ გადაცემა.

— როდის? — ვეკითხები ქალს და ვაკვირდები, იქნებ, სადმე მინახავს მისი მსგავსი სახე.

— 93-ში, გაზაფხულზე, სოხუმში, კელასურთან, მდინარესთან. — ძლივს იბრუნებს სულს ქალი. — იქნებ გაიხსენოთ.

— შევხვდი იმ ბიჭებს, ყველას. მათი დავინყება შეუძლებელია.

— იქნებ, ჩემი შვილიც გაიხსენოთ. ჩემმა მეგობრებმა ნახეს ის გადაცემა. აი, — მეუბნება და სურათს მანვდის.

— რა ჰქვია?

— რუსლანი.

— „მალიშა“. — სიტყვას არ ვასრულებინებ, რადგან ბიჭი, რომელიც ფოტოზეა გალიმებული, სწორედ ის არის, რუსლან ლავკილავა.

— იქნებ, მასალა ისევ დაგრჩათ? — მე ვედრება ქალი.

სამხარეთველოს
პარლამენტის
პროცესული
ბიბლიოთეკა

— რა თქმა უნდა, ყველაფერს ვინახავ, არაფერს არ ვშლი...

— ძალიან გთხოვთ, იქნებ მაჩვენოთ.

მეორე დღეს სამონტაჟოში ვხვდებით ერთმანეთს, ჯგუფის წევრები და თანამშრომლები, ვინც ყური მოკრა ამ ამბავს. ეკრანზე ჩნდებიან ბიჭები. აფხაზეთი, სულმოუთქმელად ველით შემდეგ კადრებს, და აი, მარინა თვალგაფართოებული უყურებს შვილს.

— ღმერთო, როგორ გამხდარა, გაშავებულა! — ეკრანიდან მალიშა ყვება ავგაროზის ისტორიას — მართალია, წასვლისას მე ჩამოვკიდე ყელზე. ეს ჯვარიც ჩავუკერე. ნეტავ, ზევიდან დამებნია. იქნებ არ ვარგა ჯვარის დამალვა, იქნებ გადარჩენილიყო.

— ნუ ტირი. — აჩუმებს ნათესავი ქალი.

— არ ვარგა ცოცხალის ტირილი.

— რა ვიცი, ცოცხალია კი?

— ცოცხალი იქნება, აბა რა, სიკვდილის ამბავი ხომ არ გავგიგია, ვინც ვნახეთ, მისი ამხანაგები, მკვდარი არ გვინახავსო, ხომ გითხრეს.

— რა ვიცი, მე ვინ მეტყვის სიმართლეს? შეიძლება, კიდევ ერთხელ მაჩვენოთ?...

მერამდენედ ვატრიალებთ კასეტას...

— გადამინერთ? — მეკითხება დედა.

— რა თქმა უნდა, — ვეუბნები — ახლავე გადავინერთ.

— კასეტა რომ არა მაქვს?

— ჩემს კასეტაზე გადავინერთ.


— გადავიხდით, გენაცვალე, თქვენს სიკეთეს არ დაგიკარგავთ.

რა შეიძლება გადავიხადოს დედამ, რომელმაც არ იცის შვილის ასავალ-დასავალი. ცოცხალია თუ მკვდარი... ან რა იყიდის იმ ნუგეშს, რომელიც ახლა მიიღო დედის გულმა. მე კი ვფიქრობ, მალე, სულ მალე, აფხაზეთში შევხვდებით ერთმანეთს. იქნებ, ღვთის წყალობით გადარჩენილი ჩემი გმირიც მიმასპინძლებს. ერთად ვნახავთ ამ კადრებს და ვავიხსენებთ იქ, მდინარის პირზე დარჩენილი მოგონებების სიტკბოსა და სიმწარეს. დედა მიდის, გვემშვიდობება, გულში ჩაკრული კასეტა მიაქვს იმ იმედით, რომ რადგან სასწაული მოხდა და მიაგნო ამ კადრებს, ესე იგი, ღმერთი მოწყალეა. ეს ნიშანია იმისა, რომ მისი შვილი ცოცხალია. გვიტოვებს სოხუმის მისამართს, თბილისის დროებით მისამართსაც... თუ ვერ შევხვდებით, იქნებ დაბრუნების შემდეგ სოხუმში ვენვიოთ. ამიტომაცაა სოხუმში დაბრუნება ჩემთვის სხვა ტკივილი. მას სხვა მიზანი და სხვა მოლოდინი სჭვალავს. ვფიქრობ, ფეხით დავივლი თვითოეულ კუთხესა და კუნჭულს, სათითაოდ დავკოცნი

ბიჭებს, — რომლებსაც იმ ქარიშხლიან, იმ საშინელ დღეებში დედას ვაგონებდი. მაღლობას ვწირავ უფალს, რომ ამ გზებზე, მის მიერ დასახულზე, სწორი არჩევანი სწორედ ეს არის, რომლითაც აფხაზეთი გავიარე, ყველა ტკივილი, ყველა განსაცდელი ღირს იმ ერთ ნუთად, როცა შენგან დედა მიდის შვილის ცოცხალი კადრებით და იმ იმედით, რომ მას სიკვდილი არ შეხებია.

მიჭირს წერა. მიჭირს იმიტომ, რომ ერთმანეთს გაემიჯნენ ნანახი, წარმოდგენილი და რეალობა. ძალიან დიდი დრო დასჭირდა, ვიდრე ყველაფერს თავიდან განვიცდიდი, ვიდრე გონების თვალთვალთ გავაცოცხლებდი იმ დღეებს. არადა, როგორი სიამაყის გრძნობა ახლდა თავგანწირვას, რადგან სწორედ ამ გზებზე, ამ ერთადერთ გზებზე მეგულებოდა სიმართლე და ღირსება, რომელიც ყველას ასაკრეფი, ყველას გასავლელი იყო. იქ არ იყო ტყუილი და სიცრუე, იქ არ იყო სიხარბე და ღალატი, იქ არ იყო უკეთური ფიქრი. იქ არავინ გეგმავდა ფუფუნებასა და სასახლეებს, იმას, რაც შემდეგ გამჟღავნდება. ჩვენი სულების ფირი მხოლოდ იმას აღბეჭდავდა, რის ჩატევასაც ვცდილობდით „ობიექტივში“. მას, რაც ჩვენთვის იყო დიდი და მნიშვნელოვანი. ნლების შემდეგ „გამჟღავნებული ნეგატივი“ წარმოაჩინეს კადრში, შემთხვევით თუ ღვთის ნებით მოხვედრილ მიჩქმალულ სისაძაგლეს, რომელიც მაშინ თავს მალავდა, მაგრამ ჭეშმარიტებას ყველაფრის მამხილებელი თვალის მაინც იჭერდა, აფიქსირებდა, რათა შემდეგ გვემხილა, უმოწყალოდ გვემხილა...

...გაგრის ბოლო ნუთები ახლოვდებოდა, ის დღეც ისეთი იყო, როგორც ყველა დანარჩენი. ბიჭები პოზიციებზე გადიოდნენ, ბრუნდებოდნენ, ელოდებოდნენ ბრძანებებს, სულს ითქვამდნენ, ემზადებოდნენ შეტევისათვის. მე არ მინახავს არც ერთი შეშინებული, შემკრთალი, უბადრუკი. არ იყო, არც ფიქრი დათმობის, არც სიკვდილის შიში, არც უკანდახევისათვის მზადყოფნა. გზამხოლოდ წინ მიდიოდა. რადგან ამ გზაზე ყველაფერი მშობლიური იყო, აკვნიდან შემეცნებული, აკვნის ნანასთან დარწეული. დედის დარწეული და დედის რძესავით შერგებულ. ვინ რას დათმობდა? დათმობდით ვინმე?... ზოგჯერ ვფიქრობ, იქნებ, ამიტომაც არ იყო შიშის გრძნობა, იქნებ ამიტომაც არავინ წარმოიდგენდა ღალატს; თქვენ წარმოიდგენდით? მე ახლაც არ მჯერა, რომ ტყვია, რომელიც ჩემს გვერდით სხვაგვარად სხეულებს, აფხაზის გონებაში დაბადებული, მის გულში ჩამოსხმული, მის სულში ნალოლიავეები ტყვია იყო, რომ ქართველთა და აფხაზთა შორის სიძულვილი



დარჩება სამუდამო გამყოფ ზოლად, რომ ამ თვალდასავსებ მტრობას არ ექნება დასასრული, შენდობა და პატიება. თქვენც ხომ გიფიქრიათ ამაზე? ქართული სული მაინც სხვაა, სხვა დიდსულოვნება. სხვა კეთილმოყვარეობაა ქართველთა ღვთის წყალობა, ზოგჯერ დამლუპველი, ზოგჯერ დამაქცევარი, მათი სიცოცხლის ფასად გაღებული, მაგრამ მაინც მარადიული, გზა დედამიწაზე განსანმენდელის გასავლელი. აქ ვჩერდები; რატომ მხოლოდ ქართველთა? ომში, ამ ომში აფხაზთა ღირსებაც იყო. გახსოვთ, უკვე ვიამბეთ როგორი მშვენიერი გვირგვინით შეამკეს ქართველმა ბიჭებმა აფხაზი ტყვე ქალი. გახსოვთ? მაშ როგორ ვთქვა მხოლოდ ქართველთა-მეთქი. ვწვალბობ, რა სიტყვა მოვძებნო, არადა უნდა მოვძებნო, ჩვენი სულელების გამაერთიანებელი, რომ გავამართლოთ ბიჭების სიკვდილი, ჩვენი ერთიანი კულტურის აღმნიშვნელი, რაიც ღირს გადასარჩენად. ვეძებ. იქნებ მერე, როცა ეს დღეები ისტორიაში გადავა... და გაჩნდება ერთი კითხვა, გავუძელით? რა შევიმეცნეთ ამ ღვთიურ მიწაზე ჩვენი ერთად ცხოვრების დასტურად. რა შევქმენით ჩვენი თანაცხოვრებით, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების? მხოლოდ ასე შეიძლება მოინახოს ჩვენი სულების კვარახჭინა. ბილიკი, ჩვენს სახლებთან მისასვლელი.

ღამით ჩავედით კელასურში. ნამგზავრები დაგვაბინავეს. მოგვიჩინეს ოთახები... მერე ეზო დავათვალიერეთ. საღამო იყო, მშვიდი, რბილი და თბილი... საოცარია უკვე მნიფობაში შესული ბუნების ხიბლი. ის ერთბაშად სიხარულსა და სევდას აღვიძებს ჩემში, — მნიფობის მშვენიერებით წარმოშობილ სიხარულს. და, ჩვენ რომ მიძინებას ვეძახით, იმ კვდომით აღძრულ შოშ, მაგრამ, ვინ იცის, ბუნების მიძინება გაზაფხულამდე, ჩვენთვის რამდენიმე თვით, სინამდვილეში სამყაროსთვის რამდენი წამია, საათია, იქნებ, ათასწლეულებიც?... ან, იქნებ, ბოროტებაც, რომელიც ახლა აფხაზეთში მოსთვლის მტევნებს, რამდენი ხნით აპირებს მიძინებულ, მითვლემილ გონებაზე ბატონობას...

ისეთი მაცდურია ციტრუსების ჩაყვითლებული ნათება, თავს ვერ ვერევი.

— ამ ბილიკს არ გასცდე. — მეუბნება პაჭო.

— რატომ?

— დანალმულია.

— როგორ თუ დანალმულია? — შეშინებული უკან ვიხევ.

— აი, ეგრე, დაუნალმავთ, რომ არავინ შემოიპაროს ტერიტორიაზე, არც ვიცით რა

ადგილებია, გეგმა არა გვაქვს.

— აბა, ვინ იცის, ვის აქვს?

— რა ვიცი. იმას, ვისაც დაუნალმავს, უთქვამს, ზეპირად ვიცი, გეგმა რათ მინდაო, აქ არა ვარო?

— მერე დაახაზინეთ, ხომ შეიძლება, შემთხვევით ჩვენვე ავფეთქდეთ.

— სად არის, რო?

— როგორ თუ სად არის?

— დაიკარგა, კაცმა არ იცის, საით წავიდა. — ხარხარებენ ბიჭები.

— მატყუებთ! — ვეუბნები პაჭოს და ცვდილობ დავიჭირო მისი ღიმილი.

— არა, არა, მართალს ამბობს. — ბიჭები სიცილს წყვეტენ.

— ღმერთო, იქნებ, თვითონ იყო მოგზავნილი?

— რა ვიცი, შეიძლება, რას გაიგებ.

— როგორ, ამას არავინ ხელმძღვანელობს?

— რას ხელმძღვანელობს, ყველა მბრძანებლობს... მოვლენ, დახედავენ, ნაიქიფებენ, წავლენ. პატრონი არა ჰყავს აქაურობას.

— არ ვიცი, ამ ქაოსში რა ბედი გვეწვევა, თუ ასე გაგრძელდა...

— ეს ომი კი არა...

— ის ანეგდოტი იცი? — იწყებს ჩემს გვერდით თენგიზი.

— რა ანეგდოტი?

— ღმერთმა გადმოიხედა აფხაზეთში. ხედავს აფხაზები თხრიან „აკოპებს“, აშენებენ დამცავ კედლებს. ყოჩაღ, ალბათ, უსწავლიათ ომიო. მერე ქართველებს გადახედა — ზოგი პლაჟზეა, ზოგი ქეიფობს, ზოგი ქალებთან დაძვრება — ვაი, თქვენს პატრონსო, ღმერთს უთქვამს, ესენი ისევე ჩემს იმედზე არიანო.

— ღმერთის იმედზე ყოფნა შველის საქმეს?

— ჰოდა, მაგას ვამბობ, მობეზრდება იმ ღმერთსაც.

— ღმერთი არ მიგვატოვებს.

— მიგვატოვებს, თუ ჭკუაზე არ მოვალთ.

ვახშამზე დაგვიძახეს. ჩუმად, თითქმის უსიტყვოდ ვვახშმობთ. ჯერ არ ვიცით სიკვდილი, ჯერ არ ვიცით დასისხლიანებული ფარჯა, ჯერ არ ვიცით შემხმარი სისხლის ფერი, ჯერ არ ვიცით ღია თვალების მოსარკული ანარეკლი, ჯერ ისევე ჩვენს კერაზე ვართ, ჩვენს სახლში. ზაფხულის ბოლო საღამოები, ხავერდოვანი სეზონი. რა ქნას ბუნებამ, რითი მიგვანიშნოს საშინელება, უგუნურობა, ერთბაშად გადახმეს? იქნებ, მაშინ დაგვაფიქროს. ნეტავ რას ფიქრობენ „ისინი“, ნიკოფ-

სიიდან დარუბანდამდე ღვთისმშობლის წილ-
ხვედრი ქვეყნის შვილები? განა ვინა ვართ,
რომ ჩვენ მისი გაყოფა შევძლოთ. სადღაც
ცის კიდურეთში დანერილია ჩვენი და ამ მი-
წის ბედი, ვინ არის ის გულთამხილავი, ვინც
ამას წაიკითხავს. რაზე არ ფიქრობ ამ ლა-
მეს, სასწაულმოქმედ სიტყვაზე, მანდილზე,
ყველაფერზე, რითაც შეგიძლია უშველო ამ
უღმერთობას, ამ უაზრო თვითმკვლელობას.
ფიქრობ იმაზეც, რა შეგიძლია დღეს მოიფიქ-
რო იმისთვის, რომ ეს უბედურება როდესმე
გაამართლო. პატარა ხარ, უმწეო... შენთვის
ღმერთს მოუცია სიცოცხლე, რომელსაც ასე
ალაღებს და ამშვენებს საოცრება ამ მიწის,
ამ ცის, ზღვის, მთის... და კვიპაროსებზე დაბ-
ნეული მოკაშკაშე წვიმის წვეთები, რომელიც
მერე ცრემლების სინონიმად იქცევა და მას
თაობები ვერ ამოაშრობენ. დრო გავა და ვი-
ღაც ავყია იტყვის „უაზრო ომიო“. ახლა ვიცი,
თუკი იყო ის უაზრო, არა ჩვენთვის, არა ამ
ბიჭებისათვის, რომლებიც სულ მალე დაამ-
ტყიცებენ, რომ უაზროდ სიკვდილი არ არის...
როცა სიცოცხლის ფასად არ თმობ შენი სამ-
შობლოს არც ერთ გოჯ მიწას. ღამე, აივანზე
გადმოკიდებულები, დავითვლით „ალაზნის“
გუგუნს... არ გვეცოდინება საიდან ისვრიან,
ვინ ისვრის, „ჩვენები“ თუ „ისინი“, რადგან
საქართველო ჯერ მთლიანია, ჯერ არ ჩამ-
დგარან „გამზავებელი“ სამშვიდობო ჯარები,
ენგურის გამოღმა. შლაგბაუმი არ გადებულა.
ღილით შემოვარდება ომარ ჩიტაია.

— ისინი გვესროდნენ. — გაფითრებუ-
ლი იტყვის.

— რა იცი? — წამოვცვივდებით.

— აი, იქ, — ხელით გვაჩვენებს ფან-
ჯრებჩამსხვრეულ სახლს. — სახლში შევარ-
დნილა ყუმბარა, ამ დილით ნახეს ბიჭებმა
თავნაგლეჯილი ქალი ეზოში.

— ღმერთო, დაიწყო.

— ახლა დაიწყო? — გააფთრებული
იკითხავს ვიღაც.

— ჩვენთვის ახლა დაიწყო. — დაფიქ-
რებული პასუხობს ომარი და აივნის ღია კა-
რებს ხურავს.

ატყდება სიცილი. ვაი ამ სიცილს. ყელში
მოზღვნილი ბოღმა და შურისძიების ბურთი
გვახრჩობს. მეტი აღარ შემიძლია, ვიდუოკა-
მერაში კასეტას ვდებთ, ვითხოვთ მანქანას.
დავუყვებით სასტუმროს კიბეებს. ბიჭები
ღლაბუცობენ დერეფნებში. მათ შორის სულ

პატარა ბიჭუნას ვაჩერებ.

— რამდენი წლის ხარ? — ვეკითხები.

— თხუთმეტის.

— მერე, აქ ვინ გამოგიშვა?

— გამოვიპარე.

— მშობლებმა იციან, აქ რომ ხარ?

— არა.

— მერე, შენ რა უნდა გააკეთო აქ, შენ
რა იცი ბრძოლა?

— მაგას ვეუბნებით. — ჩაერთო საუ-
ბარში ავტომატიანი ჯარისკაცი. — ამას მივ-
ხედოთ, თუ საქმე ვაკეთოთ — არ წავალო,
იძახის.

— არ წავალ, სანამ ჩემს ძმას არ შევ-
ხვდები, სადღაც აქ უნდა იყოს.

— მიხედეთ, არსად გაუშვათ მარტო.

— არა, ნუ გეშინიათ, სულ ჩვენთან
არის.

— მისი მისამართი არ იცით? მშობლებს
შევატყობინოთ.

— თბილისელია.


— გვარი ხომ იცით, იქნებ მოძებნოთ,
არ შეიძლება მაგის აქ დატოვება.

— რაღაცას მოვიფიქრებთ, ქალბატო-
ნო ნანა, ნუ გეშინიათ. ჯობია ჩვენთან იყოს,
გავუფრთხილდებით.

— როგორმე გაიგეთ მისი მისამართი,
იქნებ ჩამოაკითხოთ მშობლებმა.

— იქნებ დაეძებენ კიდეც, სად იპოვნე-
ან...

— გატყობო უნდა, ეს მაიმუნი. გაგი-
ყებულები იქნებიან. ეს აქ „ომობანას“ თა-
მაშობს თავის ჭკუით! — მაინც ვერ ვმალავ
ალტაცებას 15 წლის ბიჭის გამბედაობით და
ვაჟკაცობით. ეგეც ქართული გენი, აბა, და-
აბი, თუ ბიჭი ხარ. მერე აღარსად მიწახავს
ის ბიჭი, მისი სახელიც არ ვიცი, არადა, სულ
თვალწინ მიდგას ჯარისკაცებს გატოლებუ-
ლი, ბუდიდან ნაადრევად აფრენილი, თმაა-
ქორჩილი მამლაყინწა, მოზარდის ხრინწიანი
ხმით და თეთრი, კოტიტა, ნაფერები ხელის
მტევნებით. ვინრო ბილიკით მივდივართ
ტყეში. კვიპაროსები, ნაძვები, ფიჭვები, რო-
გორც საახალწლო ღამეს, ნამით მორთული,
ბრჭყვიალებს და ციმციმებს... ფეხსაცმელი
სხლტება ბალახზე, გასასვლელთან მანქანა
გვიცდის. მივდივართ სოხუმის ქუჩებში.



მანონ ჯუღოსვერის

შენ როცა ბრაზობ,
 სასაცილო ხარ ამღვრეული ნაკადულივით.
 რაღა ვქნათ ახლა?..
 მზეჩანურული იმედებისგან
 ერთადერთი ფრთონა დაგვირჩა...
 ეს სურვილებიც უმისამართოდ
 და უკვალოდ თუკი ქრებიან,
 რა მელექსება...

.....
 ამაზე ხომ გაგეცინება
 და მე კვლავ გეტყვი —
 შენი სიცილი ჩემი ფრთებია!

უკეთესად ვერავინ გეტყვის —
 უნდა მიხვდე და მომისმინო.
 ვინ გიხმო, ვისმა მონატრებამ მოგიყვანა,
 მე ხომ არ ვიცი,
 მაგრამ მოხვედი,
 როგორც ადრე ბევრი მოსულა
 და ისე დარჩი, როგორც არავინ!
 შენს თვალებში ლურჯი ფერია
 და რას დამალავ,
 დედამინის მკვიდრი ხარ... ჯერაც
 არ დაგიხურავს მარტოობა
 გადაშლილი მუდამ,
 როგორც ცა და ბიბლია.
 და გახსოვს ყველა სასნაული,
 რაც ნახე თუ ამოიკითხე!
 ვინ გედავება?
 მათ ოკეანე მხოლოდ გლობუსზე თუ
 უნახავთ
 და მზის დისკო — უსაშველოდ მაღლა...
 უთხარი —
 ქვეყანაზე ჩვენ სგარეშე არაფერია
 და ვიძირებით ფრთიან მზერაში.
 ღმერთი სად არი?
 რას გედავება,
 ვისაც სისხლი არასოდეს აჯანყებია
 და ვის მაჯაზე
 მენამული შადრევანი არ ამოჭრილა?!

„ნამდვილად მშვენიერი ლექსი ჩუმი“.
 პოლ ვალერი

არც ამაღლებული განწყობილების,
 აღარც ფერების,
 ცის ან მიწის სურნელის გამო...
 იქნებ, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით,
 რომ გულწრფელი ხარ,
 მე შენ პოეზია დაგარქვი!
 გადაგიარონ,
 მაგრამ გვერდს კი ნუ აგივლიან
 (ვიცი, რომ არ გაითვლები.
 ასე შენი სიჯიუტე მაფიქრებინებს...
 ბოლოს და ბოლოს, ცა წამოგწევს).
 ნუ დალაგდები!
 ნუ გამწირავ და
 იყავი სულ დაუვარცხნელი.
 მეტი არც რა.
 აბა, შენ იცი,

ანენილ-დანენილი სამშობლო მაქვს და
მშვენიერი ნურც შენ იქნები!

თუ მიეცემა დავინყებას ეს ხმა,
სისხლი ხომ
შემოინახავს ტანჯვის ნაკვალევს.
წაშლილი სახის
ზღვისმიერი ჟინით მოქცევამ
არ შეგაშფოთოს.
უკვდავება არის ზღაპარი!
წავალ და
აბა, მინას როგორ მიმაბარებენ?
ეს... ჩემი ფერფლი არ გეგონოს,
ეს... გულუბრყვილო ხეები
ნამით გალიმებულ
ფოთლებს კარგავენ.
ხომ ხედავ, როგორ ვიფანტებით...
და თვალებიდან (მარადიულ სევდად
ჩამდგარი)
მზერა, როდესაც გაბრწყინდება,
უკანასკნელი
ლიმილი უნდა აირეკლოს თბილმა
კურცხალმა.
ძალიან კარგი — უცნაური ტანჯვის
სიმბოლო.
ძალიან შორი, ცას კი არა, სევდის ნათელს
სწყდება ვარსკვლავი.
თუ მიეცემა დავინყებას ეს ხმა,
სისხლი ხომ შემოინახავს ყველა
დანარჩენს.

ცას ფერი აქვს ახლა ალუბლის.
ან ფრთები უნდა გამოისხა,
ან ცარცისფერ კედელს შეასკდე...
შეხედე, მინას
ჯანმრთელი და მაინც მახინჯი
ფესვებიც კი ველარ გუობენ.
ცას ფერი აქვს ისევ ალუბლის.
როდის არ გთხოვდა გული სივრცეს,
რომ ადგე და ახლა გაგიჟდე,
არადა...
უნდა გადაიხსნა მაჯა,
განვიმდეს ეს...
სისხლია თუ მენყერია...
იღონე რამე.
ცას ფერი აქვს, ფერი ალუბლის.
დღეს უვნებელი არ გადარჩე ამ სასნაულს,

არ გადამრიო!
როგორ იქნება,
რომ ხვალ ცაზე კვლავ მზე აღმოხდეს
და... მინა არ გეყაროს გულზე!

მზე დამიჩრდილე,
რომ დავლონდე ამ გაზაფხულზე,
ანდა, წაართვი ფერი ბალახებს...
კიდევ — ეს სისხლი გამინყალე!
თორემ, ვაპირებ... გამიხარდეს ისე,
რომ გული ცას შეასკდეს
და ასხლეტილი სისხლის შხეფებით
ფერმკრთალი სახე მოვიხატო...
მერე ვირბინო სიხარულის ამოხდომამდე.
გზადაგზა ფეხით გამოვედო
ქვების პალიტრებს,
რომ ნაკვალევი აკვარელის ფერებში
ახდეს.
ვაპირებ სიკვდილს
უსიკვდილოდ ამ გაზაფხულზე,
კიდევ — ვაპირებ
წყურვილივით გაჭრას მზვარეში...
მზე დამიჩრდილე...
დავლონდები.
მაცოცხლებელი წაართვი ფერი
მწვანე ბალახებს!
თუ შეძლებ, სისხლიც გამინყალე!
ამ გაზაფხულზე
თუ ფეხებზე არ დაგიკიდო...

ჰქვია სევდას შენი სახელი.
ჩემს სიმშვიდეში გაბნეული ფორიაქი ხარ.
ხმის ჩრდილი თუ ექოა და სხვა არაფერი,
რა გვეშველება.
დღეის მერე სიმარტოვია.
არაფრის შიში ასვენია სულის ტაძარში.
რისთვის ეს ჯილდო,
განა ღირსი ვარ...
მე ვიცი, როგორ უნდა გავჩუმდე.
სევდაა და ჰქვია სევდას შენი სახელი.
ხმას ახლა...
თუმცა, გემშვიდობები
და შენი ხელით მოხატულ კედელს
ეს ერთი მზე ჩემიც ებაროს,
ჩამოხსნილი უკვდავებიდან.



ქართული
ქართლისანიძე

ეხა-ეხუშა-ეხახეხინა

საძინებელ ოთახში რადიო „არ დაიდარდო“ მთელი ხმით ბუბუნებდა, ქეიფობდა, მთელ სახლს აზანზარებდა, ხალისობდა და ლოთობდა, ხან ვილაცის დაბადების დღეს აღნიშნავდა, ხან ბრწყინვალე აღდგომას, ხანაც კიდევ, უბრალოდ, მსმენელს განწყობილებას უქმნიდა.

ვეებერთელა ტახტის კუთხეში, ფანჯარასთან ეკუშა ჩამომდგარიყო და, როგორც ანუკა ამბობს, „ძუყნურობდა“, - თავისთვის იცინოდა, ბუნთულა ხელებს ერთმანეთზე უტყავუნებდა, თავდაუზოგავად ხტოდა, რადგან ჯერ დამოუკიდებლად დგომა და ცეკვა არ შეეძლო, რალაცას ლაპარაკობდა თუვილაცას ელაპარაკებოდა, უყვებოდა ისევ რალაცას... ხანდახან გაჩერდებოდა, შეისვენებდა, მოუხერხებლად ცდილობდა ჩამოვარდნილი ლეიბის და ძვირფასი გადასაფარებლის გასწორებას, სახიდან თმების გადან-

ევას, სიცილისა და ხტომისაგან ოფლით დაცვარული სახის მოწმენდას, მაგრამ ამაოდ, არ გამოსდიოდა... ისევ აგრძელებდა ხტუნვას, სიმღერას, სიცილს, ლაპარაკს... ამავედროულად ვეებერთელა, ნუშისებრი, ოდნავ ელამი თვალებით დუნედ ათვალისებრებდა საკუთარ პატარა სამყაროს.

მეორე ოთახში მყოფი უხმოდ იხდიდა და ღრიჭოდ დარჩენილი კარებიდან უყურებდა შვილს... მექანიკურად იძრობდა და აწყობდა კარადაში: „Chanel“-ის შარვალი და ზედა, „evante“-ს თეთრეული, ხელის ერთი მოძრაობით ჩამოიშალა თმა და სამაგრები მაგიდაზე დაანყო; იქვე, ატმის ყვავილებით დაპენტილი იასამნისფერი ფარდის მიღმა მიძინებულ თბილი, ღუნთულა ხალათი შეაღვიძა და ტანზე საიმედოდ შემოიხვია. საძინებლების ზიარი კარები მჭიდროდ მიკეტა და სახიდან ნელ-ნელა გაუქრა სითბო, სინაზე და სევდა. ნიანგის ტყავის ჩანთიდან ტელეფონი ამოიღო, ტახტზე მიძიმედ ჩამოჯდა და ნომერი აკრიფა: - უახლოესი ადამიანები ავტოავარიამი მოხვდნენ და შეველა ესაჭიროებოდათ. სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე იყო მეგობრის ერთადერთი, 23 წლის ვაჟი და დედა, მესამე ოპერაციისთვის ამზადდებდნენ ფეხმძიმე რძალს, უიმედო იმედით ფეხზე ძლივს იდგა ხატია და შეძლებისდაგვარად ცდილობდა გამაგრებულიყო, ხან იცინოდა, ხანაც კიდევ ტიროდა... შემოიღო რეკავდა იტალიიდან მარინა...

ამბავს წვრილმანამდე იძიებდა ქალი, ბოდიშობდა, რომ ვერ მიდიოდა თბილისში, პირდებოდა, რომ დაელაპარაკებოდა მთავარ ექიმს, აშკარად შეძრული იყო მდგომარეობით, ცრემლი ნიკაპიდან მკერდში ეღვრებოდა, ხმა უკანკალებდა... საუბარი დაამთავრა და იქვე ხელახლა აკრიფა ნომერი: სანუგეშო ბევრი ვერაფერი გაიგონა კლინიკის ხელმძღვანელისაგან, სადაც „მისები“ იმყოფებოდნენ... გამეხებული სახით წამოდგა, ეკუშას ოთახში ჩუმად შეიხედა, მუსიკის ხმასა და ხტუნვაში გართულ ბავშვს არაფერი შეუმჩნევია. მაგიდას მიუჯდა, რვეული რამდენჯერმე გადაშალა მექანიკურად, უაზროდ; მიხვდა, რომ უნდოდა ტკივილი ეგრძნო, სული აწვოდა, ადრინდებულად გაეთავისებინა სხვისი მწუხარება და სიხარული... ამაოდ, ვერაფერს ვერ გრძნობდა.

საზღვარგარეთიდან ეხმიანებოდა დედა, აუტანელ სიცხეებს ვერ ეგუებოდა ასაკოვანი ქალი, მუდმივი წნევა და არითმია აწუხებდა, ისევ ნევროზს შეეპყრო, ერთადერთი ნოსტალგია სტანჯავდა და აცრემლებული ხმით ხან დას ნატრულობდა, ხან დისშვილებს; შორიდან ეფერებოდა ყველას და ყველაფერს: სახლს, მეზობელს, ქალაქს, თავისას და სხვი-

სას, ნაცნობს და უცნობს, საყვარელსა და საძულველს, მტერს და მოყვარეს... საშინლად განიცდიდა წმინდა, მაგრამ უცხო მინაზე ცხოვრებას და მდგომარეობიდან ამაოდ ცდილობდნენ მის გამოყვანას ცნობილი ნევროპათოლოგები და ფსიქიატრები...

უფროსი ქალიშვილი ჩუმად იცრემლვებოდა, მამას დარდობდა – უმძიმეს ავადმყოფს, რომლის ჯანმრთელობის გაუმჯობესება ამჯერად ყველაზე დაუფერებლად მიაჩნდათ ყველაზე იმედიან ადამიანებსაც კი... ავადმყოფი ახლაც სხვებზე ფიქრობდა, მათ პრობლემებზე დარდობდა, თითქოს ვერ ამჩნევდა მის ირგვლივ ჩამონოლილ და ჩასაფრებულ სასტიკ რეალობას...

ორიოდ თვეა არაფერი ისმოდა ადამიანისგან, რომელიც ღმერთად იწამა, რის გამოც უამრავი შეურაცხყოფა და ტკივილი დაუმსახურებლად მიიღო, დასთმო ყველა და ყველაფერი, შესწირა საუკეთესო, თუკი რამ გააჩნდა და მიაჩნდა ამქვეყნად... ვისაც უანგაროდ უწილდა სული და ხორცი, ყველა ფიქრი და აზრი, ყველა გრძნობა და სინაზე ქალური...

მისაღები ოთახიდან გაავეებული მამის ყვირილი და ჯოხის ბაკუნი ისმოდა. ასაკოვანი ავადმყოფი თავს ვეღარ აკონტროლებდა, უმონყალოდ ლანძღავდა და ემოქრობოდა ყველას და ყველაფერს, თავისას და სხვისას, ნაცნობს და უცნობს, საყვარელს და საძულველს, მტერს და მოყვარეს, განსაკუთრებულად შვილს მტრობდა, ათასგვარ პირობას და ბრალდებას უყენებდა, საზღვარგარეთ გამგზავრებას, მკურნალობას და უჯოხოდ სიარულს ითხოვდა, აშკარად ვეღარ იმორჩილებდა გონებას, სახლს და ყავარჯენს მიჯაჭვული...

მეზობლის მარტოხელა ქალი პატრონობას სთხოვდა. უზომოდ დიდ პასუხისმგებლობას ავალბებდა, არ შეეძლო, მაგრამ უარის თქმაც უძნელდებოდა შვილმკვდარი დედისათვის, ერთადერთ ნუგეშად რომ მიაჩნდა და ეიმედებოდა ქალი, ყოველ დილით მლოცველივით რომ ხვდებოდა სადარბაზოს კარებთან და თითქოს უკვე მოითხოვდა შვილის მაგივრობა გაენია მისთვის...

ხვალ დაკრძალვაზე უნდა წასულიყო, სტუდენტობის მეგობარი, სრულიად ახალგაზრდა ნია იმერეთში უნდა გაეცილებინა, ბოლო ნუთამდე რომ სიცოცხლისათვის იბრძოდა და ნატრობდა მის გაგრძელებას... ოცდახუთი წელი რომ ერთად მოდიოდნენ, ერთმანეთით რომ უხაროდით და ტკიოდათ, ხვალამდე რომ ერთად იყვნენ...

სამსახურში, როგორც ყოველთვის, უამრავი პრობლემა იყო. მთელი კვირა გონება არ დაუსვენებია, გადაცემა უნდა მოემზადე-

ბინა სიყვარულის დღისათვის, 15 რესპონდენტის ჩანერით, საერთო და მუშა კადრების გადალებით, მონტაჟით და, რა თქმა უნდა, გახმოვანებით... პარალელურად მასალები უნდა მიენოდებინა რესპუბლიკური ჟურნალებისათვის პოლიტიკურ და კულტურულ თემებზე, ფასიანი და უფასო, ორი ნოველაც უნდა დაენერა და ყველაფერი კარგად უნდა გამოსვლოდა, არა, ძალიან კარგად, იმიტომ რომ მისგან ყოველთვის საუკეთესოს ელოდნენ და მოითხოვდნენ, სხვაგვარად ხომ არ ეკადრებოდა „უნიჭიერესი ქალბატონის“ პერსონას.

მარჯვნივ, მისაღები ოთახიდან მამის გაავეებული ყვირილი ისმოდა, მარცხნივ საძინებლიდან კი შვილის ტირილიანი ხმა, მამამისის მძიმე მდგომარეობას უხსნიდა ტელეფონით ვილაცხას... გულთან არაფერი მისდიოდა, ვერაფერს გრძნობდა და არაფერი სტკიოდა 18 წელია უკვე, არც არაფერს და არავის ელოდებოდა, რამდენიმე თვე იყო, კარგს მით უმეტეს. ყველაფერი, რაც უნდა მომხდარიყო, უკვე მოხდა - კარგიც და ცუდიც; ღმერთმა უწყოდა მხოლოდ, რომ მეტის ატანა არ შეეძლო და განსაცდელს და გამოცდას აღარ მოუწყობდა, მხოლოდ მისი იმედი ჰქონდა და სწამდა მუდამ და ყოველთვის...

რადიო „არ დაიდარდო“ მთელ სახლს აზანზარებდა, ხალისობდა, ქეიფობდა და ლოთობდა...

ფანჯარასთან, ვეებერთელა ტახტის კუთხეში ეკუშა ჩამომჯდარიყო და, როგორც ანუკა ამბობს: „ძუყნურობდა“. თავისთვის იცინოდა, ბუნთულა ბავშვურ ხელებს ერთმანეთზე უტყაპუნებდა და თავდაუზოგავად ხტოდა, რალაცას თუ ვილაცხას რალაცას უყვებოდა, ხელის მოუხერხებელი და დაბრკოლებული მოძრაობით თმის და სანოლის გადასაფარებლის გასწორებას ცდილობდა, ოღონდ ამაოდ... ვეებერთელა, ულამაზესი, მუქი ყავისფერი, ელამი, ნუშისებრი თვალებით დუნედ უყურებდა თავის პატარა სამყაროს...

ეკა - ეკუშა - ეკატერინე 9 ივლისს 18 წლის გახდებდა...

იგი ბავშვთა ცერებრალური დამბლითაა...

მას არაფერი სტკივია...
არც არაფერი ანუხებს...

იქას,
იქუშას,
იქავერიბებს...





ქართული
 ჟურნალი

ჩვენ აქ რა გვინდა...

წვიმს. მიიმედ მოდის ღამე ფერძველი და სველი თალხით ვიხვევ იარას. ვით არა ერთმა, ვერც შენ შესძელი, რომ გაგეთოკე ბუმბულ-ფრთიანად. არა, გონებას შენ ვერ შემიცვლი და ცხელი ვნებით ტვინს ვერ ამიწვავ. რომ არ მახსოვდეს გემო დედის რძის, წამსვე დაგთმობდი და დედამინას ავშორდებოდი ფრთებით გაშლილით და გავცურავდი ლაყვარდს მხარულით, მაგრამ უმშობლოდ გაზრდილ ბავშვივით გადამეხვიე და სიყვარულის იმ გულით მთხოვე გრძნობა ახლიდან, რომ ვერ გავბედე უარით გამეშვი. თორემ, სიცოცხლევ, ჩვენ აქ რა გვინდა, ამ სიცივეში და სიყალბეში!

მტერი რომ ხარ...

სამი დღეა, რაც ჩხავილით შემთვალეს ყორნებმა და თვალს მავლებენ ირიბად. ჩვენც იმ გზაზე შევეფეთეთ ერთმანეთს, სადაც ორი, მართლაც, ვერ გაივლიდა. და ღიმილით ვაფრთხოებ ელდას უცაბედს, ნერვებს შენი გულის ძგერა ესმის და აი, ჩახმახს ფეხი გამოვუშალეთ, გაიფანტა შავი კვამლი დენთის და ეს შენ სწუხარ, მუხლს გიკეცავს იარა, გაკრთობს შორი და უცნობი სიზმარი. ფხოჭნი მინას, ლექავ ბალახს ცვრიანად, გამშრალ სასას სურს რაიმე წყლიანი. მტერი რომ ხარ, ე, მაგ სახით კი არა, დაქცეული სისხლის ფერით გიცანი!

გაზაფხულამდე...

თუმც სწუხარ და ცრემლს ყლაპავ აბეზად, ხელს ნუ ჩაიქნევ ასე იოლად. ცოტაც და ხეში წყალი ჩადგება და ბუდეს მოქსოვს ჩიტი-ჩიორა. ამოუცნობი არის ღვთის ნება, კვლავ დააბრმავა თოვლით ტყე-ველი, თან იმედს მჩუქნის, რომ გაიხსნება გზა, შენს გულამდე მოსაღწეველი. რომ მზე ამოსვლას მალე იფიქრებს და ცივ წარსულზე აღარ ვინაღვლებთ. რომ ისევ ვნახავთ იის სიციხფრეს და მოიისფრო ზეცის სიმადლეს. ჰოდა, ამ ზამთარს მაინც მოვითმენ, თუნდ მოლოდინის ოფლში ვცურავდე. გაზაფხულამდე დარჩა ორი თვე. ღმერთო, მაცოცხლე გაზაფხულამდე!

ყოფა ჩვენი
 არც ადრეა და არც გვიან.
 ყური უგდე,
 რა გარკვევით ამბობს გული,
 ყველა წამი,
 რომ წინასწარ დათვლილია
 და ყველა დღე
 სველი თითით დაფურცლული.
 ალბათ, იცი,
 მაგრამ მაინც მინდა გითხრა,
 (როცა სწუხარ
 და ხელებში მალავ სახეს)

დაბადებას
თუ არავინ დაგვეკითხა,
აბა, სიკვდილს
ვინ მოცლილი შეგვითანხმებს!

* * *

გაზაფხულებს, დარჩენილებს ობლებად,
ველოდები იმედებით ნაკლებით.

ისევ უმძიმს ჰაერს დაჭაობება,
ამოვსება სუნით და ბაყაყებით.
და ეჭვებით შემურულმა ლანდებმა,
ფიქრმთვრალეებმა ღამეული ცხოვრებით,
კვლავ ისურვეს კართა მიყურადება,
პროფესიულ წვრთნით და

გულმონდომებით.

ყველა, ვისაც მღვრიე ჰქონდა გუნება,
დაეჩვია ნელგამართულ სიარულს
და სიბილნე მწარედ ეშურდულება
სიკეთეს და გრძნობებს ადამიანურს.
და ვერ ვხვდები, იქნებ ვინმემ იცოდეთ,
ვინც სიყალბეს მკერდში იკრავს ალერსით,
ასე ძლიერ რად სჭირდება სიცოცხლე,
თუ კი მისი მნიშვნელობა არ ესმის.

თბილად ჩაიცვი!..

ასაკთან ერთად სიზმარიც
მეცვლება უცხო ფერზე.
სიყვარულს მაინც გიგზავნი,
იმდენს, რამდენიც შევძელ.
გულს ისევ გული დავარქვი,
ფიქრის ფურცლებით ნაკერს.
შენ შორს ხარ, უცხო ქალაქის
ბელურებს უყრი საკენკს.
და მზარავს ზამთრის სისველე,
მყოფს მარტოობის ახლოს.
ალბათ, ხანდახან იხსენებ,
მე, რა თქმა უნდა, მახსოვს, —
რა კარგი იყო სიცოცხლე,
ცოტა ჩვენც რომ გვხვდა წილად.
თავს გაუფრთხილდი, იცოდე,
თბილად ჩაიცვი, თბილად!..

შინ მატარებლით მინდა დავბრუნდე

ღამემ ნახევარმთვარე დაჰკიდა
ცაზე და ფერებს ისვრის საკვირველს.
შფოთავს სადგური. ამ ქალაქიდან

ისევ უშენოდ წასვლას ვაპირებ.
და მტაცებს ხალხი ათას მილეთის
ფიქრებს და ბედზე ბევრჯერ გამწყრალმა,
თუმცა დავხარჯე ფული ბილეთის,
ვსვი არაყი და ლუდი წყალ-წყალა,
მაინც იმედით ვტოვებ სალუდეს,
ყელზე უმძიმეს ჯვარის შემბმელი.
შინ მატარებლით მინდა დავბრუნდე,
წერვებს მიმშვიდებს მატარებელი.

ვცოცხლდები და...

ვერც მე ვუცქერ ამ ცხოვრებას შუშიდან
და ძვალ-რბილში არც იმედად მევსები.
არ ვწერ ლექსებს, მაგრამ ვერ ვარ
გულმშვიდად,
ლექსს დავწერ და ვერ მშველიან ლექსები.
რადგან ირგვლივ ისე მღვრიე ნისლია,
ვერ გხედავ და ოფლი დამდის ღვარული.
არ მიყვარდე, ალბათ, არ შემიძლია,
მიყვარხარ და მიჭირს ეს სიყვარული.
იქნებ ჯობდა, რომ მქონოდა სხვა გული,
ქვის სიმძიმე და იმედის მომცემი,
თორემ ტვინი, ფიქრით შემობარული,
ამოივსო დარდით და გაოცებით.
და მეც ისე ვიცნობ მინის სარეცელს,
რომ ვერ შევძლებ მზესთან ახლო
მივცოცდე.

ვცოცხლდები და კვლავ სამარეს დავეძებ,
შიგ ვწვები და მენატრება სიცოცხლე.

იქნებ თქვა...

წარსულთან ჩურჩულს არ იშლი და
ბავშვივით მძინარ წუთებს მპარავ
და მძიმედ ვიღებ ბალიშიდან
ფიქრებით სავსე თავის ქალას;
და მახვევ ყელზე ღამის სიგრძეს,
ცრემლებით თვალეგალუმპულს.
თქვი მაინც, რატომ გამაღვიძე,
სიზმარზე ღამაზს რას ვუყურო?!

შეშინდი და მოიმარჯვე სიცრუე

შეშინდი და მოიმარჯვე სიცრუე
და ნამებად გადაიქცა ნამები.
ვერ შევძელი, თავი ვერ მოვიტყუე,
წამოვდექი და უსიტყვოდ წავედი.
მოვინყინე ერთგულებას ნაჩვევმა

და გამებნა გზები შავ-თეთრ ფერებად.
დამლელია, როცა არვინ არ გრჩება,
ვისზე ფიქრით ღირს ღამის გათენება;
და ნლებიდან ისეთ ნლებში ვინაცვლებ
სადაც წამიც დის მღელვარე დინებით.
თუმც ჩემშია კანმხურვალე სიბრაზე
და ტყუილის მუდამ ვერპატიებით
მივდივარ და მარტოობას მივართევ,
მაინც გეტყვი, — ხარ ბავშვივით უმანკო.
შენ კი არა, პეტრემ ვერ თქვა სიმართლე
და უფალი ზუსტად სამჯერ უარყო.

ათოვ...

შენ სიცივეს ფიქრში გარევე,
მაგრამ წასვლას არ ისურვებ.
ათოვ ოდებს, როგორც მარნებს,
ისე ჭურებს, ცალკეულებს.
ან დარდს როგორ გაანბილებ
და ვერც ვერსად გააპარებ.
ეს გზებს ათოვ სამარხილეს,
საურმეს და სასაპალნეს.
და ვღონდები, ფერავ როცა
ეზოებს და შემკრთალ სურებს.
ან ვის უნდა შენი მოსვლა,
თუ სულს ვერ აპოეტურებ.
აღბათ, ცდილობ ცოდვა შობო,
ვიდრე ზენრის ფერი ფარავს,
ამ ადგილებს: საყრილობოს,
საკულტოს და სხვა მისთანას.
იქნებ, გინდა თვითონ შევცდე
და დათოვლილ ჯვართან ვეგდო.
ათოვ მუხებს და ნეკერჩხლებს, —
წაბლებს, წიფლებს და საერთოდ,
სოფლის შიდა, ანდა გარე
ტყეს რომ ფიქრი ჩაამძიმებს,
იმ ფიქრს ითხოვ სამასალედ, —
საჭურჭლედ და სანახშირედ.
შენ სიხარულს ასამარებ
და ცრემლებით ბანგავ ეთერს.
ათოვ ქვა-ჯვრებს და საფლავებს:
ახალს, ძველს და ასე შემდეგ.
ათოვ ერთს და ათოვ ათასს,
ათოვ სისხლს და ათოვ დროსაც, —
როგორც მტყუანს, ისე მართალს,
დალოცვილს და დასალოცავს.
თოვ და, აღბათ, ხვალაც მოთოვ,
კვლავ დაკანრავ მზერას წყლიანს;
და სულს ათოვ, ათოვ, როგორც
სოფლის დაშლილ ეკლესიას.

მერე კვლავ გაზაფხულდება

მთა, თეთრად ჩამობარდნილი,
კიდევ ერთ ზამთარს მოითმენს,
შენუხებული ნადირი
ჩამოინევა სოფლისკენ.

გაჰყვება შაშვის გალობა
მინდვრებს — სითეთრემოფენილს,
ბუხრიდან კვამლი ამოვა,
ფიქრს მიეცემა სოფელი.

ქარი იმგვარად შეჰყმუვლებს
მზის გადათელილ დიდებას,
აკანკალებულ ბელურებს
ცრემლები ჩამოსცვივდებათ.

ბოლოს ფებს მაინც აითრევს
ყინვა, გზებს მონავერცხლები
და ჩუქურთმიან აივნებს
ფრთებდაღალული მერცხლები

შეესევინა გუნდებად
და თუ იმედმაც ინება,
უთუოდ გაზაფხულდება
და მზესაც გაელიმება.

* * *

დღე იყო მშვიდი,
წყნარი, უქარო,
იქცა საგნები ისევ საგნებად.
ვიყავი ჩემთვის,
ვწერდი უბრალოდ,
ჩვეულებრივად და გასაგებად.

მზე კი დაგორდა
წიფლის ტოტიდან
და როცა ბინდის კანში შერბილდა,
ჩვეულებრივი
ღამე მოვიდა
და მომენატრე ჩვეულებრივად.





სუნუ ქადაგობი

ყალბი ბილიანტი

წვიმის წვეთებმა მალე შეწყვიტეს მშვიდი სიმღერა. ბუნებას უყვარს ხანდახან ასეთი ხუმტურები, ამ შუა ოქტომბერში ნამდვილი გაზაფხულის წვიმა ნამოვიდა, შემოდგომის წვიმას არაფრით ჰგავდა. მზემაც გამოანათა და წვიმის წვეთები ძვირფასი თვლებივით აბრჭყვიალდნენ. როგორ გადაახალისეს მთელი ქალაქი: სახლის სახურავები, ხეები, ქუჩები... ყველაფერი ახლად პირდაბანილივით ელავს. განსაკუთრებით ეფექტურად წვიმის წვეთები აივანზე გაჭიმულ მავთულებზე გამოიყურებიან; მძივებივით მისდევენ ერთმანეთს და მზის სხივებით განათებულნი, ცისარტყელას ყველა ფერით ბრწყინავენ. ძალიან ლამაზი სანახაობაა.

ვისაც მზეზე მობრჭყვიალე წვიმის წვეთები არ უყვარს, იმან ვერც იმის თქმა უნდა გაბედოს, ბრილიანტი მიყვარსო, ბრილიანტი კი თითქოს ყველას უყვარს. საიუველირო მალაზიაში მუდამ ნახავ უსაქმურ

ხალხს, ვითომდა მიყვარს, ბრილიანტის თვლებს რომ დაჰყურებენ. მერე როგორ დაჰყურებენ: ნაკვერჩხლებივით ანთებული ხარბი თვალებით, წვიმის წვეთების საყურებლად კი არც ერთი მათგანი წამითაც არ შეჩერდება. წვიმის წვეთები არაფერი ღირს, ამიტომ ვერც მის სილამაზეს ამჩნევენ. ამით იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს ძვირფას თვლებს არაფრად ვაგვებდე: პირიქით, სხვებზე ნაკლებად არც მე მიყვარს ბრილიანტები. მეც მინდა მქონდეს ბრილიანტის თვალებიანი სამკაულები... როცა სკოლა დავამთავრე ამ ორიოდ წლის წინათ, სახეიმო საღამოზე ყველა გოგონას ჰქონდა ძვირფასი სამკაული. მე სამკაული არ მქონდა და ცოტა არ იყოს, გული დამწყდა. დედას აქვს ერთადერთი ოქროს ბეჭედი, უთვლო და მისი გაკეთება ამ შემთხვევისათვის არ შეიძლებოდა.

წვიმამ საკმაოდ გააგრილა ჰაერი. ოქტომბრის თვიდან ხანდახან ვანთებ ხოლმე ბუხარს. ჩვენს ძველ ბინას ერთი დიდი უპირატესობა აქვს: დიდი, ლამაზი ბუხარი. მართალია გათბობა კარგა ხანია გაიყვანეს, მაგრამ დედაჩემი ბუხარს ვერ შეელია. ძალიან უყვარს ცეცხლის ტკაცუნის მოსმენა, ამაზე მშვენიერი მუსიკა ჩემს სიცოცხლეში არ მსმენიაო, იტყვის ხოლმე და ახლა მოგებულნი დავრჩით, ბუხარი ისევ შემოვიდა მოდამი. ჩვენც ძალიან მოგვაქვს თავი ჩვენი ბუხრით. მუდამ გვაქვს მომარაგებული კოხტად დაჭრილი შუშა. ცეცხლის დასანთებად ნაკვერცხლებზე ხანდახან გემრიელ ნამცხვარსაც ვაცხობთ. მართლაც, სულ სხვანაირი, განსაკუთრებული გემო აქვს. ამას ყველა ერთხმად აღიარებს, ვისაც ჩვენი ნამცხვარი უჭამია.

სახლში არავინაა. დედაჩემი სტუმრადაა თავის დასთან, რალაც საქმე გამოუჩინდათ. მე ბუხრის წინ დავჯდები, ცეცხლის ტკაცუნს ყურს მიუვადებ და ახალ წიგნს გადავშლი. ამაზე სასიამოვნო ჩემთვის არაფერია. ათასჯერ მირჩევნია წიგნის კითხვა ტელევიზორის ყურებას. წიგნის ყოველი ფრაზა საოცრად დიდი საკვებია ფანტაზიისათვის, გაიძულებს ძალიან მკაფიოდ და ამავე დროს განუსაზღვრელი მრავალფეროვნებით წარმოიდგინო ყველაფერი, რასაც ავტორი გთავაზობს. თუ წიგნი საინტერესოა და მიმზიდველადაც არის დანერგილი, მაშინ ხომ მთელი სამყარო მასში გაიგივდება. ამ წიგნს ძალიან მაცდუნებელი შესახედაობა აქვს. როგორც ეტყობა, სათავგადასავლო ჟანრისა უნდა იყოს. ყდაზე ნიღბიანი პრინცესა ახატია, გვერდით აღმოსავლურ კოსტუმში გამოწყობილი პრინცის მუქი სილუეტი. სათაურიც შთამაგონებლად ჟღერს: „ყალბი ბრილიანტი“. რა ბედნიერებაა, ვერ ნაკითხ-

ული რომ არ მაქვს. ვინ იცის, რა საინტერესო სამყარო იმალება ამ თხელი ფურცლების მიღმა.

ფრთხილად გადავშალე თავფურცელი. ერთი ფრაზის ნაკითხვაც ვერ მოვასწარი, კარგზე კაკუნის ხმა გაისმა. თავიც არ ამინევია, ისე გავძახე, შემოდი, კარგები ღიაა-მეთქი. ალბათ, მეზობლის ბავშვი იქნება, პატარა ნინიკო. მასთან რაღაც საერთო აღმომჩნდა და ამ ბოლო დროს დავმეგობრდით, მასაც ჩემსავით უყვარს ზღაპრების კითხვა.

ჩუმი, რბილი ნაბიჯების ხმა გაისმა და შეწყდა. თავი ავნიე, ჩემს წინ მწვანე ღამურა იდგა.

— რა გინდა? — ვკითხე ღამურას.

— ფერიების ბაღში კარნავალია. ამოიჩრჩიე, რომელი ნიღაბი გინდა, — მან ნიღბების აცმა გაშალა.

ძალიან საინტერესო ღამურაა. მუქი მწვანე ფერის კოსტუმი აცვია და ნიღაბიც ამ ფერის აქვს. ეს მწვანე ფერი მართლაც საოცრად ამსგავსებს ღამურას, უფრო მეტად, ვიდრე ნაცრისფერი კოსტუმი და ნიღაბი დაამსგავსებდა. მართლაც ფართო ფანტაზია უნდა გქონდეს, რომ აიჩრჩიო ერთი შეხედვით სრულიად სანინალმდეგო მწვანე ფერი ან დეტალი, მაგრამ სასურველ შედეგს მიაღწიო ბევრად უფრო ზუსტად და ეფექტურად. ნიღბებიც ძალიან მრავალფეროვანი აქვს; მგონი ცხოველთა არც ერთი ეგზემპლარი არ გამორჩენია. ყველა მათგანი მისივე კოსტუმით გონებამახვილურად და ღამაზად არის შესრულებული. რომელი ავიჩრჩიო? აგერ, შვლის ნუკრიც ყოფილა, მშვიდი, დანამული თვლებით ცოცხალივით იყურება. რა უმწეო, რა საყვარელი იერი აქვს.

ხელი ნუკრისკენ გავიწოდე და იქვე მის გვერდით პრინცესა დავინახე. მშვენიერი ნიღაბია, ნაზი, სათუთი ნაკვთებით და მოშვილდული გრძელი წარბებით. თავზე ჯილა ადგას, მუყაოსი, მაგრამ ისე ოსტატურად შესრულებული, რაიმე ძვირფასი გეგონება.

პრინცესას ნიღაბი სახეზე გავიკეთე და სარკესთან მივედი. თითქოს საგანგებოდ ჩემთვის გაუკეთებიათ.

— ეს მირჩევნია ყველას, — ვთქვი და მოვტრიალდი. ღამურა სადღაც გამქრალიყო.

გამაკვირვა ღამურას ასეთმა გაუჩინარებამ, აივანზე გავედი და ეზოში გადავიხედე. არავინ იყო, მერაბის გარდა (ჩემი კარის მეზობელია), თავის რძისფერ მანქანას აპრიალებდა. მერაბს განსაკუთრებით უყვარს ეს ფერი, ტანსაცმელს რძისფერს იცვამს, სახეზე რძისფერი გადასდის. ნეტავი მასაც ხომ არ ესტუმრა მწვანე ღამურა? მინდოდა მეკითხა, მაგრამ შევყოყმანდი... ისეთი

ყურადღებით შეჰყურებდა ქარსაფარ მინას და ისე უცაცუნებდა რბილ ნაჭერს, თითქოს ეფერებო მანქანასაც და მინაში არეკლილ საკუთარ ორეულსაც. საკუთარი თავივით უყვარს ეს ლაპლაპა, ოთხბორბლიანი ქმნილება... მისი ნახვა ან მანქანაში შეიძლება, ანდა თხელი ფიცრებით გადატიხრულ ჩვენს საერთო აივანზე, სადაც მთელი მონდომებით ვარჯიშობს სპორტულ ფორმაში (ისიც რძისფერია) გამონყოფილი. რაიმე სხვა საქმით დაკავებული მერაბი ჯერ არავის უნახავს, თუმცა დედამისი, ქალბატონი ელენე სულ გაიძახის, ძალიან ბევრს მუშაობსო. შეიძლება მართლაც ჩალიჩობს რაღაცას თავიანთ საიუველირო მაღაზიაში... ქალბატონ ელენეს ნატრაბახება უყვარს, ირწმუნება, შეუმცდარი თვალი მაქვსო. საკმარისია, ერთხელ გადავხედო ნაკეთობას, მაშინვე ვხვდები, ნაღია თუ არა, არანაირი ქიმიური რეაქტივები არ მჭირდება. ჩემი მერაბიკოც მე მგავს, ის კი არა და, მჯობია კიდეც, სიყალბეს ვერავინ შეაპარებსო. საერთოდ, საკმაოდ სანდომიანი ყმანვილია. ეს თვითონაც კარგად მოეხსენება და ნამდვილად ნარცისივით ტკბება საკუთარი გარეგნობით. რასაც არ უნდა აკეთებდეს, სულ სარკის ძებნაშია. როცა ვარჯიშობს, სარკმლის მინებში შეჰყურებს თავის, ქალბატონ ელენეს თქმით, ანტიკურ აღნაგობას. მანქანაში ხომ სარკეების მთელი კოლექცია აქვს, როდესაც საჭეს უზის, საკუთარ ორეულს უფრო ხშირად შეჰყურებს, ვიდრე გზას. აკი გაჭორეს კიდეც ამასწინათ ჩვენს სამეზობლოში: როცა გელაპარაკება, სადღაც შენს მიღმა იყურებო... (რა თქმა უნდა მაშინაც სარკეს ეძებს), მისი ხმაც მეტად თავმომწონედ, მუსიკალურად ჟღერსო. ბავშვობის მერე მერაბი აღარც დამლაპარაკებია (რას დაელაპარაკები... ბოლო ხმაზე ჩართული მაგნიტაფონი რომ ჩაგიქროლებს რძისფერი მანქანით...) ამდენად ვერც მისი ხმის ჟღერალობაზე მოგახსენებთ რამეს.

თუმცა... ჰო, მართლა, იქნებ მაინც შემხვედროდა მერაბი და მისი ხმაც მომესმინა, საერთო შესასვლელი რომ გვექონოდა ძველებურად. მაგრამ აი, ქალბატონმა ელენემ (ისევე და ისევე ქალბატონმა ელენემ), ცალკე შესასვლელი გაიკეთა ეზოდან, აქაოდა საერთო შესასვლელში კიბეები ძალიან ციცაბოა, მე კი გული მანუხებსო. იმ შესასვლელით ეზოს საკმაოდ მოზრდილი ფართობი მიისაკუთრა, კიბის ქვეშ გარაჟიც მოაწყო მერაბიკოს (თვითონ მუდამ ასე ეძახის) რძისფერი მანქანისთვის.

ეს ყველაფერი ერთად გამახსენდა, როცა მანქანის წმენდით გართულ მერაბს შევყურებდი და ხმის ამოუღებლად შევტრიალდი ოთახში.

„ყალბი ბრილიანტი“ ნაუკითხავი დამრჩა, უამრავი საქმე გამომიჩნდა ერთბაშად. ნილაბი ჰო, მშვენიერი მაქვს, მაგრამ კოსტუმი? მწვანე ღამურა კოსტუმებს არ არიგებდა, ამაზე მე თვითონ უნდა მემტვრია თავი. რომელი კოსტუმი მოუხდება პრინცესას ნილაბს? რა თქმა უნდა, რაიმე გამორჩეული... სასურველია გაშლილი კაბა ესპანურ სტილში, მე რომ ასე მომწონს. ჩემს გარდერობში მაგის მსგავსი არაფერი მომეპოვება. ერთი საღამოს კაბა კი მაქვს, მაგრამ მეტისმეტად უპრეტენზიოა და ამ ნილაბთან მაინცდამაინც არ გამოდგება. არადა, საღამომდე რას მოვასწრებ...

უცრად თვალში ფანჯარაზე ჩამოფარებული ღამაზი ფარდა მეცა და ჩემი ფიქრებიც იქით წარიმართინენ. მაშინვე თავი რომელიღაც პოპულარული ფილმის გმირად წარმოვიდგინე, მაგრამ რომლის, არ ვიცი. იმდენ კინოფილმში მინახავს ფარდებისაგან ნაუცბათევად კაბას რომ იკერავენ, სულ ერთმანეთში მერევა პერსონაჟები. მაგრამ არა, მე ვერ ვიქნები ფილმის გმირი. ეს ფარდა დედაჩემმა სულ ახლახანს იყიდა საკმაოდ ძვირად, ფულს კარგა ხანს ვაგროვებდით. ამაზე ფიქრიც არ უნდა გავბედო, არ დაეჭრი ფარდას, მხოლოდ ჩამოვხსნი და მდიდრული მოსასხამივით მოვიხვევ.

ერთი სიტყვით, საღამოსთვის მთელი ბინა ფარდის ნაკუნებით იყო მოფენილი, მე კი მშვენიერი, მდიდრული კაბა მეცვა, პრინცესას რომ შეეფერებოდა, ზუსტად ისეთი. უფარდო ფანჯარას რაც შემეძლო, თვალს ვარიდებდი და საკუთარ თავს შევცქეროდი სარკეში. კიდევ რაღაც მაკლია თვალში. ჰო, რა თქმა უნდა, ბრილიანტი. ვის გაუგია პრინცესა ბრილიანტების გარეშე? ნილაბს მუყაოს ჯილა რომ აქვს, კარგი იქნებოდა აქ დამემარებინა. სადღაც უნდა მქონდეს შუშის ძველი ბრჭყვიალა მძივები.

„საგანძური“ ამოვჩხრიკე, ათასნაირი ბრჭყვიალა ხარახურა, რითაც ბავშვობაში ვერთობოდი. ერთ დროს ეს შუშის მძივი კისერზე მეკიდა და ჩემი თავი დედოფალი მეგონა. შუაში მოზრდილი თვალი აქვს, თხილისტოლა იქნება. ესლა შემოგვრჩა მე და დედაჩემს, ერთ დროს კი ამ ხარახურის პატრონს, (ბებიჩემს) ნამდვილი ბრილიანტებიც ჰქონდა თურმე. იშვიათი სილამაზის ქალი ყოფილა, თანაც გადასარევად მღეროდაო, ამბობენ ჩვენს ნათესაურ წრეში, ხანდახან მასზე რომ ჩამოვარდება ლაპარაკი. თაყვანისმცემლების მთელი გუნდი ეხვია ირგვლივ ლურმე. ძალიან არეული ცხოვრება კი ჰქონია... რომანისტების ენით რომ ვთქვათ, მისი ცხოვრება შეხვედრების და განშორებების უწყვეტი ჯაჭვი ყოფილა. ძველ, ჩაცვითლე-

ბულ სურათზეც ჩანს, მართლაც რა ღამაზი ქალი იქნებოდა ერთ დროს. საღამოს კაბაში გამოწყობილს, შუბლზე ძვირფასი ბრილიანტის დიადემა უკეთია და იმ ბრილიანტებზე ნაკლებად როდი უელვარებს თვალები. სად ჩაიყლაპა მერე ის ბრილიანტები... დედაჩემის სიტყვით, პატარობისას ჩემს აკვანზე ეკიდა და იმით ვთამაშობდიო, მერე კი, როცა ნამოვიზარდე, მათი კვალიც აღარსად ჩანდაო. როცა ბებიას ამაზე რაიმეს შეეკითხებოდნენ, თურმე მაშინვე ტირილს იწყებდა, და როგორც დედაჩემი ამბობს, იმ ბრჭყვიალა ქვებს კი არ მისტიროდა... არა, მაგ ყადის ქალი არ ყოფილა, ამისთანა ჟღარუნებს კრუხებივით რომ ასხედან, თურმე იქნებ არც დაჰკარგოდა ისინი. რაღაც უსიამო მოგონებას განიცდიდა, რაც იმ ბრილიანტებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ აღარ აცივდებოდა დედაჩემი და დღემდე საიდუმლოებითაა მოცული ჩვენთვის იმ დიადემის ისტორია. ისე გარდაიცვალა ბებიჩემი, სიტყვაც არ დაუძრავს ამაზე.

როგორ გამომადგებოდა ახლა, ამ ხარახურაში რომ ერიოს ერთი იმ ბრილიანტთაგანი... თუმცა ღამაზი კი არის ეს მოზრდილი თვალი. ისე ბრწყინავს, მართლა ბრილიანტი გეგონება. სიფრთხილე მუდამ მოსდგამთ ილბლიანებს: ეს წესად იყო: როცა ძალიან ძვირფასი თვალი ჰქონდათ, მის ყალბასლს აკეთებდნენ, ვინ იცის, როგორ დასჭირდებოდათ.

თვალი ფანჯარასთან მივიტანე. მართლა როგორ ელვარებს... მზის სხივები ცისარტყელასავით ნაირფერ კონებად შეკრა და ამ კონებს ხან ერთმანეთს გადააქსოვს, ხან სხვადასხვა კუთხით გაშლის იმის მიხედვით, თუ როგორ შემოვატრიალებ ხელის გულზე. მართლა ღამაზია, წვიმის წვეთივით ღამაზი.

იქნებ მართლა ნამდვილია... ხომ არ ვაჩვენო ქალბატონ ელენეს? არა, მე მგონი არ ღირს. თითქოს ჩამესმა კიდეც მისი დამცინავი ხმა: „როგორიც პრინცესაა, ბრილიანტიც ისეთია“.

„ბრილიანტი“ წვრილ მავთულზე ავაგე და მუყაოს ჯილაზე დავამაგრე.

— აი, ახლა კი ნამდვილი პრინცესა ვარ, — ვთქვი ხმამაღლა, როცა ჩემი გამოსახულება კარგად დავათვალიერე სარკეში, — შემეძლია ნავიდე კარნავალზე და იქაუცილებლად შევხვდები ზღაპრულ პრინცს. მე, როგორც ნამდვილი პრინცესა, მხოლოდ პრინცთან თუ ვიცეკვებ, სხვასთან არავისთან.

ფერიების ბალი ასეთი ღამაზი არასოდეს მენახა. ყოველთვის მომწონდა ეს



ბალი; განსაკუთრებით მიზიდავდნენ ფერიების ნაირნაირი ქანდაკებები, რომლებიც მთელ ბაღში იყვნენ მიმოფანტულნი. ძალიან კარგად ეხამებოდნენ კოხტად გაკრეჭილ ბუჩქნარს თუ მაღალ, მოშრიალე ხეებს. აქ იყვნენ ზღვის თევზისკუდიანი ფერიები, უცნაურად მორკალულებს ქერეჭი ვერცხლისფრად უელვარებდათ. ხელფრთიანი მომღიმარე ქერუბიმები თითქოს სულ ერთი წამით ჩამომსხდარიყვნენ ქვის მკვიდრ კვარცხლბეკზე და საცაა ისევ აფრინდებოდნენ. ტყის თმებგაშლილ ალებს ისე მრავლისმეტყველად გაენვდინათ ხელები, თითქოს რაღაც საიდუმლო რიტუალს ასრულებდნენ. და სხვა მრავალი... მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ყველა მათგანი რომელიმე ერთ პოზაში გარინდული მახსოვდა, ახლა კი, სადღესასწაულო ფერადი განათების ზღვაში, ნაირნაირი ფანტასტიკური ნიღბებით და კოსტუმებით შემოსილი ხალხის გარემოცვაში, ისინი თითქოს გაცოცხლდნენ, თავიანთ მშობლიურ სტიქიაში იგრძნეს თავი. ირგვლივ ყველაფერი ზღაპრული იყო, უჩვეულო და განსაკუთრებული. არაფრით ჰგავდა ეს საღამო სხვა, ჩვეულებრივ საღამოებს. აქ ყველა ზღაპრის გმირად გრძნობდა თავს. არავის გაუკვირდებოდა, უცბად რომელიმე ფერია რომ ჩამოსულიყო კვარცხლბეგიდან და საცეკვაოდ გაენვია. არც არავინ იტყოდა უარს ფერიასთან ცეკვაზე.

სხვისი არ ვიცი, მე კი ნამდვილად ფერიასთან თუ ვიცეკვებ ალბათ. რა ხანია ვათვალისწინებ და ამდენ ნიღბებში ერთი პრინციც არ ჩანს, სხვასთან კი არ ვიცეკვებ, არა და არა! აგერ, მეფისტოფელი მეპატიჟება, ნითელ, დიდებულ კოსტუმში გამონყობილი. თამამი ჟესტით მიწვდის ხელს; მოდი, პრინცესა, ჩემთან იცეკვე! — ხმაც შესაფერისი ჰქონია, ბოხი, შთამაგონებელი.

- არა.
- რატომ?
- მე მხოლოდ პრინცესასთან თუ ვიცეკვებ, სხვასთან არავისთან.
- შენ თვითონ ნამდვილი პრინცესა ხარ?
- რა თქმა უნდა, ნამდვილი. ათი ლეიბის ქვეშ ბარდის მარცვალისგან რომ დამიდონ, იმასაც კი ვიგრძნობ.
- მერე სად ნახავ ნამდვილ პრინცესას, სადღა არიან... ისევ გირჩევნია, ჩემთან იცეკვო.

ეჰ, მგონია მართლაც აღარ არიან ნამდვილი პრინცესები და მარტო მომიწევს ყოფნა ამ კარნავალზე. მერე რა მხიარულება! თითქოს ყველას პირი შეუკრავს, სხვა დანარჩენი ყველაფერი დაივიწყონ და რაც შეიძლება დიდებულად გაატარონ ეს საღამო. ფე-

რადი ნათურებით განათებული შადრევანის ირგვლივ ისეთი ფერხული გაუჩაღებიათ, მათ მაყურებელს თავბრუ მეხვევა. რა კარგია! მაგრამ ამ ნაირფერ ნიღბებში ისე დავდივარ, თითქოს ტყეში დაკარგული ბავშვი ვიყო, ირგვლივ კი ადამიანების მაგივრად რაღაც უცხო არსებები იყვნენ და მე არაფრით არ შემიძლია მათთან საერთო ენის გამონახვა.

უკვე საბოლოოდ დამეკარგა იმედი, დათმობაზე წასვლაც არ მინდოდა და ცუდ გუნებაზე მყოფმა სახლში დაბრუნება გადაწყვიტე.

და სწორედ ამ დროს (მხოლოდ უდიდესი სასონარკვეთის ჟამს ხდება უდიდესი გარდატეხა, ასე წამიკითხავს წიგნებში) დავინახე ნამდვილი პრინცი, ვაჟკაცური და საოცრად მოხდენილი ერთსა და იმავე დროს. აღმოსავლური კოსტუმი აცვია, ათას ერთი ლამის პერსონაჟს ჰგავს. თავზე ჩალმა ახურავს, ჩალმა ახე დიდი ბრილიანტი უბრჭყვიალებს. იმანაც დამინახა და მგონი გამიღიმა, რამდენადაც ნიღბის მიღმა ამის დანახვა შეეძელი. სახეც მეტად სიმპათიური უნდა ჰქონდეს, ხმის ამოღებასაც არ ვაცლი, მაშინვე შეტევაზე გადავდივარ:

— რატომ არ ცეკვავთ, მარტო რადა ხართ?

— მე მხოლოდ პრინცესასთან თუ ვიცეკვებ, სხვასთან არ შემიძლია. მთელი საღამო დავდივარ და დავეძებ პრინცესას, როგორც იქნა, გნახეთ. (ოჰო, ხმაც ისეთი შთამბეჭქდავი ჰქონია, როგორც იერი; რბილი, მუსიკალური, შეიძლება ითქვას, შთამაგონებელი.)

— თქვენ წარმოიდგინეთ, მეც მაგ დღეში ვარ, ამდენ ხალხში სრულიად მარტო ვგრძნობ თავს, — შევჩვილე მე.

— ჩვენს მარტოობას ბოლო მოელო, (ო, როგორ მოუხდა ამ სიტყვებს შთამაგონებლად მჟღერი ხმა...) — ხელი ჩამჭიდა და საცეკვაოდ გამაქანა. ახლა კი ნამდვილად გაცოცხლდნენ ფერიები. ამოძრავდნენ, აცეკვდნენ, აყვნენ მუსიკით და სინათლით დამუხტულ, გაჯერებულ ჰაერს. სადღაც ზღაპრული ქვეყნისკენ გასწიეს ფრენით და ჩვენც თან გაგვიყოლეს.

როცა სული მოვითქვით, ბალის მყუდრო, მწვანე შუქით განათებულ კუთხეში აღმოვაჩინეთ ჩვენი თავი. მუსიკა და მოცეკვავეები სადღაც შორიახლოს გუგუნებდნენ. იქვე, ჩვენს გვერდით, მოზაიკისნაპირებიანი მომცრო აუზის შუაგულში თევზისკუდიანი ზღვის ფერია მორკალულები, ორივე ხელით მოზრდილი ნიჟარა ეჭირა და ისეთი ყურადღებით დაჰყურებდა, თითქოს მარგალიტს დაეძებდა მის სიღრმეში. ვინ იცის, იქნებ მართლა იდო იქ რაიმე ძვირფასი თვალი, თუნდაც მარგალიტი. მწვანე სხივების

ზღვაში ჩაძირულ ფერიას ისეთი იდუმალი და მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველება ჰქონდა...

ოდნავ სუნთქვააჩქარებულებმა მწვანე შუქზე იჩქითად შევათვალაირეთ ერთმანეთი და რაც ენაზე მომადგა, ის კითხვა დაუესვი:

— რომელი სკოლა დაამთავრეთ?

პრინციმა გაოცებით მომაპყრო ნიღბიანი სახე;

— მე სკოლა არ დამიმთავრებია, ჩემო პრინცესა, კერძო პედაგოგები მასწავლიდნენ! — და გამოჩენილ მეცნიერთა გვარების კორიანტელი დააყენა.

ერთი ამას დამიხედეთ! დაიცა, გიჩვენებ სეირს.

— აჰა, გასაგებია, ნამდვილი არიფი ყოფილხართ.

— როგორ თუ არიფი. მე ხომ ადამიანური სიბრძნის ყველა საფეხურს ვარ განდობილი. მეცნიერების და ხელოვნების ყველა უახლეს მიღწევას ვიცნობ, თანაც ისე ამომწურავად, თვით ავტორებსაც გაუზნევი მეტოქეობას.

— ეს კარგია, მაგრამ ცხოვრებას ხართ მოწყვეტილი. დარწმუნებული ვარ, დამოუკიდებელი აზროვნების და მოქმედების უნარი სრულებით არ გაგაჩნიათ. თქვენ რომ გიყურებთ, ასე მგონია პატარა სანიმუშო ბიჭუნას შეყურებდე, რომელიც მხოლოდ დედიკოს უჯერებს და რასაც უბრძანებენ, მხოლოდ იმას აკეთებს, საკუთარი ნებასურვილით კი ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შეუძლია. რაიმე დაუფიქრებელი, წინასწარ განუსჯელი მოქმედების ჩადენაზე ხომ ოცნებასაც ვერ გაბედავთ.

ოდნავ შეცბუნებული პრინცი ყურადღებით მისმენდა, მე ჩემსას მივერეკებოდი.

—...არაფერს არ ვაფასებ ადამიანში ისე, როგორც რისკიან, თავისუფალ ხასიათს. უნდა შეგეძლოს ხანდახან თვალდახუჭული გადაეშვა სადღაც... ხომ გინახავთ, ჩანჩქერი რომ ეშვება კლდიდან, აი ისეთი თავზეხელაღებით. უამისოდ ცხოვრება ისე მოსაწყენია, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ფანჯრიდან გადახტე, მაგრამ ვაი, რომ ყველა ფანჯარას ოქროს გისოსები აქვს აკრული.

— თქვენ თუ შეგიძლიათ, პრინცესა, რაიმე წინასწარ განუსჯელი, დაუფიქრებელი საქციელის ჩადენა! — ისეთი გულმხურვალეებით მკითხა პრინციმა, სიცილი ძლივს შევიკავე. არა უშავს რა, კარგად ასრულებს თავის როლს.

— მაგას რალა კითხვა უნდა, თავისთავად ცხადია, შემიძლია. ჩემი სტიქიაა, ვიყო მუდამ სტიქიასავით დაუდევარი და დაუფიქრებელი. აი მაგალითად, მე შემიძლია გავიპარო იმ მოოქროვილი გალიიდან, სა-

დაც დავიბადე და გავიზარდე. შემიძლია ინკოგნიტოდ ვიარო, სადაც კი მოვისურვებ და რომ იცოდეთ, ეს ჩემთვის ძალიან დიდი ბედნიერებაა. ამ დროს სულიერად ვისვენებ ხოლმე. თქვენ კი, ნამდვილად ვიცი, ძალიან გაგიჭირდებათ გაპარვა, კიდევ რომ მოგსვლოდათ თავში ასეთი რამ.

ამაზე პრინცს მგონი გუნება შეეცვალა და სევდიანი ხმით მიპასუხა:

— მართალი ხართ, ჩემო პრინცესა. მეც ვცაღე რამდენჯერმე, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვახერხე გაპარვა, ჩემმა მშობლებმა ყოველი ჩემი ნაბიჯი იციან. ინკოგნიტოდ ჯერ არსად მივლია. აგერ, ის ორი ნიღაბი, — მან ლომისნიღბიანებზე მიმითითა, ნელ-ნელა რომ ჩაგვიარეს შორიახლოს და მგონი გადმოგვხედეს კიდევ, — მე დამდევენ, თვალს არ მაშორებენ.

ოჰო, ჰო, რა მარჯვე ცრუპენტელაა.

— მებრალებით, ძალიან მებრალებით. არაფერია უფრო მტანჯველი, ვიდრე სულ ვილაცის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა. აი, მე კი არავინ დამდევს ახლა, არავინ იცის, სად ვიმყოფები, თანაც პრინცესას ნიღბით. ეს ნიღაბი განგებ ამოვირჩიე. არავის მოუვა აზრად, რომ მართლაც ნამდვილი პრინცესა ვარ. ყველას ასე ჰგონია, მხოლოდ ნიღაბი მიკეთია და მეტი არაფერი. ეს ბრილიანტიც ყველას ყალბი ჰგონია, ამ დროს ნამდვილი ბრილიანტია, ძალიან ძვირფასი. საკუთარი სახელიც კი ჰქვია: „ჩრდილოეთის ციალი“.

— ეს კი „სამხრეთის ჯვარია“, — მიმითითა პრინციმა თავის ბრილიანტზე.

თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოს!

ასეთი საუბრით ნელ-ნელა ისევ ხალხმრავალ ადგილებში გამოვედით. პრინცი შეფიქრიანებულივით გაჩუმდა, მეც არვიღებდი ხმას, გაბუტულებივით მივაბიჯებდით. ამ ყოფით მივადექით გაზიანი წყლის ფარდულს, სადაც უამრავი ნიღაბი ირეოდა. იყო ერთი ჯიკავ-ჯიკავი და მიწე-მონევა. პრინციმა მარჯვედ გაიკვლია გზა ხალხის ტალღაში, გაზიანი წყალი იყიდა და მომირბენინა. აქ მგონი ნაცნობები ნახა, ვილაცებებს ელაპარაკება. ის ორი ლომისნიღბიანიც დავინახე. წყალს ნელ-ნელა ვსვამდი და ვფიქრობდი: როგორ ახსნის პრინცი ლომისნიღბიანებთან დიალოგს. ალბათ, სასწრაფო სახელმწიფო საქმე, ან რალაც ამდაგვარი... ვნახოთ, რას მოიფიქრებს, მეც აქ ვარ, ვეცდები არ ჩამოვრჩე. ნეტავი სად გაქრა? აგერ, ვილაც პატარა ბიჭს ელაპარაკება, პატარა ბარათი გადასცა და ჩუმად რალაც უთხრა. მგონი ბიჭსაც უყიდა ერთი ჭიქა ორმაგსიროფიანი წყალი. ხომ ისეთი ჭედვა და ღრიანციელი იყო, მაინც შევამჩნიე, რომ პრინცი თავის მოქმედების შენიღბვას ცდილობდა. ნეტავი რა ჩაიფიქრა?

გამოვცდით იმ ხმაურიან ფარდულს, ისევ მყუდრო ხეივანებს მივაშურეთ. პრინცი ხმისამოუღებლად მოაბიჯებს, რაღაცაზე მწუხარედ ჩაფიქრებულია. მერე ერთი ისე ამოიოხრა, თითქოს გულიც თან ამოაყოლო და თქვა:

— ეჰ, თქვენსავით რატომ მეც არ შემიძლია ხანდახან მაინც დავალწიო მათ თავი?

— გინდათ? ერთად ვცადოთ.

— როგორ?

— სულ უბრალოდ. აი, ამ ხეივნის ბოლოს გვირაბი იწყება, ის გვირაბი პირდაპირ ქუჩაში გადის. იქ მანქანაში ჩავჯდეთ და გავიპაროთ.

— გავიპაროთ და სადმე ოკეანეში კუნძული ვიყიდოთ! — ჩამომართვა სიტყვა აღფრთოვანებულმა პრინცმა, — ნამდვილ ზღაპრულ სამოთხეს მოვანყობ იქ, თქვენ კი ჩემი დედოფალი იქნებით.

— დიდი ბედნიერებაა ეს ჩემთვის, მაგრამ ჯერ იქამდე მივალწიოთ, — ვთქვი და ხეივნის ბოლოსაკენ გავიქეცი. პრინცი ბავშვით მომყვა. ცოტა ხნით ჩაბნელებული ხეივნის უკან დავიცადეთ, რათა მეთვალყურეებისათვის კვალი ავგებნია. დავინახეთ (მართლა როგორ ემთხვევა ყველაფერი ერთმანეთს წინასწარ ჩაფიქრებულ მიზანსცენასავით), რა შეშფოთებით აწრიალდნენ და სადღაც გაძვრნენ. ჩვენ სასწრაფოდ გვირაბში შევრგეთ თავი და უკანმოუხედავად გავიქეცი. გვირაბის ბოლოს ცარიელ ქუჩაში ცარიელი ტაქსი თითქოს საგანგებოდ ჩვენ გველოდებოდა.

— რა კარგია, გაპარვა რომ მოვახერხეთ, ამას თქვენ უნდა გიმაძღოდეთ, პრინცესა! — თქვა გახარებულმა პრინცმა. მე არ გამიზიარებია მისი აღფრთოვანება, ჩემსას ვფიქრობდი: ტაქსში, რა თქმა უნდა, არ ჩავჯდები. რისი მომიზეზება აჯობებს? სასწრაფო შეხვედრა მთვარის სამეფოს ელჩებთან... ანდა მანქანა... ჰო, მანქანა უფრო ნაღვია. ესლა მაკლია, ამ დანჯღრეულ ტაქსში ჩავჯდე! სადაა თქვენი ეკიპაჟი? თქვენ დიდებული ბრწყინვალე მანქანა უნდა გემსახურებოდეთ, ახალთახალი და რძისფერი, აუცილებლად რძისფერი. ასფალტზე ისე უნდა მისრიალებდეს, როგორც ციგა მოლიპულ ცინულზე.

პრინცმა სახელურს მოჰკიდა ხელი. მე ერთი ღრმად ჩავისუნთქე ჰაერის მარავისათვის და ის იყო ხმამაღლა უნდა გამომეცხადებინა ჩემი აღშფოთება, რომ ვილაც პატარა ბიჭმა მოირბინა და პრინცს ბარათი გაუნოდა, ეს თქვენთან გამომატანესო. აშკარად შეშფოთებულმა პრინცმა გამალა ბარათი, ნაიკითხა და თავი სევდიანად ჩაჰკიდა.

— არა, იმედი აღარ მაქვს, ვერასოდეს

დავალწე თავს, — ჩაილაპარაკა ჩავარდნილი ხმით.

— რა მოხდა?

— აჰა, ნაიკითხეთ რას მწერს მამაჩემი.

„ჩემო ბიჭუნა, როცა დედამინის ირგვლივ სამოგზაუროდ წასვლას დააპირებ, არ დაგავინყდეს კბილის ჯაგრისის წაღება. იგი შენს სანოლ ოთახში, პატარა ტუმბოს მარჯვენა უჯრაში დევს“. განა ეს საოცარი არ არის?

— მართლა საოცარია, — ვთქვი მართლა გაცეცხულმა და დაბნეულმა, ძალიან მარჯვე პარტნიორი შემხვდა. აი, თურმე რა გადასცა იმ პატარა ბიჭს ფარულად.

— ახლა სხვა გზა არაა, — განაგრძო პრინცმა ისეთივე ტონით, — სასწრაფოდ უნდა ვეახლო მამაჩემს: ხვალ აუცილებლად გნახავთ, ჩემო პრინცესა, აუცილებლად, ახლა კი ნება მიბოძეთ, დაგემშვიდობოთ.

ამ სიტყვებით პრინცი მანქანაში ჩაჯდა და კარი მიიხურა. მართლაც კარგა დანჯღრეული მანქანა გამოდგა, სამჯერ მოუხდა კარების მიჯახუნება, რათა როგორმე დაეკეტა.

— ყველას როდი აქვს ინკოგნიტოდ სიარულის უნარი, — როგორც იქნა გამოვფხიზლდი მე, — ეს მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულის ხვედრია.

— იქნებ, მეც შევძლო ოდესმე მაგ რჩეულთა შორის მოხვედრა, — მეოცნებესავით თქვა პრინცმა და გაქრა.

მეორე დღით, თვალი გავახილე თუ არა, მაშინვე უფარდო ფანჯარა შემეჩხირა თვალში და საზიზღარ გუნებაზე დავდექი. ეს რა სისულელე ჩავიდინე; იმისთვის დავჭერი ეს მშვენიერი ფარდა, რომ მთელი საღამო ვილაც ცრუპენტელასათვის მეგდო ყური. როგორღა დავხვდე დედაჩემს, რა მეშველება? ამ ფიქრებით შენუებულს იქვე მაგიდაზე გამომწვევად დადებულმა პრინცესას ნილაბმა და „ჩრდილოეთის ციალმა“ თითქოს მდულარე გადამასხეს. „თქვენლა მაკლდით“. — ვთქვი გაღიზიანებულმა, — „თქვენ მაინც მოვივლით, როგორც საჭიროა“. ჯერ დავაპირე სანაგვე ყუთში ჩამეყარა, მაგრამ გადავიფიქრე და ეზოში მოთამაშე ბავშვებს გადავუყარე, აჰა, ითამაშეთ-მეთქი. პრინცესას ნილაბი ნინიკომ დაიჭირა და გახარებულმა მაშინვე გაიკეთა. ბრილიანტი ასფალტზე გაგორდა. ვილაც ბავშვმა ხელი დაავლო და თამაშიც გაჩაღდა. ასეთ ცუდ გუნებაზე მყოფს მათი გახარებული სახეების ყურება და წკრიალა სიცილის გაგონება ძალიან მესიამოვნა და თვალს ველარ ვაშორებდი. ბრილ-

იანტს ჯერ, როგორც პატარა ბურთს, ისე აგდებდნენ მალლა და გამარჯვებულიც ის იყო, ვინც დაიჭერდა. მერე ჩოგანით ითამაშეს, თითქოს პინგპონგის ბურთი იყო. როცა ესეც მობეზრდათ, მიზანში სროლა დაიწყეს ბრილიანტით. აი, ფათერაკები მაშინ დატრიალდა. ბრილიანტი ბელურას დაუმიზნეს, დამშვიდებით რომ იქექებოდა თავისთვის, მაგრამ ასცდა და დეიდა მარგოს შუშაბანდს დაეჯახა ტკაცანით. შუშა გატყდა. დეიდა მარგომ მოთამაშე ბავშვები წყველა-კრულვით აიკლო, როცა შუშის ნამტვრევებს სანაგვე ყუთში ყრიდა. მერე ბრილიანტი ბიძია აბელს მოხვდა პირდაპირ შუბლზე, როცა სარკის წინ წვერს იპარსავდა. ბიძია აბელმა აიღო ბრილიანტი და რაც შეიძლებოდა შორს მოისროლა. ბიჭებმა ისევ იპოვეს და ნამცეცა პაატამ სახლში გააქანა, მაგრამ დედამისმა სახლიდან ცემა-ტყეპით გამოაგდო, სახლი ნაგვით თუ ამივსეო.

კიდევ კარგი, მერაბის რძისფერი მანქანა არ იდგა ეზოში, თორემ იმდენი სარკეებიდან ერთ-ერთი მაინც შეენირებოდა „ჩრდილოეთის ციალი“.

ბოლოს ბავშვებს თამაში მობეზრდათ, ნილაბი და ბრილიანტი შუა ეზოში მიაგდეს და თვითონ სადღაც მიიმალნენ. ეზოში მეზობლის ქალი სარეცხს რეცხავდა, ჭუჭყიანი წყალი პირდაპირ ასფალტზე გადმოღვარა. წყალმა აატივტივა ნილაბი და ბრილიანტი, წყლის ჩასადენ ჭასთან მიიტანა და იქ ნაპირზე თითქოს საგანგებოდ შემოასკუპა. აივნისგან ვუყურებდი, ჩავარდებოდა თუ არა ბრილიანტი ჭაში. არა, არ ჩავარდა, იღო ისე ზღვის კენჭივით. მეც მივანებე თავი მის ყურებას და სახლში შევბრუნდი. ისევ ჩემს გაჭირვების ტალკვესს, ბუხარს მივუბუნდი. ცეცხლის პირას იქნება რაიმე მოვიფიქრო.

მართლაც, ცეცხლის გუზგუზა ხმამ და ნაპერწკლების მხიარულმა ტკაცვა-ტკუცმა თავისი ჰქნეს. უსიამოვნო ფიქრები თითქოს შემასთან ერთად ჩაიწვინენო, სულ მალე მათგან აღარაფერი დარჩა. არა, ცეცხლის ხმას მართლაც არაფერი შეედრება ამ ქვეყნად. მეტად სასიამოვნო, მსუბუქი განცდა დამეუფლა. უფრო კარგად შევუკეთე ბუხარს, სულ ვუმატებდი და ვუმატებდი შემას, სანამ ნაკვერჩხლებმა მზესავით თვალისმოძქრელად არ დაიწყეს ბრწყინვა.

მოულოდნელად ყვავის ჩხავილივით უსიამოვნო ხმამ ყველაფერი ნაბილნა:

— ეს ნაგავი აქ ვინ დაყარა?

დეიდა მარუსიას ხმაა, მთელი ეზოს ბატონ-პატრონის და მბრძანებლის. მის სიტყვებს პაუზა მოჰყვა, ალბათ ხმადაბლა მიანოდეს ინფორმაცია ჩემს შესახებ.

— კეთილი ინებოს და ჩამობრძანდეს,

ახლავე მოაშოროს ეს ნაგავი აქედან!

ვიცი, არაფრით არ გაჩერდება, მორჩილად ჩავდივარ ეზოში, დოინჯშემოყრილი მარუსიას წინ ვიხრები, ვიღებ იმ ბედნავს ნილაბს და ნამოსასვლელად მოვტრიალდები.

— ამას ვის უტოვებ? — თვალებით მანიშნებს ბრილიანტზე. გეგონება, ძალიან ამძიმებს აქაურობას. ამასაც ვიღებ და მოვდივარ.

— მე რომ არ ვიყო, აქაურობას ვინ იცის, რას დაამსგავსებდნენ — ამბობს დეიდა მარუსია, კამფეტს პირში იდებს, კამფეტის ქალაღდს ჩუმად აგდებს ძირს და გამარჯვებული სახით შედის სახლში.

საბრალო პრინცესა, ნუთუ არავის სჭირდება, არც შენ და არც შენი „ჩრდილოეთის ციალი“. არა, აღარ გადავყრი, გავრეცხავ და შევინახავ ყველას ჯინაზე.

გარეცხილი, გაბრწყინებული „ჩრდილოეთის ციალი“ ბუხრის წინ პატარა მაგიდაზე დავდე, პრინცესას ნილაბი კი აივანზე გაჭიმულ თოკზე გადავკიდე გასაშრობად. პრინცესას სახეზე წყლის წვეთები ცრემლებივით ჩამოსდიოდა და ძირს ასფალტზე ეცემოდა. ერთი წვეთი მერაბს დაეცა თავზე, რომელიც სწორედ ამ დროს შემოსრილდა თავისი დიდებული მანქანით ეზოში, და სწორედ ჩვენი აივნის ქვეშ გადმოვიდა მანქანიდან. მეორე წვეთი მგონი საყელოში ჩაუვარდა, ხელი მოისვა კისერზე და თავი მალლა ასწია. ვითომც არაფერი დამინახავს, მტირალ პრინცესას გადავხედე და ოთახში შევბრუნდი.

„ჩრდილოეთის ციალი“ კიდევ უფრო მეტი დიდებულებით ბრწყინავდა გაღვივებული ნაკვერჩხლების შუქზე. მართლა რა ლამაზი რამეა... გამახსენდა ძველებურ წიგნებში ნაკითხული ამბავი, ვიღაც დედოფალი ბრილიანტებს ცეცხლში რომ ყრიდა. ისინიც ინვოდნენ და დედოფალი ამით ძალიან კარგად ერთობოდა. თუ „ჩრდილოეთის ციალი“ ნამდვილი ბრილიანტია, მაშინ ესეც დაინგება ცეცხლში ჩაგდებისას, ნახშირად იქცევა. ბრილიანტი ხომ ნახშირის ალოტროპიული სახეცვლილებაა... თუ ნამდვილი არაა, მაშინ არ დაინგება. ამ ფიქრებში გართულს ჩემს თავზე გამეცინა, „ჩრდილოეთის ციალი“ ნამდვილი ბრილიანტი რომ იყოს, მაშინ მართლა იქნებოდა შესაძლებელი მის ფასად კუნძულის ყიდვა. ეს ისეთივე ბრილიანტია, როგორც მე ვარ პრინცესა... ეჰ, რა იქნებოდა, როგორმე ნამდვილი ბრილიანტი შეენახა ბეზიჩემს ამ სათამაშოს ნაცვლად.

უცბად კარებზე კაკუნის ხმა შემომესმა.

— შემოდი, — გავძახე. ალბათ ნინიკო იქნება, ბრილიანტი მოენატრებოდა. კარები

გაიღო და ნინიკოს ნაცვლად ჩემს თვალწინ რძისფერებში გამოწყობილი მერაბი აისვენა. რბილანწიანი სპორტული ფეხსაცმელებით სრულიად უხმაუროდ შემოვიდა ოთახში.

— ეს ნილაბი შენია? — მკითხა და სადღაც ჩემს მიღმა გაიხედა. იქ ბუხარია, ბუხარში თავის თავს ვერ დაინახავს.

— ჩემია, — ვთქვი და მის ხმას, მულერსა და მუსიკალურ ხმას მივაყურადე. მაშინვე მეცნაურა რაღაც.

— კარგად კი ასრულებდი შენს როლს, — თეთრი კბილები გააელვარა მერაბიმ.

— რომელ როლს?

პასუხად ჯიბიდან პრინციის ნილაბი ამოიღო. საეჭვო აღარაფერია, ამასაც ესტუმრა მწვანე ლამურა. ჩანს, მაშინვე მიცნო, მე კი... ჰმ... რაღა მე და რაღა პატარა ნინიკო. დედაჩემიც ხომ ასე ამბობს ხოლმე...

ძალიან გავბრაზდი საკუთარ თავზე, მერაბის დამცინავმა იერმა ხომ ცეცხლი წამიკიდა... რაც შემექლო ოფიციალური სახე მივიღე და ვუთხარი:

— არ ვიცი, რომელი როლის შესახებ ლაპარაკობთ.

— პრინცესას როლის, — ენა მომიჩლიქა.

— არავითარ როლს არ ვასრულებდი, მე ნამდვილი პრინცესა ვარ.

— მართლა? — გულგრილად მკითხა და ბუხარს თვალი მოაცილა, სადღაც მარცხნივ გადაიხედა. იქ კედელზე მინაში ჩასმული სურათი ჰკიდა, შეიძლება მოახერხოს საკუთარი ცხვირ-პირის დანახვა.

— დიახ, — ვუპასუხე ლაკონურად და ვცადე რაც შეიძლება მეტი სიმკაცრე მიმეცა ხმისთვის.

— ის ბრილიანტიც... რა ერქვა? „ჩრდილოეთის ციალი...“ ნამდვილია, არა?

— თქვენ, როგორც ჩანს, ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებთ ყალბს და ჭეშმარიტს. პატიოსანი თვალი ვერ ამოგიცვნიათ...

— ბევრი გაქვს მაგისტანა „ჭეშმარიტი“ ბრილიანტი? — სიტყვა „ჭეშმარიტს“ ირონიულად გაუსვა ხაზი.

— ძალიან ბევრი. და ხანდახან იმით ვერთობი, რომ მათ ცეცხლში ვყრი

— მერე, იწვიან ცეცხლში? — ახლა მარცხნივ გაიხედა მერაბმა. იქ ლაქით გაპრიანებული ბიურო დგას, ნამდვილად მოახერხებს საკუთარი სახის დანახვას.

— იწვიან. აი, ნახეთ, თუ არ გჯერათ.

ამ სიტყვებით ხელი დავავლე მაგიდაზე დადებულ „ჩრდილოეთის ციალს“ და ბუხარში მოვისროლე. მერაბმა აღმაცერი ღიმილით გადაიხედა ისევ ბუხარისკენ. მე ჩუმად ვიდექი, თვალი ცარიელ სივრცეს გავუშტერე ისე, რომ მერაბის სახესაც კარგად ვხედავდი. ვიდექი

და თან იმაზე ვიმტვრევდი თავს, რითი გამეგრძელებინა ეს პაექრობა, რა მეთქვა, როცა ბრილიანტის სიყალბე გამომულავნებოდა. მოდი, ვეტყვი; ალბათ, ჩუმად შემიცვალე. ეს შენი „სამხრეთის ჯვარი“ იქნება, ჩალმაზე რომ გქონდა დამაგრებული, ჩემი „ჩრდილოეთის ციალი“ კი ნამდვილი იყო-მეთქი. დიდი ვერაფერი შვილი ხუმრობა გახლდათ, მაგრამ მეტი არაფერი მომდიოდა თავში.

უცებ ვხედავ, ბუხარზე თვალმიშტერებულ მერაბს სახე შეეცვალა, ნაქანდაკევი ანტიკური ნიკაპი გვერდზე მოეღრიცა, უკიდურესად გაფართოებულ თვალებში შიში და გაოცება გამოეხატა. რა მოხდა-მეთქი, შემინებულმა მეც მივიხედე ბუხარისკენ და რას ვხედავ; „ჩრდილოეთის ციალს“ ცეცხლი მოსდებია და იწვის, მართლაც ნამდვილი ბრილიანტივით იწვის.

მერაბი უძრავად იდგა გაოგნებული, სანამ ბრილიანტი სულ ერთიანად არ ჩაიწვა. ვერც მე მოვდიოდი გონს. მაშინლა გამოვფხიზლდი, როცა „ჩრდილოეთის ციალისაგან“ ნახშირის პატარა გუნდა დარჩა.

— აბა, ვნახოთ, თქვენი „სამხრეთის ჯვარი“ თუ დაინვება. გადააგდეთ ცეცხლში! — ვეცადე ნამდვილი დედოფალივით მეთქვა, მაგრამ ხმამ აშკარად მილაღატა, ბოლო სიტყვაზე მაინც...

ჩემს სიტყვებზე მერაბმა თვალი მოაცილა ბუხარს და შემომხედა... შემომხედა გამოცარიელებული, თავზარდაცემული თვალებით. რამდენიმე წამს ისე მიყურა, თითქოს თავის სიცოცხლეში პირველად მხედავსო, მერე უცბად მიტრიალდა, გარეთ გავარდა და სულ ბრახაბრუხით ჩაირბინა კიბეები. რანაირად ატეხა იმ რბილანწიანი ფეხსაცმელით ისეთი ბრახაბრუხი, დღესაც გაუგებარია ჩემთვის. გავიგონე მანქანის კარების ჯახუნი. ისეთი ძალით ჩართო მოტორი, მთელი სამეზობლო გარეთ გამოეფინა. მეც გავედი აივანზე, იქ უკვე მუხლებმაც მილაღატეს, ჩემსკენ ცნობისმოყვარეობით თვალმოპყრობილი მეზობლების თვალწინ ჩავიკეცე. მთელი ეს სცენა, ალბათ, რაღაც იაფფასიან დადგმას ჰგავდა...

როცა თვალი გავახილე, თავზე ექიმი მადგა, მთელი ბინა მეზობლებით იყო სავსე.

— თავს როგორ გრძნობ? — მკითხა ექიმმა.

— არა მიშავს, — ვთქვი მე, — მაგრამ ბრილიანტი დაინვა. ისეთი ძვირფასი, ნამდვილი ბრილიანტი.

— რა ბრილიანტი?

მეც ყველაფერი მოვყევი. როცა დავამთავრე, ბინა სულ მთლად ცარიელი აღმოჩნდა, ექიმის გარდა ყველა გაპარულიყო.

— დასანანია. — ამოიოხრა ექიმმა.

— ასეთი შემთხვევა ადამიანს ერთხელ თუ მიეცემა სიცოცხლეში. ხდება ხანდახან, რომ ნამდვილი ბრილიანტი ჩაგივარდება ხელში, მაგრამ ვერ ვამჩნევთ მის ღირსებას და დაუფიქრებლად ცეცხლში ვისვრით. თუმცა რას იზამ, ძალიან ძნელია დღეს ერთმანეთისაგან გაარჩიო ყალბი და ნამდვილი. თუ ბრილიანტი მტვერში გდია, ვერავინ ამჩნევს მის ღირსებებს. თუ მეფეთა გვირგვინს ამშვენებს, მაშინ არავის შეეპარება ეჭვი მის მაღალ ღირსებაში. მაგრამ საქმე სწორედ იმაშია, მაშინ შეამჩნიო ბრილიანტი, როცა იმ მტვერში გდია.

ამ გრძელი ტირადის შემდეგ ექიმმა რალაც წვეთები დამალევიანა და წასვლა დააპირა, მაგრამ ველარ წავიდა...

სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა მთელი ღამე იდგა ჩვენი ეზოს შესასვლელთან. მძღოლს თავი საჭეზე ჩამოედო და არხინად ხვრინავდა, ექიმი კი ბინიდან ბინაში დარბოდა. ყველა მეზობელი ერთბაშად ცუდად გახდა, ყველას წნევამ აუნია. მარგო დეიდამ ტირილით და მოთქმით ამოქექა სანაგვე ყუთიდან შუშის ნამტვრევები, მაგიდაზე დაანყო და სასოებით შეჰყურებდა:

— ბრილიანტმა დაამსხვრია ეს შუშები! — მოთქვამდა იგი, — რატომ ხელი არ ვტაცე იმ ბრილიანტს, რა ვიცოდი...

ბიძია აბელს ხელი ველარაფრით ჩამოაღებინეს შუბლიდან, სადაც ბრილიანტი მოხვდა. ხელი ზედ ედო და გაუთავებლად იმეორებდა: „აი, აქ მომხვდა ბრილიანტი, აი, აქ მომხვდა...“ — ბოლოს ხელი ქამრით გაუკრეს და ნელზე მიუმაგრეს, მაგრამ მაინც ამოაძრო და ახლაც შუბლზე ხელმიდებული დადის. ნამცეცა პაატას დედას ნამდვილი ისტერიკა დაემართა. — „ამ ხელებით ვცემე და გარეთ გავაგდე ბავშვი, როცა სახლში ბრილიანტი შემომიტანა. აი, ამ ხელებით“. გაჰკიოდა და ხელებს თავპირში იცემდა. დეიდა მარუსია გულნასული იწვა, ვერაფრით გონზე ველარ მოიყვანეს. წნევამ ისე აუნია, აპარატივად აღარ ისინჯებოდა და ექიმმა თქვა, მაგისტვის რალაც განსაკუთრებული აპარატია საჭირო, განსაკუთრებულად მაღალი წნევა აქვსო. დეიდა მარუსია ხელებს მოცურავსავით ასავსავებდა და თვალდახუჭული გაჰკიოდა: „არიქა, წყალმა წამართვა ბრილიანტი, არიქა, წყალს მიაქვსო...“ ეტყობა, ძალიან შორს შეტოპა იმ ბრილიანტის ძებნაში, უკან ველარ გამოცურა და იმავე ღამეს თქვენი ჭირი წაიღო.

როგორც იქნა გათენდა ის ღამეც. ყველა ნელ-ნელა გონს მოეგო. წნევა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, თვალში გამოიხედეს და ერთმანეთს დილა მშვიდობისა უთხრეს. მხოლოდ მე ველარ მიტანდნენ, ჩემს დანახვას ყველაფერი ერჩიათ.

მეც ვგრძნობდი ამას და სულ ვიმალებოდი დამნაშავესავით, ვცდილობდი არავის შეეჩხეროდი თვალში. თვითონაც არ მსიამოვნებდა მაინცდამაინც იმ საკარნავალო ღამის გახსენება. განსაკუთრებით მერაბი გამირბოდა, თითქმის ველარც კი ვხედავდი. თუ უნინ ხმას არ მცემდა, ახლა დანახვაც აღარ უნდოდა ჩემი. შხუილით ჩამიქროლებდა თავისი რძისფერი მანქანით, თუ შემთხვევით გადავეყრებოდი ქუჩაში. მისი სიტყვები მომიტანეს მეზობლებმა, თურმე ასე უთქვამს: როგორც კი დავინახე, თუ როგორ იწვოდა ბრილიანტი, მაშინვე მივხვდი, ნაღდი რომ იყო, მაგრამ არაფრის გაკეთება აღარ შემეძლო, თითქოს რალაც ჯადომ შემეკრაო. ამან უარესად გამაღიზიანა, თავი ღამის მართლა დამნაშავედ ვიგრძენი... ამ განწყობილების ტყვეობაში მყოფმა ველარც ის წიგნი წავიკითხე, „ყალბი ბრილიანტი“ რომ ჰქონდა სათაურად. ეს სიტყვები როგორღაც მერაბის ხმით აუღერდნენ. „ყალბი ბრილიანტი, ყალბი ბრილიანტი...“ ჩამესმოდა რბილი, მუსიკალური ხმა, როგორც კი წიგნს ხელს ვახლებდი.

ბოლოს, როცა მთელი წელი გავიდა, ამ ამბავსაც თანდათან დაეკარგა სიმწვავე. დრომ ნელ-ნელა მოაშუშა ყველაფერი, მერაბის მჭლერი, მუსიკალური ხმაც თანდათან მიწყდა. ჰოდა, აი, ერთ მშვენიერ დღეს, როცა ნანვიმარზე მზემ გამოანათა და წვიმის წვეთები ბრილიანტებივით აბრწყვიალდნენ, მე ისევ დავანთე ცეცხლი ჩვენს ძველ ბუხარში. სავარძელში მოხერხებულად მოკალათებულმა ავიღე წიგნი, „ყალბი ბრილიანტი“ რომ ჰქონდა სათაურად, ყდაზე ნიღბიანი პრინცესა ეხატა, გვერდით პრინცის მუქი სილუეტი. ერთი ფრაზის წაკითხვაც ვერ მოვასწარი, კარებზე კაკუნის ხმა გაისმა.

— მობრძანდით, კარები ღიაა, — გავძახე თავაუღებლად.

რბილი ნაბიჯების ხმა გაისმა და შეწყდა. თავი ავნიე, ჩემს წინ მწვანე ღამურა იდგა ხელში ნიღბების აცმით.

— ფერიების ბაღში კარნავალია. აირჩიე, რომელი ნიღაბი გინდა...





აუბიძგარი

ბოშა ქალი

გარუჯული ბოშა სივრცეს მიაქანებს,
ლიად დარჩენია გულისპირს კარები,
მიდის, მიირწევა, როგორც იალქანი,
ტანს ეტმასნებიან ვაჟები თვალებით.
მზერებს აისხლიტავს და

ბუმერანგივით
უკანვე ბრუნდება ნასროლი ალები,
წამით შეყოვნდება, ჰაერს გააქვავებს,
შეეთამაშება ჰორიზონტს ამრეზით.
ყელნამოღერებულს ცეცხლის ენასავით,
სისხლისფრად ატყვია ბაგეზე ხალისი,
ჯერ ისევ ნორჩია, მაგრამ სიამაყე
აქალებს, ამშვენებს... თავადაც არ იცის.
და ბოშა მთარღვევს წვივებით არშიებს,
მიდის, მიირწევა, როგორც იალქანი,
სულს ამღვრევს, ანაყრებს, ალალებს,
აშინებს,
დალალებს უკოცნის ღელვით ნიაქვარი.

ჰმ!

ცრემლებით ძალიან იშვიათად,
უფრო, რეალობით ვტირი,
შეგრძნებებს თმებივით ვიშლი ახლაც,
ვსაუბრობ სიმშვიდის პირით...

სიტყვებით საკმაოდ იშვიათად,
ვეპყრობი ჩურჩულსაც ფრთხილად...
თვალეებში სინათლე მიკიაფებს,
მისული ჩაქრობის პირას...

— ლექსები?!

ჰმ...

მართლა იშვიათად!

დიდი სიხშირით კი ვურევ
ცხოვრებას, ტკივილს რომ მიქიაქებს,
და მელნად იღვრება სული...

მედროვე

სტროფებშიც დამლაღეს სევდის
მოტივებმა,
ბებერი ჭადარი ვერ ებრძვის ტეტანუსს,
გაფრენილ ფოთლებზეც ველარ მეტირება,
ღრუბელი დაჟანგდა (ნაგლეჯი მეტალის)?

განწყობა?! ზედმეტად არაპოეტური
(ან იქნებ ყველაზე მეტადაც —!) ამ
ლექსში,
სიმშვიდის ნარჩენი, ალბათ, მოვიმდურე
უმთვარო ღამეში მთვარეულ თარეშით.

სხეული გაურბის სულს, როგორც
კეთროვანს,
მობეზრდათ ისრებსაც ჯირითი უმიზნო,
ხელს იბანს დრო (თავად უცვლელი
მედროვე)
და მორიგ სარფიან ვარიანტს უმიზნებს.

მოგონილ ფრთებივით შემძულდა
ფერებიც
უფერულ დღეთა და ვნებდები ფორიაქს,
(ზოგს ეს სტრიქონებიც შემომღერება),
გრძნობები?! ჰო, ეგეც გამონაგონია...

სადღაც ტორნადოა (ქარიშხლის ნაფაზი),
სივრცეს დაეკარგა სიშიშვლის ეფექტი,
ტერფებით ვაბიჯებ საკუთარ ნერვებზე
და ველარც სიგიჟეს აღვიქვამ დეფექტად.

ამიგო!

ამიგო, იქნებ, შენ გამიგო,
სული, თანდაყოლილ სენივით
რომ დამაქვს, რომელ გზით ნავილო
უსიტყვოდ, ნეტავ სად შევლიან.

მანუხებს ტკივილი, მამძიმებს,
ლექსები კი, თითქოს, მღერიან,
შენთან არ მამბრკოლებს მანძილი,
და არც ამ სიშიშველის მრცხვენიან.

ხომ იცი, ამიგო, ძნელია,
უკვე მერამდენედ დავცინი
ჩემნაირს, საჩემოს, ჩემიანს,
ვბარბაცებ ნასვამი კაცივით.

მომბეზრდა ფუჭი სიამაყეც
და ეს თავმდაბლობაც ნამდვილი,
სიყალბის მარწუხებს დავათრევ,
ოცნებას ველარ ვიადვილებ.

ახლა ერთგულება ძვირია,
მე კი მოლოდინით ვმთავრდები,
დამენყრილ დაღალებს სცვივიან
ყრმობისას ჩანწული ვარდები.

რამდენი ცოდვა მაქვს სათქმელი,
შენგან კი შენდობას არ ვითხოვ,
სანამ სამსჯავროზე წარვსდგები,
უბრალოდ, გამიგე,
ამიგო!

შენ, მე და...

ივლისი ძარღვებში მივლის და ვინ იცის,
რამდენი ლექსია ახლა ჩვენს თვალებში,
ფერებით ზაფხულის ლალი და მშვიდი ცის,
ღრუბლების, სიმორის, კაეშნის გარეშე.

წუხელ ვარსკვლავები გგავდნენ
შუალამით,
რალაც შენეული მზერით თუ მიმიკით,
მერე კი ბავშვობის წლები გადათვალე,
კრძალვით, ნოსტალგიით, ხალისით,
ლიმილით.

გზებზე აღმაცერი ფიქრი შევაგროვე,
დროში გაბნეული, მანძილის სახელით,
ჩემივე სულისთვის შეველა რომ მეთხოვა,
კვლავ ფურცელს მივვარდი, ჩვეულად
თავხედი.

დღეს ეს სტრიქონები მწვანეა ყველაზე,
რამდენი რამე აქვთ სათქმელი, ვინ იცის!
მაგრამ სიჩუმეა და ვხვდებით ყველაფერს,
ზაფხულის საღამოს, შენ, მე და...
თბილისი.

სუნთქვის ყველა ნაბი

მხიბლავს შენს ალერსში მარტო ნაგიჟარი,
მიყვარს შენს თვალებში წვიმის
რაფსოდია,
წუხელ კესანების გამა გავუცვალე
მაგ თვალების ფერში შუამავალ ნიავეს.

ჰოდა, ამოფრინდეს გული ლამის არის
თავის ბუდიდან და ფეთქვა გააგრძელოს,
სადაც შენ გიპოვის დაღლილს ბოდიალით,
მერე ნაბიჯ-ნაბიჯ გზომავ, საქართველო.

მხიბლავს შენს ალერსში მარტო ნაგიჟარი,
ალარ გავჩუმდები, ვთქვა, რაც სათქმელია,
მინდა ერთად გვექონდეს მწუხრი და
ცისკარი,
შუადღე, საღამო, ღამე, გამთენია...


მინდა ერთად შევხვდეთ ზეცად
ვარსკვლავების
ნთებას, ბრწყინვალებას, ქრობას,
ჩასვენებას,
კოცნით ამოვაშროთ წყარო უკვდავების,
ლექსი ვაცოცხლოთ, დრო როცა
გაჩერდება.

მხიბლავს შენს ალერსში მარტი ნაგიჟარი,
კალამ-კალამ ვთვალთ სიტყვა რამდენია,
მერე ორად გავყოფ და შენც გამიყავი
სუნთქვის ყველა ნაბი, რაც კი დაგვრჩენია.



ძოდით გასული ათასწლეულის მანძილზე“.

**რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი ა. ა. ზინოვიევი**



ბაჩანა ბრეგვაძე

*

არც ხალხებს და არც მთავრობებს ჯერჯერობით წარმოდგენაც არა აქვთ, რა შეიძლება შეიქმნას უკვე მიღწეული აღმომჩენებისა და მეცნიერული პროგრესის საფუძველზე... უკიდურესი სოციალურ-კულტურული უთანასწორობისა და საუკუნოვან ფასეულობათა ნგრევის პირობებში, პროცესი შეიძლება კონტროლიდან გამოვიდეს... მაგრამ არსებობს განგებაც ღვთისა

**ინფორმაციის საერთაშორისო
აკადემიის ნამდვილი წევრი**

ნ. დ. ტკაჩენკო

*

მატერიალურ სიმდიდრეთა უკიდურესი ზრდა, გარკვეულ პირობებში, შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს სულიერი ზრდისა და მავნე — საერთოდ პროგრესისათვის. ჩემი აზრით, კაცობრიობა ორი დიდი განსაცდელის წინაშე დგას: პირველი უკავშირდება მეცნიერებისა და კულტურის განადგურებას, როცა საზოგადოების სულიერმა დეგრადაციამ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს საკითხი თვით ცივილიზაციის არსებობის შესახებ. მეორეა — ეკოლოგიური პრობლემა: ჩვენი პლანეტა რესურსებისა და ეკოლოგიური თვალსაზრისით, უბრალოდ, ვერ გაუძლებს, თუკი ქვეყნების უმრავლესობა, თავიანთი მოქალაქეების ცხოვრების დონის ასამაღლებლად, შეეცდება გაიმეოროს განვითარებული ქვეყნების გზა.

**უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბ. ე. პატონი**

*

მთელი თავისი ღირსებების მიუხედავად, „ჰომო საპიენსი“ ეგოისტური, ან, უფრო ზუსტად, ეგოცენტრული არსებაა. როგორ წარიმართება XXI საუკუნეში ადამიანის ევოლუცია? (უფრო შორეული მომავალი მხოლოდ ყოვლისმწყრობელმა, ანუ სამყაროს კოდის მფლობელმა თუ იცის, ვისი პროგრამის. წვდომაც კაცობრიობას არ შეუძლია).

ახალი აზოხანიზნი

**(რუს და უკრაინელ სწავლულთა
პროგნოზები XXI საუკუნის დამდეგს)**

*

განვითარდება სიცოცხლის გამახანგრძლივებელი საშუალებები, თანაც ისეთნი, საშუალებას რომ მოგვცემენ ძალზე ხანდაზმულ ასაკშიც დავტკბეთ ცივილიზაციის სიკეთით. მაგრამ ისინი ხელმისაწვდომნი იქნებიან მხოლოდ კაცობრიობის რჩეული ნაწილისათვის. უმრავლესობას სულ სხვანაირი ბედი ელის — ადამიანთა მართვისა და მანიპულაციის საშუალებათა სრულყოფა პრივილეგირებული უმცირესობის სასარგებლოდ. ძირითადი მიზანი იქნება პლანეტაზე თავიანთი პრივილეგირებული მდგომარეობის ორგანიზაცია, დაცვა და განმტკიცება სხვადასხვა საშუალებებით, დანარჩენი კაცობრიობისაგან თვით ბატონთა ფიზიკურ იზოლაციამდე.

ამიტომაც ახალი ათასწლეულის ზღურბლზე მე ვისურვებდი მეთქვა: „ადამიანებო, მე თქვენი არ მშურს, მაგრამ არც თანაგიგრძნობთ, რადგანაც დამდეგ ათასწლეულში თქვენ მიიღებთ სწორედ იმას, რასაც ესწრაფოდით და რისთვისაც იბრ-

მესამე ათასწლეულის ზღურბლზე თვალეში რომ ჩაგხედო ადამიანებს, შემიძლია ცნობიერად და არგუმენტირებულად ვთქვა: თქვენ ყველაფერს შეეგუებით, რადგანაც ადამიანის ზნეობრივ-ეთიკურსა და ფსიქოემოციურ ადაპტაციას, ფიზიოლოგიურისგან განსხვავებით, უზარმაზარი რესურსები აქვს.

რაც უფრო მეტს ფიქრობ ადამიანის ევოლუციაზე XXI საუკუნეში, მით უფრო მეტად იხრები იმ აზრისაკენ, რომ ის ჩვენი საუკუნის გამეორება იქნება: მხოლოდ სპირალის მეორე ხვეულზე, ესე იგი, უფრო დაუნდობელი, უფრო მომხმარებლური. ადამიანი კიდევ უფრო მსხვილ ჭანჭიკად იქცევა რთულად ორგანიზებულ მექანიზმში... კოლექტიური გონი, კაცობრიობის ამ მდგომარეობის მთელი პროგრესულობის მიუხედავად, ინდივიდუალობის სრულ ლიკვიდაციას ნიშნავს. ჩვენ გვიჭირს ამის გაგება და, მით უმეტეს, აღქმა.

პროგრესის მამოძრავებელი — შეიარაღება და ომის წარმოების საშუალებანი — ახალ, მასობრივი პარალიზების იარაღის შექმნას დაისახავენ მიზნად; ესაა, უწინარეს ყოვლისა, „ფსიქოტრონიკა“, ესე იგი უცხო ინფორმაციის დანერგვა, ანუ, როგორც იტყვიან, ადამიანთა ზომბირება... სოციალურ მეცნიერებათა და ხელოვნებათა სფეროში დაიწყება დიფერენციაცია: უმაღლესი ხარისხის „პროდუქტი“ — ელიტისათვის, სუროგატი კი — გაუპიროვნებელი მასისთვის.

ინფორმაციის საერთაშორისო აკადემიის, ეკოლოგიის საერთაშორისო აკადემიის, მედიკო-ტექნიკური აკადემიისა და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ა. იაშინი

*

თუკი მესამე ათასწლეულში შენარჩუნებულ იქნა მოსახლეობის ზრდის ახლანდელი ტემპები, მაშინ 2500 წლისთვის მისი რაოდენობა 90 მილიარდს მიაღწევს, ათასწლეულის დამლევს კი — 180 მილიარდს. ადვილი გასაგებია, რომ ჩვენი პლანეტა ვერ გაუძლებს ამნაირ დატვირთვას. მაშასადამე, კაცობრიობას საფრთხე ემუქრება.

შესაძლოა რამდენიმე სხვადასხვა პასუხი კითხვაზე: მაინც რა მოუვა კაცობრიობას? ერთ-ერთი მათგანი იმაში მდგომარეობს, რომ დემოგრაფიულმა აფეთქებამ შეიძლება ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიაში ძირეული ცვლილებები გამოიწვიოს... არსებობს ადამიანთა საზოგადოე-

ბის განვითარების მეორე, სავსებით რეალური ვარიანტიც: ესაა შიდასახეობრივი ბრძოლა, მიუხედავად იმისა, თუ რა სახით გამოვლინდება იგი: რასობრივი, ეროვნებათაშორისი, კლასობრივი, სამოქალაქო თუ სახელმწიფოთაშორისი ომების სახით, რომელთა განმავლობაში „პირისაგან მინისა“, უწინარეს ყოვლისა, აღიგვებიან ეკონომიური, სამეცნიერო-ტექნიკური თუ კულტურული განვითარების მხრივ ჩამორჩენილი ქვეყნები. 2500 წლისთვის მსოფლიოს გამოაკლდება ბევრი ხალხი და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. გადარჩენის თვალსაზრისით სერიოზული საფრთხე დაემუქრება ცივილიზაციის რუსულ ცენტრსაც... ყველაზე სავარაუდოა, რომ არსებობისათვის გააფთრებული შიდასახეობრივი ბრძოლის პროცესში თავი იჩინოს ადამიანის ორგანიზმის ფიზიკურმა ცვლილებებმაც...

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. ა. შილო

*

ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში გარემოს ქიმიურმა და რადიოაქტიურმა დაბინძურებამ იმნაირ მასშტაბებს მიაღწია, რომ სავსებით შესაძლებელია მოხდეს რალაც საშინელი გენეტიკური მუტაცია. ამაზე ფიქრი შემზარავია. გვახსენდება პირქუში ანეკდოტი: „ბაბუა ეხვეწება პატარა შვილიშვილს: მოდი, საყვარელო, ახლა მეორე თავზე გააკოცებ, მერე — მესამეზე“... სულაც არ არის გამორიცხული, რომ ნორმიდან უწინდელი იშვიათი გადახრები თანდათანობით ნორმად იქცნენ.

იმედია, უკანასკნელ მომენტში, უკვე ზედ უფსკრულის პირას, ადამიანები თავიანთ თავში ჰპოვებენ სიმამაცეს, სიბრძნეს და ძალას, რათა თავიდან აიცილონ კატასტროფები, გადალახონ დამლუპველი ტექნიკური ცივილიზაციის საბედისწერო მიჯნა.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წამყვანი თანამშრომელი

ვ. ვ. კოჟინოვი

მთაბრძანის ბოლოთქა

დიდი ხნის წინათ სახელგანთქმული იტალიელი მოაზროვნის — ნიკოლო მაკიაველისადმი მიძღვნილ ესსეში ვწერდი:

„ისტორიული პროცესის უწყვეტობა, მაკიაველის მიხედვით, ესაა სიკეთისა და ბოროტების მარადიული ჭიდილი, მათი დაუსრულებელი მონაცვლეობა. მთელი ისტორია სხვა არა არის რა, თუ არა უბედურების, უგუნურებისა და საზარელ დანაშაულობათა თანდათანობითი განვითარება, რომელთა შორისაც ჩვენ ვხედავთ მხოლოდ რამდენიმე ხანმოკლე ბედნიერ ეპოქას, ოაზისებივით რომ მიმოფანტულან პირქუშ უდაბნოში. არაფერი ისე მკაფიოდ არ გვიმჟღავნებს მაკიაველის ისტორიულ პესიმიზმს, როგორც მისი „ფლორენციის ისტორიის“ მეხუთე წიგნი, ხოლო ამ პესიმიზმს, ისევ და ისევ, ადამიანის ბუნების მისეული გაგება უდევს საფუძვლად. სიკეთისა და ბოროტების, სახელმწიფოთა დაცემისა და აღზევების, ზნეთა სინმინდისა და გახრწნილების ურთიერთმონაცვლეობა თითქოს ბედისწერის სტიქიური ძალითა განსაზღვრული და განპირობებული. მთელი ეს მონაცვლეობა პერიოდულ გადატრიალებათა თუ კატასტროფათა მეშვეობით ხორციელდება, რომლებიც პირწმინდად ანგრევენ გარდასულ ეპოქათა განვითარების ყველა შედეგს და, ასე განსაჯეთ, თვით მათ ხსოვნასაც კი აქრობენ ადამიანთა სულში, რათა მომდევნო თაობებმა ყველაფერი თავიდან დაიწყონ და ხელახლა შეავსონ იგივე შინაარსით ჯერ კიდევ დაუნერული ისტორიის სუფთა ფურცლები. მაგრამ ამ საყოველთაო ნგრევისა და დავინყების მიუხედავად, ბოროტება კვლავაც შეუმუსვრელია და დაუძლეველი, ვინაიდან მას თვით ადამიანის ბუნებაში აქვს ფესვი გადგმული. ასე რომ, თავიდან მეორდება იგივე პროცესი, რომელიც ამდენი მსხვერპლის ფასად ეს-ესაა უკან მოიტოვა კაცობრიობამ; მეორდება და გრძელდება მანამ, სანამ მთელი სინამდვილე ხელმეორედ არ აივსება კაცთა სიავით და სანამ ახალი კატასტროფა არ განმენდს სიბილნეში ჩამყაყებულსა და ბოროტების მორევში დანთქმულ სამყაროს“...

ამ ტოტალური ნგრევისა და განადგურების, მსოფლიო ისტორიის დრამატულ პერიპეტიებს შთამბეჭქდავი ძალით აგვიწერს პოლ ვალერი თავის პატარა ესსეში „სულის კრიზისი“:

„ჩვენ — ცივილიზაციებმა — ახლა კი ვიცით, რომ მოკვდავნი ვართ.

ჩვენ ვიცნობთ უგზოუკვლოდ დაკარგულ სამყაროებს. მთელი თავიანთი მოსახლეობითა და ტექნიკით, თავიანთი ღმერთებითა და კანონებით, თავიანთი აკადემიკოსებითა და წმინდა თუ გამოყენებითი მეცნიერებებით, თავიანთი გრამატიკოსე-

ბით, თავიანთი ლექსიკონებით, თავიანთი კლასიკოსებით, თავიანთი რომანტიკოსებითა და სიმბოლისტებით, თავიანთი კრიტიკოსებითა და კრიტიკოსთა კრიტიკოსებით ზღვებში ჩაძირულსა თუ საუკუნეთა უსასრულო უფსკრულში დანთქმულ იმპერიებს (ხაზგასმა ჩემია, — ბ.ბ.). ჩვენ ვიცით, რომ მთელი ხილული მინა ფერფლისაგან იღებს დასაბამს და რომ ფერფლი მოკლებული არ არის მნიშვნელობას. ისტორიის სისქის წიაღ ჩვენ ვარჩევთ აურაცხელი მატერიალური თუ სულიერი ფასეულობებით დატვირთულ ხომალდთა ლანდებს. ჩვენ არ შეგვეძლო მათი აღრიცხვა, მაგრამ ეს საზღვაო კატასტროფები, არსებითად, არც გვეხებოდნენ ჩვენ.

ელამი, ნინეფია, ბაბილონი მშვენიერი და ბუნდოვანი სახელები იყვნენ. და ამ ძველ სამყაროთა ტოტალური ნგრევა ისევე ცოტას ნიშნავდა ჩვენთვის, როგორც თვით მათი არსებობის ფაქტი. მაგრამ საფრანგეთი, ინგლისი, რუსეთი... ხომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ესენიც მარტოოდენ მშვენიერ სახელებად იქცნენ. ლუზიტანიაც მშვენიერი სახელია. და, აი, ახლა, ჩვენ ვხედავთ, რომ ისტორიის უფსკრული ყველაფერს იტევს. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ცივილიზაცია ისევე მყიფეა და მსხვრევადი, როგორც სიცოცხლე. გარემოებანი, რომელთაც ხელეწიფებათ კიტისისა თუ ბოდლერის ქმნილებებს მენანდრეს ქმნილებათა ხვედრი გააზიარებინონ, აბსოლუტურად ენიგმურნი არიან. ჩახედეთ ნებისმიერ გაზეთს“...

ეს სიტყვები „პირველი მსოფლიო ომის“ შემდეგ დაინერა, რომელიც „მეორესთან“ შედარებით „ომობანას“ თამაშსა ჰგავდა. რაც შეეხება „მესამეს“, რისთვისაც გამალებით ემზადებიან „ატომური“ სახელმწიფოები, მასთან შედარებით, ახლა უკვე „მეორე“ მოგვეჩვენება „ომობანას“ თამაშად (რუსული სახელმწიფოს პატივმოყვარული დევიზის პერიფრაზირებით შეგვეძლო გვეთქვა: „ორი მსოფლიო ომი გადახდილ იქნა, მესამე გადასახდელია, ხოლო მეოთხე აღარ იქნება“). მახსენდება ერთი ჩემი ძველი ჩანაწერი:

პ რ ო გ რ ე ს ი

შურდული და ატომური ბომბი თვისებრივად კი არა, რაოდენობრივად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

პირველს მხოლოდ ერთი კაცის მოკვლა შეეძლო, მეორეს შეუძლია მუსრი გაავლოს მილიონებს.

ჯერჯერობით ესაა და ეს.
ჩ.იხში ხომ არ შევედით?

არამც და არამც. პროგრესს ვერაფერი შეაჩერებს.

კაცობრიობის წინაშე გადაუდებელი ამოცანა დგას: შეძლებს თუ არა მილიტარიზმის სამსახურში ჩამდგარი თუ ძალით ჩათრეული მეცნიერული აზრი თვისებრივად განსხვავებული იარაღის შექმნას?

იმედი ვიქონიოთ.

მთავრობები მილიარდობით კი არა, ტრილიონობით დოლარს, ევროს, სტერლინგს, მარკას, ფრანკს, რუბლსა თუ სხვა მისთანათ არ იშურებენ ამ სანუკვარი მიზნის მისაღწევად.

წინ, სრული — პლანეტარული და, მეტიც, კოსმიური არყოფნისაკენ!..

რუსი აკადემიკოსის ნ.ა. შილოს „წინასწარხედვით“, „არსებობს ადამიანთა საზოგადოების განვითარების მეორე, სავსებით რეალური ვარიანტიც: ესაა შიდასახეობრივი ბრძოლა, მიუხედავად იმისა, თუ რა სახით გამოვლინდება იგი; რასობრივი, ეროვნებათაშორისი, კლასობრივი, სამოქალაქო თუ სახელმწიფოთაშორისი ომების სახით, რომელთა განმავლობაში „პირისაგან მიწისა“, უწინარეს ყოვლისა, ალიგვებიან ეკონომიური, სამეცნიერო-ტექნიკური თუ კულტურული განვითარების მხრივ ჩამორჩენილი ქვეყნები. 2500 წლისთვის მსოფლიოს გამოაკლდება ბევრი ხალხი და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი“...

რუსი სწავლული აქ, ცხადია, ე.წ. „პატარა ერებს“ და მათ სახელმწიფოებს (მისი სიტყვით, „სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს“) გულისხმობს. მისი გადასაწყვეტი რომ იყოს, ალბათ, 500 წლითაც აღარ გავიხანგრძლივებდა ყოფას.

ჩემი ახალი ჩანაწერით დავამთავრებ ამ მოკლე „ბოლოთქმას“:

„წითელი წიგნი“

„ჭუმანური“ კაცობრიობა, რა ხანია, თავგამოდებით იბრძვის გადაშენების გზაზე დამდგარ ფრინველთა თუ ცხოველთა მთელი სახეობების გადასარჩენად.

მაშინ როდესაც იგივე კაცობრიობა (მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც; ნაწილი კი დუმს, მაგრამ, მოგეხსენებათ, „დუმილი თანხმობის ნიშანია“) ნაპოლეონის „ძღვევამოსილი დევიზით“: „დიდი ათასეულები ყოველთვის მართალნი არიანო“, — არანაკლები მძვინვარებით „იღწვის“ ე.წ. „პატარა ერების“ გადასაშენებლად და „მიწის პირისაგან აღმოსაფხვრელად“.

ცინიზმის ზღვარი.

პოლიტიკურ მორალსა და მორალურ პოლიტიკას შორის ჯერ კიდევ მთელი მარადისობა ძევს.

თარგმანი და ბოლოთქმა

ბაჩანა ბრეგვაძისა





პურიშ ხასჷს

(1938-1998)

ქება დ დიდება ქართულისა ენისა

მკითხველისათვის ცნობილია ქართული ენის სადიდებელი თხზულება (როგორც მას უწოდეს, გნოსტიკური ხასიათის ძეგლი) „ქება დ დიდება ქართულისა ენისა“.

„დამარხულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსლვისა მისისა, სანამებლად, რაჲთა ყოვლისა ენასა ღმერთან ამხილოს ამით ენითა. და ესე ენა მძინარეც არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან. და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან; ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა. მეგობრობა ამისთვის თქუა, ვითარმედ „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“; და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინაწარმეტყველმან, რამეთუ „წელი ათასი, ვითარცა ერთი დღე“. და სახარებასა შინა ქართულსა, თავსა ხოლო მათცხსა წერ-

ილი ზის, რომელი ასო არს დ იცყვს ყოვლად ოთხათასსა მარაგსა. და ესე არს ოთხი დღე და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის მისთანავე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მისისაჲთა. და ესე ენა, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დანუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა და სასწაულად ესე აქუს: ოთხმოცდაათოთხმეტი წელი, უმეტეს სხუათა ენათა, ქრისტეს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მონამედ წარმოგიტხარ.

ასი ესე წელი ანბანისაჲ“.

მეცნიერული პოლემიკა თანდათან ზგენს ზგენტვის ბუნდოვანებით მოსილი ტექსტის არსს. დღემდე მოღწეული თხზულების სამი პირი მიჩნეულია იოანე-ზოსიმესეულ ხელნაწერად; რატომღაც საეჭვოდ მიიჩნევენ მის ავტორობას და გამოთქვამენ მოსაზრებას, თითქოს თხზულება მეათე საუკუნეზე ადრინდელი ნაწარმოებია. ეყრდნობიან ლოგიკას:

არსებული სამივე პირი ჭეშმარიტად იოანე-ზოსიმეს ხელით არის დაწერილი და, რომ იოანე-ზოსიმე ამ ნაწარმოების ავტორი ყოფილიყო, ტექსტებს შორის არსებულ განსხვავებას არ დაუშვებდაო.

იხილეთ ტექსტებს შორის განსხვავებანი:

1. „და ესე რომელი, რომელი წერილ არს, მონამედ წარმოგიტხარ ასი ესე წელი ანბანისაჲ“.

2. „და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მონამედ წარმოგიტხარ ასი ესე წელი ანბანისაჲ“.

3. „და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მონამედ წარმოგიტხარას ესე წელი ანბანისაჲ“.

ასევე ენის მესიანისტური ფუნქცია ვინრო ნაციონალისტურ ილუზიად იქნა მიჩნეული. იწყეს ტექსტის გარანდვა:

ტექსტში არსებული „მისისა“-ს ნაცვლად ჩასვეს „მესიისა“, „94“-ის ნაცვლად „104“, ხოლო „ასი წელი ანბანისაჲ“-ს ნაცვლად „ესე წელი ანბანისაჲ“.

ნაწარმოებს რომ მხოლოდ მხატვრობის პრეტენზია ჰქონდეს, მაშინ რედაქტორის ხელი მოსათმენია, მაგრამ როდესაც წინ აპოკალიფსური ხასიათის ძეგლი გვიდევს, თვითნებური ჩარევა მოკლებულია ყოველგვარი მეცნიერული კვლევა-ძიების ნორმებს, ამგვარი ნაწარმოების მიმართ საკუთარი თამამი აზრის გამოთქმა, ცოტა არ იყოს, საფრთხილო საქმეა. იგი არ უნდა ჰგავდეს რომელიმე მხატვრული თხზულების რეცენზიას, რომელმაც ზურგი გაუმაგრა

ნანარმოებს. დროთა განმავლობაში აქ თვით ნანარმოები განიკითხავს ყველა ინტერპრეტატორს; ასე რომ, ყოველი თამამი აზრი სამსჯავროს ელოდება. ზემოხსენებული თხზულებისადმი არსებობს მრავალნაირი მიდგომა:

1. იგი შეიძლება აღვიქვათ როგორც ისტორიული მასალა კონკრეტული თარიღის დასადგენად;

2. ნაკითხულ იქნას — ავტორის ვინაობის დასადგენად;

3. და გაიმიფროს როგორც აპოკალიფსური დოკუმენტი.

ჩვენთვის ტექსტის ახსნა-განმარტება სამთავე კუთხით საინტერესოა, მაგრამ ყველაზე მეტად სასურველია მისი მესამე, აპოკალიფსური განზომილება; რამეთუ ნანარმოების დანიშნულება და მთავარი არსი სწორედ მისი აპოკალიფსური აღქმაა.

თუ ამ საკრალურ ტექსტს გული გამოვაცალეთ, ხელში შეგვრჩება მოპოეტო ექსცენტრიკის ნადილი, რომელსაც არც პოეზიის პრეტენზია ექნება და არც მხატვრული პროზისა (ზოგმა მკვლევარმა ამგვარადვე მიიჩნია იგი). იბადება კითხვა: რა ღირსებისთვის ინდომა ამ ნანარმოების მისაკუთრება იოანე-ზოსიმემ? კიდევ რომ ეგრძნო ამ ნანარმოების წინასწარმეტყველური ფასეულობა, ხუთი რამის გამო მაინც ვერ მოაწერდა ხელს ავტორობის უფლებამოსილებით:

1. თუკი ნანარმოების ავტორი არსად ჩანდა და ამის გამო იოანე-ზოსიმე ინდომებდა მის მისაკუთრებას, საინტერესოა, რა ლოგიკაზე შეეძლო დაყრდნობა? თუ, ექნებოდა გარანტია იმისა, რომ ნაწერი, რომელიც ხელთ უპყრია, ერთადერთი პირია და ყოველად გამორიცხულია სხვა პირების არსებობა.

2. ტექსტი რომ ბერძნული ყოფილიყო, ან ებრაული და გადმოქართულების შემდეგ იოანე-ზოსიმეს მოენდომებინა მისი მისაკუთრება, არც ეს ჩაეთვლებოდა უშიშარ და გარანტირებულ სვლად; ვერ დაიზღვევდა იგი თავს — აქაც მის სიცრუეს ამხელდნენ ორგინალის ენაზე არსებული ტექსტის სხვა ნუსხები, რომელთა უგულუბელყოფა ყოველად ალოგიკური იქნებოდა.

3. თუკი იოანე-ზოსიმე პრინციპულად თავისი სახელის უწყებას ინდომებდა ამ ნანარმოების თარგმანის გამო, იფიქრეთ, რა დიდება უნდა მოეტანა მისთვის ამ ნახევარგვერდიანი ნანარმოების თარგმანს? მაშ, რისთვის? რანაირად მიუწვდა ხელი ბერს, ამ ნანარმოების ცრუ ავტორობაზე? რატომ შეუდგებოდა იგი ამგვარ ღვთის რისხვას? ესეც ლოგიკას მოკლებულია!

4. ასედაც ამბობენ, „ქება“ თითქოს აღრინდელი საუკუნის ნანარმოებია, იოანე-

ზოსიმე კი მეათე საუკუნის მოღვაწე. თუ შეიძლება დღეისათვის, მეოცე საუკუნის კაცმა, უავტორობის გამო, ხელი მოაწეროს ავტორისეული პრეტენზიით მეთვრამეტე საუკუნის უკვე ცნობილ ნანარმოებს?

ასევე გაურკვეველია, რატომ ინებებდა იოანე-ზოსიმე ტექსტის სამ სხვადასხვა პირად გამრავლებას? განა ამისთვის ერთი პირიც საკმარისი არ იქნებოდა? საინტერესოა, აღმოჩენილი განსხვავებანი ცვლის თუ არა ტექსტის შინაარსს? თუკი შინაარსს შეცვლიდა, მაშინ იოანე-ზოსიმეს ავტორობა უთუოდ საეჭვო გახდებოდა, რადგან სამივე პირი ერთი ხელით ნაწერია, და თუკი ტექსტში არსებული განსხვავებანი ნანარმოების შინაარსს არ ცვლის, მაშინ მათ შორის არსებული განსხვავებანი ავტორის სტილისტურ ჩარევად უნდა იქნეს მიჩნეული.

განვიხილოთ ტექსტებს შორის განსხვავებანი:

პირველი ტექსტის ფრაზა „და ესე რომელი“, და მეორე ტექსტის ფრაზა „და ესე ყოველი“, ერთსა და იგივე აზრს გამოხატავს; „ესე რომელი“, ანუ რომელსაც ხედავთ, რომელიც აქ არის წარმოდგენილი; ხოლო „ესე ყოველი“, ანუ ყოველივე რასაც აქ ხედავთ, რაც აქ არის მოცემული. ორივე ფრაზას ერთი და იგივე შინაარსი გააჩნია; რაც შეეხება „მონამედ წარმოგითხარ“ და „მონამედ წარმოგითხრას“, აქაც ორივე ფორმა მისაღებია. „მონამედ წარმოგითხრას“ — ნიშნავს, ე.ი. რაც აქ წერია, ამ ტექსტმა დაგიდასტუროსო. ხოლო ფრაზაში „მონამედ წარმოგითხარ“-ო რომ ბრძანებს, ავტორის პირადულ განცხადებას ვხედავთ. არსებითად, არც აქ დარღვეულია რაიმე, რადგან — ყოველი აპოკალიფსური თხზულების ავტორი არა მისი შემთხვევლია, არამედ მიღებული ინფორმაციის მაწმეცხელი; რამეთუ ყოველი საკრალურის მაწმეცხელად ანუ გამცხადებლად ბიბლიურ თხზულებებში მუდამ სული წმინდა წარმოჩინდება.

როცა იოანე-ზოსიმე წერდა: „და ესე ყოველი, რომელი წერილ არს მონამედ წარმოგითხრას“-ო, ნიშნავდა, თვით ამ ნაწერმა, ე.ი. მიღებული ინფორმაციის ანბანურმა ხორცშესხმამ წარმოგითხრას, ანუ გაცნობოსო, ანუ გაუწყოსო; თავად კი მეორეხარისხიანი ავტორი უკან იხევს. მეორე შემთხვევაში კი ავტორობის უფლებას იტოვებს, რადგან ჭეშმარიტად სხვა არავინაა მისი განმცხადებელი.

არც „მისისა“-ს შეცვლას ითხოვდა ტექსტი „მესისა“-დ; როცა ვკითხულობთ: „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა მისისა, სანამებლად“, ნიშნავს: შემონახულია ქართული ენა სწორედ იმ

მეორედ მოსვლის დღემდე, რათა ინამონ, ირ-
ნმუნონო. ჭეშმარიტია, რომ ამ სიტყვაში ისიც
იგულისხმება თუ ვინ უნდა ინამონ, მაგრამ აქ-
ცენტრი მაინც მეორედ მოსვლის დაჯერებაზეა
გაკეთებული. ტექსტში არსებული „მისისა“-ს
არსებობა გადამწერის შეცდომად ჩაითვალა,
და „მისისა“-ს ნაცვლად ჩაისვა „მესიის“-ა.
რა მოხდა? მოხდა ის, რომ ტექსტში აქ-
ცენტმა გადაინაცვლა. მივიღეთ: „ქართული
ენა დამარხულია მესიის მეორედ მოსვლის
სანამებელად“, (ე.ი. რათა მესია ინამონ).
როგორც ჩანს, ამ სვლის შემდეგ საქმე გვაქვს
მხოლოდ მესიის ნამებაზე და არა მეორედ
მოსვლის ჭეშმარიტ შემეცნებაზე; რომლის
დაჯერება წარმოადგენს სწორედ ენისათვის
იმ ამკარა მესიანისტურ არსს, თორემ მესიის
სანამებელი ფუნქცია დიდი ხანია, სახარების
სახით ეუწყა, ანუ განემარტა მსოფლიოს და
მისი გამხელის უფლებამოსილება ქართული
ენის უწინარეს სხვა ენებმა ისაკუთრეს. თუკი
ავტორი „მისისაში“ იგულისხმებდა „მესიას“,
მაშინ წინადადებაში მძიმე არ უნდა იყოს დას-
მული „მისისა“-სთან, იგი უნდა გადაეტანათ
„სანამებელად“-ის შემდეგ.

ავტორის მიერ ზემოაღნიშნული განცხ-
ადების საფუძველზე დაყრდნობით, ზოგმა
მკვლევარმა ივარაუდა, თითქოს ქართული
ენით მოხდებოდა საშინელ სამსჯავროზე
განკითხვა. ამ ვარაუდის დაშვების უფლებას
ტექსტი არ იძლევა. ავტორს რომ ეთქვა: „ყოვ-
ელსა ემხილოს ამით ენითაო“, კაცი კიდევ
რალაცას იფიქრებდა, მაგრამ აქ ავტორი
გარკვევით ამბობს: „ყოველსა ენასაო“. საში-
ნელ სამსჯავროზე ბიბლიური გადმოცემების
თანახმად ენას კი არ განიკითხავენ, არამედ
პიროვნებებს, თავიანთი ცოდვა-მადლის
მიხედვით. ამიტომ მცდარ აზრად მიმაჩნია
იოანე-ზოსიმესეული ტექსტიდან გამომდინ-
არე ენის ამგვარი მესიანისტური ფუნქციის
დაჯერება. როცა ავტორი გვეუბნება: „დამა-
რხულ არს ენა ქართული დღემდე მეო-
რედ მოსვლისა მისისა, სანამებელად, რათა
ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით
ენითა“-ო, გულისხმობს, ბოლო უამისათვის
შემონახული ქართული ენის მაღალ ფუნქ-
ციას, მეორედ მოსვლის სანამებელად, ანუ
სარწმუნებლად, მის დასამონებლად; (რაც
უთუოდ მესიისადმი რწმენას ნიშნავს — სახ-
არების ქადაგებას).

იოანე-ზოსიმე გვიცხადებს, რომ
ენის მეშვეობით არსთა განმრიგეს ნებას
ქვეყნიერებას (სხვადასხვა ენათა მესა-
კუთრეთ) აუწყოს რალაც. ეს „რალაც“ მინიმ-
ნებულა ტექსტში, მაგრამ კონკრეტულად
რა? ამაზე იოანე-ზოსიმე დუმს. ტექსტიდან
ირკვევა, რომ ენას დაკისრებული აქვს განსა-
კუთრებული ფუნქცია (როცა იოანე-ზოსიმე

ამას ასე პრეტენზიულად აცხადებს, ჩანს თუ
არა ამგვარი საპატიო ღვანლი რაიმე უამის
მიჯნაზე?) რას გვაუწყებენ ამის შესახებ ბიბ-
ლიური პარალელები:

(დანიელი 12,5...) „და ვიხილე მე დან-
იელმან, და აჰა სხუანი ორნი დადგეს ერთი
ამიერ ბაგესა მდინარისა და ერთი იმერ და
ვარქუ მას კაცსა მოსილსა, ბადენით, რომელი
ზემთ წყლისა მდინარისასა, ვიდრე იყოს
დასასრული რამდენი სთქუან საკვირველე-
ბანი. და მესმა კაცისა მის მოსვლისა ბადენ-
ითა, რომელი იყო ზედა წყალსა მდინარისას,
და აღამალა მარჯვენე თვისი, და მარცხენე
ზეცად მიმართ, და ფუცა ცხოველისა მიმართ
საუკუნოდ (პარალელი აქვს იოანეს გამოცხ-
ადება 10,1-თან) ვითარმედ უამისა მიმართ,
და უამთა და კერძოსა უამისა დასასრულისა
შორის განბნეულებისა ხელისა წერისა გან-
ნმენდილისასა აცნობენ ყოველნი ესენი.
(ანტიქრისტეს შვიდწლიანი მეფობის ბოლო
სამწელნახევარზეა ლაპარაკი, რომელიც
აღნიშნულია ქრისტეანთა დევნის პერიოდად)
და მესმა და ვერ გულისხმა ვყავ, და ვარქუ:
უფალო რამე იყოს უკანასკნელნი ამათნი.
და თქუა, წარვედ დანიელ რამეთუ დახშულ-
ნი, და დაბეჭდულნი არიან სიტყვანი, ვიდრე
დასასრულამდე უამადმდე“.

დანიელმა გაიგო, რომ არის რალაც
სიტყვა ღვთისა, რომელიც ბოლო დრომდე
დაბეჭდილია, ე.ი. საიდუმლოდ არის შენახუ-
ლი, და არ იცის, სად არის იგი სიტყვა დამა-
რხული. ამის პასუხს იოანე-ზოსიმე იძლევა:
დამარხულ არს ენა ქართული დღემდე
მეორედ მოსვლისა მისისა, სანამებელად,
რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს
ამით ენითა“-ო. როგორც ირკვევა, იოანე-
ზოსიმეს სცოდნია სად და რისთვის ყოფილა
დამარხული ის სიტყვა, დანიელს რომ სურდა
გაეგო. ბიბლიური თხზულებებით ცნობილია,
რომ ყოველი საკრალური ქვეყნიერებას გაე-
მხილება წინასწარმეტყველების მეშვეობით;
გავიგოთ, თუ ვინ ჩანან ბოლო უამისად იმ და-
ფარული სიტყვის მაუწყებლებად.

(გამოცხადება იოანესი 10, 10...) „და აღ-
ვილე წიგნი იგი ხელთაგან ანგელოზისათა და
შევჭამე. და იყო პირსა შინა ჩემსა ტკბილ ვი-
თარცა თაფლი. და რაჟამს შევჭამე იგი, დაამ-
წარა მუცელი ჩემი. და მრქუა მე: ჯერ — არს
შენდა კუალად წინასწარმეტყველება ერთა
ზედა და წარმართთა და ენათა და მეფეთა
ქვეყნისათა“-ო.

როცა აუწყებენ: „ჯერ არს შენდა
კუალად წინასწარმეტყველება“-ო, ნიმ-
ნავს, იოანეს ხელმეორედ მოსვლას და კვლავ
ქადაგებას, ე.ი. ბოლო ქადაგებას. ასე-
ვეა გამოკვეთილი აპოკალიფსის მიხედვით
კიდევ ორი წინასწარმეტყველის გამოჩენა

ნარმართათვის.

(გამოცხადება იოანესი 11, 3-4) „და მივსცე ორთა მათ მონაფეთა ჩემთა და წინასწარმეტყველებდნენ ათას ორას და სამეოც დღე, შემოსულნი ძაძითა. ესენი არიან ორნი იგი ზეთისხილნი და ორნი სასანთლენი, მდგომარენი წინაშე უფლისა ყოვლისა ქუეყანისა“.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით წმინდა მამები განმარტავდნენ:

(Златоуст, толк. апост. зач. 102.

«При времени Христова второго пришествия и скончания мира Илия и Енох посланы будут от Бога на обличение антихриста. и обратят от всякого колена израелева достойных спасеиню к Господу Богу их и к Господу Иисусу Христу пришедшу плотию спасения их ради». მინიშნებულია მხარე სადაც ანტიქრისტე უნდა მოვიდეს. იოანეზე აქ არაფერს იუწყებიან, ეს კი ნიშნავს: იქ, სადაც ანტიქრისტეს უწევს მეფობა, იოანეს სამოღვაწეო ადგილი არ არის. იქ მხოლოდ ელია და ენოქი მოღვაწეობენ. ელიასა და ენოქის სამოღვაწეო ადგილი, როგორც ზემოთ ჩანს, ისრაელია; რაც შეეხება იოანეს, მისი გამოჩენა სხვა მხარესაა მოსალოდნელი. (книга «Алфа и Омега» — гл. 66 лист 210).

«Первому ибо Того пришествию Иоанна Крестителя имейше предотечу, второму же Его, в нем же хошет приити со славою, Еноха и Илию и Иоанна Богослова явити хошет».

აქ იოანეც გამოჩნდა და ზოგადად ნათქვამია, რომ თუ პირველი მოსვლის უამს მესიას წინამორბედად ჰყავდა იოანე ნათლისმცემელი, მეორედ მოსვლის უამს სამი წინასწარმეტყველის წინამორბედობის შემდეგ მობრძანდებოთ მაცხოვარი. მეორედ მოსვლის უამს კი სამი წინასწარმეტყველის დასტური მესიის ღმერთ-კაცობაზე საბუთად მიიღება რჯულის კანონის მიხედვით (2 კორინთელთა მიმართ 13, 1).

(Блажен. Иероним, часть 156 стр. 170):

«Богослов (Иоан) придет так же «телесно» как и пророк Илия».

ბიბლიური ცნობების მიხედვით ელიას და ენოქის ციდან უწევთ ჩამოსვლა, რადგან ისინი ცოცხლად იქნენ აყვანილი ცაში. ხოლო იოანეს მობრძანება, ალბათ, ჩვეულებრივ დაბადებას უნდა გავდეს, ე.ი. უნდა გამოჩნდეს კაცი იოანეს სახელით, მისივე სულიერებით და ძლიერებით. (ცნობილია, იოანემ თავი ცოცხლად ჩაამარხვინა კისრამდე, და შემდეგ, როდესაც იგი მოინახულეს, ადგილზე არ დახვდათ. სხვა არაფერი იციან იოანეზე. სახარებაშიც არ უარყოფს თავის სიკვდილს

იოანე).

(Книга о вере, гл. 30, лист 270, оборот):

«А во время пришествия антихристова посланы будут от Бога Енох и Илия, и Иоан Евангелист с ними ко утверждению верных.

Енох будет проповедовать о законе естественном, Илня же о законе писанном, Иоан о законе Благодати».

ზემოხსენებული მაგალითებიდან ჩანს თითოეული წინასწარმეტყველის ფუნქცია. ელიასა და ენოქს ზეპირსიტყვიერებით უწევთ ქადაგება, ხოლო იოანეს, როგორც ვხვდებით, წიგნით, რადგან მას წიგნი შეაქამეს.

ახლა დეტალურად განვიხილოთ იოანეს მოწოდება.

(გამოცხადება იოანესი 11, 1..) „და მომეცა მე ლერწამი, მსგავსი კუერთხისაჲ, და მრქუა: აღდეგ და განზომე ტაძარი ღმერთისაჲ და საკურთხეველი და თაყუანის-მცემელნი მას შინა“, ე.ი. იოანეს ფუნქციაში შედის ტაძრის გაზომვა, ასევე საკურთხეველისა და თაყუანისმცემელთა. იქ, სადაც ნაუწყებია: „მომეცა მე ლერწამი მსგავსი კუერთხისაჲ“-ო, ნაჩვენებია, რომ იოანეს ებოძა ქრისტიანული მწყემსთავრობა და ძლიერება (ასევე ებოძა იგი კვერთხი მოსეს).

„აღდეგ და განზომე ტაძარი ღმერთისაჲ“ — ნიშნავს: მას ევალება მრავალ ტაძართა შორის ჭეშმარიტი ტაძრის სახის ჩვენება, (რაც ვლინდება ღვთის ბეჭდის სწორ მიღებაში, ე.ი. სწორ ნათლობაში.)

„და საკურთხეველი“, ასევე უნდა მიანიშნოს მან ჭეშმარიტი საკურთხეველი, (რაც გამოიხატება ევქარისტის, ე.ი. ზიარების სწორ შედგენაში).

„და თაყუანისმცემელნი“ — ასევე უნდა წარმოგვიდგინოს მართლმორწმუნეთა ჭეშმარიტი სახე. ეს თავისთავად ნიშნავს სახარების — სამარადჟამო სასუფეველის ქადაგებას, მეორედ მოსვლის უწინარეს სამზადისს, ე.ი. საღვთო რჯულის კანონს, ყოველ სამოქმედო ქრისტიანულ წესსა და რიგს.

და მაშინ როცა უბრძანეს:

„და ეზოჲ იგი, რომელი არს გარეგან ტაძრისა, განაგდე გარე და ნუ განჰზომ მას, რამეთუ მიეცა იგი წარმართთა“-ო, ნიშნავს იმას, რომ მართლთა განსამტკიცებლად იოანეა მოწოდებული; ძირითადი საზრუნავი მისი ეგ არის, რაც შეეხება, „მართალთას“, ამ „მართალთაში“ იგულისხმება ღვთის მოყვარე, მორწმუნე, მორწმუნე არაგარკვეული, გზაგამრუდებული და დაბნეული, რომელთა დასამოძღვრად იოანეა მოწოდებული; ხოლო ტაძრის ეზოში მდგომარე წარმართათვის ზემოხსენებული ორი წინასწარმეტყველი იღვწის, ესენია ელია და ენოქი. თუმცა ვხვ-



დავთ იოანეს მოწოდებას მართალთათვის, აქვე ისიც ჩანს, რომ იოანეს ფუნქციაში წარმართებზეც ზრუნვა დაშვებულია. „ჯერ — არს შენდა კუალად წინასწარმეტყველება ერთა ზედა და წარმართთა და ენათა და მეფეთა ქუეყნისათა“. როგორ გავიგოთ ეს? როცა იქვე ასედაცაა ნაუწყები: „მიცვე (ე.ი. წარმართებს) ორთა მათ მოწაფეთა ჩემთა“-ო, თუკი წარმართთათვის ელია და ენოქი არიან წინასწარმეტყველებად წარმოჩენილი, რატომ იქვე არ მიანიშნეს მესამე წინასწარმეტყველის — იოანეს ქადაგებაც? ახსნა ამგვარია: წარმართები იყოფიან ორ ჯგუფად: ერთნი არიან არასწორი რელიგიის მპყრობელნი, მეორენი კი სწორი რელიგიის მპყრობელნი, მაგრამ არასწორად ნათელცემულნი. ორთავენი წარმართებად ჩანან ღვთის თვალში, რადგან არ გააჩნიათ წყლიდან დაბადების ნიშანი, ასევე სულიწმინდისაც. აქედან გამომდინარე, ელიასა და ენოქის სამოღვანო ობიექტი წარმართთა ის ტოტია, რომელთაც უპყრიათ არასწორი რელიგია, ხოლო იოანეს ეკუთვნის მეორე ტოტი წარმართთა, რომელთაც აქვთ სწორი რელიგია, მაგრამ არ გააჩნიათ სწორი ნათლისღება, ე.ი. იოანე აქ მართალთა შორის იმ ერეტიკოსთა მომქცეველადაც იგულებს.

აცხადებს რა იოანე ჭეშმარიტ ტაძარს, ელია და ენოქი მოუწოდებენ ყველა წარმართს უკვე იოანეს მიერ განცხადებული ტაძრისკენ. იოანეს სამოძღვრო ღვანლი აპოკალიფსის მიხედვით ასე განიმარტრება:

(გამოცხადება იოანესი 10, 10-11) „და აღვიღე წიგნი იგი ხელიდგან ანგელოზისათა“ — ე.ი. ანგელოზი მას აძლევს საქადაგებელ სიტყვას, რაც გამოიხატება მეორედ მოსვლის წინარე სამოძღვრო განცხადებად.

„და შევჭამე და იყო პირსა შინა ჩემსა შინა ჩემსა ტკბილ ვითარცა თაფლი“ — ე.ი. მან მიიღო წიგნის სახით ღვთიური სიბრძნე. იყო იგი ტკბილ ვითარცა თაფლი, რადგან წინასწარმეტყველს ქრისტეს ბაგე ებოძა, რამეთუ ნათქვამია, მოციქულთა ბაგე ქრისტეს ბაგეაო.

„რაჟამს შევჭამე იგი, დაამწარა მუცელი ჩემი“, — დამძიმდა, ჩაესახა ტვირთი, რომლის ტარება იოლი როდია, იგი მძიმეა ვითარცა გოლგოთა, და ვითარცა დასაბადებელი პირმშო. ამიტომაც ჰგვემს იგი მუცელს წინასწარმეტყველისას; პირმშო ტკბილია, მაგრამ ძნელია მისი დაბადება.

„ჯერ-არს შენდა კუალად წინასწარმეტყველება ერთაზედა, და წარმართთა და ენათა და მეფეთა ქუეყნისათა“. ეს „კუალად“, ნიშნავს ქვეყანაზე მეორედ მოსვლის უწინარეს თვით იოანეს ხელმეორედ მობრძანებას, იმავე წინასწარმეტყვე-

ლის ფუნქციით. იოანე-ზოსიმემ იცის, რომ იოანეს მიერ განცხადებული ტაძარი ყველას ეკუთვნის, ვინც კი ინდომებს; და აი, ასორმოცდაოთხი ათასი იუდეველი მზად არის მიიღოს ქრისტიანობა და ბერობა შეიმოსოს. (გამოცხ. იოან. 7, 3-4).

იოანეს მობრძანებას ჟამის მიჯნაზე სახარებაც გვიდასტურებს. როდესაც მაცხოვარმა მოციქულებს გაუმხილა თავთავიანთი გამრული დასასრული, პეტრემ შენიშნა, რომ ქრისტემ იოანეზე არაფერი თქვა:

(იოანე 21, 20-22) „მოიქცა პეტრე და იხილა მოწაფე იგი (იოანეზეა ლაპარაკი)... უფალო, ხოლო ესე რაი? ჰრქუა მას იესო: უკუეთუ მინდეს ყოფა მაგისი, ვიდრემდე მოვიდე, შენდა რაე?“

ამდენად აპოკალიფსში განცხადებული მისი სამოძღვრო ღვანლი მეორედ მოსვლისა უწინარეს დადასტურა იოანეს სახარების ზემოწარმოდგენილმა სტროფმა. მოციქულებში მაშინ ხმა დაირხა: იოანე არ მოკვდებაო, მაგრამ იოანე თავად ამბობს: ქრისტეს კი არ უთქვამს რომ არ მოკვდებაო, არამედ თქვა: „უკუეთუ მინდეს მაგისი ყოფა ვიდრემდე მოვიდოდეო“. ეს კი ნიშნავს იოანე ღვთისმეტყველის წინამორბედობას მეორედ მოსვლის წინ. ქრისტემ ამ განცხადებით იოანეს უკვდავებას კი არ გაუსვა ხაზი, (როგორც ზოგნი განმარტავენ), არამედ მან აღნიშნა მოციქულთა შორის იოანეს არამონამეობრივი დასასრული. ხოლო დანარჩენმა თერთმეტმა მოციქულმა მონამეობრივი სიკვდილი იწვნია. გამოიკვეთა რა იოანეს წინასწარმეტყველური ღვანლი, მანვე უნდა დაუბრუნოს წიგნის სახით ქვეყანას ის მიღებული „პროგრამა“ — „საიდუმლო სიტყვა“, მეორედ მოსვლის სანამებულად. მანვე უნდა აუწყოს „წარმართთა და ენათა და მეფეთა ქუეყნისათა“ მეორედ მოსვლის წინარე სამზადისი, ე.ი. ყოველი წესი და რიგი.

იოანე-ზოსიმე რომ ბრძანებს: „დამარხულ არს ენა ქართული მეორედ მოსვლისა მისისა, სანამებულად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“-ო, გვაუწყებს, ქართული ენა შემონახულიაო მეორედ მოსვლის სანამებულად, ე.ი. რათა ვირწმუნოთო მისი მეორედ მოსვლა. მაშ, რა დასკვნისაკენ გვიბიძგებს ტექსტის ავტორი? ამ სამი წინასწარმეტყველიდან ერთ-ერთი იოანე-ზოსიმეს სავარაუდო გამიჩნია, რადგან სხვა ვარაუდი გამორიცხულია. თუკი სამი წინასწარმეტყველიდან ორის საღვანო ადგილი პირდაპირ მინიშნებულია იუდეველთა მინად, დაგვრჩა ერთი ვარაუდი, მესამე წინასწარმეტყველი; იგი უნდა იქნეს მიჩნეული იოანე-ზოსიმეს გმირად. დასაფიქრებელია, იოანე-ზოსიმე ორი სახელით რომ აწერს

ხელს. იქნებ აპოკალიფსური თხზულების ავტორი თავისი სახელის ბოლოში მოქცევივით ნინა პლანზე წამოწევს იმ წიგნის ჭეშმარიტი ავტორის სახელს. იოანეს ავტორობას, მართალია აპოკალიფსი გვაუწყებს, მაგრამ მისი წიგნის ქართულობას ზოსიმე მიგვანიშნებს.

რაც შეეხება აპოკალიფსში ნახსენებ შვიდბეჭდიან წიგნს, იგი ქართული წიგნი როდია, ეს წიგნი ქრისტიანული წელთაღრიცხვის მატიანია. (გამოცხ. იოან. თავი 6 და 7) — იგი განიხილავს პირველი საუკუნიდან მეორედ მოსვლამდე ჟამის ყოველ კულმინაციურ მომენტებს (აპოკალიფსში იოანეს წიგნის დაბადება მეექვსე ბეჭდის მოხსნის შემდეგ ჩანს. გამოცხ. იოან. 7,1—3).

ზოგი მკვლევარი ბუნდოვანებით მოსაეს ზოსიმეს მიერ ხაზგასმულ ტექსტის აპოკალიფსურ ნიშს, ამგვარ მესიანისტურ ფუნქციას მრავალ ენათა წადილად მიიჩნევს. ენისათვის საკრალურის განცხადება რჯულის სურვილზე როდია დამოკიდებული. გავეცნოთ, თუ რა დეტალებს ეყრდნობოდა იოანე-ზოსიმე, როცა ქართული ენის უპირატესობას სხვათა ენათა (ებრაული, ელინური) შორის ხედავდა:

(გამოცხადება იოანესი 7,2) „და ვიხილე სხვა ანგელოზი, აღმომავალი აღმოსავლეთით მზისაჲთ, და აქუნდა ბეჭედი ღმრთისა ცხოველისაჲ და ცმა-უყო ცმითა დიდითა ოთხთა მათ ანგელოზთა, რომელთა მიეცა ვნებაჲ ქუეყანისა და ზღვასაჲ, ვითარმედ: ნუ ავნებთ ქუეყანასა, ნუცა ზღვასა, ნუცა ხეთა, ვიდრემდის დავპბეჭდნეთ მონანი ღმრთისა ჩუენისანი შუბლთა ზედა მათთა“.

ღმრთის ბეჭდის მპყრობელი ანგელოზის გამოჩენა აღმოსავლეთით მზისაჲთ, ხომ მიანიშნებს მზის აღმომავალ მხარეს, მზიურ მხარედ წოდებულს, ქრისტიანული რწმენის ბურჯს აღმოსავლეთში? როგორც წარღვნის შემდეგ ქვეყანაზე სიცოცხლე აღმოსავლეთიდან — არარატის მთიდან დაეშვა ბარისაკენ, ასევე მეორედ მოსვლის ჟამს წინასწარმეტყველი იმავე აღმოსავლეთს მიანიშნებს, იმ მხარიდან დაუბერავსო სიცოცხლის ბოლო ნიავი.

ვიცით, რომ ბიბლიის მიხედვით ყველა რჯული ერთ სათავეს იღებს, განა ყველა რჯულში არ დევს პირველი კაცის გენეტიკური მარცვალი? წარღვნის შემდეგ ნოე გახდა კაცობრიობის ფესვი. ნოეს სამი ვაჟიშვილის — სემის, ქამის და იაფეტისაგან დაედო საფუძველი კაცთმრავლობას ქვეყანაზე. სამივე შვილს თავთავიანთი ბუნების მიხედვით მიეზღო:

1. სემი მიჩნეულია მემკვიდრედ, როგორც პირველი შვილი.
2. ქამი — უდღეურ შვილად, სემისა და

იაფეტის მოდგმის მონად.

3. ხოლო იაფეტი, უმცროსი შვილი, კეთილნაშვიერად.

სამივე ძმა ერთი მამის შვილია. მრავლობენ ქვეყანაზე, ერთი ენა გააჩნიათ, ერთნაირი სისხლი. ბაბილონის გოდოლის დაშლისას იქნა ენათა აღრევა, ტომობრივი დაყოფა. რომელი ტომი იტყოდა ნოეს ნაშვირი არა ვარო? რა თქმა უნდა, ვერც ერთი. მაგრამ მათში მხოლოდ სემს დაემადლა მისი გვარტომიდან მაცხოვრის აღორძინება. ერთ ენაზე მოსაუბრე მამა-შვილებს ენაც კურთხეული ექნებოდათ, რადგან ამ ენით დააწყებინა არსთა განმრიგემ მეტყველება კაცობრიობას. ენათა აღრევის მომენტში ღმერთი არ დაუშვებდა არსებულს, თანაც კურთხეული ენის სრულიად გაუქმებას, და იგი უეჭველად რომელიმე ტომს შეარჩენდა მას; წილხდომილობის მიხედვით სემიტელების ენა კურთხეული უნდა იყოს, რადგან ამ ენაზე მეტყველებდა ყველა წინასწარმეტყველი ქვეყანაზე, ამ ენაზე მეტყველებდა ღვთისმშობელი, ყველა მოციქული და თვით მაცხოვარიც.

ღვანლის მიხედვით კი იაფეტელნი იმსახურებენ ღვთის წყალობას ოთხი რამის გამო: 1. როგორც მაცხოვრის მიმღებნი და არაუარყოფელნი; 2. როგორც ღვთის არა დამსჯელნი და ცოდვის არათანამონაწილენი; 3. როგორც დევნილნი და მაცხოვრის რჯულის არაშემცვლელნი; 4. როგორც მშვიდობის მოყვარენი და მამაცნი. (ქამიტებზე კი ლაპარაკიც ზემდეტია). მაცხოვრის მისაღებელი პირველი ქადაგება უეჭველად სემიტელებს ეკუთვნოდათ, როგორც მემკვიდრეებს, ხოლო მაცხოვრის მეორედ მოსვლის სახარებისეული ქადაგება იაფეტელებს ხელენიფებათ, როგორც ღვთის მიმღებლებს და არამწვალებლებს.

ახლა განვიხილოთ იაფეტელთა რომელი ტოტია ამის ღირსი? იაფეტელნი მრავალნი არიან, მაგრამ იმ მრავალთა შორის სახიერად წარმოჩინდება ის ტოტი, რომელიც დარჩა არამწვალებლად, ე. ი. რომელმაც არ უარყო ღმერთის მიღებისთანავე წმინდა მამათა კანონები და ასევე ხელუხლები დატოვა მრწამსი.

ლათინელებმა „კათოლიკობა“ შეიმოსეს და მრწამსს დაუმატეს ქრისტესაგან სულიწმიდის გამოყოფის ვერსია, რის გამოც მთელი დასავლეთის ეკლესია ანათემას შეუდგა. ხოლო სხვა მართლმადიდებლები დოგმატების შეცვლის გამო, მონოფიზიტებად იქცნენ (წაართვეს მაცხოვარს კაცობრივი ბუნება, ამით მრწამსი შეცვალეს და ღვთისმშობელში ქრისტეს განკაცების მუხლი დაარღვიეს.). დანარჩენ იაფეტელთა

პრეტენზია, ქრისტიანული სალიდერო ღვან-ლის მინიჭებისა; ნაკლებად საყურადღებოა იმ ტომთა გვერდით, რომლის მინა-წყალი ღვთისმშობლის წილხდომილად იქცა; და რომელთა მიმართ ანგელოზმა შეჰლაღადა ღვთისმშობელს: შენი წილხვედრი ქვეყანა ბოლო დროს განათდესო. (ასევე კვართი და ხელთუქმნელი ხატი უფლისა იბერიაში იქნა ჩამოტანილი). სწორედ, ყოველივე ამის გამო იოანე-ზოსიმე თავის რჯულს, თავის ტომს უწინასწარმეტყველებს იმ ენის აღზევებას და განდიდებას, რომელსაც ჰგულვობს იგი ყოველთა ენათა აღმოსავლად და მესაიდუმლედ. აპოკალიფსის მიხედვით, სწორედ იმ მზის საბადებლიდან ე.ი. „აღმოსავლით მზისათ“, სწორედ იქედან აღმართეს ღვთის ბეჭედი, რომელიც უნდა იქნეს ჩამოტარებული საქვეყნოდ, რაც ზოსიმესათვის ცნობილია. მეორედ მოსვლის წინარე ქრისტიანული ღვანლით გამოკვეთილი ქადაგება კარგად ჩანს მარკოზის სახარებაში:

(მარკოზი 13,1...) „და გამო-რაფიოდდა იგი ტაძრით, ჰრქუა მას ერთმან მოწაფემან მისმან: მოძღუარ, იხილე, რაბამი ქვები არს და რაბამი შენებულება! მიუგო იესო და რქუა მას: ჰხედავა ამათ დიდ-დიდთა შენებულთა? არა დაშთეს ქვა ქვასა ზედა, რომელი არა დაირღვეს... მითხარ, ჩვენ, ოდეს ყოფად არს ესე, და რა იყვნენ სასწაულნი, ოდეს ესე ყოველნი აღესრულნენ? მიუგო იესო და რქუა მათ: ეკრძალებით ნუუკუე ვინმე გაცდუნნეს თქვენ, რამეთუ მრავალნი მოვიდიოდინ სახელითა ჩემითა და იტყოდინ, ვითარმედ: მე ვარ, და მრავალთა აცდუნებდნენ. რაჟამს გესმოდინ ბრძოლანი და ამბავნი ბრძოლათანი, ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე ყოფად, არამედ არღა არს აღსასრული... ხოლო პირველად ჯერ-არს ქადაგებად სახარება ესე“.


აქედან გამომდინარე მეორედ მოსვლის უწინარეს სახარების ქადაგება ნიშნავს რწმუნებას ქრისტეს ღმერთკაცობისას. და როცა ეუბნება ქრისტე პეტრეს იოანეზე: (თუკი მნებავს იგი იყოს ბოლომდე, ჩემს მოსვლამდე, შენ რაო, შენ რა გინდაო), ამით იგი მიგვანიშნებს, რომ იმ ბოლო ქადაგების უფლებამოსილება იოანეს მიანიჭა. იოანეს ქადაგება განცხადებული ჩანს წიგნით იოანე-ზოსიმე კი იმ ბოლო სამოძღვრო წიგნს, როგორც ვხედავთ, ქართულ წიგნად მიიჩნევს. რა სა-

ფუძველს ეყრდნობა იგი, როცა ამას ასე პრეტენზიულად აცხადებს? (ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია) — ღვთისმშობელს წილად ხვდა იბერია სულთმოფენობისას. ანგელოზი ეცხადება მას და აუწყებს: „ნუ ნახვალ შენ ღვთისმშობელო, იბერიაში, აქ უნდა დარჩე დრომდე, შენს მაგივრად სხვა წავა. ხოლო შენი წილხვედრი ქვეყანა ბოლო დროს განათდესო“.¹ საქართველოს ტრაგიკული წარსულის არც ერთი მომენტი არ გამოდგება „ლაზარეს“ მკვდრეთით აღდგომის ნიშად, მაგრამ იოანე-ზოსიმეს სჯერა „ლაზარეს“ მკვდრეთით აღდგომა, ის ამ დღეს მოელის. კარგად იცის, რომ ენის მესიანისტურ ფუნქციას არსთა განმრიგე აწესრიგებს და თუკი რომელიმე სხვა ენას ამის პრეტენზია გაუჩნდება, იგი ჩაითვლება რჯულის წადილად და არა წილხდომილად.

(სახარება თანამედროვე ქართ. ენაზე — 1 კორინთ. მიმართ 1, 26...) „იხილეთ, ძმანო, ვინ ხართ მოწოდებულნი. ბევრი არ არის ხორციელად ბრძენი. ბევრი არ არის ძლიერი და ბევრი არ არის წარჩინებული; არამედ ნუთისოფელის უმეცარნი ამოირჩია ღმერთმა, რათა შეარცხვინოს ბრძენნი. ქვეყნიერების სუსტნი ამოირჩია ღმერთმა, რათა შეარცხვინოს ძლიერნი. და მდაბიონი ამოირჩია ღმერთმა და დამცირებულნი, და არარაობა, რათა გააუქმოს არსებული იმისათვის, რომ არავითარმა ხორციელმა, არ იკვებხოს ღმერთის წინაშე“.

როცა ახალი რელიგიის, ე.ი. ქრისტიანობის აპოლოგეტებმა მსოფლიო დევნა განიცადეს, და მრავალნი თავს აფარებდნენ გამოქვაბულებს, იბერიაში სწორედ მაშინ შეიმოსა წმინდა გიორგის სახელი და მით მაცხოვარს გიორგისეული ერთგულება აღუთქვა. „გეორგიკა“ ანუ იბერია. ასე იცნობს მას მსოფლიო. როგორც იქ, განსაცდელმა გიორგი გმირად აქცია, ასევე ბოლო ჟამში ეძიებს იოანე-ზოსიმე ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ბედნიერებას, რამეთუ სწამს, რომ იბერია თავისი ენის მაღალ დანიშნულებას ყველა ენათა წინაშე გაამართლებს, რასაც სასწაულად „ოთხმეოცდა ათოთხმეტი“ წინადადით გვაუწყებს.

გაგრძელება იქნება



თენგიზ
ჯიჯიაშვილი

ლია ხუსიაშვილი
„სალი კოლხელი“

ლია რუსიაშვილის ლირიკისგან განსხვავებით „სალი კოლხელი“ წერის სადა მანერითაა ნიშანდებული, რასაც ერთი მხრით, ნაწარმოების ბავშვებისათვის განკუთვნილობა განსაზღვრავს, მეორე მხრით, ავტორის სწორად გადანყვებილი იდეურ-ესთეტიკური პოზიცია: მან კარგად იცის, რომ წიგნში ჩართული სახარებისეული ეპიზოდები და მათი იგავური ენა ვერ შეივსებდა ზედმეტ სტილიზაციას, თუნდაც თავმეკავებულ პოეტურ მოჩუქურთმებას. მართლაც, წმინდა პეტრე მოციქულის ლოცვების ძალა, წმინდა სვიმეონ სალოსის ცხოვრების ეპიზოდები, დედა-ღვთისმშობლისადმი აღვლენილი ლოცვები, ქალწულ მარიამის ბავშვობისდროინდელი ქცევები თუ საერთოდ მისი ცხოვრების ისტორია, ანდა, ვთქვათ, ღვთისკაცის — მაკარი დიდის კეთილმოღვაწეობა და მსგავსი პასაჟები საკუთრივ

არის განყოფილი მაღალი პოეტური, ემოციური მუხტით. ნაკითხულიდან ვიგებთ, რომ სალი კოლხელის დედის /იგივე ავტორის/ სამაგიდო წიგნი არის „უფლისა ჩვენის იესო ქრისტეს მოციქულთა ცხოვრება“. ნათლად ჩანს ისიც, რომ ოჯახი სათანადო დამოკიდებულებას ამჟღავნებს სხვა საღვთისმსახურო-ლიტურგიკული ლიტერატურის მიმართაც და საერთოდ ეკლესიური ცხოვრებისადმი. ამდენადვე არსებობის ასეთი წესი სპეციფიკურადაა შემსჭვალული და ჩანს წიგნში ასახული დღევანდელი ყოფის გამომხატველ ეპიზოდებთან, რაც საბოლოოდ აფორმებს კიდევ ნაწარმოების ქრისტიანულ პათოსს და „სალი კოლხელს“ წარმოაჩენს როგორც თანამედროვე საქრისტიანო მწერლობის უახლეს ნიმუშს. ამ ქრისტიანული მგზნებარებისა და აღმაფრენის შეცნობა, უწინარეს ყოვლისა, განსაკუთრებულ ადრესატს — ბავშვთა სამყაროს ესაჭიროება, მით უფრო, რომ ჩვენს ეპოქაში, როდესაც გლობალიზაციის ქიმერამ უკვე კარგა ხანია წამოყო თავი, გადაუდებელ ამოცანად იქცა ეროვნული განცდის გამძაფრება... „სალი კოლხელის“ რედაქტორ-გამომცემელი გვამცნობს: „ლია რუსიაშვილმა გადანყვიტა შექმნა ისეთი ნაწარმოები, რომელიც ბავშვთა სამყაროს მიიზიდავდა არა უარყოფითი ძალის არსენალით — მაგიითა და გრძნეულებებით, არამედ ქრისტიანული სწავლების, წმინდა ძალების და მართლმადიდებელი ოჯახის ძალისხმევაზე აგებული სიუჟეტით“.

ერთი ვითარება ძალზე არსებითად გვესახება: წმინდა მხატვრული, შემოქმედებითი ინტერესების გარდა /ლ. რუსიაშვილის პოეტური ნიჭიერება საყოველთაოდაა აღიარებული/, ავტორს გამორჩეული სულიერი პასუხისმგებლობა ეკისრება მომავალი თაობის ცხოვრების წესზე /იგი შვიდი შვილის დედაა/, რამაც განაპირობა კიდევ, ჩემი აზრით, მსგავსი თხზულების შექმნა...

პროფესიული საბავშვო მწერლობა საქართველოში XIX საუკუნიდან იწყება. მყარი საფუძველი მის მზარდ ფორმირებას უზრუნველბის „წყაროს“, „მნათობის“, „ჯეჯილის“, „ნაკადულის“ გამოსვლის შემდეგ ექმნება. ქართული პროფესიული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებლად იაკობ გოგებაშვილი ითვლება /„დედა ენა“, „ბუნების კარი“/. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, შიო მღვიმელმა, რ. ერისთავმა, შიო არაგვისპირელმა, ბაჩანამ, თედო რაზიკაშვილმა, ე. გაბაშვილმა, ნ. ლომოურმა... ნ. დუმბაძემ, რ. ინანიშვილმა, ო. იოსელიანმა და სხვებმა. ხშირად საბავშვო ლიტერატურა ერთგვარი პირობითობით იმსახურებს ამგვარ ზედსახელს. იგი უფროსთათვისაც პრობლემურ მოვლენებს წარმოსახავს მკაფიო მიზანდასახულობით. ამგვარი შეხედულების მაგალითად აკაკის შეხედულებას წარმოვადგენთ თ. რაზიკაშვილის მოთხრობაზე „ფითრი“, რომელიც

„კვალის“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა: „ეს პატარა მოთხრობა, თედო რაზიკაშვილისა... როგორც ხელოვნების მხრივ, ისე თავისი კილოტიც გამტაცია ახალგაზრდა გრძნობა-გონების და იმავე დროს დიდად საგულისხმიერო დიდებისათვისაც“. აქ პრინციპულადაა გამოკვეთილი ნაწარმოებით „ორასაკობრივი“, „ორმაგი დონის“ მკითხველის დაინტერესების ფაქტი. სხვას ბევრსაც აღუნიშნავს-ვოლტერით შემოვიფარგლებით „—ყმაწვილთათვის ის არის კარგი, რაც არც დიდებს აწყენს“...

როგორც ხალხურ ზღაპარში, ასევე რიგ ევროპულ ავტორთა /მაგალითად, კრესტიენ დე ტრუა, ვოლფრამ ფონ ეშენბახი და სხვ./ და აღმოსავლურ ლიტერატურაშიც — ხშირად გვხვდება ჯადოსნური თვისებებით აღჭურვილი ბეჭედი, ჯადოსნური ვერცხლის რტო, ან „სათნოების ქვა“ და ა.შ. ისინი ნატურისთვალის ან თილისმის ფუნქციას ასრულებენ, და არ მიეკუთვნება საღვთისმსახურო სინმიდით მოქმედებებს (სასწაულთმოქმედებებს!) ხოლო, „ვეფხისტყაოსანში“ ფიგურირებულ თინათინის ავთანდილისათვის ნაჩუქარ მარგალიტს, ან ტარიელისაგან ნესტანისადმი მიძღვნილ ყაბაჩასა და რიდეს, რომელნიც მხილველთ „ღვთის სასწაულად“ ესახებათ, ან კიდევ, ტარიელისადმი მიძღვნილ ნესტან-დარეჯანის სამკლავეს“ იგი მე მომეც რიდენი, რომელნი წელან გშენოდეს... ესე სამკლავე შეიბი, თუ ჩემი გა-ლა-გვლენოდეს“ / მთლიანად შემოცლილი აქვს ფანტასტიკურ-ჯადოსნური საბურველი და თითქმის თავისუფალია კონვენციულებისაგან და მკაფიო სიუჟეტური თუ ფსიქოლოგიური საფუძველი და დატვრითვა აქვს... დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ „სალი კოლხელი“ მკვეთრად დაპირისპირებული და განმიჯნავს ქრისტიანული ნაწარმოებია ყოველგვარი ჯადოსნურ-ეზოთერული დარელიგიისგან განკერძოებული მწერლობის მიმართ. „სალი კოლხელის“ ცენტრალური პერსონაჟი ერთ მართლმადიდებლურ ქართულ ოჯახში დამკვიდრებული ცხოვრების წესის გამომხატველი სახესიმბოლოა. ყოფითი წინააღმდეგობის მიუხედავად, რაც ზოგჯერ გამოუცდელი ახალგაზრდებისთვის დამახასიათებელი წვრილმანი /ხან კი შედარებით შემამფოთებელი/ შეცდომებითა და რიგი უზუსტობით გამოიხატება, ღვთის შეწევნით და მარლთმორწმუნე მშობლების უშურველი მზრუნველობით არსში ჩათესლილი კეთილი სანყისი წარმატებით ძლევს ავი, მაქცია ძალების /ჯადოქარ პელაგეას, ილუზიონისტ კოტეს, ქოსა რამინას/ შემოტყვევებს. საბოლოოდ, მაცდური სახეები კარგავენ ჯადოსნობის უნარს და კეთილმორწმუნეთა ლოცვისა და რწმენის ძალით განიარაღებულ-დამარცხებულნი სტოვებენ უკუღმართობითა გავრცელებისათვის გამიზნულ ასპარეზს.

ნიგნის მერვე, ასევე ძირითადი და კეთილმთესველი სახე-სიმბოლო სალის მეგობარი გლახაა, — ყინულოვანი გამოქვაბუ-

ლის განდევნილი, რომელიც მაღალი რწმენით უნერგავს ღვთისგან ჩაბარებულ სალი კოლხელს ამალღებულ რელიგიურ განცდებს, რაც ბუნებითად კვალავს კალაპოტს ეროვნული განცდებისთვისაც... გლახა იცავს მას ჯადოქარ-მაგებისაგან, რომელთა ძირითადი მიზანი ახალგაზრდის მოხიბვლაა ავ ავანტიურებში ჩასართველად და, რადგან სალი გახლავთ ნიგნში გატარებული მართლწმენის ცენტრალური ღერძი, მისი გადაცდენით, თვალთმაქც-ჯადოქართა აზრით, მრავალ უკეთურობას შეიძლება მიეცეს ბიძგი. ამგვარ სამიმ ვითარებას თითქოს აქვს კიდევ განვითარების შესაძლებლობა, რადგან, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, სალი ზოგჯერ ავლენს ახალგაზრდულ დაუდევრობას, მაგრამ ამგვარ სისუსტეთა გვერდით კეთილ სანყისთა თესლიცაა ჩათბუნებული და მართლად წარმართული რწმენის მეშვეობით მას არ უნერია ამოგდება; მეტიც, მისი ურწყავ ნიადაგში გადანერგვის ერთგვარი შესაძლებლობაც კი დაიშვება იქ მანამდე უჩვეულოდ სალი ნაყოფის აღმოსაცენებლად. ეს ქრისტიანული მოწყალეებაა. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ სალი კოლხელში ჩნდება სურვილი თვით კოტე-მაგის დახმარებისა, შველისა და გადარჩენისა ქრისტიანული თვალსაზრისით.

„სალი კოლხელი“ მთელი სიუჟეტური განვითარების მანძილზე კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლის მრავალნაირ ფორმას წარმოაჩენს და თითოეულის ავკარგობას სახარებისეული თუ სხვა საღვთო ნიგნებიდან მოყვანილი შესაბამისი ტექსტების მეშვეობით გვამცნობს, ბოროტის აღმოცენებას ძირს უძებნის და მისი ამოძიკვის საშველზე ნათლად მიუთითებს ადამიანს. ამით იგი მართალ მამათა სწავლების სპეციფიკურ სისტემას ემხრობა და მის მიყოლას ურჩევს ახალგაზრდობას სათანადოდ.

ნიგნის დასასრულისკენ ერთ ყველაზე მძაფრ, საჭირობოროტო პრობლემაზე დანვრილებით მახვილდება ყურადღება — მსოფლიო მომავალ მეფეზე, მასონთა ხელით სიონისტები რომ ამზადებენ, „ანუ იმ ებრაელთა შთამომავლები, რომელთაც არ ირწმუნეს ქრისტეს ღმერთკაცობა! სწორედ ესენი წარმოადგენენ თავიანთ რჩეულს და იტყვიან: აი, ეს ის მესიაა, ვისაც ამდენ ხანს ველოდითო!“

აქ ანტიქრისტიე იგულისხმება, რომლის წინამორბედი ჰარი პოტერი — მარლთმადიდებელ მღვდელთა აზრით, რასაც ავტორიც იზიარებს და ამიტომაც ქმნის მასთან მე-ბრძოლ სალი კოლხელს.

ასე რწმუნებ-რწმუნებით მიენოდება ბავშვებს ღვთისა და ეკლესიურ მოწყალეებათა მიმართ მინდობლობა და განწმენდის მოთხოვნილება, რაც მძლავრი საშუალებაა ყოველგვარი უკეთურობის დასაძლევად.

ცხადია, რომ „სალი კოლხელი“ დროის მოთხოვნას პასუხობს და ამასთანავე, ამდრებს თანამედროვე ქართულ მწერლობას ქრისტიანული ჟანრის გაძლიერებით.



როლანდ ბერიძე

თამარ

ბარბაქაძე

როლანდ ბერიძე - ქართული ლექსის მეცნიერი

როლანდ ბერიძემ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად დაიწყო მუშაობა 1970 წლის პირველ ოქტომბერს, ორმოცდაოთხი წლისა. მანამდე, ორი ათეული წლის განმავლობაში, იყო: საქართველოს რადიოკომიტეტის რწმუნებული სიღნაღის რაიონში, თბილისის საოლქო გაზეთ „გამარჯვების“ კორესპონდენტი ქალაქ გორში, გაზეთ „Заря Востока“-ს კორესპონდენტი ქალაქ რუსთავში.

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ბატონი როლანდი ქართული ლექსის სიყვარულმა მოიყვანა და, ალბათ, იმ მახვილმა,

კრიტიკულმა თვალთახედვამ, მის პირველ-სავე პოლემიკურ წერილში რომ გამოჟღავნდა: 1969 წელს ჟურნალ „მნათობში“ (8, გვ. 146-158) გამოქვეყნდა მისი დავიანებული რეცენზია სათაურით: „ქართული ლექსის მიუგნებელი საზომები“, რომელიც ბატონ აკაკი ხინთიბიძის წიგნს, 1961 წელს გამოცემულს: „პოეტური ხელოვნების საკითხებს“ და, კერძოდ, მის ერთ თავს. „თანამედროვე ლექსის აზომებს“ ეძღვნებოდა.

მაღე აღმოჩნდა, რომ ეს სტატია შემთხვევითი რეცენზია კი არა, მომავალი მეცნიერ-მკვლევარის სერიოზული განაცხადი იყო თანამედროვე ქართული ვერსიფიკაციით დაინტერესებული, შრომისმოყვარე კაცისა, რომელსაც მთელი ცხოვრება ქართული ლექსის მნიშვნელოვან პრობლემებზე უნდა ეფიქრა. ბატონმა როლანდმა თავისი სიცოცხლის 35 წელიწადი სწორედ ეროვნული სალექსო ფორმების, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსობის კვლევას და ქართული ხალხური პოეზიის მეტრიკის კვლევას დაუთმო.

პრობლემათა წრე, რომელიც განისაზღვრა: ქართული ლექსის საზომების, სტროფიკის, მყარი სალექსო ფორმების, რუსთაველის ლექსისა და ხალხური პოეზიის შესწავლა-ანალიზით, ნამდვილად არ ყოფილა ფართო, მაგრამ იყო ნამდვილად მტკიცე და დაურღვეველი, ბეჯითი, დაულალავი გარჯით რომ მდიდრდებოდა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოკიდებული, ახალი საუკუნის დამდეგამდე.

ბატონი როლანდის 1972 წლიდან გამოქვეყნებული სტატიების სათაურები გვარნმუნებს, თუ როგორი ინტერესით იკვლევდა იგი თანამედროვე ქართული ლექსის სტროფიკას: „თანამედროვე ქართული სტროფის კლასიფიკაციისათვის“ (1972), „თანამედროვე ქართული პოლიმეტრული სტროფი“ (1973), „ისევე ქართული ლექსის მიუგნებელ საზომთა გამო“ (1973), „უთანაზომო სტროფის განსაკუთრებული სახე“ (1974), „ორსაზომიანი სტროფის თავისებური ფორმები“ (1975), ხუთწლიანი, მიზანმიმართული კვლევის წარმატებული შეჯამება აღმოჩნდა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაცული სადისერტაციო ნაშრომი 1975 წელს: „თანამედროვე ქართული პოლიმეტრული სტროფი“, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე არ გამოცემულა წიგნად. ორიოდე წლის მერე ეს ნაშრომი კიდევ გამდიდრდა ახალმოპოვებული შედეგებით, რომელთაც მიეძღვნა რ. ბერიძის წერილები: „ოთხტაეპოვანი სტროფის ახალი სახეობანი“ (1977), „ორსაზომიანი სტროფის თავისებური ფორმები“, რუსულ ენაზე დაიბეჭდა: „ქართული ოთხტაეპოვანი

პოლიმეტრული სტროფის სისტემა“, სადაც წარმოდგენილია ქართული მრავალსაზომიანი სტროფის ვერსიფიკაციული სისტემა, ნაჩვენებია ლექსის ამ თავისებური სახეობის გარკვეული ნათესაობა ზოგად პოლიმეტრულ სტროფთან და გამოტანილია რამდენიმე ზოგადთეორიული დასკვნა.

მკვლევარმა სცადა XX ს. ქართული სტროფიკის – იზომეტრული, ჰეტერომეტრული და პოლიმეტრული სალექსო ფორმების ტიპოლოგიური დახასიათება; შეისწავლა თანამედროვე ქართული ლექსის თავისებური სახეობები – ორ და სამსაზომიანი სტროფები, მათი წარმოშობისა და განვითარების გზები, განსაზღვრა პოლიმეტრული სტროფის რაობა და შეეცადა, გამოვლენილი მასალის საფუძველზე დაესაბუთებინა ქართული წყობილსიტყვაობის იზოქრონულობისა და იზოსილაბურობის თეორიების უსაფუძვლობა. ეს დასაბუთება კი მწვავე პოლემიკის საგანი აღმოჩნდა 70-იანი წლების ქართულ სამეცნიერო პერიოდიკაში ქართული ლექსის აღიარებულ მკვლევარებთან: ბატონ აკაკი ხინთიბიძესა და გიორგი წერეთელთან.

ქართული ლექსის სილაბურობის თეორიის დამცველთა სანინალმდევოდ, რ. ბერიძე ეყრდნობოდა აკ. განერელიას დებულებას: „ქართული ლექსი უნდა ვიკითხოთ მეტრული მონაკვეთების გზაზე (ე. ი. მეტრული მახვილით“) და, შესაბამისად, აყალიბებდა თავის თვალსაზრისს: „ქართული ლექსის ტერფთა (ქორე, დაქტილი, მეორე პეონი, დიქორე და „ვაჟური ტერფი“) ნაირნაირი, თავისთავადი წყობა, განსაკუთრებული თანრიგით ქმნის ქართული ლექსის ლოგაედურ ბუნებას – სილაბურ-ტონურობის ფარგლებში, ან ამ ფარგლებიდან კანონზომიერი გადახვევით“ (რ. ბერიძე, „ქართული ლექსის ჭეშმარიტი ბუნების გამო“, აღმ. „კრიტიკა“, 1978, 3, გვ. 87-114).

ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ამ პოლემიკაში გამარჯვება რომელიმე მხარემ მოიპოვა: საკითხი ქართული ლექსის ბუნების დადგენისა დღემდე სადავოა და არც ერთი მხარე სათანადო არგუმენტების სიმცირეს არ უჩივის, მაგრამ აღსანიშნავია რ. ბერიძის მტკიცე პრინციპულობა ქართული ლექსის სილაბურ-ტონურობის თეორიის სასარგებლოდ მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

ქართული ლექსის სილაბურობის დამცველთა ნინალმდევ მომარჯვებულ არგუმენტებს 70-იანი წლების ბოლოდან რ. ბერიძემ შემატა „ვეფხისტყაოსნის“ ლექსწყობაზე დაკვირვებით მოპოვებული შედეგები, რითაც იგი დაუპირისპირდა გ. წერეთლის ე. წ. „სეგმენტების თეორიას“ და განმარტა: მის მიერ პოემაში მიგნებული სიტყვათა უჩვეუ-

ლო განლაგება 2/4/2 („მით ვართ ცრემლისა-ცა დენით“) უნდა აიხსნას „ვეფხისტყაოსნის“ მეტრული აღნაგობის ზოგადი კანონზომიერებით, კერძოდ, დაბალი შაირის სილაბურ-ტონურობით.

„რუსთავის ჩირაღდნების“ მეხუთე კრებულში, 1978 წელს გამოქვეყნებულმა რ. ბერიძის ზემოხსენებულმა წერილმა: „რუსთაველის რიტმული სვლა“ დიდი გამოხმაურება და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია 80-იანი წლების პერიოდიკაში. კერძოდ, აკ. ხინთიბიძემ შეუწყნარებლად მიიჩნია პოემის ერთადერთი გამონაკლისი სქემით: 2:4:2-ით 12 696 შესაძლებლობიდან დასკვნის გამოტანა „ვეფხისტყაოსნის“ ლექსწყობის თაობაზე.

კვლავ „რუსთავის ჩირაღდნებში“ გამოაქვეყნა რ. ბერიძემ 1981 წელს წერილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში „ვეფხისტყაოსნის“ სადავოდ მიჩნეული სტრიქონის: „შეგხედენ, დავჰკრთი ელვასა ლანვთა მზეებრ ნათელთასა“ თაობაზე. რ. ბერიძემ მიიჩნია, რომ ცეზურის გაუთვალისწინებლობამ გამოიწვია ამ სტრიქონის მეტრულ-რიტმული სტრუქტურის დარღვევა.

„ვეფხისტყაოსნის“ მეტრისა და რიტმის კვლევის დროს, ბუნებრივია, მეცნიერი თავისი პრინციპული პოზიციის გამყარებას ცდილობს, რასაც მკაფიოდ ცხადყოფს აკ. განერელიას 70-ე წლისთავის საიუბილეოდ მიძღვნილი მისი წერილიც: „აკაკი განერელია – ქართული ლექსის მკვლევარი“ (გაზ. „ლიტერატურალი საქართველო“, 1980, 29 თებერვალი), სადაც რ. ბერიძე წერს: „აკ. განერელიამ ნათელყო ქართული ლექსის ჭეშმარიტი ბუნება – სილაბურ-ტონურობა... ამას, უწინარეს ყოვლისა, გვიდასტურებს თვით აკ. განერელიას ახალი წიგნი, 1974 წელს დასტამბული: „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის ზოგიერთი საკითხი“.

„ვეფხისტყაოსნის“ მეტრიკის კვლევა როლანდ ბერიძეს სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია: გაზეთ „კალმასობის“ ფურცლებზე 21-ე საუკუნეშიც გააგრძელა მან კამათი ბატონ აკაკი ხინთიბიძესთან მე-20 საუკუნეში დანყებული პოლემიკა პოემის ცალკეული სტრიქონების რიტმისა და მეტრზე.

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ როლანდ ბერიძის რეცენზია შარლოტა კვანტალიანის 1985 წელს გამოცემული კრებულისა „ძახილი მეორე ნაპირიდან“. პოეტის განსაკუთრებულ ღირსებად მიიჩნევს რეცენზენტი შარლოტა კვანტალიანის მიერ პოლიმეტრული სტროფის შექმნის ხელოვნებას: სამი საზომის მონაცვლეობა ემყარება და რიტმულ-ინტონაციური განკერძოებით ზუსათედება შარლო-

ტა კვანტალიანის ლექსები: „ძახილი მეორე ნაპირიდან“, „ჩაძირული ხომალდი“, „შვილს, რომელიც ოდესმე მეყოლება“, „გვირილების წვიმა“, „ზღვა“, „მაისის სიზმარი“ და სხვ.

რ. ბერიძის აზრით, პოლიმეტრია, საერთოდ, კონვენციური ლექსისა და ვერლიბრის თავისებურ ნაზავად გვევლინება... ამ ტიპის ლექსებში, ერთი მხრივ, თვალნათლივია ქართული კლასიკური ლექსის ცნობილ საზომთა კანონზომიერი მორიგეობა, ხოლო მეორე მხრივ, ცხადად ჩანს ქართული თავისუფალი ლექსის ერთ-ერთი სახეობის ძირითადი ნიშანი – აქცენტურად მონათესავე და მარცვალთა ოდენობით განსხვავებულ საზომთა რიგითობის შინაგანი წესრიგი.

რეცენზენტმა საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება შარლოტა კვანტალიანის კრებულში წარმოდგენილ ლექსზე: „მიჭირისუფლე, ამი“, რომელიც პირველი პანტუმი უნდა იყოს ქართულ პოეზიაში. აქვე განმარტა მან პანტუმის რაობა, რომელიც მყარ სალექსო ფორმათა რიგს განეკუთვნება. იგი მაღალი წყობილსიტყვაობის პოპულარული კომპოზიციაა, რომლის შედევრები ეკუთვნის ლეკონტ დე ლილის.

მყარ სალექსო ფორმებს: რონდელსა და რონდოს, ვილანელს, სექსტინას, ფრანგულ ბალადას და სხვებს გატაცებით იკვლევდა რ. ბერიძე.

„ლიტერატურის თეორიის საფუძვლებშიც“ სწორედ მისი დანერგვითა შესაბამისი თავი მყარი სალექსო ფორმების თაობაზე, ხოლო „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ მკვლევარის მიერ დანერგული ოთხი ათეული სტატია არის შესული.

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ რ. ბერიძის წერილი „გალაკტიონ ტაბიძის ტრიოლეტები“, რომელიც 1998 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „კალმასობაში“ (15). გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში არც თუ ხშირად, მაგრამ მაინც გვხვდება აღმოსავლური თუ ევროპული მყარი სალექსო ფორმები. სონეტი, რონდო, ვილანელი, ოქტავა, ფრანგული ბალადა, მუხამბაზი, ყოშმა თუ ყაზალი (ფაზალი). როლანდ ბერიძის ზემოხსენებული წერილის შემდეგ მათ რიცხვს შეემატა გალაკტიონის „ალაზნთან“, რომელიც, ქართულ პოეზიაში გავრცელებული ტრიოლეტების საპირისპიროდ, 14-მარცვლიანი (5/4/5) საზომით კი არ არის დანერგული, არამედ ათმარცვლიანი 5/5 და იგი ჩვეულებრივი ტრიოლეტი კი არ არის, არამედ – ორმაგი. გალაკტიონის „ალაზნთან“ რ. ბერიძემდე არავის ჩაუთვლია ტრიოლეტად, რადგან მას, თვითონ პოეტის ნებით, ტრიოლეტის გარეგნული იერსახე დაკარგული ჰქონდა. ლექსის გამოცდილ მკვლევარს არ გამოჰპარვია ეს

გრაფიკული თავისუფლება – ორი რვატაეპედის შეერთება. რ. ბერიძე აქვე განიხილავს გალაკტიონის ერთ რვატაეპიან ლექსს, რომელსაც „ტრიოლეტები“ ჰქვია. იგი არაკანონიკური ტრიოლეტია. მეორე ტაეპი აქ მეშვიდე სტრიქონად მეორდება, ასევე დამწყები სარეფრენო ორტაეპედი:

მე მომაქვს, მე მომაქვს ყვითელი
სანთლები,
ყვითელი ვარდების ლივლივი ელვარე

სტრიქონთა შებრუნებული რიგით გადაადის ლექსის ბოლოს:

მე მომაქვს ყვითელი ვარდები
ელვარე
მე მომაქვს, მე მომაქვს ყვითელი
სანთლები.

სავსებით საფუძვლიანად მიგვაჩნია მკვლევარის ვარაუდი, რომ ეს ტრიოლეტი პოეტის მიერ ბოლომდე სათანადოდ დამუშავებული არ ყოფილა, ლექსის დასათაურება „ტრიოლეტებიც“ საეჭვოა. ალბათ, ისევე მკვლევარის ვარაუდს უნდა ვენდოთ და დაველოდოთ იმ დროს, როდესაც გალაკტიონის უცნობ ნაწერებში, ადრე თუ გვიან, გამოჩნდება „ტრიოლეტების“ ვარიანტი.

როლანდ ბერიძის ინტერესი ქართული ხალხური ლექსის პროსოდიის მიმართ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებით გაღრმავდა. ალბათ, პირველი გაცხადება ამ სიყვარულისა და ყურადღებისა იყო მისი რეცენზია ნანული აზიკურის მიერ 1986 წელს გამოცემული კრებულისა: „მგოსანნი გლოვისანი“, სადაც შეკრებილია თუშური ნატირლები. „თუშური ტირილი“, ძირითადად, თორმეტმარცვლიან ტაეპს ეყრდნობა.

რ. ბერიძე არკვევს, ქართულ პოეზიაში გავრცელებული 12-მარცვლიანი საზომის რამდენიმე სახეობიდან, სახელდობრ, რომელსა ჰგავს „ხმით ტირილის“ მეტრი?

რ. ბერიძე ვარაუდობს, რომ თუშური თორმეტმარცვლელი, პროსოდიული თვალსაზრისით, ნაირტერფოვანი, ანუ ლოგაედური წყობისაა და სილაბურ-ტონურობის ფარგლებში მოქმედებს. თუშური „ხმით ტირილი“ მეტრულად ორ, თანაბარ ნაწილად იყოფა (6/6), სავალდებულო ორი მახვილით: ცეზურის წინ (მე-5 მარცვალი) და ტაეპის ბოლოს (მე-11 მარცვალი).

ნანული აზიკურის მიერ შეკრებილმა 150-მა თუშურმა ნატირალმა გასული საუკუნის 80-იან წლებში ფართო გამოხმაურება

გამოიწვია. ავთანდილ არაბული მიიჩნევდა, რომ ფშაურ-ხევსურული ნატირლებისა და მთიბლურებისაგან მკაცრად რეგლმენტირებული ცხრამარცვლიანი საზომისაგან განსხვავებით, თუშური ნატირალეები ყოველთვის არ იცავენ თორმეტმარცვლიან ორმუხედს..

რ. ბერიძე ზემოხსენებულ თვალსაზრისს ხალხური ლექსის რიტმისა და მეტრის თაობაზე კვლავ განამტკიცებს სიცოცხლის ბოლო წლებში, როდესაც იგი აქტიურად იკვლევდა ხევსურულ და თუშურ პოეზიაში გავრცელებული შაირის მეტრს: „სჯანის“ მეორე კრებულში, 2001 წელს, დაიბეჭდა რ. ბერიძის ნაშრომი: „რვამარცვლიანი ხევსურული მაღალშაირის მეტრული კანონი“. გამოკვლევას საფუძვლად დაედო ქართველი ენათმეცნიერის ს. ჟღენტის თვალსაზრისითის კილოებში მახვილის ადგილმდებარეობის თაობაზე. კერძოდ, სიტყვებს იგი მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალზე, ემყარება ტონის მოდულაციას და შეერთებულია სუსტ დინამიკურობასთან, რომელიც ყველაზე ძლიერია ხევსურეთში.

რ. ბერიძის დასკვნის მიხედვით, რვამარცვლიანი ხევსურული მაღალშაირი ლოგაედური (ნაირმუხლიანი და, შესაბამისად, ნაირტერფოვანი) საზომია სილაბურ-ტონურობის ფარგლებში.


ამავე გამოკვლევაში მეცნიერი მნიშვნელოვან დაკვირვებას გვთავაზობს ქართული ხალხური პოეზიის სიძველის თაობაზე: ხევსურული საზომი რამდენიმე საუკუნით უსწრებს რუსულ, აგრეთვე: ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ ოთხტერფიან ქორეს: ინგლისური ლექსი სილაბურ-ტონურ წყობაზე

XIV ს. გადადის (ჯეფრი ჩოსერის რეფორმა), გერმანული ლექსი — XVIII ს. (მარტინ ოპიცის რეფორმა), რუსული ლექსი — XVIII ს. (ვასილი ტრედიაკოვსკისა და მიხ. ლომონოსოვის რეფორმა), ხოლო სილაბურ-ტონურობის ფარგლებში მოქმედი ხევსურული რვამარცვლიანი მაღალშაირის სათავეები შორეულ წარსულში უჩინარდება. მათი არქაულობის დასტურად მიიჩნევს რ. ბერიძე ჩვენამდე მოღწეული რელიგიური რიტუალის ამსახველ „ხუცობათა“ გარკვეული ნაწილის — „კურთხევანის“ სახელწოდებით ცნობილს, წარმართობისდროინდელ ტექსტებს, რომლებსაც შემდეგ ქრიტიანული ტერმინებიც მიუერთდა, ტაეპთა ზომა კი, უმთავრესად, ქრისტიანული ტერმინების მიმატების გამო არის დარღვეული.

რ. ბერიძე სიცოცხლის ბოლო წლებში კვლავ განაგრძობდა საქართველოს ცალკეული კუთხეების ხალხური პოეზიის მეტრიკის კვლევას. მკვლევარის წლიური სამეცნიერო ნაშრომების რეცენზენტი ხშირად მეც ვიყავი. ბატონ როლანდს არასოდეს შეუცვლია თავისი თვალსაზრისი ქართული ლექსის ბუნების გამო. ეს პრინციპულობა, ერთგვარი სიჯიუტეც კი, თუნდაც თანახმა არ ყოფილიყავით მისი შეხედულებისა, მაინც პატივისცემას და მოწინებას აღძრავდა მეცნიერის მიმართ.

... უკვე ორ წელიწადზე მეტი გავიდა მისი ამქვეყნიური ცხოვრების აღსასრულიდან, მაგრამ „უნდობარი ხანის“ გამო ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ქართული ლექსის ნიჭიერი მკვლევარის ნაშრომთა წიგნად გამოცემა. იქნებ დავაჩქაროთ ამ აუცილებელი საქმის დაწყება და აღსრულება...





ზურაბ
ქაფიანიძე

„ამ ხეობაში ფეხს ვეხ შეიშლებაო!“

— გაპრიალებული ხანჯალი
ქარქაშში
ჩააგო, ცხენზე შეჯდა და წავიდა.

ჩვენ ვაჟა-ფშაველა შევავზავნეთ
დესპანად. თავისი „სტუმარ-მასპინძელი“
ნაილო და წავიდა.

1969 წელია.

ეს ამბავი ასე დაიწყო:

„სტუმარ-მასპინძელს“ ვიღებდით
ქისტეთში, დარღვევის ხეობაში. იმ სოფელში,
ვაჟა რომ აღწერს:

„გაღმა ჩანს ქისტის სოფელი
არწივის ბუდეხავითა.

საამო არის საცქერლად
დიაცის უბესავითა“.

ხეობაში შემავალი გზა დაკავებული
გვექონდა. ქუჩის ერთ მხარეს უკრაინელი
ოპერატორი, საშუა ანტიპენკო იდგა თავისი
აპარატით, მეორე მხარეს, კოშკის ძირში
— ზვიადაური და ჯოყოლა — მე და ოთარ
მელვინეთუხუცესი ვიდექით და ვიღებდით
სცენას, როცა ჯოყოლას ზვიადაური სახლში
შეჰყავს.

„აი, ეს ჩემი ოჯახი,
ჩემი ციხე და ქავია,
მობრძანდით, როგორც

ძმა-ძმასთან

ნათლიმამასთან — ნათლია“.

გადაღების ადგილს ცხენიანი ქისტის
მოადგა, რომელსაც თანამედროვე ტანსაც-
მელზე ზემოდან ხანჯალი ჰქონდა შემორტყ-
მული. ცხენიდან ჩამოსტა და გაჩერდა. ქუჩა
გადაკეტილი არ იყო, მაგრამ დაკავებული
რომ იყო, მიხვდა. ცხენიდან ჩამოსტა, დადგა
და ყურება დაგვიწყო.

საერთოდ, კინოსტუდია „უზრდელი“
ორგანიზაციაა, რადგან ვერ ამჩნევს ასე გაჩ-
ერებულ ადამიანებს. ქისტი მხოლოდ საშა
ოპერატორმა შეამჩნია და რუსულად დაუ-
ძახა:

— გაიარე, გაიარე, ნუ გეშინიაო...

— მე მეშინიაო?! — დააძრო ხანჯალი
ქისტმა და ოპერატორისაკენ გაიქცა. მეც
გავიქეცი და ქისტი მკლავებში მოვიქციე.
ტრიალებს ამოღებული ხანჯლით. მე ვამშ-
ვიდებ: რუსია, ჩვენი წესები არ იცის-მეთქი,
ქისტს არაფერი ეყურება, რუსულად გაიძახ-
ის:

— მე მეშინია?!

ამ ძიძგილობაში, მოვიხედე და ჯგუფი
ალარ დამხვდა. წასულან. დავრჩით მხოლოდ
მე და ჩემი ქისტი. იკითხა:

— რას აკეთებთ?

— კინოს ვიღებთ

— რაზე?

— ქისტებისა და ქართველების ურთ-
იერთობაზე.

— ხვალ მოიტან რასაც იღებთ და სანამ
არ წავიკითხავთ, ამ ხეობაში ფეხს ვერ შე-
მოადგამთ!

გაპრიალებული ხანჯალი ქარქაშში
ჩააგო, ცხენზე შეჯდა და წავიდა.

დარღვევის ხეობაში მარტო დავრჩი.
ფეხითგამოფუყევი გზას. კიდევ კარგი, ჯგუფს
მანქანა დაეტოვებინა ჩემთვის, დავექეი და
სასტუმრო „ყაზბეგში“ ამოვედი, სადაც ჩვენი
გადამღები ჯგუფი ცხოვრობდა.

ფილმის ავტორი ბატონი თენგიზ აბუ-
ლაძე იყო. რომ დამინახა, მკითხა: — რაიო?

მოუწყევი, რაც ვილაპარაკეთ... კარგიო,

რუსულად ნათარგმნი „სტუმარ-მასპინძელი“ მაქვს და იმას გაგატანო, დამყაბულდა თენგიზი.

1969 წელს ვაჟა-ფშაველა დესპანად შევაგზავნე ქისტებთან.

მეორე დღეს ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ უბით წავიღე. ყაზბეგიდან დარიალთი დავეშვი. თოვს, ხეობაში მანქანა ვეღარ შედის. ქისტი ორი ცხენით დამხვდა. მძღოლს ვუთხარი, აქ დამიცადე-მეთქი და მე და ჩემი ქისტი დარღავსის ხეობას ცხენებით შევყევით.

მივედით სოფელში.

ყველანი ძალიან სერიოზულები არიან, არ ილიმებიან. წიგნი გადავეცი, გონების თვალთ ვხედავ, როგორ ამაყად შეალაჯა ვაჟა-ფშაველამ ქისტების ოჯახში: მიესალმა, ქუდი მოიხადა და იქვე ჩამოჯდა. ოდნავ ილიმება, ქისტებს მისი წიგნი ნაკითხული რომ არა აქვთ, ალბათ იმიტომ. ქისტები ყველანი ძალიან სერიოზულები არიან, არ ილიმებიან. ბუხართან დამსვეს, აქ დაიცადეო, მითხრეს. სოფლის თავკაცები შეიკრიბნენ და კითხვა დაიწყეს. მოსწონთ, ისე აქებს და აღწერს ვაჟა ქისტეთს, მაგრამ ჯერ არ ილიმებიან, რადგან არ იციან, ბოლოს რა ხდება. მე კარგად ვგრძნობ თავს, ვაჟა-ფშაველა მყავს დესპანად შეგზავნილი — კავკასიის ხალხის სიყვარულის და კავკასიონის დროშა, მე ხომ ვიცი, რაც მოხდება. ქისტებს ჯერ კითხვა არ ჰქონდათ დამთავრებული და ზედმეტად სერიოზულები მიდი-მოდოდნენ. გადმომხედა, აბა, მიხედე ამათო...

გადის საათნახევარი, ვაჟამ გარეთ გადმოალაჯა, იქვე ბუდაური ჰყავდა, შეჯდა და პირდაპირ მაღლა წავიდა, ცაში...

ატყდა ჟივილ-ხივილი. ქართველ რძ-

ლებს დაუძახეს, ახლა თქვენ იცით, როგორ გაუმასპინძლდებითო.

მაგიდას მივუსხედით. ისინი გახარებულები იყვნენ, ეს რა კარგი ლექსი დაუნერია, ვაჟა-ფშაველას როგორ ვყვარებივართ ქისტებო და მეც გახარებული, რომ ჩემმა დესპანმა ულამაზესი სიყვარულის ხიდი გადო ქისტებსა და ქართველებს შორის, გულში ვლოცავდი ჩემს დესპანს. მიმიხვდნენ და ფეხზე წამოდგომით დალოცეს ფშაველა. ერთი სიტყვით, სიყვარულის ხიდი ქისტებსა და ქართველებს შორის ვაჟამ გადო და ვლოცავდით ერთმანეთს, იქაური არაყით. იმათ სმარ უყვართ, მე მიყვარს! ქილა მოვითხოვე, ნახევარლიტრიანი, სამი ქილა არაყი დავლიე — რბილი არაყი აქვთ ქისტებს, 25-30 გრადუსიანი. უკეთეს განწყობილებაზე დავდექი. წამოსვლისას ქისტებმა გამომაცილეს. ყველა ჩემს გვერდით იდგა და გამომატანეს სიტყვა:

— მობრძანდით ჩვენს ხეობაში, ყველა სახლის კარი ღია იქნება, სტუმრები არ იქნებით, როგორც საკუთარ სახლში, ისე მოიქეცით, პური, წყალი, ყველი, კარაქი, ერბო მუდამ გექნებათ, მობრძანდით და იცხოვრეთო და ჩვენც მივბრძანდით, მთელი თვით. ვიდრე კინოს ვიღებდით, ჩვენც გვიხაროდა, ქისტებსაც, ვაჟა-ფშაველასაც და საქართველოსაც...

ღმერთმა დაგლოცოს, დიდო ფშაველო, კავკასიონისა და კაცობრიობის სინდის-ნამუსო!!!

შეგონება: თუ პატივს სცემ შენი ქვეყნის დიდ წინაპრებს, დროის რა მანძილითაც უნდა იყვნენ დაშორებულნი, მუდამ შენს გვერდით იქნებიან და გიშველიან.

ამაში არის შენი ქვეყნის ისტორიისა და წინაპრის ძალა!





რამს
გახსარი

მზერის გამზირზე...

ვიოლინოზე გაიჭრა ხემი
და როიალმაც ასწია ფორტე!..

ჩანამნამებენ ბერბიჭა ხენი
ოპერის ბალის აუზ-დეკოლტეს.

მზერის გამზირზე მოდის ირიბად
ირინა — უბნის კარმენი — ექსი...

ჩამოეშალა წვიმას ტირიფად
თმები და...
გულში ჩასველდა ლექსი.

რეკვიემი

დღეს როიალი გარდაიცვალა...
სული ამოშრათ აშლილ კლავიშებს
და პიკის ქალი, თვალცრემლიანი,
სამგლოვიაროს აფენს აფიშებს.

გაყინულია დემარში ტაშის
და პანაცეა კონცერტი — მარტის...

და წვიმით აცრილ მცივანა ქარში —
სიცხიან ნოტებს ფანტავს მოცარტი.

სვავის ფრთასავით სავსავეებს ფარდა.
ოტელო ღამეს დაისი უმძიმს...

და ტრაურიან თეატრის კართან
„მთვარის სონეტი“ კუნწულობს ყუნწით.

მთვარის ფიესტა

ცხრაას სამოცდაშვიდის
რვა ოქტომბრის შეხსენებად...

ვარაზისხევი...
„თეთრი საყელო“...
ის კილოკავი,
ფიცი,
იები...
ყდაზე წარწერა —
სახელდახელო.
მზერა მცივანა.
გლიცინიების...

„ჩათვლილი“ ბაღი —
უბეჩახსნილი —
შემცბარი
კოცნით —
უნებლიეთი.
მეზაღე — ნუშის
ჩიბუხგაჩრილი —
უნყინარ
„სირცხვილ
იქონიეთი“...

ორიათასის
რვა ოქტომბერო! —
ძველისკბილა ხარ —
ხსოვნის
ტესტებით...
დაგზუნებია

მთვარის
სომბრერო,
ზიხარ და
წარსულს
ეფიესტები...

წყავებთან

ძლივს ვპოულობდი
იმ გულბარტყ
სიტყვებს,
ძლივს იკავებდნენ
ნიავს კავებიც.

რა ღილწვრილობით
შეიკრა ის დღე,
რა უბინონი
იდგნენ წყავები.

...მოსწყურდებო
წყაროსაც
ერთხელ...
თქვა და
შეიდგა კოკა
წვალეებით.

რა წვრილღილობით
ჩაიხსნა ეს დღე,
რა ბინიერი
დგანან წყავები...

ნატვრა

...რატომ არ მოვედ წვიმადა?
ვაჟა

ღმერთო,
რად თოვლად
არ ჩამომღვარე,
არ გამითეთრე
შავი ფიქრები...

ბალღები მაინც
გაილაღებდნენ —
გადამირბენდნენ
გულზე
ციგებით!
ხომ ამბოჭავდნენ

მუჭა-მუჭა და
იგუნდავებდნენ
გოგო-ბიჭები.
და, მინით
მწვანის
ამონვიმამდე,
ერთ წვეთ იაზე
სულს
დავიჭერდი.

„ელისაბედი“

ტბაზე ქათქათებს უსულო გედი,
ბოლო სიმღერა — პალმა-სულია.
უკვე ცრემლია „ელისაბედი“
და ცრემლში რაღაც პარნასულია.

გულს უკიდია ბინდის აბედი.
მკვდრის მზეს ათონი ჩაუთონია.


ტბის მოღზე დნება საბრალო გედი,
თითქოსდა, ერთი გუნდა თოვლია.

ჩემს პანაშვილზე

დღეს ჩემი
ბოლო
პანაშვიდია...

სველი
სურათი
მშვიდად
ჰკიდია.
ნანა, ჩონგური!
უკვე
მოდინ,
უკვე ბნელდება,
უკვე შვიდია.

შაშვის ცრემლია
ფალიაშვილი...
წუთისოფელი
ბინდის
მინდია.
რა მენამული
მანვიმს ვარდები...
რა ქარებია,
რა ამინდია!..



ნაწილი

პოპულარული მუსიკის

„ჩონგური საქართველო“

ყური მიუგდე, შთამომავალო, რარიც ტკბილად და საამოდ ჟღერს ქართული ჩონგური, შენი წინაპრების ბედისა თუ უბედობის, სიხარულისა თუ კაემნის, ღვინისა თუ მწუხარების თანაზიარი საკრავი, შენი მოდგმის მიერ გამოთლილი და სიამედ ამეტყველებული.

არსებობს უძველესი პოეტური ლეგენდა მეჩონგურე ჭაბუკზე, რომელსაც ხელმწიფის მზეთუნახავი ასულის გულის მოსანადირებლად „ვარდის წყლით მონამულსა და სურნელოვანი ყვავილებით მოფენილ“ ბაღში შეუღწევია, ჩონგურის „მკვნესარე ხმებითა“ და მასზე დამღერებული „ღვთიური

ჰანგებით“ ცხარედ აუცრემლებია უკვდავების ვაშლის ხეს დადარაჯებული „სისხლისმსმელი“ გველეშაპი, „დაუბნედა და დაუდნია“ ამ უზარმაზარი, „შესაზარი ცხოველის ქვაგული“ და მისთვის სატრფოსგან თანხმობის პირობად მოთხოვნილი „ოქროს ცხრაფროვანი უკვდავების ვაშლი“ გამოუტყუებია.¹

ჩონგურის იშვიათი დამკვრელი ყოფილა თურმე სამეგრელოს მთავარი ცოტნე დადიანი. მეგრული ხალხური თქმულების თანახმად, XIII საუკუნეში ეს გმირი ქართველი დიდებული მონღოლებს რომ ხლებია მათგან დატყვევებულ შეთქმულ ქართველების თავკაცთა ხვედრის გასაზიარებლად და პაპანაქება სიცხეში დაყრილ ხელფეხშებორკილ, შიშველ ტანზე თაფლნაგლეხილ თანამოსანგრეთა გვერდით დაუკავებია ადგილი, მონღოლთა მმართველისთვის ჩონგურზე დაკვრის ნებართვა უთხოვია; ჩონგურის ჩახვეულ ხმებსა და მასზე შეხმატკბილებულ ლიღის ისე შეურყევია და მოუღბია ჯალათ ნოინის ზვიადი გული, რომ მას სასიკვდილოდ განწირული ტყვეებისათვის სიცოცხლე შეუნარჩუნებია.² უთუოდ არ ეცოდინებოდა აღმოსავლელ ფეოდალს, რომ ეს ტკბილად მოღულუნე საკრავი იმ დაშნით იყო გამოთლილი, რომლითაც ქართველები მომხდურ მტერს მუსრავდნენ; ალბათ ვერც იმას იგრძნობდა ნოინი, რომ ამ პატარა საკრავის აბრეშუმის სიმების სათუთ, „ზეციურად ტკბილ ხმებში“ (აკაკი) მისი ტყვეების — სამშობლოსათვის წამებული გმირი ქართველი მამულიშვილების გულისთქმა ჟღერდა...

ჩონგურის სამშობლო დასავლეთ საქართველოა.

დიდი ხნის წინათ, თურმე, შავი ზღვის პირად უძველესი კოლხეთის მიწის მკვიდრს მომხდურ დუმმანთან ბრძოლებში დაქანცული დაშნის კეთილ საქმისთვის მოხმარება უნებებია, ბჟოლის (თუთის) ხისგან მომცრო, სიფრიფანა ტკეჩეტი გამოუთლია, მოხდენილ საკრავად შეუკრავს, აბრეშუმის ჭიის მიერ ბჟოლისავე ფოთლებისგან ნაოფლარი ყაჭის ნაშალი ძაფები დაუგრეხია, მასზე ალყებად გაუჭიმია და ზედ სიყვარულის, სიამისა და სიხარულის ჰანგები დაუმღერებია. მერე ჩონგური ჩვენი წინაპრების უძვირფასესი საკრავი გამხდარა, ქართველი კაცის ცხოვრების საუკუნო თანამგზავრი. არ ყოფილა თავშეყრა, სანესო თუ საერო დღესას-

1 ლეგენდა მოხმობილია ია კარგარეთელის „მოკლე პოპულარული მუსიკალური ენციკლოპედიიდან“. თბილისი, 1933, გვ. 113-114.

2 ეს თქმულება მოთხრობილია ავქსენტი მეგრელიძის პირად არქივში დაცული ხელნაწერის — „ჩონგურის თვითმასწავლებლის“ წინასიტყვაობაში.



მკონგურე ელენე ჭუბაბრია. 1936 წ.

ნაულები დასავლეთ საქართველოში — გურიასა და სამეგრელოში, ჩონგურის სიმები რომ არ აჟღერებულყო. ოდითგან ყოველ აქაურ ოჯახში ოთახის ერთ კედელს, გამორჩეულ ადგილს, ჩონგური ამშვენებდა; ყველაზე ძვირფას სახსოვრად ჩონგური ითვლებოდა; გასათხოვარ ქალს ჩონგურზე დაკვრის ცოდნა და ზედ დამღერების უნარი ღირსებას მატებდა; მას სამზითვოდაც „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად ჩონგურს უმზადებდნენ თურმე...

ჩონგური სიხარულისა და ბედნიერების საკრავია.

ქართულ ოჯახში ყველაზე დიდი სიხარული და ბედნიერება ძეობა იყო. ჩონგური ამ პირველხილვის, ახალშობილის ამქვეყნად მოვლინების მონანილე ყოფილა. ქართულ ოჯახს მზე ადგებოდა თავს, მნათობს ედარებოდა უმანკო ჩვილი და ჩონგურიც უმღეროდა მზეს: „მზე შინა და მზე გარეთა, მზევ, შინ შემოდო, ვაჟის მამა შინ არ არის, მზევ, შინ შემოდო...“

ვაჟის მამა იმ დროს უთუოდ მომხდურ დუშმანთან საბრძოლველად იქნებოდა ხმალშემართული და ოფლითა და სისხლით იცავდა სამშობლოს ყოველ გოჯ მიწას. შინ დარჩენილი დედაქალი კი აკვანში მოღულუნე ბაღს გმირი მამის მუხლსა და მკერდს უნატროდა, ღიმილით ჩამოკრავდა თითებს ჩონგურის აბრეშუმის ძაფებს და ტკბილი ხმით დააღლინებდა: „ნანაია, ნანა, შვილო,

შვილის ჭირიმე, მზეს და მთვარეს ემგვანება, მისი ჭირიმე...“¹. მერე მთელი სიცოცხლე თან სდევდა ალბათ დედის პირმშოს ის ტკბილი, გრძნობიერი ქართული სიმღერა, აკვნიდან რომ დაჰყვა და სულის სიმშვიდე აპოვინა.

დედაქალი არც მაშინ იცილებდა ჩონგურს, მის პატარას სახადი ავადმყოფობა თუ შეეყრებოდა. სნეულის განსაკურნებლად ჩონგურის „მაგიურ ძალას“ მიმართავდნენ: მის ნაზ, საამო ჟღერას, მის სათუთ ჰანგებს უნდა მოეზოდინებინა და დაეტკობ „ბატონები“, რომელთაც ბალღი ჰყავდათ შეპყრობილი. „ბატონებო, მოუოხეთ“, — ვალობდა დედა და ამ ღვთაებრივი ვედრება-ვალობის ქვეშ ჩაეძინებოდა ავადმყოფს. მაშინ ყველანი ჩაჩუმდებოდნენ, საკრავს სახადი სენით შეპყრობილი ბავშვის შორიახლოს კედელზე ჩამოჰკიდებდნენ და იქაურობას გაეცლებოდნენ. სჯეროდათ, რომ „ბატონები“ თავად უჩუმრად აახმიანებდნენ ჩონგურს და საოცნებო ხმებს გამოსცემდნენ ავადმყოფის საამებლად და განსაკურნებლად.

ასე, ჩონგურის ტკბილი ღულუნის ქვეშ წამოჩიტდებოდნენ და იზრდებოდნენ ქართველი გოგო-ბიჭები. მერე, ტანთ რომ აიყრიდნენ, თავადაც ბავშვობიდანვე შესისხლხორცებულ, საყვარელ საკრავს მოიშველიებდნენ ხოლმე შრომაში, ლხინსა და მხიარულებაში: ხან ქალების „ნაღს“ ახალისებდნენ ჩონგურის საამო ჟღერით, ხანაც უნაყოფოდ ტანაყრილ მცენარეთა შესანენვად აღილინებდნენ ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილ სანესო სიმღერებს ბაღჩაში თუ მინდვრად; შრომა-გარჯისგან მოცალეობის ჟამს კი ხის ჩრდილში მოიყრიდნენ ხოლმე სამხიარულოდ თავს, უკრავდნენ, მღეროდნენ, ხუმრობდნენ, ცეკვავდნენ...

ჩვენში თავიდათავი მოტრფიალაც ჩონგური ყოფილა, ყველაზე ტკბილად მოუბარი მოარშიყე და რჩეულთა გულის მომნადირებელი. სატრფიალო ჟანრის ღირიკული ჰანგები და შაირები ხომ ყველაზე წარმტაცი და შნოიანი სიმღერებია მთელ დასავლეთ საქართველოში. მერე კი იმართებოდა ქორნილი. თოფების გრიალითა და მჭექარე სიმღერით შემოიჭრებოდნენ ოჯახში მაცურები, ნეფე-პატარძალს დალოცავდნენ და ჩონგურთან ფეხნაყოფით სალხინო ცეკვა-თამაშს — ფერხულსა და ხორუმს გაახურებდნენ...

1 სიტყვები აღებულია მეგრული ხალხური სიმღერიდან „სისა ტურა“. ორიგინალში უდერს: „ნანი დო ნანა, სქუა, ნანაშ ჭირიმა, ... ბუა დო თუთას ქოგურაფუ, მუში ჭირიმა...“. იხ. კრებული „ქართული ხალხური მუსიკა. სამეგრელო“. შემდგენელი კუკური ჭოხონელიძე. თბილისი, 2003. გვ. 26-29.

და ისევ იბადებოდა „მზე“, ისევ იზრდებოდნენ და მნიფდებოდნენ გოგო-ბიჭები, უნინდებურად ღულუნებდა ჩონგური სიხარულზე, სიყვარულზე, სიამესა და ბედნიერებაზე. ახალი მელოდიებით, ახალი თემატიკით, ახალი ჟანრებით მდიდრდებოდა და ფართოვდებოდა საჩონგურო ხალხური რეპერტუარი. სააკვნო, სანესჩვეულებო, შრომის, ლირიკულ-სატრფიალო, საფერხულო, სახუმარო სიმღერებთან ერთად იქმნებოდა, ხალხში ვრცელდებოდა და მკვიდრდებოდა ისტორიული, საგმირო-ეპიკური თუ სხვა ჟანრის სიმღერები.

ამგვარად მისდევდა დღე დღეს, წელი წელს, საუკუნე საუკუნეს...

ხალხურ ყოფაში მკვიდრად ფესვადგმულ საჩონგურო ჰანგებთან ერთად ჟამიდან ჟამს, თაობიდან თაობას გადაეცემოდა ამ პოპულარულ საკრავთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი და ტრადიციები. ჩონგურის გამოთლებაში თანდათან განვრთნილი და დახელოვნებული ხალხური ოსტატები დღითიდღე ახლებურად ალამაზებდნენ და ამშვენებდნენ უსაყვარლეს ეროვნულ საკრავს, არშიებით კაზმავენდნენ, აჩუქურთმებდნენ, სადაფით ავარაყებდნენ მის ყელსა და ტანს. ტრადიციულ თუთის ხის მერქანთან ერთად სხვა გვარის ხეთა (ნაძვის, ფიჭვის, კაკლის, მსხლის) მასალის მოხმარებასაც მიჰყვებდნენ ხელი, სხვადასხვაგვარი ხერხით აუმჯობესებდნენ ჩონგურის ტემპრულ და ტექნიკურ შესაძლებლობებს.

ივანე ჯავახიშვილის მიერ „თავის ადგილას ზეპირგადმოცემითგან“ მოპოვებული ცნობით, „საკრავის გასაკეთებლად ხის მოჭრის დროს „მზისაკენ, ანუ ქარისაკენ მიბრუნებულ მხარეს რჩეობდნენ“.¹ ხოლო ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ გასული საუკუნის 30-იან წლებში ერთ-ერთი მთქმელისაგან განაგონი ცნობა ჩონგურის ძველი ოსტატების მიერ ქვეცნობიერად მიგნებული ხის მასალის წლობით გამოყვანის ხერხის თაობაზე, მათს დიდ დაკვირვებასთან ერთად, უზადო მუსიკალურ სმენასა და დახვეწილ გემოვნებაზე მეტყველებს: „უწინ ეგრე კი არ ყოფილა, რომ მოვჭრით საჩონგურე ხეს, გავთლით, აუბამთ ლარებსა და გათავდაო. საჩონგურე ხეს რომ გაჩორკნიდნენ, მიჰკიდებდნენ კედელზე და იყო ეგრე ათი და მეტი წლობით. ხე ნება-ნება შრებოდა და გამოდიოდა. სულ რო რაკრავს დაიწყებდა, მერე ამოიღებდნენ გულსა, გაუკეთებდნენ ყელსა, თითებსა, ფარდებსა, ერთი სიტყვით, მოათავებდნენ და მერე მიუშვებდნენ ხმარებაში.“ ჩონგურის

ოსტატის ამ ნაამბობმა ცნობილ ფოლკლორისტს პოპულარული ხალხური ლექსის ერთი ვარიანტის — „აგიღებ, ჩემო ჩონგურო, შე თუთა წმიდის ხისაო, მამიჩემისა გათლილო, პაპიჩემისა ხნისაო,“ — გაცნობიერება შეაძლებინა.²

XIX საუკუნის შუახანებისათვის ჩონგური ქართველი ხალხის უპოპულარესი, ელიტარულ წრეებშიაც განსაკუთრებით პატივდებული საკრავი იყო. ცნობილია, რომ აკაკი წერეთელი ჩონგურს (ჩანგურს) თავისი პოეტური შემოქმედების მუზის სიმბოლოდ მოიაზრებდა („მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს...“); „ჩონგური“ შეარქვეს „თერგდალეულებმა“ 1864 წელს პეტერბურგში გამოცემულ პირველ ქართულ ლიტერატურულ ალმანახს (შემდგენელი — კირილე ლორთქიფანიძე), რომელშიაც ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავისა და სხვათა ლექსები, პოემები და თარგმანებია გამოქვეყნებული...

მაგრამ ყოველივე ეს იყო XIX საუკუნის 60-70-იან წლებამდე.

ისტორიულად დადასტურებულია, თურა მძიმედ წარმართა დროთა სიავემ საქართველოში უძველესი ხალხური საკრავების, მათ შორის მომხიბლავი ჟღერადობის წყალობით უპირატესი პოპულარობისა და მნიშვნელობის მქონე ჩონგურის ბედი.

ივანე ჯავახიშვილი ჩვენი ეროვნული მუსიკის განვითარებაში „ორ დიდ საფეხურზე“ მიუთითებდა: „ერთი, როდესაც საკრავებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონია, ... მეორე — მერმინდელი, როდესაც საკრავიერი მუსიკის განვითარება, ... ჯერ ჩერდება, მერმე თანდათან ქრება“.³ ეს „მერმინდელი“ საფეხური ქართული „ხმიერი მუსიკის გასაოცარი სისწრაფით“ განვითარების საპირისპიროდ ყალიბდებოდა და განსაკუთრებულ ინტენსიურობას XIX საუკუნეში მიაღწია, როცა საქართველოს ელიტარულ საზოგადოებაში სპარსული მუსიკის ზეგავლენით ფეხმოკიდებული აღმოსავლური საკრავების — თარის, ზურნისა და დუდუკის, მათთან ერთად მექანიკური არღნის კვალდაკვალ რუსული და დასავლეთევროპული მუსიკის თანდათანობით შემოჭრის გამო ფართოდ ვრცელდება უცხოური წარმომავლობის სოლო საკრავებიც — კლარნეტი, ფლეიტა, ვიოლინო, ჩელო, ბალალაიკა,

2 ვახტანგ კოტეტიშვილი. „აკქსენტი მეგრელიძე“. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1936, №1-2, გვ. 87.

3 ივანე ჯავახიშვილი. „ქართული მუსიკის ისტორიის საკითხისათვის“. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1936, №9, გვ. 28..

1 ივანე ჯავახიშვილი. „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“. თბილისი, 1938, გვ. 121.

ფორტეპიანო, მეტადრე კი საუკუნის მეორე ნახევრიდან საზოგადოების ფართო ფენებში დამკვიდრებული ევროპული ჰანგების, საამოდ მოსასმენი ნეაპოლური სიმღერების თანმდევი გიტარა და მანდოლინა, რომლებიც მოსახლეობის სხვადასხვა ფენის — ნვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის, თავად-აზნაურთა ოჯახების, მდაბიოთა ყოველდღიურობის აუცილებელ ატრიბუტებად იქცა. და თუმცა ეს უცხო გვარის საკრავები უფრორე ქალაქების მოსახლეობას მიეძალა, მათი გავლენის სფერო ცოტაცოტაობით გაფართოვდა და სოფლებსაც მოედო, გლესკაცურ მუსიკალურ ყოფაშიაც შეიჭრა.

უცხოურით ამგვარმა გატაცებამ, ერთის მხრივ, თავისი პროგრესული როლი შეასრულა, — ხელი შეუწყო საქართველოში მსოფლიო მუსიკალურ კულტურათა საშემსრულებლო და შემოქმედებით მიღწევათა იმპორტს, რამაც ნელინელ გააფართოვა ქართველ მუსიკისმოყვარეთა თვალსაწიერი, ხოლო საერთაშორისო გამოცდილებათა გათვალისწინებამ მათი ინტერესების სფერო ეროვნული სამუსიკო განათლებისა და პროფესიული სამუსიკო სკოლის ჩასახვა-ჩამოყალიბებისაკენ წარმართა და სასურველმა შედეგმაც არ დაახანა. მეორეს მხრივ, ეს გატაცება მომაკვდინებელი გამოდგა ტრადიციული ქართული ხალხური საკრავებისათვის, რომელთა რიცხოვნობა, მიზეზთა და მიზეზთა გამო, საუკუნეთა მანძილზე ისედაც იმგვარად შეცოტავდა, რომ ზოგიერთის ხსენებაც გაქრა და მხოლოდ სახელწოდებალა თუ შემორჩა სხვადასხვა წყაროში. ამ პერიოდისათვის კი თანდათანობით ხალხში გავრცელებული ის ეროვნული საკრავებიც მივიწყეს, ისტორიულ უკეთურობას რომ გაუძლეს — ჩონგური, ფანდური, ჩანგი, სალამური, სტვირი და სხვანი. არათუ მხოლოდ მივიწყეს, ისინი მავანთავან მდაბიური, სათაკილო რეპუტაციის ნივთებადაც მოინათლა და თითქმის განიდეგნა ხალხის ყოფა-ცხოვრებიდან.

უმძიმესი ხანა დაუდგა თანდათან მოდიდან გადასულ, ბედკრულ ჩონგურსაც. XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებში დასავლეთ საქართველოს მხოლოდ ცალკეულ ოჯახებშილა თუ მოჰკრავდით შემთხვევით ყურს ჩონგურის ჰანგებს, მეტწილად სოფლებში, გლესკაცთა ქოხებში. იქაც კი უპირატეს, უფრო პრესტიჟულ საკრავად გიტარა ქცეულიყო და ხშირად ხალხში გავრცელებულ ლირიკულ საჩონგურო სიმღერებს გიტარის თანხლებით აღილინებდნენ.

და მაინც, გურია-სამეგრელოსა და აჭარის სხვადასხვა სოფელში გაბნეულ ცნობილ ხალხურ მომღერალთა გარემოცვაში ვერ

ელეოდნენ უსაყვარლესა და ძირის ძირამდე ქართულ საკრავს.¹ თანამედროვეთა მეხსიერებამ შემოგვინახა ზოგიერთი ვირტუოზი მეჩონგურის სახელები, რომელთა შორის, ტრადიციისამებრ, საჯაროდ მამაკაცები უკრავდნენ, ხოლო შინაურ გარემოცვაში — ქალები. სწორედ ამ უკანასკნელთა მშობლიური ამაგისა და მუსიკალური გენების წყალობა იყო, რომ ტკბილხმოვან ჩონგურსა და შესანიშნავ ქართულ ხალხურ სიმღერებს ნაზიარები მათი მემკვიდრეები XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე პირველნი შეებნენ ეროვნული მუსიკალური ფოლკლორის გადარჩენისა და მომავალ თაობათათვის შეურყვანელად შემონახვის მამულიშვილურ საქმეს. დახელოვნებული მეჩონგურე ქალები ყოფილან: ძუკუ ლოლუას დედა ჭამჭალა ჩიქვანიძე; ავქსენტი მეგრელიძის დედა მელინიკი ბოლქვაძე და მამიდა მარინე მეგრელიძე-ნაკაშიძისა; გიგო ერქომაიშვილის ცოლი, ცნობილ მომღერალ-მგალობლის გიორგი ბაბილოძის და, სახელოვანი ძმების არტემ, ლადიკო და ანანია ერქომაიშვილების დედა ეგვიტი ბაბილოძე-ერქომაიშვილისა; კინი გეგეჭკორის დედა ეფროსინე გაბუნია; ლომინ გუგუშვილის, ერმალო სიხარულიძის, სხვა ცნობილ მომღერალ-ლოტბართა დედები; შესანიშნავი მეჩონგურე დედის მაგალითზე ბავშვობიდანვე დაუფლებია ამ საკრავს ვირტუოზი მეჩონგურე ქალი ქიონია ბარამია; მთელს გურიაში ყოფილა განთქმული ბრწყინვალე მეჩონგურისა და გამორჩეული პოეტური და სამსახიობო² ნიჭით დაჯილდოებული მთქმელი ქალის ატატო ბებურიშვილის სახელი...

ძველხალხურ მომღერალ-მგალობელთაგან განსაკუთრებით კარგად ფლობდნენ ჩონგურს: გიორგი იობიშვილი (მის სახელს უკავშირებენ ჩონგურის მეოთხე წყობის შექმნას), დიმიტრი პატარავა, სამუელ ჩავლეიშვილი, ერმალო სიხარულიძე, კონსტანტინე გუჯაბიძე, ალექსანდრე მგელაძე, ვარლამ სიმონიშვილი, ვლადიმერ (ლადიკო) ერქომაიშ-

1 ამის ნივთიერ მტკიცებულებას წარმოადგენს მხატვარ ივანე გუგუნიავს (1860-1919) მიერ 1893 წელს შესრულებული ფერწერული ტილო — „ჩონგურზე დამკვრელი ქართველი ქალი“ (მხატვრის დის პორტრეტი). დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

2 მსახიობ ვასო ურუშაძის ცნობით, 1895/1896 წლების სეზონში ოზურგეთის მოყვარულთა თეატრში ჯერაც ჭაბუკ ალექსანდრე წუწუნავას მიერ დადგმულ ავქსენტი (ვაგარდის „ხანუმაში“ „ხანუმას როლს ასრულებდა იმ დროს კარგად ცნობილი სცენისმოყვარე ქალი ატატო ბებურიშვილი“. იხ. ვასო ურუშაძე. „მოგონებები“. თბილისი, 1951, გვ. 18.

ვილი, ალექსანდრე (ალცანდრე) მახარაძე, გიორგი მუჟაჟანაძე და სხვანი. ტრადიციული ეროვნული საკრავების დიდი მოყვარული ყოფილა და თავადაც შესანიშნავად უკრავდა და თურმე ჩონგურსა და ჭიანურზე გურიის მთავართა შთამომავალი ტელემაკ გურიელი. გურია-აჭარაში განთქმული ყოფილა ბრმა მოხეტიალე აჭარელი მეჩონგურის ხუსიე ბაჯელიძის სახელი... სამეგრელოს რეგიონში ჩონგურის ვირტუოზ დამკვრელთაგან განსაკუთრებით ყოფილან ცნობილნი: ლომინ გუგუშვილი, კინი გეგეჭკორი, ბეგლარ აკობია (რომელსაც დაუკავშირა შემდგომში თავისი ცხოვრება ქიონია ბარამიამ)...

მაგრამ ყველაფერი ეს იყო სოფლად, შინაურ გლეხკაცურ ყოფაში. მოსახლეობის ფართო ფენებში კი ათეული წლების მანძილზე ხმაჩაკმენდილი და თვალს მიფარებული ეროვნული ხალხური საკრავების, მათ შორის ჩონგურის, უწინდელ უფლებებში აღდგენის მცდელობა თუმცაღა ფეხდაფეხ მოჰყვა ლადო აღნიაშვილის ინიციატივით ჩამოყალიბებული პირველი „ქართული ეროვნული ხოროს“ მოღვაწეობას, რომელმაც ქართველ საზოგადოებაში მშობლიური ხალხური შემოქმედების დაცვა-აღორძინების ინტერესი გამოაფხიზლა, რეალურად ამ პროცესმა ხშიერ მუსიკასთან შედარებით მაინც გვარიანად დაახანა. ხოლო აღნიაშვილის ახალ მამულიშვილურ ინიციატივას, „ხოროს“ წევრთაგან ჩამოყალიბებინა „ქართულ ნაციონალურ მემუსიკეთა ორკესტრი“,¹ ფაქტობრივად სასურველი შედეგი არ მოჰყოლია და ქართული ხალხური სიმღერების პირველი საჯარო გახმოვანების შემდეგ კიდევ ათეული წლები დასჭირდა ტრადიციულ ხალხურ საკრავთა სცენაზე დამკვიდრებას.

მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული, ხანგრძლივი დროითი შუალედებით, ჯერ გაუბედავად, კანტიკუნტად ჩნდებოდა ხოლმე საკონცერტო ესტრადაზე ხშიერი მუსიკის თანმდევად ესა

1 „ქართულ ნაციონალურ მემუსიკეთა ორკესტრის“ ჩამოყალიბების შესახებ იუწყებოდა გაზეთი „ივერია“ (1888, №262). მის ხელმძღვანელად მიწვეული ყოფილა „მცოდნე პირი“ და მასში გაერთიანებული „ხოროს“ 26 წევრი 12 სახეობის აღმოსავლურ და ქართულ სამუსიკო საკრავებზე (თარი, ჩონგური, ხანთური, ჭიანური, ქამანჩა, დოლი, დიპლიპიტო, დორიტოტო, დუდუკი, სტეირი, ხალამური და უენო ხალამური) უკრავდნენ (ამის თაობაზე იხ. სოლომონ ლეკიშვილი. „ი. რატიონი საქართველოში“. თბილისი, 1961, გვ. 21). როგორც ჩანს, ორკესტრი ვერ შედგა და იგი განუხორციელებელი ექსპერიმენტის დონეზე დარჩა, რადგან შემდგომში მისი არსებობის შესახებ აღარაფერია ცნობილი.

თუ ის ხალხური საკრავი. პირველს სულმნათ ძუკუ ლოლუას გაუბედავს მათი შეხსენება ხალხისათვის. მის მიერ დაარსებული ე.წ. „მეგრული ხალხური ხოროს“ კონცერტებზე ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში პირველად გამოჩენილა საჯარო სცენაზე მეგრული ჩონგური („სიმღერების შემდეგ ვლ. ალანამ ჩონგური დაუკრა და ზედ მეგრული სიმღერა დაჰლიღინა, რითაც მსმენელს დიდად ასიამოვნა“);² ხოლო მისივე ხელმძღვანელობით 1900-იანი წლებიდან სოხუმში დაფუძნებულ ხალხურ მომღერალთა გუნდს ჩონგურთან ერთად კონცერტებზე დაირა, აფხაზური აფხიარცა, სვანური ჩანგი და ჭუნირიც აუჟღერებია. ჩონგურზე კინი გეგეჭკორი უკრავდა და ტკბილხმოვანი თანხლებით ალამაზებდა მის მიერ სოლოდ ნამღერსა თუ თავად ძუკუ ლოლუასთან და რემა შელეგიასთან ერთად ტრიოში შესრულებულ მეგრულ ლირიკულ სიმღერებს. 1917 წლის მაისში უკვე თბილისში, სახაზინო (ამჟამინდელ საოპერო) თეატრის სცენაზე კოტე ფოცხვერაშვილის თაოსნობით გამართულ ხალხური მუსიკის კონცერტზე, რომელშიც ქართლ-კახური და გურულ-აჭარული ხალხური გუნდები (ლოტბარები — მიხეილ კავსაძე და ვარლამ სიმონიშვილი) მონაწილეობდნენ, წარმოდგენილი იყო „აგრეთვე: მეთარე, მეფანდურე, მესტვირე, მეჩონგურე და... ჭიბონისა და დოლის თანხლებით ცეკვა ხორუმი“.³ უფრო გვიან, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, 1918-1919 წლებში თბილისის სხვადასხვა თეატრის სცენებზე კოტე ფოცხვერაშვილისავე ინიციატივით ორგანიზებულ რამდენიმე „სანიმუშო კონცერტს“ ამშვენებდა ახალგაზრდა ლადიკო ერქომაიშვილის მიერ ჩონგურზე შესრულებული „ხალხური სიმღერები და საოხუნჯო ლექსები“...

მაღე მშობლიური ჩონგური ქართული პროფესიული მუსიკის პირველ კლასიკოსთა შემოქმედებაშიაც გამოჩნდა: მარიხის „კანცონეტამ“ ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერში“ (დაიდგა 1919 წელს) და ცირას მესამე „ნანამ“ მელიტონ ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერში“ (დაიდგა 1926 წელს), რომელთაც სცენაზე ხელში ჩონგურ-მომარჯვებული მომღერლები ასრულებდნენ, გურული ხალხური საცეკვაო და სააკვნო სიმღერებისათვის დამახასიათებელი

2 გაზ. „ცნობის ფურცელი“. 1888, 20 აპრილი. ყარამან ნორაკიძის ინფორმაცია: „ბათომი. მეგრული ხალხური ხოროს“.

3 ლადო გეგეჭკორი. „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები“. თბილისი, 1954, გვ. 65.

4 იხ. ლადო გეგეჭკორი. „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები. II“. თბილისი, 1958, გვ. 164.



მეჩონგურე ქალთა ანსამბლი ავქსენტი მეგრელიძის ხელმძღვანელობით. 1934 წ.

კოლორიტით, ჰარმონიული და რიტმული ინტონაციური საფუძვლით, საორკესტრო თანხლებებში იმიტირებული ჩონგურის ნაზი ჟღერადობით, ქართველ მსმენელს ერთხელ კიდევ შეახსენა საუკუნეების წინათ უპოპულარესი ხალხური საკრავი.

მაგრამ ხანგრძლივი დროის მანძილზე ათვალწუნებული ეროვნული საკრავების აღორძინების მცდელობის ამ ძუნწმა ფრაგმენტებმა, ასე გაუბედავად, იშვიათად, თანაც მხოლოდ ინდივიდუალურად თანმხლები საკრავების სახით რომ ჩნდებოდნენ XX საუკუნის დასაწყისიდან მთელ საქართველოში უჩვეულოდ მომრავლებული ხალხური სიმღერის ანსამბლებისა და გუნდების ფონზე, ვერა და ვერ შეძლეს საზოგადოების აქტიური ყურადღების მიპყრობა და, მით უფრო, ხალხის ყოველდღიურ ყოფაში შემოებრუნება-დამკვიდრება. ამ გამოითითებულად აჟღერებულ ხალხურ საკრავთაგან დრომ მაინც უფრო გამოკვეთა ადამიანის ხმასთან არაჩვეულებრივად შეხამების უნარით შემკობილი ჩონგური, რომლის სრულფასოვანი აღორძინებით, საჯარო ესტრადაზე და ხალხის ყოველდღიურობაში საბოლოოდ დამკვიდრებით ახალი საფეხური დაიწყო ეროვნული ხალხური საკრავების განვითარებაში.

ხელოვანი, რომლის ძალისხმევით

გასული საუკუნის 20-30-იანი წლებიდან რეალურად დაედო სათავე ჩონგურის აღორძინება-აღზევებას და მისი გავრცელების სფერო შორს გასცდა საქართველოს ფარგლებს, იყო ეროვნული მუსიკალური კულტურის დიდი მოამაგე და მადლმოსილი მოღვაწე, სახალხო ლოტბარი ავქსენტი მეგრელიძე. მისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის ერთ-ერთი (მაგრამ არა ერთადერთი) უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი — პირველი მეჩონგურეთა მწყობრების ჩამოყალიბება, მდიდარი საჩონგურო რეპერტუარის შექმნა, ნოტირება და სხვადასხვა ანსამბლში აჟღერება — ეროვნული მუსიკალური კულტურის არეალში ქართველი ხალხის მივიწყებული საუნჯის, ტკბილხმოვანი ჩონგურის სრული უფლებებით აღდგენას მოასწავებდა. და თუმცა ძალზე მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო მისი, როგორც ზოგადად ხალხური მუსიკალური მოღვაწის შემოქმედებითი საქმიანობა, თუმცა მისი დაუცხრომელი ენთუზიაზმი გასწვდა ქართული მუსიკალური ფოლკლორის თითქმის ყველა დარგსა და სფეროს, ავქსენტი მეგრელიძე დღემდე მოიხსენიება როგორც მეჩონგურე ლოტბარი და ჩონგურის დიდოსტატი.



...სუფრა გაშლილია, თამადა ადგილზედჭა

პასუხი კითხვაზედ (რაც დაგვისვია) —, სპექტაკლის აღმოსაჩენად მობრძანებული მაყურებელია.

უბრალო კაცს

დიდი გზა გაუვლია

— სამსახური უშოვნია — მოთმინება ჰყოფნია,

— პასუხისმგებლობა უკისრია — თავი გაუწირავს;

ერთი და იგივე მოძრაობები, ათასი საქმის აღსასრულებლად — კანონად მიუღია; ფულიც უშოვია — ფასიც გადაუხდია...

...სულ მუდამ სახე დალაგებულ-მოდუშულ-მკაცრ-ვითომაფიქრებულს შთაბეჭდილება მოუხდენია საქმიან, შეშინებულ თვალში შეციცინებულ ხელქვეითებზედ — არა! — თანამშრომლებზედ — არა! — კოლეგებზედ — არა! — ადამიანებზედ!


შთაბეჭდილება მოუხდენია ადამიანებზედ. ჰოდა, ერთ-ერთ შეციცინებულთაგანს მიახალა: — რას შემომციცინებ, შემოსაციცინებელი რა ნახე ჩემშიო...; უფროსის შენიშვნაზედ კი თვალაციცინებულს თვალზედ ცრემლი აუციცინდა... ციცო... თქვა უსიტყვოდ, კარს მიღმა და... კაცმა დაასკვნა:

გურამ ვაშაყიძე

საღლებიქაო

(მცდელობა სახისა)

ნეტავ რას ჰგავს?.. რა არის? (თუ „ვინ არის?“)-ო... იხარხარებ (თუ გახარხარებს), თუ ბედმა გაგიღიმა „ცრემლთა დენას“ მიეცემი; გულაჩუყებული აღმოაჩენ: „რა გულჩვილი ვყოფილვარო?!“ — თავგამომტყდარი, თუ თავგამოტეხილი, მოულოდნელად რაინდად გარდაიქცევი (მხოლოდ საქმეების გარეშე), საკუთარ თავზედ შეყვარებულს — თავი შეგეცოდება, სხვანი კი შეგეზიზნ...
...ცოტაც შეგრცხვება და გადაწყვეტ ადამიანები მოისყიდო; — თავი შეაყვარო, საიდუმლო გაანდო, ღირსად მიიჩნიო, უჩვენებელი აჩვენო — (ახალშობილი აღმოჩენა) — შთაბეჭდილება საკუთარ თავზედ, გაშლილ სუფრასთან ეპატიუები და ინყება სოლო





„—ეჰ, სულ მთლად გამოვციცინებულ-ვარღ“;
კოსტიუმი მოირგო, რალაცას რომ ტოვებ-
და, გაიფიქრა, თვალციცინას შეურიგდებო,
ჰოდა, ამიტომ დამაჯერებლობისთვის სიმკა-
ცრემოფრქვეულ გამომეტყველებას აეტმას-
ნა; გარეთ გავარდა, ტაქსში ჩავარდა, მარ-
ჯანიშვილის რვა ნომერთან გადმოვარდა,
შევარდა და გამობრძანდა,

უფროსმა ხელქვეითი მარჯანიშვილის
თეატრში დაპატიჟა

„ზაფხულის ღამის სიზმარზე“.

უილიამ შექსპირი

„ზაფხულის ღამის სიზმარი“.

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:

უფროსი — ჭოლა (რეჟისორი: ლევან
წულაძე);

ხელქვეითი — მაყურებელი.

პირდაღებული სიბრძნეა — საუკეთესო
გენერალი, ყველაზე საუკეთესო ჯარისკა-
ციოა.

— იცით, ვინ არის ყველაზედ მარტოხ-
ელა მაყურებელი?

— ლევან წულაძე, 2005 წელს ინიშ-
ნება კოტე მარჯანიშვილის სახელობის
სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღ-
ვანელად.

...და გაგრძელდა თავგადასავალი მარ-
ტოხელა მაყურებელისა. ერთგულება, პა-
ტიოსნება, კეთილგონიერება-მომხიბვლელი
გაუგებრობაა. იყო ერთგული ადამიანებისა,

იგივეა, რაც გაშლილ სუფრაზედ თამადად-
მყოფმა ერთჯერზედ შესვა თორმეტი სა-
დღეგრძელო თორმეტი ხელით ისე, რომ
ერთის მიერ ერთდროულად წარმოთქმული
თორმეტივე სადღეგრძელო შეხმატკბილე-
ბულად ჟღერდეს. ერთგულება ერთ პატარა
წერტილში მჟღავნდება, რომელსაც აზრი
ჰქვია. ერთგულება აზრისა — დასაბამი და
საწყისია, ნამდვილი მინაა-ნაყოფის გამომ-
ღებელი.

ერთხელ მოხუცმა მონაფეებს საიდ-
უმლო გაანდო, უფლება დართო წერტილი
ეპოვნათ — როგორც საწყისი მოქმედებისა:
თქვა:!!! — ...სპექტაკლში მთავარი აზრის
მოძრაობაა — ო! ყმანვილს ჯერ გაუხარდა,
გაუკვირდა და ისევ გაუხარდა, მმადლობელი
იყო. მოხუცმა მასწავლებელმა მონაფეს (შე-
გირდს) თვითდაჯერება შემატა, ბავშვობის-
დროინდელი — დასასჯელად განწირული
საქციელი გმირობად გადაუქცია, სიმართლე-
ში ეჭვშეპარული სიმართლეში დაარწმუნა...
ყმანვილმა საკუთარი საქციელი გაამართ-
ლა...

მართალი კაცი დაიბადა.

ფაქტი: სკოლაში მისცეს დავალებად,





„არ მესმის“-ო გაიფიქრა, წაიკითხა, ჩაფიქრდა. ლექსმა „ფიქრნი მტკვრის პირას“ მონაფე მტკვრის პირას მიიყვანა; მის საქციელს „შატალო“ უწოდეს, გაკვეთილი გააცდინა, დაასკვნა — აზრს გამოცდილება ბადებსო...

ფიქრი, აზრი და განმარტოება! საოცარი ადგილია ქართული სუფრა-სტუმრებშემომსხდარი, აჟურიაშებული. ერთი-ორი ჭიქით შეზახორშებულ კაცსა ტკივილი უშიშვლდება, მაგრამ ვაჟკაცობა ჭყოფნის თხასავით აკიკინებული „მე-მე“-ო მიჩქმალოს, სიტყვით და ხალასი მზერით გაათბოს სუფრას მიმჯდარი (და ალბათ, უკვე დაყრდნობილი) თითოეული მარტოხელა, დაბადოს აზრი და შეგრძნება ერთმანეთობისა, ერთ მანეთად სამი პურის შოვნისა და ბევრი მშიერი გულის დაპურებისა. სხვაზედ ფიქრი და აზრიანი სურვილი სხვისი გულის გახარებისა; გაცნო-



ბიერება, რომ სუფრის წამყვანი გულის წამყვანი ხდები მოსუფრალთა — სულ მუდამ მხიარულს და განმარტოებულს გამყოფებს; უამრავ ადამიანში უნდა იტრიალო გარინდულ-განრიდებულმა, გულისყურით მოუსმინო, სმენამ თანაგრძნობას უნდა უხმოს, თანაგრძნობამ თავშეკავებას შესძახოს: „სად ხარ?-ო“, თავშეკავებამ აზრს მოუხმოს, რომ მოყვასის საიდუმლო ამოცნობილმა გულმა ფრთხილი, ზუსტი და იმედიანი სიტყვა აღმოაჩინოს და აზრიანმა სიტყვამ მსმენელში (და ერთადერთ მომზირალში) აზრი გააღვიძოს. აზრის მსახურებაა ერთგულება და აზრის ერთგულებაა რეჟისურა.

ქართული სუფრაც ხომ მტკვარია, ზოგი დაიხრჩობა, ზოგიერთი კი ფიქრაცოლებული თანამოქიფის გულს შეიტკობს და აზრს მიეცემა: „როგორ გავახარო“-ო.

სცენა ბურუსითაა მოცული, თითქმის ბნელა; სიჩუმესთან შეზარხოშებული, სიყვარულშეჩვეული და თვითონაც მონატრებული კაცი სიცარიელეში „სუფრულს“ აალიღინებს. იწყება...

ზღაპარი იწყება,
სპექტაკლი იწყება,
„ზაფხულის ღამის სიზმარი“ ახდება
სცენაზედ...

უხარიათ... — ქეიფობენ;
მოენციებათ... — ქეიფობენ;
ერთმანეთს, ან კიდევ ერთ მანეთს
უბრაზდებიან... — ქეიფობენ;
ღალატის მოლოდინში... — ქეიფობენ;
ნაღალატებნი... — ქეიფობენ;
შეუყვარდებიან... — ქეიფობენ;



ხმის გამცემი აღარავინ დარჩა... — ქეიფობენ;
 წარსული მოენატრებათ... — ქეიფობენ;
 მომავლის შეეშინდებათ... — ქეიფობენ;
 ქორწილია... და ხომ ქეიფობენ და ქეიფობენ!
 გაოცდნენ ღმერთები; შეშურდათ და შეეშინდათ — გვეჯიბრება ვილაცაო, ცნობის-მოყვარეობამ სძლია და ჩუმ-ჩუმად იქ ჩამობრძანდნენ, სადაც სიყვარული და ქეიფია; სამყაროს გამგებელნი და ჭკუის დამრიგებელნი, თვითონვე გახდნენ მოცულლუტე, ხაფანგდამგები მონაფეები და მასწავლებლად სუფრულის. მოლიღინე არსებები აირჩიეს.

ამბავია შეყვარებული ადამიანებისა. ახალგაზრდა ქალ-ვაჟს ერთგულება შეჰყვარებია; უშნო გოგოს საკუთარი თავი ისე ძლიერად მოსწონს, რომ თავაშვებული გადამხტარა შეყვარებულის მოსაპოვებლად; ხანშიშესული მშობელი მამის გული ქალიშვილზედ მზრუნველობას სიყვარულად გადაუქცევია და ველარ ხვდება, რომ ხელს უშ-

ლის. თითოეულს ერთმანეთი ისე ძლიერ შეჰყვარებია, რომ წინ ეღობება ერთი მეორეს.

აღარც ფულზედ ფიქრობენ, აღარც პატივმოყვარეობაზედ, მხოლოდ და მხოლოდ უყვართ და ღმერთებიც სიყვარულის გაკვეთილს ითვისებენ შეყვარებული ქართველის გულისგან.


ერთგულებაა გიყვარდეს ისე, როგორც მხოლოდ შენ შეგიძლია სიყვარული „!“, გაბრაზდე, შეცდომას შეცდომა შესძინო; ვილაც გაანაწყენო, სამაგიეროდ იმ ერთადერთის გული მოიგო; საკუთარ თავსაც და სატრფოსაც სულ მუდამ კითხვას უნდა უსვამდე: „ნეტავ მართლა მიყვარს და ნეტავ მართლა ვუყვარვარო“?... ეს კითხვა კი ერთი ფრაზის (აზრის) მოლოდინში არსებობს... „მე შენ მიყვარხარ“.

ჰოდა, ეს ზღაპარი — სადღეგრძელოა სიყვარულზედ.

იგავი არსებობს, არსებობს და ამიტომაც მახსენდება. მდიდარი კაცის სახლში ნადიმი გაიმართა, მდიდარმა მდიდარი დაპატიჟა, მდიდარი მდიდარს მდიდრულად გაუმასპინძლდა, სასახლეში სიმდიდრე სუფევდა, ერთი რამ აკლდათ, ლაპარაკი არ იცოდნენ და სიტყვების ნაცვლად ღმუილისმაგვარ ხმას გამოსცემდნენ. ქუჩაში, სასახლესთან გლახაკი იჯდა და მღეროდა. მდიდარს მდიდრის შემურდა და ატყდა ალიაქოთი. მოსალამოვდა, მომღერალ გლახაკს შეცივდა და გადანყვიტა სასახლეში შეპარულიყო... — გავთბები და მოვკურცხლავო... კარი შეაღო, ალიაქოთია, მისთვის ყურადღება არც კი მიუქცევიათ, სიკაშკაშემ დააბრმავა და ხმაურმა დააყრუა; ლამაზ სასახლეში ლამაზი ადამიანები ლამაზად გაშლილ სუფრასთან ლამაზ სამოსელში შემოსილნი ღმუოდნენ; გლახაკი ჩაიცუცქა და ღიღინი დაიწყო — სილამაზე შეეცოდა, ის მღეროდა!

ისინი ღმუოდნენ...
 ჯერ ღმუოდნენ, შემდეგ კი გაირინდნენ.
 ...გლახაკი მღეროდა — მდიდრები უსმენდნენ

კაცმა სიმღერა შეწყვიტა, ნაიბორძიკა — სუფრას მიუახლოვდა — ნაიბორძიკა, სასმის ხელით მიაგნო: „სიყვარულს გაუმარჯოს“ —



თქვა და სასახლიდან გაბორძიკდა. მდიდრებმა ერთმანეთს გადახედეს, ალტაცებისგან ღმუილი მოადგათ პირზედ და სიტყვით აზრი გამოთქვეს: „სიყვარულს გაუმარჯოს“. ქეიფი გაგრძელდა, მდიდრებმა ლაპარაკი ისწავლეს.

სიყვარულის მოქმედების ერთადერთი ადგილი — სამშობლოა. ჩვენი სამშობლო — ჩემი წინაპრებია.

თეთრია სცენა; თეთრ სცენაზედ, თეთრ ჩოხაში გმირი ჩნდება.

ჩვენი სამშობლო — ჩემი ოჯახია, ჩვენი სამშობლო — ჩემი ოჯახის წარსულია. თეთრია სცენა, თეთრ სცენაზედ თეთრ ჩოხაში ჩვენი წარსული ჩნდება.

საოცარი თვისება აქვს თეთრ ფერსა — ყველაფრის ამტანია, ყველა ფერის მსახურია, ყველა ფერის დასაბამია, რადგან თეთრი ნათელია, სიკეთე — სიყმანვილეა, რომელიც შავ შიშს გააუჩინარებს და გმირად გამყოფებს; თეთრმოსილ ყმანვილკაცს ქვა-ლორლიანი, დაეკლილი გზა შარაგზად მიაჩნია.

არამხოლოდ სცენაა თეთრი, არამედ მოგონებაც თეთრია. ბედნიერია ერი და კაცი, რომელსაც გამბედაობა ჰყოფნის წარსული გაათეთროს, ყველას ყველაფერი აპატიოს, საჩუქრად კი „გარდასრულ დღეთა შინა“ მოღვაწე კაცთა საგმირო საქმე შეიცნოს.

ოთხი ყმანვილი დამეგობრებულა;
უფროსებს დოლი გაუმართავთ;
ოთხივე სასწავლებლიდან გამოპარულა;

ოთხივე ერთს გულშემატკივრობს — ის ერთი ქართველია — ქაქუცა.

ოთხივე ერთმა გულმა გააერთიანა, „უსიტყვო“ აღთქმა დადეს — გამოეჯიბრონ და დაუმტკიცონ მეგობარს: — „მე შენი ღირსი ვარ“-ო, ყმანვილკაცებისთვის სამშობლოსადმი სიყვარული მეგობრობაში დაიწყო, სადაც პასუხისმგებლობა, თავგანწირვა, ერთგულება, ახლობელზედ ზრუნვა „უხილავ სამშობლოს“ ხილულს ხდის შენი მეგობრის სახით.

თეთრია ოფიცერი, თეთრია არმია, თეთრია სცენა და რაც მთავარია სამშობლოა თეთრი. ჰოდა...! ეს სამშობლო უნდა დაიცვა ყველა ფერისგან.

სადღეგრძელოა სიყვარული
სადღეგრძელოა სამშობლო
ქეიფი გრძელდება სადღეგრძელოს
მოლოდინში...

მარტოხელა მაყურებელია რეჟისორი
ლევან ნულაძე





ქეთევან ჯანგოძე

ოჩხოს შანაღის ძიებაში

XXI საუკუნეა, მაღალმა ტექნოლოგიებმა ყველგან მოიკიდა ფეხი, კომპიუტერული მიღწევების წყალობით ძალიან ბევრი რამ გაადვილდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყოველივე ტრადიციული უნდა უარვყოთ. ბემბი, დონალდ დაკი, გოჭუნია პორკი, ფიფქია და შვიდი ჯუჯა ნამდვილად განსხვავდებიან იმ საშინელებისაგან, რითაც გვკვებავს ჩვენი ტელევიზია.

მაგალითისათვის დავასახელებ საყოველთაოდ ცნობილ და პოპულარულ თანამედროვე ანიმაციურ ფილმს „შრეკი“. იგი, ერთი შეხედვით, საბავშვო ფილმია, თუმცა პირველივე კადრებიდან ჩანს, რომ ბავშვებს კარგს არაფერს აძლევს. რა თქმა უნდა, ამ ფილმს არც კი შევადარებთ ისეთ ფილმებს, როგორიცაა, ლეგენდარული „ბემბი“, „დამბო“, „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“... ეს ფილმები გამსჭვალულია სიკეთით, ბავშვებს ცხოველების და საერთოდ, სამყაროს სიყვარულისაკენ მოუწოდებს, და უბრალოდ, ლამაზი მულტფილმებია, რომელთაც შეგიძლია ბევრჯერ უყურო. აქ არ არის გამოყენებული

სუპერსპეცეფექტები, სუპერთანამედროვე კომპიუტერული გრაფიკა. იშველიებენ არგუმენტს, რომ კომპიუტერი ძალიან დიდ შრომას აიოლებს. დიახ, კომპიუტერი აადვილებს საქმეს, მაგრამ არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ შედეგები იქმნებოდა კომპიუტერის გარეშეც. ტექნოლოგიები იხვეწება, მაგრამ მათი გამოყენება შეიძლება დაფიქრებით, სწორად და არ არის საჭირო რალაც საშინელი პერსონაჟების გამოგონება. დღევანდლობა ისედაც სავსეა ნეგატიური ინფორმაციით და საშინელებათა, როდესაც ამას ემატება ეკრანიდან ნამოსული მულტტრილერები.

თუ დღევანდელი მულტიპლიკაცია აიღებს შრეკისეულ გეზს, ეს, ჩვენი აზრით, არაფერს კარგს არ მოიტანს. ხელით ნახატი სრულმეტრაჟიანი მულტფილმის შექმნისათვის (ნორმალური დაფინანსების შემთხვევაში) საჭიროა 3-5 წელი. კომპიუტერული მულტფილმის შექმნას დაახლოებით 2 წელი უნდა. ამტკიცებენ, რომ ხელით ნახატი ფილმი უფრო ძვირი ჯდება, არადა, კომპიუტერულ ფილმში პერსონაჟების ტანსაცმლის გამოცვლა მეტად ძვირი სიამოვნებაა, ხოლო ხელით ნახატ მულტფილმში ეს უპრობლემოდ ხდება. მართალია, კომპიუტერული „მულტტრილერი“ 2002 წელს ყველასათვის საოცნებო პრიზით „ოსკარით“ დაჯილდოვდა, მაგრამ შეიძლება კი მას მულტფილმი ეწოდოს? ვერ გაიგებ, რა ასაკის მაცურებლისათვის არის იგი განკუთვნილი და, საერთოდ, რისთვის დაჯილდოვდა ეს ფილმი. სპეცეფექტები აქ მრავლადაა, არადა, ფილმს დაკარგული აქვს პირვანდელი მნიშვნელობა, იგი ნამდვილად არ არის ის ფილმი, რომელზეც თაობები უნდა გაიზარდონ.

ისმის კითხვა, მართლაც ასეთი ყოვლისშემძლეა კომპიუტერული ფილმი, შეუძლია კი მას შეავინროვოს და მოსპოს ტრადიციული ხელით ნახატი მულტიპლიკაცია?

თანამედროვე შოუ-ბიზნესმა არჩევანი პრინციპში, უკვე გააკეთა, ხელით ნახატი ფილმები სულ უფრო ნაკლებად ფინანსდება. ამკარაა ტრადიციული ანიმაციური სტუდიების დახურვის ტენდენცია: ჯერ კინოკომპანია MGM - მა დახურა მულტიპლიკაციური სტუდია, მერე WB-მ, იგივე ბედი ეწია „20 century Fox“ სტუდიასაც. საინტერესოა, რა ბედი ეწევა „Universal Pictures“-ს. გვერდი ავუაროთ მენეჯერების და პროდიუსერების მოსაზრებებს და დავსვათ შეკითხვა: ნუთუ მართლა ყველაფრით სჯობნის კომპიუტერული ანიმაცია ხელით ნახატს და გადაჭარბებით ხომ არ აფასებენ მის ყოვლისშემძლეობას.

კომპიუტერული ანიმაცია, როგორც ხელოვნების დამოუკიდებელი სახეობა თავის ისტორიას 80-იანი წლებიდან ითვლის. პირვე-



ლად 1982 წელს გადაღებულ ფილმში „ტახტი“ გამოიყენეს სამგანზომილებიანი გრაფიკა, მას დიდი მონონება არ დაუმსახურებია და ამ ერთჯერად ცდას არავითარი კონკურენცია არ გაუწევია ხელით ნახატი ფილმებისათვის.

1986 წელს ჯონ ლასეტერმა (მას ჩვენი დროის დისნეისაც უწოდებენ) სტუდია PIXAR-ში შექმნა პირველი კომპიუტერული მულტფილმი „პატარა სანათური“, რომელიც ნომინირებული იყო „ოსკარზე“. შემდეგმა ფილმმა „თუთიის სათამაშო“ (1988) მიიღო კიდევ ეს საოცნებო პრემია. თუმცა კრიტიკოსები კომპიუტერულ მულტფილმს ტრადიციულთან შედარებით არავითარ უპირატესობას ანიჭებდნენ, ვინაიდან პრემიებს ხელით ნახატი ფილმებიც იღებდნენ, ხოლო კომერციული წარმატება კომპიუტერულ ფილმებს არ ჰქონია.

ამ პერიოდში ტრადიციული ანიმაცია საოცარ აღმასვლას განაგრძობდა, მულტსტუდიები აღიჭურვა უახლესი კომპიუტერული აპარატურით. ხელით ხატვა და ახალი ტექნოლოგიები შესანიშნავად ავსებდნენ ერთმანეთს და საოცარი აღიარება სწორედ მათი სინთეზით შექმნილმა მულტფილმებმა მოიპოვეს. მაგრამ 1991 წელს კომპანია DISNEY-ს პროდუქციის გასამრავალფეროვნებლად დაფინანსდა პირველი სრულ-

მეტრაჟიანი კომპიუტერული მულტფილმი. ეს იყო ჯონ ლასეტერის „სათამაშოების ისტორია“, რომელსაც პირველი ამ ტიპის მულტფილმის კვალობაზე საკმაო წარმატება ჰქონდა. სწორედ მაშინ წამოიჭრა ანიმაციის ორი სახეობის თანაარსებობის საკითხი. ტრადიციული, ხელით ნახატი მულტფილმებისადმი ინტერესის მოდუნების ფონზე წარმოიშვა იდეა, რომ მომავალი მხოლოდ კომპიუტერულ ფილმებს აქვთ. „სათამაშოების ისტორია“ 1995 წლის ყველაზე მომგებიანი აღმოჩნდა, თუმცა მას არც ხელით ნახატი ფილმები ჩამორჩებოდნენ. „სათამაშოების ისტორიამ“ 360 მილიონი დოლარი შეაგროვა, „კუზიანი ნოტრდამიდან“ 350 მილიონ დოლა-





რამდე ავიდა, მეორე სრულმეტრაჟიანი ფილმი „ჭიანჭველა ანტი“ ჩამორჩებოდა კიდევ დისნეის „ჰერკულეს“ და „მულან“-ს, შემდეგ „მწერების ცხოვრებამ“ (ჩვენთან ცნობილია როგორც „ფლიკის თავგადასავალი“) გაიმეორა „სათამაშოების ისტორიის“ რეკორდი, თუმცა 1999 წელს ხელით ნახატმა „მაუგლიმ“ 450 მილიონი დოლარი მოიგო.


უდავო იყო ფინანსური წარმატება კომპიუტერული ხიტებისა „მონსტრების კორპორაცია“, „სათამაშოების ისტორია-2“, „გამყინვარების პერიოდი“.

ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობები დღითიდღე იზრდება, ადამიანს კი არ ძალუძს შეცვალოს თავისი „პროდუქტიულობა“, ცნობილია, რომ დისნეის ბოლო ფილმებს უდიდესი ბიუჯეტი ჰქონდა და დისნეის სტუდიების შტაბი ჯერ კიდევ 1999 წელს 2000 ადამიანს აღემატებოდა. ცხადია, ხელით ნახატი ფილმების შექმნა ძალიან ძნელია, თუმცა, მოსაზრება, რომ კომპიუტერულ ფილმს გაცილებით ნაკლები შრომა სჭირდება, მეტად მცდარია. ბევრს ჰგონია, რომ ლილაკის დაჭრით კომპიუტერი თვითონ ქმნის ფილმს. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. გადამწყვეტი მაინც ადამიანური ფაქტორია. მართალია, კომპიუტერს შეუძლია ძალიან გააიოლოს გამრავლება, უძნელესი ტექსტური და ფერის ეფექტის შექმნა, მაგრამ პერსონაჟ-

ბის მოფიქრება და გაცოცხლება ნამდვილად მის ძალებს აღემატება. კარგი კომპიუტერული გრაფიკის ანიმატორი აუცილებლად კარგი მხატვარიც უნდა იყოს. თვით ჯონ ლასეტერიც დისნეის ანიმატორი იყო. რაც უფრო მასშტაბურია კომპიუტერული ფილმი, უფრო მეტ ადამიანს, ფულსა და დროს საჭიროებს. „შრეკი“, „სათამაშოების ისტორია“, „მწერების ცხოვრება“ უფრო ძვირი დაჯდა, ვიდრე ხელით ნახატი ფილმები. „მონსტრების კორპორაციის“, „დინოზავრის“ და „ფინალური ფანტაზიის“ ბიუჯეტმა 100 მილიონი დოლარი შეადგინა, თითოეულის შექმნას 3-დან 5 წლამდე დასჭირდა.

ავტორის ფანტაზიის მაქსიმალური ვიზუალიზაცია — ეს არის კომპიუტერული მულტიპლიკაციის ერთ-ერთი პრიორიტეტი, თანაც დღეს, როცა შესაძლებელია ყველანაირი მასალის კოპირება და აღქმა. და მაინც, კომპიუტერული ანიმაციის შესაძლებლობები შეზღუდულია. მაგალითად, „ფანტაზია 2000“ ეპიზოდში, სადაც ვეშაპების ჯგუფის მოგზაურობაა გადმოცემული, წყლის შხეფები ხელით არის დახატული, რატომ არ მოხდა „შრეკში“ ფიონას გარდასახვა? საქმე იმაშია, რომ მეტამორფოზები ძალიან რთულია კომპიუტერული გრაფიკისათვის.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე გვინდა, ქართულ ანიმაციასაც გადავაკლოთ




თვალი, ქართული ხელით ნახატი ანიმაცია ფაქტობრივად აღარ არსებობს, თუ არ ჩავთვლით თითზე ჩამოსათვლელ ფილმებს, რომელთა ხარისხზე სჯობს, არ ვილაპარაკოთ. ყოველივე ამას ძალიან ბევრი ფაქტორი განაპირობებს. უპირველესად, ეს არის სახსრების უქონლობა, რაც უშუალოდ აისახება ხარისხით, მეორე: ნელ-ნელა ჩვენთანაც ფეხს იკიდებს კომპიუტერული ანიმაცია და აქაც მსგავს პრობლემებთან გვაქვს საქმე. ჩვენ არათუ გვაქვს ისეთი აპარატურით სარგებლობის ფუფუნება, როგორც უნდა აღჭურვილი იყოს თანამედროვე სტუდია, არ გვყავს პროფესიონალებიც, რომლებიც შეძლებენ სრულად აითვისონ და გამოიყენონ კომპიუტერული ანიმაციის ტექნიკური შესაძლებლობები. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი თანამედროვე რეჟისორი უგულებელყოფს ქართული ანიმაციის 80-წლიან გამოცდილებას და ცდილობს თავიდან „აღმოაჩინოს ველოსიპედი“. ეს გარემოება — ეროვნული ტრადიციის გაუთვალისწინებლობა — აისახება მათ მიერ შექმნილ ფილმებზე.

გლობალიზაცია ისტორიული პროცესია, მას გვერდს ჩვენი ქვეყანაც ვერ აუვლის. მთავარია, ამ პროცესში მოვახერხოთ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, ეს იქნება ჩვენი ერის თავისთავადობის გარანტი.

ყოველივე ზემოთქმული სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ საერთოდ წინააღმდეგი ვართ კომპიუტერული ანიმაციის დანერგვისა, მაგრამ კომპიუტერული ანიმაციის განვითარება არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ჩვენი ანიმაციური ფილმების გმირებმა დაკარგონ ეროვნული იერსახე და დაემგვანონ იმ საშინელ მონსტრებს, რომლებიც ასე მრავლად არიან თანამედროვე ანიმაციურ ფილმებში, არ უნდა მოხდეს ესთეტიკის დევალვაცია.

„მულტიპლიკაციის განვითარებას თან სდევს ფორმების, საშუალებებისა და ინსტრუმენტარიუმის უსწრაფესი განვითარება. სადღეისოდ მულტიპლიკაცია გვევლინება, როგორც კომუნიკაციის სრულყოფილებანი და ურთულესი საშუალება.“ ურთიერთობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა, იქნებ უპირველესიც კი, მოზრდილებსა და ბავშვებს შორის ურთიერთობა. ჩვენი მიზანი სწორედ ესაა, მოვნახოთ ოქროს შუალედი და მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით სწორად გამოვიყენოთ კომპიუტერული ტექნოლოგიები და შევქმნათ ისეთი ანიმაციური ფილმები, რომლებიც ბავშვებსაც და მოზრდილებსაც ერთმანეთის სამყაროს უკეთ გაგებაში და დაახლოებაში დაეხმარებიან, რაც თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი პრობლემის გადაჭრას შეუწყობს ხელს.



გიორგი ალაშვილი-მუსხიშვილი

ქუთაისი
 ცენტრალური

ალმუხანის და აღნიშნის, - ნიშნის შესახებ ჰოსტომოდინა ხელოვნებაში

„...ნიშნის მნიშვნელობა ჯერ ურთიერთობაში უნდა შემოვიდეს ჩვენთან, სანამ გავიგებთ, თუ რას აღნიშნავს ის; რა იდეაა ჩადებული [მასში]...“

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

„სიზმრის მატერია ყველაზე მშვენიერია არსებული მატერიებიდან.“ მილორად პავიჩი

„ყველაფერი დამოკიდებულია ნიგნებზე, რომლებიც ნაგვიკითხავს და იმაზე, თუ რას ვეძებთ [მათში].“

უმბერტო ეკო

ვისაც უნახავს სპექტაკლი „კავაკასიური ცარცის წრე“, ემახსოვრება სცენები, როდესაც

საც წამყვანს (მსახიობი ჟ. ლოლაშვილი) კისერზე ლეონარდოს „მადონა ლიტას“ რეპროდუქცია აქვს ჩამოკიდებული. ეს სცენოგრაფიული დეტალი პიესის მთავარ – დედობის თემას უსვამს ხაზს. ამავე სპექტაკლში სხვა სიმბოლოები და მეტაფორებიც გვხვდება. ისინი კოლაჟის პრინციპით არიან გაერთიანებული და სცენებს ისეთი შინაარსით ამდიდრებენ, რომელიც ზედაპირზე არ დევს და ასოციაციურ აზროვნებას ითხოვს. პოსტმოდერნისტულ ენაზე თუ ვისაუბრებთ, ისინი აღმნიშვნელის და აღნიშნულის ერთობით მიღებულ ნიშნებს წარმოადგენენ. ეს ნიშნები ურთიერთობაში შედიან მაყურებელთან მაშინაც, როდესაც ეს უკანასკნელი მათზე მაინცდამაინც არც ფიქრობს. ეს ნიშნის ბუნებაა. ის ვიზუალიზაციას ახდენს, „თვალში მოსახვედრია“ და ზემოქმედებს.

გოგი მესხიშვილის მხატვრული ენა, უკვე სტუდენტობის პერიოდიდან პოსტმოდერნულია თავისი არსით, – ფორმით და შინაარსით. აქ უკვე ჩანს, რომ მას ფერით და ხაზით საკუთარი სათქმელი აქვს და ამ სათქმელის მიმართ არის ერთგული. სულაც არ ცდილობს ოსტატობის მაჩვენებელი ხერხების მომარჯვებით გაანონასნოროს ის, რაც მას შემოქმედებით იმპულსს აძლევს, ვთქვათ, პეიზაჟში ამოკითხული ხაზების რიტმი, ან პერსონაჟის განწყობა, არამედ სწორედ „იმპულსის მიმცემის“ მიმართ არის პატიოსანი. ამიტომ, ამ მხატვრის შემოქმედებაზე საუბარი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ზოგადად პოსტმოდერნული ხელოვნების თავისებურებებზე, მისი შესწავლის (ინტერპრეტაციის) გზებზე.

„მადონა ლიტას“ რეპროდუქცია გოგი მესხიშვილის მიერ „კავაკასიური ცარცის წრის“ მოტივზე შექმნილ კოლაჟშიც ფიგურირებს. 1970-80-იან წლებში მხატვარი ხშირად რთავდა ხელოვნების ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ნიმუშების რეპროდუქციებს და მათ ფრაგმენტებს თავის სცენოგრაფიულ („როგორც გენებოთ,“ „დიდი იმედები,“ „და არს მუსიკა“) და არა-სცენოგრაფიულ („დაბადების დღე,“ „შობა,“ „ხელთათმანი“), ასევე, სცენოგრაფიულ ნამუშევართა მოტივზე შექმნილ ნამუშევრებში.

1950-60-იანი წლებიდან რეპროდუქციის გამოყენება სახვით ხელოვნებაში მიღებული ხერხია. ძირითადად ის პოპ არტთან ერთად გავრცელდა. ჰანს ბელტინგმა რეპროდუქციებს ხელოვნების ნიმუშის კონ-

ტექსტში, „სამყაროზე ახალი ტიპის, პოპ არტისტული კომენტარები“ უწოდა (“Art History After Modernism.” Chicago & London, 2003. p. 77). თუმცა, რემინისცენციები გარდასული დროის ხელოვნებასთან უფრო ადრე ფერწერულ ნამუშევრებშიც გვხვდება, უმეტესად სიურეალისტთა (დალი, მაგრიტი) ტილოებში, გვიანდელ პიკასოსთან, რაც კოლაჟურ აზროვნებაზე და ეპოქებთან დიალოგზე მიუთითებს. პოპ არტის წარმომადგენლებთან (პირველ რიგში, რაუშენბერგთან) ეს ხერხი უფრო აფიშირებულია, რადგან აქ სწორედ რეპროდუქციას ვხედავთ, რაც პასუხობს პოსტმოდერნიზმს, როგორც სიმულაკრას ხანას და ამ თვალსაზრისით კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ გოგი მესხიშვილის მხატვრული ენა დროის მოთხოვნას პასუხობდა. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაშინდელ საბჭოთა კავშირში ეს ენა მიუღებელი იყო და დამახასიათებელია, რომ ის სწორედ სცენოგრაფიამ შეიფარა. თეატრში, სადაც თამაშის პირობაა წამყვანი, თამაშის წესები კი განუსაზღვრელია, ეს უფრო დასაშვები იყო, ვიდრე დაზღვრულ მხატვრობაში, რომლის მიმართ ცენზურა ულმობელი იყო და გოგი მესხიშვილიც, როგორც ფერმწერი, ოფიციალურ ჟურნალებში („საბჭოთა ხელოვნება,” 1. 1977, გ.12) კრიტიკას იმსახურებდა. ამდენად, თეატრი მისთვის საუკეთესო „თავშესაფარს“ წარმოადგენდა.

თეატრის მხატვრისათვის, რომელიც მუდამ ეპოქიდან ეპოქაში გადაინაცვლებს, ზოგადად რეპროდუქციებთან ურთიერთობა ბუნებრივია, რადგან სხვადასხვა დროის პერსონაჟთა კოსტიუმების და მათი სამოქმედო გარემოს შესაქმნელად დოკუმენტური მასალის მოსაძიებლად, შესაბამისი ეპოქის ხელოვნების ნიმუშები საუკეთესო წყაროა. ყველაფერთან ერთად, გოგი მესხიშვილი, როგორც ჩანს, ხშირად წარსულის ხელოვნების ნიმუშებში პოულობს გამომეტყველებას, რომელსაც ეძებს თანამედროვეობაში. მაგრამ როდესაც ეს ნამუშევრები ციტატების სახით არიან მოწოდებულნი, ისინი უკვე შინაარსობრივ, ზოგჯერ იდეურ დატვირთვას იძენენ და ზოგ შემთხვევაში ნიშნებადაც კი იქცევიან.

პოსტმოდერნიზტმა ფილოსოფოსებმა (განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ფრანგ მოაზროვნეებს ვგულისხმობ) უკვე რამდენიმე ათეული წლის წინ შენიშნეს, რომ ჩვენ ნიშნების ეპოქაში ვცხოვრობთ. გასაკვირი არ არის, რომ ამ კონტექსტში მათ მნიშვნელოვანი ყურადღება მიაპყრეს სახვით და ზოგადად ხელოვნებას, რადგან ეს სახეებით აზროვნების და მეტყველების სფეროა. მაგრამ ხელოვნება მათი სპეციფიკური კვლევის საგანს არ წარმოადგენდა და მათ ხელოვნების ნიმუშთა კონკრეტული ანალიზი არ უწარმოებიათ. ამასთან, ისინი






(ბართი, დერიდა, ფუკო და სხვ.) ძირითადად ეხებოდნენ მოდერნიზმის ხანას და არა თანამედროვე ხელოვნებას. არადა, მათი ფილოსოფიურ-ლინგვისტური კონცეფციები, ხელოვნებასთან ინტერდისციპლინარულ კონტექსტში, უშუალოდ ხელოვნების პოსტმოდერნისტული ენის სიღრმისეული ანალიზის საფუძველს გვაძლევს და ძალიან ფასეულია. მათ მიერ შემოთავაზებული ინტერტექსტუალური კვლევის პრინციპი მოდერნიზმის შემდგომი პერიოდის (თანამედროვე ან პოსტმოდერნისტული) ხელოვნების მკვლევარისათვის შეუდარებელი იარაღია. ის საშუალებას გვაძლევს მკითხველისათვის საინტერესო გავხადოთ ხელოვნების ისტორია და თეორია, გავერკვეთ ეპოქის თავისებურებებში, მივსდით მხატვართა ნააზრევს, წავიკითხოთ ის, რისი წაკითხვაც შეუძლებელი ჩანს და ყველაფერთან ერთად, ხელი შევუწყოთ ისეთი მკითხველის ჩამოყალიბებას, რომელსაც პოსტმოდერნისტი ფილოსოფოსები არქიმკითხველს — ინტელექტუალურ მკითხველს უწოდებენ.

2001 წელს გოგი მესხიშვილმა თბილისში, ქარვასლაში წარმოადგინა გამოფენა ქართული ანბანის თემაზე. მას წინ უძღოდა მისი გამოფენა ამავე თემაზე, რომელიც ვე-

ნაში მოენყო, გალერეაში “Cachet.” ორივე ინსტალაცია მიეძღვნა ქართულ ასოებს. ისევე, როგორც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“-ში, გამოფენაზე ყოველ ასოს შესაბამისი სიტყვა და სურათი წარმოადგენდა, მაგრამ აქ თითოეული სურათი რთული ტექნიკით შესრულებული კოლაჟი იყო, რომელიც უამრავ მინიშნებას შეიცავდა და შინაარსით იყო დატვირთული. ეს რემინისცენციები უკავშირდებოდა კონკრეტულ სიტყვას, მაგრამ აღმოცენებული იყო მხატვრის ინდივიდუალური აზროვნებიდან, მის პირად ასოციაციებს ასახავდა. შესაბამისად თითოეული სურათი, რომელიც ნახატთან, ფოტოსთან, ფერებთან, რეპროდუქციებთან და „მზა“ დეტალებთან ერთად, წარწერებსაც შეიცავდა, ელოდა მაყურებელს – იგივე მკითხველს, რომელიც თითოეული სურათის შინაარსში ჩაღრმავებას მოინდომებდა (შეძლებდა) და კითხვას ინსტალაციის სივრცეში, სურათიდან სურათამდე და აგრეთვე, დარბაზში წარმოდგენილ ფიგურულ სანახაობასთან კავშირში განაგრძობდა. მან აირჩია ერთი ძირითადი თემა, რომელმაც საშუალება მისცა სიტყვა (სიტყვები) ექცია პერსონაჟებად. მის კომპოზიციებში ძირითადი გამოსახულება იკითხება - სახე, თვალი, ჩიტი, ვარდი... გამოსახულებას მისი განმმარტებელი წარწერაც ახლავს, მაგრამ ყველაფერი დანარჩენი, რაც კომპოზიციაშია, დამატებითი ინფორმაციის შემცველია და ძირითად გამოსახულებას (აღნიშნულის აღმნიშვნელს) ნიშნად აქცევს. შესაბამისად, ამ კომპოზიციათა მნიშვნელობა მდგომარეობს არა მხოლოდ ფერადოვნებაში ან ფაქტურათა თამაშში, არამედ თხრობის პროცესში, სივრცეში, რომელსაც მხატვარი წასაკითხად ქმნის.

სერიულობა, ერთი და იგივე თემაზე თხრობა, მხოლოდ სხვადასხვა ვარიაციით, საერთოდ დამახასიათებელია ამ მხატვრისათვის. მის მიერ გაფორმებული სპექტაკლების თემაზე შექმნილი ფერწერული ნამუშევრები და კოლაჟები, თეატრიდან დამოუკიდებელი სერიები სხვადასხვა თემაზე - „მძინარე ფიგურები“, „პაემნები“, „დაბადების დღე“, „ფრინველები“, „ნიღბები“ და სხვა, აგრეთვე, ინსტალაციები, მაგალითად „ოსტატი და მარგარიტას“ თემაზე (გამოფენა ბერლინში ს. ბარხინთან და დ. ბოროვსკისთან ერთად, 1988), ეს არის ერთსა და იმავე თემაზე დროში განგრძობილი თხრობა სხვადასხვა მხრიდან. მაშინაც, როდესაც მომავალი სპექტაკლისათვის „შავ“ სცენოგრაფიულ ვარიანტებს (მაკეტებს) ამზადებს, მას განათების და




ფიგურების ცვლით შინაარსი მოქმედებაში გადააქვს და სახეებით მოგვითხრობს პიესის ან ლიბრეტოს საკუთარ ინტერპრეტაციას ან ინტერპრეტაციებს („ჯამბაზები,” „დონ კარლოსი”). სერიულობა, მრავალშრიანი და დროში განგრძობილი თხრობა აქაც სახეზეა. სიმპტომატურია, რომ ვამბობთ, - თხრობა და არა ფორმაზე მუშაობა, ფორმასთან „თამაში,” რასაც ვიტყვით მოდერნისტულ ნამუშევრებთან, სერიებთან მიმართებით, სადაც ფერზე, განათებაზე, ხაზზე მუშაობა მიმდინარეობს, ობიექტია ნამყვანი და არა შინაარსი. პოსტმოდერნულ სერიებში უფრო იდეა, შინაარსი, სათქმელი მუშავდება, იმავე ფერის, განათების, ხაზის მომარჯვებით, მხოლოდ უფრო რთული ტექნიკური კომბინაციებით. ამიტომაც, მხატვრული ნაწარმოები თითქოს ლიტერატურას უახლოვდება, მასთან არის ზღვარზე, მითუმეტეს, რომ ზოგჯერ სიტყვის როლსაც იკისრებს. როდესაც ამ ნამუშევრებზე როგორც ტექსტებზე ვსაუბრობთ, ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ გოგი მესხიშვილი ხშირად წარწერებს უკეთებს თავის ნამუშევრებს, - ზოგჯერ სათაურს მიაწერს, ან მთელი პასაჟები მოჰყავს, ვთქვათ, მ. ბულგაკოვის ნაწარმოებიდან, ან რომელიმე წარწერას წაშლის, რალაცას გადაანერს, მაგრამ წარწერის კვალი განზრახ არის დატოვებული.

პოსტმოდერნში ისტორია კონსტრუირდება როგორც ნარატოლოგია: რეფლექსია წარსულზე. როგორც ჰ. რაიტი შენიშნავს, „ეს მუდამ თხრობაა” (*Пост-Модернизм*, Минск, 2001, გ. 491). განსაკუთრებული დატვირთვა აქვს თხრობის პროცესუალობას, რაიმე ფუნქციონალური დატვირთვის გარეშე. თხრობა მიმდინარეობს თვით თხრობისთვის და არა სინამდვილეზე რაიმე ზემოქმედების მიზნით. ეს ერთგვარი სიმბოლური ქმედებაა.

ნარატიული ისტორიის ჩარჩოებში მოვლენის აზრი იხსნება მოვლენის შესახებ თხრობის კონტექსტში და იმანენტურად დაკავშირებულია ინტერპრეტაციასთან.

მხატვრული სახეები, რომლებიც ანბანისადმი მიძღვნილ ინსტალაციებში იყო წარმოდგენილი თბილისსა თუ ვენაში, გოგი მესხიშვილის უფრო ადრეულ ინსტალაციაშიც გვხვდება. კერძოდ, ვენეციის 48-ე ბიენალეზე ნაჩვენებ ნამუშევარში - „ფრაგმენტები ჩემი მეხსიერებიდან,” რომელშიც ის თოჯინაც იყო ჩართული, რომელიც ქარვასლაში წარმოადგენდა მხატვრის „ჯადოსნური სიზმრის” ცენტრალურ ფიგურას, და კოლაჟიც, რომელიც „ანბანის” სერიაში ზღაპარს წარმოადგენდა - თოჯინის მსგავსი მიძინებული თუ სარეცელზე დასვენებული გოგონას გამოსახულებით, რომელიც ვენეციის ბიენალეზე კედელზე გაკრულ აბრეშუმის 13-მეტრიან ნაჭერზეც იყო რამდენიმეჯერ დაფიქსირებული და ამ კოლაჟის სამი ვარიაცია იატაკზეც ესვენა, რაც ხაზს უსვამდა მის მნიშვნელობას კედლებზე წარმოდგენილ ნარატივში.

„ფრაგმენტები ჩემი მეხსიერებიდან” სურათებით, ნახატებით, წერილებით, ჩანაწერებით შედგენილი ვრცელი ტექსტია, რომელშიც არც ერთი ფრაგმენტი არ იკითხება „თავიდან ბოლომდე,” ყველაფერი ცალცალკეა და თანაც ერთმანეთთან არის კავშირში, ძირითადად შავ-თეთრი გამოსახულებებია, მხოლოდ ალაგ-ალაგ, არის ჩართული ფერადი. ფერები მქრქალია. აბრეშუმის ქსოვილზე ამ ქსერო-ასლების შესაქმნელად რთული ტექნიკური ხერხებია გამოყენებული. ეს ერთი პიროვნების ცხოვრების ანაბეჭდიც არის, თაობისაც და ეპოქისაც, ალაგ-ალაგ სიტყვები - „исчезает безвозвратно” ან „грустно”



ან კიდევ სხვა, ამ სახეებით მონათხრობის განწყობას აფიქსირებს. ჩვენ არ ვამბობთ, – კომპოზიციის, რადგან ამ ცნების ტრადიციული გაგება შეუსაბამოა აღნიშნულ ნამუშევართან. თუმცა, მაინც, ეს პოსტმოდერნული კომპოზიციისა, სადაც ყველაფერი დასაშვებია და შეუსაბამოა ერთფეროვანი ინტერპრეტაცია. მნიშვნელოვანია ამ დოკუმენტების მიერ დატოვებული კვალი, ენერგია და არა მათი დოკუმენტური შინაარსი. ფორმაზე თუ ვიმსჯელებთ, ეს ელექტრონული ეპოქის დეცენტრალიზებული კომპოზიციისა, სადაც არ არსებობს ცენტრი, არამედ ჩვენება (და თხრობა) გულისხმობს განვრცობას დროსა და სივრცეში. მითუმეტეს, რომ ეს ქსოვილი ოთახში გაშლილი ინსტალაციის მთლიანი კომპოზიციის ნაწილია, რომლის ცენტრსაც ჰაერში დაკიდებული თოჯინა წარმოადგენდა. ამ თოჯინას, როგორც ღერძს, მის ქვეშ იატაკზე „გაშლილი“ კომპოზიციის უსვამდა ხაზს, რომელზეც ერთი და იგივე ფოტო იყო გამრავლებული ღრუბლების გამოსახულებით. ყველაფრით აქცენტირებული იყო ოცნების, სიზმრის მომენტი.

როგორც პოსტმოდერნისტი ფილოსოფოსები აღნიშნავენ, ჩვენ ნიშნების ეპოქაში ვცხოვრობთ, ხელოვნების ნიმუშები კი თანამედროვე ხანაში „ვიზუალურ აღმნიშვნელთა ასამბლაჟებს“ (C.Belsey, POSTSTRUCTURAL-

ISM: A very short introduction, Oxford, p.15) წარმოადგენენ. ეს განსაზღვრება საუკეთესოდ მიესადაგება გოგი მესხიშვილის ამ ნაწარმოებს. მაგრამ მაინც ვინ არის ან რა არის ეს ფერადი თოჯინა თუ გოგონა, – სიზმარში ნანახის იმიტაცია, წარსული ოცნების სიმბოლო თუ კიდევ რაიმე სხვა?! ამ „ნიშნის“ – რაღაც მუდმივი, კონკრეტული, მაგრამ წარსული, მიუწვდომელი – ამოკითხვის სურვილით შეგვიძლია ავტორის კიდევ უფრო ადრეულ ნამუშევრებთან გადავინაცვლოთ.

სიზმრის (ძილის) თემას უფრო ადრე ასევე მთელი სერია მიუძღვნა გოგი მესხიშვილმა. 1990 წელს და მომდევნო წლებში მან დიდი ზომის ფერწერული ტილოების სერია შექმნა მძინარე ადამიანის გამოსახულებებით. ნახატის პირობითობა, ფიგურათა თავისუფალი პოზები, ფერების მონასმები, საღებავების ჩამონალღენთები ამ ნამუშევრებში ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ძილის მექანიზმს, მძინარე ადამიანის ეფემერულ მდგომარეობას იკვლევს და ასახავს მხატვარი და ეს თოჯინაც ძილის, სიზმრის პროდუქტია. ალბათ ამიტომ შემოფარგლა მხატვარმა ამ ტილოებით საგამოფენო სივრცის ცენტრალური ნაწილი ქარვასლაში მონყობილ ინსტალაციაში (დასახელებით „ჯადოსნური სიზმარი“) და მის შუაგულში მოაქცია ეს გოგონა მისი სხეულიდან ამოზ-



რდილი ჩიჩილაკით. 1992 წელს კი, თბილისში, თანამედროვე ხელოვნების გალერეაში მხატვარმა ტილოებთან და კოლაჟებთან ერთად, მამაკაცის წამონოლილი ფიგურების სკულპტურათა (მასალა – ქალაღდი, ქვიშა) სერიაც უჩვენა. ამგვარად, ეს პირადული თემა სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა მასალაში იხსნება მის შემოქმედებაში და თხრობა გრძელდება, ხოლო ინტერპრეტაცია მრავალგვარი შეიძლება იყოს. ინტერპრეტაცია ინტერპრეტაციისათვის და არა კონკრეტულობისათვის.

ყველაფერი ის, რაც ვენეციის აბრემუმის ნაჭერზე ჩანს, მხატვრის თვალწინ ჩავლილი სახეები და მოგონებებია. ამ გამოსახულებათა ეფემერულობაა სწორედ ნამუშევრის ცენტრალური თემა. ბოლო გამოსახულება აქ თავად მხატვრის გამოსახულებაა, რომელიც დგას, მის წინ ფიგურა ჩაივლის და ეს კადრი სხვადასხვა ვარიაციით რამდენჯერმე მეორდება. ეს ბოლო კომპოზიცია გამოფენაზე - „ანბანი“ - წარმოდგენილი იყო სათაურით „ცხოვრება სიზმარია“ (კალდერონის პიესის დასახელება, რომლის მიხედვით დადგმული სპექტაკლი 1992 წელს გააფორმა გოგი მესხიშვილმა და რომელიც მისი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სცენოგრაფიული ნამუშევარია).

რადგან გოგი მესხიშვილის ნამუშევრები პროცესს ასახავენ, მომენტთა მონაცვლეობას და არა მომენტს, ან კონკრეტულ

მდგომარეობას, ჩვენც მისი ნამუშევრების და წარმოსახვითი სახეების ინტერპრეტაციისათვის მის ნამუშევრებში და შესაბამისად, წარმოსახვით სამყაროში მოგზაურობა გვინვეს.

ეს არის ინტერტექსტუალური (სივრცეში) კითხვის პროცესი, რომელიც ინსტალაციაში „ანბანი“ უკვე სურათებს, როგორც ტექსტებს შორის, - სივრცეში გადანაწილდა. ხოლო სერიებსა და ნამუშევრებს შორის დროში მოგზაურობამ შეიძლება საწყისი ემოციური იმპულსიც ამოგვახსნევინოს, რომელიც ყველაფერს „მართავს.“

1970-80-იან წლებში, კომუნისტური ბლოკის ქვეყნებში ერთ-ერთი პირველი პოპ არტისტი, - გოგი მესხიშვილი კოლაჟის ხერხს იმარჯვებდა. მაგრამ ამავე დროს, მის ნამუშევრებში სიურეალისტური საწყისებიც ძლიერი იყო – შეფარული, სიზმრისეული, საიდუმლოს მატარებელი. ამ ნიშნებით მისი კოლაჟები და ასამბლაჟები ჯოზეფ კორნელის ნამუშევრებთანაც პოვებდა სიახლოვეს. გოგი მესხიშვილის ინსტალაციებში ყველა ეს ნიშანი სივრცეში გაიშალა და რადგან სიურეალიზმი რომანტიკული მიმდინარეობაა მოდერნისტულ ხელოვნებაში, აქ პოსტმოდერნულ რომანტიზმზეც შეგვიძლია ვისაუბროთ. ამიტომ არის ასევე ორგანული გოგი მესხიშვილისათვის ამერიკული აბსტრაქტული ექსპრესიონიზმისთვის (მიმდინარეობა, რომელსაც დაუპირისპირდა პოპ არტი, მაგრამ რომელიც გარკვეულწილად შენარჩუნ-



და პოპ არტში) დამახასიათებელი ფერწერულობა, მონასმთა და ნებას მიცემული საღებავის თავისუფლება; დაუსრულებლობის (პროცესი) მომენტი.

პოსტმოდერნიზმში სწორედაც რომ ძლიერია რომანტიკული სანყისი, რადგან მისთვის დამახასიათებელია სინამდვილიდან გაუცხოება, რეალური სახეებით განყენებულზე მინიშნება, პროცესუალობა და არა დასრულებულობა. და ისევე, როგორც თეატრში, აქ თამაშის წესები განუსაზღვრელია.

მე კი მთელი ეს კვლევა დამჭირდა 2001 წლიდან დღემდე, რათა თეორემასავით დამემტკიცებინა საკუთარი თავისთვის ერთ წიგნში ამოკითხული, ავტორთა მიერ ახსნის გარეშე დატოვებული ფრაზა: "პოსტმოდერნიზმის ერთადერთი მკურნალი რომანტიზმის განუკურნებელი სენია" (POSTMODERNISM, by R. Appignanesi & Ch. Garratt, Cambridge, 1998, p.173).

2007 წლის ნოემბერში გოგი მესხიშვილმა სპექტაკლისათვის „დონ კარლოსი“ რეჟისორ თემურ ჩხეიძეს სამი სავარაუდო სცენოგრაფიული ვარიანტი შესთავაზა. პირველ ვარიანტში სცენის უკანა პლანზე მარჯვენა მხარეს პროეცირებულია ველასკესის „ქალი მარათი.“ გამოსახულება დროში და ტერიტორიულ გადანაცვლებაშიც გვეხმარება, და მრავალგვარად გარდასახული განათების ზემოქმედებით, იდუმალ ატმოსფეროს ქმნის. მომდევნო ვარიანტში იგივე გამოსახულება, დიდი ზომის ლინზაზეა პროეცირებული, სცენის შუაგულში გადმოინაცვლებს და დომინირებს სასცენო სივრცეში. ახლა ის

ძირითად ობიექტს წარმოადგენს.

მესამე ვარიანტში ლინზაზე ვხედავთ მხოლოდ თვალს და მხატვარი თხზავს სპექტაკლს, სადაც ყველაფერი კონცენტრირდება ამ თვალის გარშემო. ის დომინირებს. ზოგჯერ მხატვარი ისე ანათებს ამ ლინზას, რომ გამოსახულება აღარ იკითხება და ის ერთგვარ თვალის მოდელად გადაიქცევა. თითქოს ავტორი იკვლევს მზერის მექანიზმს, იდუმალი გამოხედვის მექანიზმს, თვალის უნარს და შესაძლებლობებს. და რადგან ეს დისკი ცილინდრის მსგავს კონსტრუქციაშია მოქცეული, მის გარშემო და მის შიგნით მხატვრის ხელით გადაადგილებული ფიგურები, ამ საიდუმლოს მონაწილე და მასში გარკვევის მსურველნი არიან. ერთსა და იმავე კომპოზიციაში ერთი და იგივე გამოსახულების გამეორება, რომელსაც სცენაზე - განათებით, ხოლო ტილოზე - საღებავით უცვლის შეფერილობას მხატვარი, ასევე პროცესის (პასუხის ძიების?) ამსახველია.

თუ ისევ ავტორის შემოქმედებით სამყაროში განვახორციელებთ მოგზაურობას, დავინახავთ, რომ იგივე თვალი, რომელიც ლინზაზე ჩანს, არის ქალის „საკუთრება“ და ეს ქალი თვალზე აფარებული ნახევარ-ნიღბით, ფიგურირებს გამოფენისათვის „ანბანი“ შექმნილ კოლაჟში – „თვალი.“ მას შემდეგ ეს გამოსახულება მნიშვნელოვან ადგილს იჭერს მხატვრის შემოქმედებაში.

ამგვარად, დამოუკიდებლად შექმნილი სახე გადადის სპექტაკლში, მაშინ, როდესაც ანბანის თემამ თეატრიდან (რობერტ სტურუას მიერ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლი – „იაკობის სახარება,“ გ. მესხიშვილის და მ. შველიძის

სცენოგრაფიით, 1994) გადმოინაცვლა საგამოფენო დარბაზში. თუმცა, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ნატიურმორტებს ქართული ალფაბეტის თემაზე გოგი მესხიშვილი გაცლილებით ადრე, 1970-იან წლებშიც ქმნიდა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ პოსტმოდერნში მშვენიერების აღქმის შესაძლებლობა „ნიშნის“ მნიშვნელობის საძიებლად შემოქმედებით პროცესში „მოგზაურობაა.“ აქ ეს საიდუმლო მინიშნებებია წარმართველი და არა მშვენიერი ნიმუშის აგების კლასიკური კანონზომიერებები. კლასიკური ხელოვნების ნიმუშები სიმულაკრას ხანაში თავადაც ნიშნებად არიან ქცეულნი.

ვიზუალური აღმნიშვნელის მნიშვნელობა ზედაპირს მიღმა ძევს. ამიტომ ამბობს როლან ბარტი, რომ მკითხველი იბადება ავტორის სიკვდილის ზღვარზე, რაშიც იგულისხმება, რომ როდესაც მკითხველი იწყებს კითხვას, იქ ავტორი აღარ არსებობს. მაგრამ მკითხველიც არ არის ინდივიდი, არ არის რეალური პერსონა, არამედ არის სივრცე, რომელზეც(შიც) ყველა ციტატა ახსნილია და არ იკარგება. ნათქვამია, რომ პოსტმოდერნული ნაწარმოები წინააღმდეგობასაც კი უწევს ერთ განსაზღვრულ ინტერპრეტაციას. ტექსტი თავისთავად ინახავს საიდუმლოს, რომლის რამდენიმე ახსნა არსებობს.


ნიშნები, რომლებიც პირველივე შეხედვით მოქმედებენ ჩვენზე, ვერ დარჩებიან ჩვენი აზროვნების ზედაპირზე. ისინი გვმსჭვალავენ და ჩვენი ტვინი ცდილობს ჩაწვდეს მათ. ისინი განსხვავებულ წაკითხვას ექვემდებარებიან.

ამგვარად, ნიშანი შეიძლება იყოს სახვითი ფორმა, რომელშიც ფიქსირდება ძლიერი ემოცია ან აზრი, რომელსაც ისეთი ძალა აქვს მხატვარზე, რომ აამუშავებს და მოძრაობაში მოჰყავს მისი წარმოსახვა, - შთააგონებს მას ნაწარმოების შესაქმნელად.

ჩვენ ვსწავლობთ ნიშანს მისი აღმოცენების პროცესში და ამისთვის გვეხმარება ყველა მეთოდი. ეს ერთგვარი იკონოგრაფიული კვლევაა არის. აქ არ არსებობს გარკვეული ვიზუალური გრამატიკა, მაგრამ ჩვენვე ვქმნით ამ გრამატიკას ჩვენი კვლევით.

თუ ჩვენ არ ვართ გახსნილი ფორმალური მშვენიერებისათვის ან ფორმალისტური ნაწარმოების ხარისხისათვის, შეუძლებელია ხელოვნების ნიმუშის აღქმა. მაგრამ თუ არ ვართ აღჭურვილი პოსტმოდერნისტ ფილოსოფოსთა და ლინგვისტთა თეორიებით, შეუძლებელია პოსტმოდერნული ხელოვნების ნიმუშთა შესახებ თეორეტიზირება. ჩვენ უნდა შეგვეძლოს განხილვა პროცესში და, რა თქმა უნდა, აქ დეკონსტრუირების მეთოდი გვევლინება უნივერსალურ მეთოდად. ეს პროცესი ხანდახან წლებს იჭერს, ჩვენ ვბრუნდებით ნიშანთან, ვმოძრაობთ მასთან ერთად, ვშორდებით მას და ვუბრუნდებით მასვე. ვკითხულობთ პროცესში, დროსა და სივრცეში.

დეკონსტრუირების პროცესში, გარკვეულწილად მაინც, ფორმალისტური სახელოვნებათმცოდნეო ანალიზის მეთოდი და ფროიდის ფსიქოანალიტიკური თეორიაც გვეხმარება, რომლებიც (მარტო მათ თუ მივმართავთ) დღესდღეობით მოძველებულია, მაგრამ მნიშვნელობა არ დაუკარგავთ. მთელ ამ








პროცესში ჩვენ, რა თქმა უნდა, ინტერტექსტუალური მადიებლები ვართ, - სივრცეში და დროში ვმოძრაობთ, და შეიძლება შეცდომასაც ვუშვებდეთ, შეცდომას, რომელიც სიმართლეში (თუნდაც ეს სიმართლე ჩვენ მიერ იყოს შეთხზული) გარკვევაში გვეხმარება. მაგრამ უნივერსალური სიმართლე არ არსებობს, „ფარდობითობა ჩვენი ბედია“ (Ch. Butler, POSTMODERNISM: A very..., p.16). დეკონსტრუქციის ცენტრალური არგუმენტიც სწორედ ფარდობითობა არ არის?! გავიხსენოთ უმბერტო ეკოს “Serendipities” (U. Eco, “Serendipities,” A Harvest Book, 1999). ეს ცნება ხომ შემთხვევითობის ნიადაგზე მოულოდნელი და წარმატებული აღმოჩენების კეთების ნიჭს გულისხმობს.

დღეს, როდესაც ფრანგი მოაზროვნეების ნაწილებს ვეცნობით, რაზეც დგას (ან რაშიც აისახა უპირველეს ყოვლისა) პოსტ-მოდერნული აზროვნება და ვაანალიზებთ, თუ რამდენად არალოგიკური გზით წარმართა ხელოვნების განვითარება საბჭოთა სინამდვილეში და რა იქნებოდა ლოგიკური, ვრწმუნდებით, რომ ის ენა, რომელიც გოგი

ალექსი-მესხიშვილმა თეატრში და არათეატრალურ ნამუშევრებში განავითარა, სწორედ დროსთან იყო (არის) თანხმობაში და რადგან მაშინდელ სიტუაციაში მხატვარს არ ეძლეოდა ინსტალაციების და პერფორმანსების მონყოფის, საკუთარი იდეების მოქმედებაში გადატანის და სათქმელის დროსა და სივრცეში განვითარების საშუალება, ის ამ შემოქმედებით ამოცანას თეატრში ახორციელებდა. ხოლო მაყურებელი, რომელიც ყოველივე ამას ასევე მოკლებული იყო, თეატრში ივსებდა დანაკლისს. ამიტომ იყო, რომ სათეატრო სივრცე იმ დროს დაიტვირთა მეტაფორებით და სიმბოლოებით, კონცეფტუალური მინიშნებებით და ნიშნებით და სწორედ თეატრმა გვასწავლა ნიშნებით აზროვნება.

ხოლო ეს თოჯინა და მძინარე (თუ დასვენებული) ქალის გამოსახულება, ნიღაბფარებული ქალი და დამოუკიდებლად თვალი - სიზმრის, საიდუმლოს, არარეალურის, ეფემერულის, გაუსხნელის სახეა, - ნიშანია, რომელიც ზღაპრის ასახსნელად გვინვევს და ეს ზღაპარი თავად შემოქმედებაა.



ვისთვისაც ძვირფასია ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთხოვთ, შეგვეწიგნოთ!

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;
„ელვასერვისი“, იოსებების 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია“ – ტელ: 93-64-72, 99-01-37 და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43
6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დიზაინერი:

გიორგი ქადაგიშვილი

ოპერატორი:

თამარ ტყაბლაძე

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიდის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4


ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.

litandart@yahoo.com


vaja.otarashvili@yahoo.com

Web: www.litandart.com.ge


ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში



სახე



გიორგი პაპუაშვილი-მეხსიერება



ფრაგმენტები მეხსიერებიდან

620/6

ფანჯა 3 ანა

ISSN 1512-3189



სომეხი დაიბეჭდა სანაჩეთიდან ანაბეხი, კეხეთი დასვინა და სპოხის სანონისტიონ
ფინანსური მხარეაქიით